კლესიაჲ (სახ. ნაეკ. სათ.)
ქრემაჲს ქოხი[8] (გამ.)
ალი (სათ.)
ალიეთეული[9] (სათ.)
ათრის სასაფლაო[10]
ხასტი (სახ. სათ. ტყე)
ასებეთ ნაბინავარი[11] (საძ.)
ელდამები (ქვაყუთები)
რეღთიშვილი (სალ.)
კრეს ციხე (ნაკ. სალ.)
კვერებაჲ (სახ.)
კალონი[12] (საძ.)
კალოვანაჲ (სახ.)
კალოჲსთავი (ტყე)
კუდები (საძ.)
კოთხი (სათ.)
კლდის ძირნი[13] (სათ. გამ.)
ლამორდენი (სახ.)
ლამორძე (სათ.)
ლამორძეთ ქოხი (გამ.)
მაჩაღნი (სათ. ტყე)
მადალესი (საძ.)
მადალესის ქოხი (გამ.)
მარიამწმინდა (სახ.)
მკივანაჲ (საძ. მდ.)
მუნჯაჲ (საძ. მჟავე წყალი)
მუნჯათწყარო (საძ.)
მზორენი (სახ. სათ.)
მაღალნი (საძ.)
მაღალთბოლო (საძ.)
მოსერაჲ (საძ.
მოსერაჲს ქოხი (გამ.)
ნაველაჲ (საძ.)
ნაყანარები (საძ.)
ნიშის წმინდა გივარგი (სალ.)
ნიჩოირუვი (სათ.)
ნიშთანაჲ (სახ.)
პირიქითი (სათ.)
რუვაჲ[14] (სახ.)
საჩაღდე ქედი[15] (საძ.)
სამძირნი (სათ. ტყე)
საჭვრეტიაჲ (საძ.)
საარწივო ქედი (საძ.)
საწყემსო ქედი (საძ.)
სახედავნი (გზა)
საწყემსო ქოხი (გამ.)

საცხორიაჲს გზა (ბილ.)
საწამლიაჲ ქოხი[16] (გამ.)
საცხორების ქოხები (გამ.)
საქორები (ტყე)
საცხორები[17] (საძ.)
საკეცენი[18] (საძ. ანდეზიტის საბადო)
სომაჲ (სახ.)
სოფლის ძირაჲ (სახ.)
საგვერდიაჲ (ტყე)
საყდარი (ნაეკ.)
ტყისძირანი (სათ.)
ტკიპაჲ (საძ.)
ტკიპაჲს წყალი (მდ.)
ფარაჲ (საძ. სათ. ტყე)
ფარგოთ ქედი (საძ.)
ქოხანი (გამ.)
ქალების ციხე (სალ. სათ.)
ქობიმთა[19] (სათ.)
ქასურნი (სათ.)
ქალების ქოხაჲ (გამ.)
ქვიშანი (სახ.)
ქვენაქალაჲ (საძ.)
ქუდაჲ (სათ.)
ქობთკარქოხი (გამ.)
ყაზიეთ რუვი[20] (სათ. ტყე)
ყველაწმინდა (სალ.)
ყირვნის წყალი (მდ.)
შიუკაჲს წყარო[21] (საძ. წყ.)
შტონი (სახ.)
ჩხამოვანაჲ[22] (სათ. ტყე)
ჩხამოვანაჲს წყარო[23]
ჩხუაჲ (ტყე, გვარჯილის მადანი)
ჩხატისთავი[24] (სათ. ტყე)
ცდოს ძირი (საძ. სათ.)
ციხე-კლდე[25] (საძ. სათ. ტყე, გამ.)
ცდოვისელი[26] (სათ.)
ძუძურისთავი (სათ.)
წმინდა გივარგის ნიში (სალ.)
წყალძირი (წყ.)
წყალტარაჲ (სახ.)
წყაროსთავი (სახ. სათ.)
წალაჲს ტყე (სათ. ტყე)
წყალძირთ ქოხი (გამ.)
ჭალაჲს ტყე[27] (ტყე)
ხატის კალო (სალ.)
ჯარყუნი (სათ. საძ.)
ჯევისთავი[28] (სახ.)
ჯოფაჲ[29] (სახ.)
ჯოფები (საძ.)
ჯორის ტყენი[30] (ტყე, სათ.)
ჯორიმზორე (საძ. ტყე).

## გ ვ ე ლ ე თ ი[1]

ბორძაჲს ყანა[2] (სახ.)
გველეთის ყირვანი (მყ.)
გზის ძირები (სახ. სათ.)
გზის თავნი (სახ.)
დევდორაკი[3] (მდ. მყ.)
დაბაჲ[4] (საძ.)
დაყბოს[5] (საძ.)
ზაგეთ სასაფლაო[6] (ძვ. სამარხი)
ზაგეთ ნასახლარები
კლდის ქოხები (გამ.)
მოსერაჲ (საძ.)
მწყრობი (საძ.)
მუნჯაჲ (მდ.)
მყინვრის წყალი (მდ.)
ნასაყდრალი (ნაეკ.)
ორწყალნი
ორწყალშუაჲ[8] (საძ.)
სემღისაჲ[9] (სალ.)
ტაბლები (საძ.)
ტბები[10]

ტკიპაჲ (მდ.)
ქალეშის ხატი (სალ.)
ქუბაჲ[11] (საძ.)
ყველაწმინდა[12] (სალ.)
ჩათაჲ (საძ. მდ.)
ძველდარიალაჲ[13] (საძ.)
წისქვილის მინდორი[14]
ჭალები[15] (სახ. სათ.)
ხრეკი[16] (საძ.)
ხიჟინკაჲ[17] (სჭძ.).

## დარიალის ხეობა

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთით საქართველოს დამაკავშირებელი დარიალის ვიწრო ხეობა მდებარეობს ხევის ჩრდილოეთ ნაწილში. ის გაჭიმულია 17 კილომეტრის სიგრძეზე სოფ. ყაზბეგსა და სოფ. ლარსს შორის და ხევის რამდენიმე სოფელს (ყაზბეგი, გერგეტი, ცდო, გველეთი) ტერიტორიას მოიცავს. დარიალის ხეობის სახნავები, სათიბები და ტყე ამ სოფლებს ეკუთვნის. ამის გამო დარიალის ხეობის ადგილთა სახელების დიდი ნაწილი უკვე მოხვდა ხსენებული სოფლების ტოპონიმიკურ აღწერილობაში, მაგრამ ამ სოფლების კუთვნილი ადგილების სახელწოდებათა სია არ იძლევა ხეობის ტოპონიმიკური აღწერილობის სრულ სურათს. დარიალის ხეობაში გვხვდება ბევრი ისეთი ტოპონიმი, რომელიც არც ერთ აქ დასახელებულ სოფელს არ ეკუთვნის, რისთვისაც არც შესულა რომელიმე მათგანის ტოპონიმიკაში. აღნიშნული ვითარების გამო საჭიროდ ვცანით მოგვეცა დარიალის ხეობის თანმიმდევრული ტოპონიმიკური აღწერილობა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ე. ი. მდ. თერგის დინების მიხედვით. ჩვენთ პირველ რიგში გაეცნობით თერგის მარჯვენა მხარეს, ხოლო შემდეგ ასეთივე თანმიმდევრობით გავყვებით მის მარცხენა სანაპიროს.

**მდ. თერგის მარჯვენა მხარე.** სოფ. ყაზბეგის ჩრდილოეთით მოედინება მთის პატარა მდინარე **ყურო**[1], რომელიც სათავეს იღებს მწვერვალ ყუროდან. ამ მდინარიდან ჩრდილოეთით მდებარეობს ქვაღორღიანი ადგილები, რომლის ვაკე ადგილების დიდი ნაწილი XIX საუკუნეში დაბინავებულა. ამ ტერიტორიის პირველ მონაკვეთს სანრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ეწოდება **ყოდანი**, ხოლო მეორეს—**ეშნი**. აქედან ნახევარი კილომეტრის იქით გვხვდება ხევი, რომელშიაც წვიმიანობის დროს ღვარცოფი მოედინება. მისი სახელია **ჯაჯმელაჲ**. ამავე სახელწოდებითაა ცნობილი ამ ხევის ირგვლივ მდებარე საძოვრებიც. საერთოდ გამოყენებულ ერთ-ერთ ფერდობს ეწოდება **თეთრჯორნი**, რომელზეც შემონახულია გურაპეთ ნასახლარები[2].

ჯაჯმელას მიმდგომ ტერიტორიას, რომელიც ძირითადად საძოვებადაა გამოყენებული, ხოლო ალაგ-ალაგ ეკლის ჯაგებითა და ტყის

ბუჩქებითაა დაფარული, ეწოდება წოწეხნი. წოწეხს ზემოდან დაჰყურებს საძოვარი ფერდობი — საბალახე რუვი, სადაც მდებარეობს ნაპურთი სალი[1].

წოწეხის ქვემოთ მგზავრს თვალში ეცემა ცხვირწამოწვდილი კლდოვანი კონცხი—კლდის ფეჯაჲ. ამ კლდეშია ბუნებრივი გამოქვაბული ე. წ. ნათლიმცემლის ქოხი, ხოლო ამავე კლდის თავზე დგას სათემო სალოცავი ივანე ნათლიმცემელი. ამის გამო ხსენებულ ადგილს ჰქვია როგორც კლდის ფეჯაჲ, ისე ივანე ნათლიმცემელი.

ივანე ნათლიმცემლის გვერდზეა მეორე სალოცავი—ნათლიმცემლის ყველაწმინდა. იგი ითკლებოდა ქალებს ხატად. აღდგომის ორშაბათს ქალები იქ საწირავით მიდიოდნენ და ლოცულობდნენ. მამაკაცების მისვლა ამ ხატთან მიუღებელი იყო.

აქედან ერთი კმ-ის დაშორებით მდებარეობს ტყიან-კლდოვანი საძოვარი სამშვლდის რუვი[1], ხოლო ჩრდილოეთიდან მას აკრავს საძოვარი—საბადური. საბადურიდან გველეთის ხიდამდე, დაახლოებით ერთნახევარი კმ-ის მანძილზე გრძელდება ისევ საძოვარი—ნაჯერეთი. გველეთის ხიდიდან ხდის ხეობამდე მდებარე ადგილს ეწოდება ბარჭენი, რომლის ფარკლებში შედის შემდეგი ადგილები: დიდო, ილიკოს წყარო[5], კაკოე გუბერნიე[6] და საკუთრივ ბარჭე. ბარჭეს ქვედა საზღვრიდან იწყება ხეობა, რომელსაც ეწოდება ჭდე[7]. ჭდის ხეობას ჩამოუდის ამავე სახელწოდების მქონე მდინარე, რომელზედაც დგას დარიალჰესი. ჭდის ხეობის სათავეს, ინგუშეთში გადასასვლელს, ეწოდება მგზრგალაჲ.

ჭდის ხეობის ჩრდილოეთით ერთნახევარი კმ-ის სიგრძეზე არის წიწვიანი ტყით შემოსილი კლდეები—ე. წ. ფალხატი[8]. მას მეორენაირად ჰქვია ფიჭვიანები. ფალხატის შემდეგაა საწისქვილო რუვი,[9] ხოლო აქედან დაწყებული ვიდრე დარიალის ხიდის ბოლომდე მდებარე ადგილს (საძოვარს, ტყიან-ჯაგიან დაკლდოვან ზოლს) ეწოდება დარიალაჲ. მის ქვედა ნაწილშია დარიალის ხიდი, რომლის მიდამოს ძველი სახელწოდებაა ჩხატის ძირი,[10] ხოლო შემდეგ მისთვის შეურქმევიათ სეკრეტი[11]. აქედან (თერგის დინებიდან) მარჯვნივ, ე. ი. აღმოსავლეთისაკენ ბილიკი ადის ჩხატზე, რომლის დაძლევის შემდეგ მგზავრი მიადგება არკაჲს წვერს. არკაჲს წვერის გადავლით გზა ეშვება ქისტებით (ინგუშებით) დასახლებულ ჯარიახის ხეობაში. ერმანეთისაკენ განა. სხვაეებენ ორ არკას. პირველი მათგანი—ე. წ. ბატარაჲ არკაჲ ეკუთვნის ხევს, ხოლო მეორე — დიდი არკაჲ ჯარიახის ხეობის კუთვნილებაა.

ამითი მთავრდება ხევის ტერიტორია მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე. ქვემოთ უკვე გრძელდება ჩრდილო ოსეთისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთმომიჯნავე აღგილები არმხის (ჯარიახის) ხეობის მთათა კალთები, დლინაია დალინა (სადაც ინგუშები ცხოვრობენ), ჩერნორეჩინსკაია (ოსების, ინგუშებისა და რუსების დასახლება), მამილოვის ხუტრი (ძირითადად ოსებია), სარაჯოვის ზავოდი (დავით სარაჯიშვილის, ქართული კულტურის დიდი მოამაგის სპირტის ქარხანა, მისივე ბაღები და ქარხნის ახლო-მახლო ტერიტორია ამ სახელწოდებითაა ცნობილი) და ბოლოს ძაუგი (იხ. შენიშვნა 40).

**ქდ. თერგის მარცხენა მხარე.** ამ მხრიდან ხეობის დასაწყის ნაწილს, რომელიც ქდ. ჩხერიდან ქვემოთ ორ კილომეტრამდე გრძელდება, ეწოდება ჭარაჲ. ჭარას ფარგლებში შედის ქავთარეთ ქოხი და სათიბი[12], სიმაგრენი[13], გევეთ მუხლი[14]. ამის შემდეგაა საკეცენი[15] ანუ საკეცეთი, ქობის წყალი[16], ანუ ქობური წყალი, ყაზიეთ რუვი[17], ცდოს ძირები (ცდოს ძირების ფარგლებშია ე. წ. პრანესი გოსპოდი[18], ცდოვისელი[19] ანუ ცდოვისველნი, მზორე და ნათლიმცემლის მუხლი[20]). ცოტა ქვემოთაა ზაგაშვილების ყოფილი სათიბი ადგილი—ე. წ. დემჩულეთი. დემჩულეთს აკრავს საზვავე ადგილი ჩხუაჲ ანუ ფარაჲ, ამის ქვემოთაა სოფ. გველეთის ადგილები: ბორძაჲსყანა[21], ყორუღი, დაბაჲ[22] და ტბები. დაბაჲს დასავლეთით ქობის სიღრმეშია მყინვარწვერის კალთები და კონცხები—ე. წ. დაბაჲს ქუდები. გველეთის ტერიტორიის უკიდურესი ჩრდილო საზღვარია დევდორაკი[23]. დევდორაკს ჩრდილოეთიდან ადია ქვიან-ქლდოვანი და ჯაგნარ-ბალახოვანი აღგილი ქუბაჲ[24]. ამავე ხოლში, მყინვარწვერის ერთ-ერთ კალთას, სადაც მყინვარის ორი წყალი (დევდორაკი და ჩათაჲ) იყრის თავს და საძოვრად იყენებენ, ეწოდება ვაკე ორწყალნი, ხოლო ასევე საძოვრად გამოყენებულ მეორე კალთას—მზორე ორწყალნი. ამ აღგილებს თავზე დაჰყურებს ორწყალთ წვერები. ორწყალთ წვერების ხოლში მდებარეობენ ქობები: ჩათაჲ, მწყრობი, ხრეკი, ტყისთავი და საჯოგე.

ქუბას თუ მყინვარწვერის კალთებისაკენ აკრავს ორწყალნი, ჩრდილოეთისაკენ ქუბაჲს შენდეგაა ძველ დარიალაჲ[25], რომელიც თამარის ცხვემდე (ერთ კმ-ზე) გრძელდება. თვით თამარის ციხის მიდამოებში აღგილთა ასეთი სახელები ბოწყდება: ციხის მინდორი (სათიბი), ქვისა გაგრძელებაა დასავლეთის მხრიდან ლეკების რუვი[26]. საკმაოდ ღრმე, მაგრამ უწყლო ხევს ეწოდება ციხის უკენაჲ, ხოლო მის გაგრძელებას—კვლავ ძველ დარიალაჲ. იქვეა სალოცავად გამოყენებულ სიძველეთა ნაშთები ე. წ. ბახტრის წმინდა გიორგი[27].

თამარის ციხისა და მისი ამ მიდამოების ქვემოთ გავიცლით დარიალის ხიდსა და კლდეებით ყველაზე უფრო შევიწროებულ კარებს და მივადგებით ადგილს, რომელსაც ეწოდება ესტაჲს რუვი ანუ ესტაჲს საშეშო[28], ხოლო მისი ძველი სახელი ყოფილა დიდზოვი. დიდზოვის ქვემოთ გვხვდება ზედ გზაზე ჩამოწოლილი უზარმაზარი ლოდების გროვა, რომელსაც მოსევეები თვლიან საქართველო-ოსეთის საზღვრად და მათივე განმარტებით მას ეწოდება დიდღორღი. დიდღორღიდან ასიოდე მეტრის ქვემოთაა ხურნუკი[29]. ხურნუკის ქვემოთ, მდ. თერგის მარცხენა მხარე შედის ჩრდილო ოსეთის ფარგლებში. აქედან ქ. ორჯონიკიძემდე გვხვდება ადგილთა შემდეგი სახელები: სლანცი[30], ჩათის წყალი, წყლიანი კლდე, ტყის თავები, ელანთ სათიბე, ლარსის ჰევი, სოფ. ლარსი (ზემო, შუა და ქვემო)[31], მაჰმადის ციხე[32], ჭუნდუხეთი[33], საკარის წყალი[34], ჩიმი[75], ჩიმის მინდორი (იქვე სალოცავი მინდვრის წმინდა გივარგი[36]), ხარხი[37], საკირის ჰევი, ბალთა[38], საკირე, რედანი[39], ძაუგი[40].

## სნოს ხეობა

### აჩხოტი[1]

აჩხოტის ტყე (ტყე)
ესკალთძირი[2] (სახ. სათ.)
ფიცარნი[3] (საძ.)
ფიცართძირი[3] (სახ.)
შაჯთა წყარო[4] (წყ.)

### სნო[1]

ამღისაჲ[2] (სახ.)
ალვათავი[3] (დეკა)
ბეგზედაჲ[4] (გზა)
გარეთ საგულებელი[5] (სათ.)
გელეთ ტყე[6] (ტყე)
გლუვნი[7] (სახ.)
გორაჲ (სახ.)
გორთანაჲ[8] (სახ.)
გოდერძიანთ საუფროსო[9] (სახ.)
დარყე (საძ.)
დარყის წმინდა გივარგი (სალ.)
დათონი (წყ. ნასახ. ნაკ.)
დეკიანაჲ[10] (საძ.)
ელიაჲ (საძ.)
ესკალნი[11] (ტყე)
ვანნი[12] (ნასოფ.)
ზემოსოფელაჲ[13] (სახ. ნასოფ.)
თეთრნი (საძ.)
ირხანნი (სახ.)
კჳრეს უკენაჲ (სახ.)
მინდორი (სათ.)
მარლაჯი (საძ.)
მზორე (სახ.)
ნადარბასევი (ნასოფ.)
ნაროვანი[14] (სახ.)
ნათოფაჲ[15] (მდ.)
ნაღორევი (სახ. მდ.)
ნაღორევის ჰევი (ნასახ.)
ნიშმინდორი (სათ.)
ოქრომჭედელაჲ (ნასახ.)

საბუნაგე (სახ. სათ.)
სადუციაჲ[16] (საძ.)
სამარავანი[17] (სალ.)
სამარავნის სამება (ნაეკ.)
სამუკეთ ცხრაკარიანი[18] (ნასახ.)
საკიტრენი[19] (სათ.)
სალოქი (გზა)
საყდარაჲ[20] (ძვ. სამარხი)
სპარსანგელოზი (სალ.)
ფართო ღელე (საძ. გზა)
ფხეკი (სახ. სათ. ტყე)
ფსჯრე (ძვ. სამარხი)
ქერეთ ნარჩევი[21] (სახ.)
ქვენამთა (საძ.)
ქალის ყანა[22] (სახ.)
ქართისი (სახ. საძ.)
ღალიანი[23] (ნასოფ.)
ღალამაკი (სახ. ნასახ.)
ყარამაყაჲ (სახ. სათ. ტყე)
ყოდანი (სახ. სათ. ტყე)
ყოდნის ძირი (გზა)
ყოდანთ ქედი (ნასახ.)
ყორაშატი (სახ. სათ. საძ. ტყე)
შინო (სათ. საძ. სახ. ტყე)
შიგათ შინო (საძ.)
ჩაქარაჲ (კირის საბადო)
ჩასავალაჲ (ტყე)
ჩემშაჲ (სახ.)
ცირცლოვანაჲ (საძ.)
ციხისმცავი (სალ.)
წვერის ძირი (სათ. ნაკ.)
წვერის სპარსანგელოზი (სალ.)
წვერი (საძ.)
წისქვილოვანთ გზა (ბილ.)
წყალფერდი (სათ. საძ.)
ჭალაჲ[24] (სათ.)
ჯორნი[25] (ბერების სადგომი)
ჳვედისი (სათ. საძ.)
ჴოფაჲ[26] (სახ.)

## ახალციხე[1]

ართხმოს ჭალაჲ[2] (სახ.)
ახალციხის ციხე (ნაკ.)
ბაჭაყანა[3] (სახ. სათ.)
ბაჭაყნის ბილიკი (გზა)
გადმასათრელაჲ[4] (სათ.)
გაღმი ყორაჲ (საძ.)
გამოღმი ყორაჲ (საძ.)
გარეთი ნიშთგვერდი (სათ.)
გამასაჩენაჲ (სახ.)
გასაფრენი ქვა[5] (საძ.)
გაჭრილი გზა (სათრევი)
გაგოსკარაჲ[6] (სახ.)
დამპალჭალაჲ (სახ.)
დიდი გზა (საურმე გზა)
დიდრუვის თავი[7] (სათ.)
ელიაჲ (სალ.)
ესკლიანაჲ[8] (სათ.)
ვერხოვანი (ტყე)
ვერხვიანაჲ (სათ.)
ვერხვიანაჲს ძირი (სახ.)
თადიაჲს ნათიბი[9] (სათ.)
თებრეთავი (სახ. სათ. საძ. ნასახ.)
თებრერუვი (სახ.)
თეთრნი (სახ.)
კჯრეს ნიში (სალ.)
კარისპირაჲ[10] (სახ.)
კოპალიაჲ (სალ.)
კოტაჲსთავი[11] (სათ.)
კალდამათავი[12] (სახ.)
კლდის ფენჯაჲ[13] (კლდე, სალ.)
კურეტისა (სახ.)
მიხელაჲს წყარო[14] (წყ.)
მზის პირი (სათ.)
ნარჩევი[15] (სახ.)

ნატეხრიანი (სახ. სათ.)
ნარიანაჲ[16] (სახ. სათ.)
ნიშთგვერდი (სახ. სათ.)
პაპუაჲს ჭოხი[17] (გამ.)
პირიყორა (სათ.)
რიყე (სახ.)
სადავო გორი[18] (საძ.)
სალებე[19] (საძ. კლდე)
სასაფანდრე[20] (სათ.)
სასაფანდრე ქოხი (გამ.)
სამანისი (სათ. საძ.)
საპეკრიაჲ ქედი[21] (საძ.)
სადათვე რუვი[22] (სათ.)
საზურგე[23] (სათ.)
საგულებელი[24] (სათ.)
საფრენი ქვისთავი (სახ.)
საჯოგე[25] (საძ.)
საჯოგისძირაჲ (სათ. საძ.)
სოფლის წყაროო (წყ.)
საძრომაჲ[26] (გამ.)
საყალნო[27] (საძ.)
სისხლივაკე[28] (საძ. ტყე, დეკა)
უკენაჲ მთა (სათ.)
ფშნიანაჲ[29] (სათ.)
ქერეთ ნარჩევი[30] (სახ.)
ქუფშაჲ (სახ. ტყე)
ღალანგურის წმ. გივარგი (სალ.)
ღოლოიანი[31] (საძ.)
ღონკლეურაჲ (სახ.)
ყარამაყაჲ (სათ. საძ. ნაკ.)
ყველაწმინდა (ეკლესია)
ყველაწმინდის მინდორი (სასაფლაო)
ყორა[32] (სახ. სათ. საძ. ტყე)
შადამაგაჲ (კლდე, სალ.)
შუბლი (სათ.)
შიგათი ფშნიანაჲ (სათ.)
შიგათი ნიშთგვერდი (სათ.)
ჩაქარაჲ (საძ. ტყე)
ჩაქარის ტბათავი (ნასახ.)
ჩირდილი[33] (სათ.)
ჩობოლაურთ ნაბინავარი[34] (საძ.)
ციხისძირი (სათ. საძ.)
ციხეთ პირდაპირი (სათ.)
ციხეთ უკენაჲ (სახ. სათ.)
წითელმიწა[35] (სახ.)
წყაროსთავი (სათ.)
წყაროსძირი (სათ.)
წყაროს რუვი[36] (წყ.)
ჭანჭახი (სახ. ნასახ. ნაკ.)
ხშირტყისთავი (სათ.)
ხეთანაჲ (კლდე, სალ.)
ჯორთუკე აჲ[37] (სათ. საძ.)
ჯორთუკენაჲს ქოხი (გამ.)
ჯაჯისთავი[38] (სათ.)

## ქ ო ს ე ლ ი[1]

ალავერდის წმ. გივარგი (სალ.)
გორაჲ (სახ.)
გლუვნი[2] (სათ.)
დედაღვთიშვილი (სალ.)
გალამაშაჲ (სახ.)
თეთრი (სათ. საძ.)
კავრაჲ (სათ.)
კატის ტყე (ტყე)
კკრე (სალ.)
მგლუვთ ტყე[3] (სათ. საძ.)
მწყურობი (სათ.)
საძნეთ რუვი[4] (სახ. სათ.)
სურბეტაჲ (საძ.)
ქუფშა (სათ. საძ.)
ქოსე || ქოსაჲ[5] (საძ.)
ქოკობანი (ნასახ. ნაკ.)
ღალიანაჲ (სახ.)
ღალამაშაჲ (სახ.)

შუაგორი (სათ. საძ.)
ჩირდილაჲ[9] (სათ. საძ.)
ციხეთუკენაჲ (საძ. ნაკ.)
ციხის კისერაჲ (სათ. საძ.)
წვერთუკენაჲ (სათ.)
ჯაჩაჲ (სახ. საძ.)
ჯაჩის წვერები (საძ.)
ჯაჩის ჯევი (წყ.)
ჯათაწყაროჲ (სათ.)
ჯოფვაკე[7] (სახ.)
ჯოროდინანი (სათ.)

## მიგუდა[1]

ბეგისთავი[2] (სახ.)
დევის ნაკარალნი (სათ.)
კორამნი (სახ. სათ.)
მიგუდისთავი (სათ.)
მიგუდის წმინდა გიეარგი (სალ.)
სამყინვარანი (საძ.)
საწველელაჲ (საძ.)
სამწყემსუა ქედი (საძ.)
ჩირდილანი[3] (სახ.)
წყალსათავე (საძ.)

## ართხმო[1]

ართხმოს თავი (საძ.)
ბოსელთ რუვი[2] (სათ.)
ბოსელთ გორა (სახ.)
გადასავალნი (სათ.)
გზასაყარნი (სათ.)
გორნი (სახ.)
გრილწყაროათ თავი (სათ.)
გუბნი (სათ.)
გუბთკალთა (სათ.)
დარბაზი[3] (სალ.)
დიდკოხნი[4] (საძ.)
ეკლესია ბექ[5]ი (სათ.)
ელიანი (სათ. სალ.)
ეშმაკარანი (სათ.)
ვეძისრუვი[6] (სათ.)
ვერხვებთან (სათ.)
ზევით მინდორი (სათ.)
კალოსგვერდი[7] (სახ.)
კერკენა[8] (სახ.)
კერკენანი (სათ.)
კუნ[ჭ]უხაის თავი (სახ. სათ.)
მადანი[9] (სათ.)
მზისპირი (სათ.)
მინდორი (სახ.)
მინდვრის ბექნი[10] (სათ.)
მუჯანი (სათ.)
ნატეხრიანი (სახ. სათ.)
ნანაყანი (სახ.)
ნამპალნი[11] (სათ.)
ნარიანა[12] (სახ.)
ნარიანანი (სათ.)
ნახიზნარი[13] (საძ.)
პირდაპირა (სათ. საძ.)
რუვანი[14] (სახ.)
სახუნწია (საძ.)
სამზეური (სახ.)
საზვნენი (სათ.)
საკურდღლიები (სათ.)
სატარაგო გზა (სათ.)
სამარილე გორი[15] (საძ.)
საკვერნეთ რუვი[16] (სათ.)
სოფლის ძირი (სახ.)
სოფლის თავი (სახ.)
ტარაგაჲ (სახ. სათ. საძ.)
ტყის უკენა (სახ. სათ.)
ქვეით მინდორი (სათ.)
ქვექვეჯვარნი (სალ.)
ქუდოსძირი (საძ.)

ღალანგური (სალ.)
ღორღიან ვაკე[17] (საძ.)
ღუნჭიანაჲ (საძ.)
ყანათავი (სათ.)
შუაგორი (სათ.)
ჩხატისთავი[18] (სახ.)
ციხისმცავი[19] (სალ.)
წითელძირი[20] (სათ. საძ.)
წისქვილთკარა (სახ.)
წყალშუა (სახ.)
ხეთანა (სალ.)
ხირხალანი (სათ.)
ჯარნაჯოკი[21] (საძ.)
ჯაჯისგეერდი[22] (სათ.)
ჯოფოკია[23] (სათ.)
ჯორჯი (საძ.)
ჯორჯის წმინდა გიორგი (სალ.)
ჯვარ თმზისპირნი (სათ.)

## კ ა რ კ უ ჩ ა[1]

ამაღლება (სალ.)
ბებიაჲს სახუნწო (სათ. საძ. ნასახ.)
გაღმა მილო (საძ.)
გამოღმი მილო (სახ. სათ.)
გაღმი საქუხარაჲ (საძ.)
გამოღმი საქუხარჲ (საძ.)
დარბაზი[2] (სახ.)
დიდრუვი[3] (სახ.)
დუდულეთ მთა[4] (საძ.)
დეკიანაჲ[5] (საძ.)
დეკიანაჲს ციხე (ნაკ.)
ეკალი[6] (საძ.)
ვერხვები[7] (საძ.)
კიბე || კიბენი[8] (სათ.)
კიბისთავი (საძ.)
კიბის ჭალა (სათ.)
კიბის წყალი (მდ.)
კკრე (სალ.)
კკრეს ძირი[9] (საძ.)
მილო[10] (ნასოფ.)
მილოს წყალი (მდ.)
ნადარბაზევი[11]
ნაწვნევეთ ბეგი (საძ.)
ნაყანარი (რიყე)
ნარიანაჲ[12] (სახ.)
პირდაპირაჲ[13] (საძ.)
პირდაპირანი (სახ.)
სარცხელთ ჴევი (სახ.)
საჯარე[14] (საძ.)
საჭარისთავი (სახ)
საქუხარაჲ (საძ.)
საყენთავი[15] (სახ. საძ.)
საკიტრიაჲ[16] (სახ.)
სოფლის თავი (სახ. საძ.)
სადუციაჲ[17] (საძ.)
საგუდამაყრო ქვენამთა (საძ.)
საკარკუჩო ქვენამთა (საძ.)
საბუე (სათ.)
სადავო გორი[18] (საძ.)
სისხლივაკე[19] (სათ. საძ.)
ტუსამზორე (საძ.)
ქოჩეხაჲ[20] (საძ.)
ქვაკიბე[21] (კლდე)
ქოსაჲ (სახ.)
ქვენამთა (სათ. საძ.)
ყანანაზი[22] (ნასოფ.)
ყანანაზის წმ. გივარგი (სალ.)
ყანანაზის ციხე (ნაკ.)
ყაჲ (სახ. სათ. საძ. ტყე)
ყაჲს წვერი (საძ.)
ყორა[23] (ნასოფ.)
ყორის წყალი (მდ.)
ყორის ჴედაჲ (საძ.)
ყორის ჴედაჲს ციხე (ნაკ.)
შავი წყარო[24] (წყ.)
ჩხატისკარაჲ[25] (სახ. სათ. საძ.)
ჩობოლაურთ ნაბინავარი[26] (საძ.)

ციხმინდორაჲ[27] (ნასახ.)
ცოცხანი (სათ. საძ.)
ჭერხოს რუები[28] (სათ. საძ.)

ხრიაკები (კლდე)
ხუტრი (უბანი)
ჰვედის წმ. გივარგი (სალ.)

ჯ უ თ ა[1]

არაგვი[2] (მდ.)
ადიონის ყა˘ათავი[3] (სათ.)
გარსიმთა[4] (სათ.)
დიდუბე (სახ. სათ. ღელე)
დიდრუის ტყე[5] (ტყე)
ვეშათწყარო[6] (საძ.)
ზექუადანალევო[7] (სახ.)
თეთრწყალა (მდ.)
კერკნის წყალაჲ[8] (ტყე, წყ.)
მარიემული[9] (სახ.)
მინდორი (სახ.)
მთრეხი[10]
მუწურთ ეხაის თავი (საძ.)
ნაღვარა (სახ. სათ.)
ნაწუნეები[11]
პირდაპირაჲ (საძ.)
საბოსტნია (სახ.)
სათბილოვანო[12] (სახ. სათ.)
საირმე კლდე (ტყე)
სალებეთ ბევი[13] (საძ.)
სამაჯის ბოფი (საძ.)

სამთრეხლო[14] (საძ.)
საჩოქნებელაჲ[15] (სახ.)
საძელე[16] (საძ.)
საძროხია[17] (საძ.)
ფადუხი (სახ. სათ.)
ფხის ტყე (ტყე)
ღვთიშობელი (სალ.)
ყანათავი (სათ.)
ყოველიანა[18] (სახ. სათ.)
შელმა ტყე (ტყე)
შარვანი[19] (სახ. სათ.)
შარვა˘ელა (სალ.)
ჩხატა[20] (სახ.)
ციხეკლდიაჲ[21] (სათ.)
წაოყაჲს სათიბია (სათ.)
წმინდა გიორგი (სალ.)
ჭიუხის წყალი (მდ.)
ჭაჭისთავი[22] (სახ. სათ.)
ჯვართი[23] (სახ. სათ.)
ჯორჯორვაჲ[24] (საძ.)

## ნაწილი მეორე

## ტოპონიმების შინაარსი (შენიშვნები)

### ხევის სათავეები

1. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 66.

ვახუშტის მიერ ამ ადგილისადმი ყ ე ლ ი-ს წოდება შემთხვევითი არ არის. XIV—XV საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში ხსენებულია ჯ უ ა რ თ ა ყ ე ლ ი სწორედ ზემოხსენებული ადგილის აღსანიშნავად (იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული, II, თბ., 1959, გვ. 443; ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას მიერ გამოცემული, მსკი, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 347; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 104).

ალ. ყაზბეგი იხსენიებს ჯ ვ ა რ თ ვ ა კ ე-ს (იხ. თხზ., ტ. I, 1948, გვ. 186), რაც კუთხური ჯ ო რ თ ვ ა კ ი ს ლიტერატურულ ფორმას წარმოადგენს.

საქართველოში რუსული მმართველობის პირობებში ჯვართვაკეზე ქვის პატარა ჯვარი პირველად დაუდგამთ 1803 წელს, იმავე ადგილზე ჯვარი მეორედ 1809 წელს გაუკეთებია გაბრიელ ყაზბეგს (ალ. ყაზბეგის პაპას, ქვემო ხევის მოურავს), ხოლო მესამედ მაიორ ქანანოვს 1824 წელს (Н. Н. Квезерели-Копадзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1967, стр. 99). ნ. კვეზერელი-კოპაძე იქვე სამართლიანად მიუთითებს იმის შესახებ, რომ ბევრს ისე ჰგონია, თითქოს ამ გადასავალს ჯვრისა ეწოდა 1824 წლიდან ქვის ჯვრის დადგმის გამო. სინამდვილეში რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1824 წლამდე, ქვის ჯვარი აქ ორჯერ იქნა დადგმული, მაგრამ გადასავალის სახელწოდება არც ერთი მათგანის დადგმას არ უკავშირდება. ისტორიულ წყაროებში და ხალხში ადრიდანვე იყო ცნობილი ჯუართა ყელი, ჯორთვაკე თუ ჯორი (ჯვარი).

2. ბიდარა (ოსური გამოთქმით ბგნდარ) ბოცოევს ადრე უცხოვრია თრუსოს ხეობაში, სოფ. ჯიმარაში. ჯვრის უღელტეხილის ჩრდილოეთ ფერდობზე, მთის წყალადსა და თეთრი წყლის შესაყარს შუა მდებარე ქედზე (ე. ი. ზედ ჯვრის უღელტეხილზე და არა „ყაზბეგსა და ჯვრის უღელტეხილს შორის“, როგორც ეს ითქვა ერთ-ერთ ნაშრომში—იხ. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბილისი, 1969, გვ. 40) ის თავისი ოჯახით დაუსახლებია მეფე ერეკლე მეორეს. ბიდარასი და მისი შთამომავლობის მოვალეობას შეადგენდა მგზავრებისათვის უსაფრთხოების შექმნა გზის ამ ყველაზე ბნელსა და სახიფათო ზოლში, რისთვისაც მეფეს ჯამაგირი დაუწესებია. ეს კარგად ჩანს ჯერ ერეკლესა და გიორგი ერეკლეს ძის, ხოლო შემდეგ კნორინგის მიერ ბიდარას სახელზე გაცემული სიგელებიდან (იხ. АКАК, т. I, Тбилиси, 1866, стр. 526—527).

როგორც ამ საბუთებში, ისე 1800 წ. სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხაში ეს პიროვნება, როგორც „თეთრ წყალზე მსახლობელი“, მოხსენიებულია ბიდარას სახელით (იხ. მსეი, თბილისი, 1955, გვ. 133). მხოლოდ ერეკლე მერრის მიერ 1794 წ. გაცემულ სიგელში აღნიშნულია ორი სახელი — ბათი და ბიდარა. ამაზე დაყრდნობით ზოგიერთ ნაშრომში ხსენებულია ბათი ბიდარაშვილი (ნ. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101), ან ბათი ბიდაროვი (გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., გვ. 40), ე. ი. ბათი მიჩნეულია სახელად, ხოლო ბიდარა გვარად. სინამდვილეში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბიდარა იყო პიროვნების სახელი, ხოლო ბათი უნდა იყოს მისი მეორე (ზედმეტი) სახელი.

ბიდარას ჰყოლია ორი შვილი — ბისიკო და ალექსანდრე, რომელთაც მამის სახელის მიხედვით მიუღიათ გვარი ბიდაროვი. ასე წარმოიშვა ახალი გვარი, რომელიც ითვლის ხუთ თაობას. ბიდაროვები ჯვრის უღელტეხილიდან ჩამოსახლდნენ 1941 წელს. მათ ერთ ნაწილს ერთხანს, ბულასოვებთან ერთად, უცხოვრიათ სოფ. თოლგოთში, რომლისგანაც დღეს დარჩენილია მხოლოდ ნასოფლარი და მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, სოფ. კობის პირდაპირ. ბიდაროვების უმრავლესობა, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფ. თოლგოთსა და სოფ. ალმასიანში, საცხოვრებლად წასულან ჩრდილო ოსეთში. ბიდარას შთამომავლობიდან სოფ. ალმასიანში დღეს ცხოვრობს მხოლოდ ორი კომლი: ფიტო (დიმიტრი) და ბაბი ბიდაროვების ოჯახები. ფიტო ბიდაროვი (დაბ. 1895 წ.), რომელმაც ეს ცნობები მოგვაწოდა, არის ბიდარას შვილიშვილის შვილი (მეოთხე თაობის წარმომადგენელი).

ჯვრის უღელტეხილზე ბიდარას დასახლების შემდეგ მოხევეებმა და მათ მეზობლად მცხოვრებმა ოსებმა მთელ ამ მიდამოს (ჯვრის გადასავალს) უწოდებს ბ ი დ ა რ ა ჲ//ბ გ ნ დ ა რ. დასახლებულ პუნქტს, სადაც ბიდარა და მისი შთამომავლობა ცხოვრობდა — ბ ი დ ა რ ა ჲ ს ო ფ ე ლ ი//ბ გ ნ დ ა რ გ უ ა უ, თეთრ წყალზე გადებულ ქვის ხიდს— ბ ი დ ა რ ა ჲ ს ხ ი დ ი//ბგნ დ ა რ გ ხ ი დ (ბიდარას ხიდის ქვემოთ, ჩრდილოეთის მიმართულებით მდებარეობს კ უ ლ ა გ ი ნ ი ს ხ ი დ ი (მისი ამშენებელი ინჟინრის — კულაგინის სახელობისა, ხოლო უფრო ქვემოთ, ჯვრის უღელტეხილის ბოლოში, იქვე აღმართული მთის — ბოდოს ძირშია ე. წ. ბ ო დ ო ს ხ ი დ ი, რომელსაც მეორენაირად ეწოდება კ ო ბ ი ს ხ ი დ ი სოფ. კობთან მისი ახლო მდებარეობის გამო), ჯვრის უღელტეხილზე რუსების მიერ აშენებულ ყაზარმას — ბ ი დ ა რ ა ჲ ს კ ა ზ ა რ მ ა ჲ (ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ბ ა ი დ ა რ ა, როგორც ყაზარმა. ამაში უნდა იგულისხმებოდეს როგორც ყაზარმა, ისე ბიდაროვების სამოსახლო პუნქტი), მთის წყალაჲსა და თეთრი წყლის ნაერთ მდინარეს — ბ ი დ ა რ ა ჲ ს წ ყ ა ლ ი //ბ გ ნ დ ა რ დ ო ნ, ხოლო ხევს, რომელშიც ეს წყალი მიედინება ოსურად ეწოდება ბ გ ნ დ ა რ ა დ ა გ (ბიდარას ხევი) ანუ ბ გ ნ დ ა რ ქ ო მ (ბინდარას ხეობა).

მდ. ბაიდარა-ს იხსენიებს თავისი მოგზაურობის დღიურში ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ი უ მ ა (იხ. მისი კავკასია, თბილისი, 1964, გვ. 363). ამ წიგნის შენიშვნებში აკ. გ ა წ ე რ ე ლ ი ა მ განმარტა: „პატარა მდინარე ბაიდარა („Baidara) — უნდა იგულ. ბაიდარა, მდინ. ყოფ. ზაქათალის ოლქში“ (იქვე, გვ. 503).

სინამდვილეში ზაქათალის ოლქში არსებული მდინარის სახელწოდება აქ არაფერ შუაშია, ვინაიდან ალ. დიუმა იხსენიებს ჯვრის უღელტეხილის ბიდარას, რომელიც მან რამდენიმე ადგილას გადალახა საქართველოს სამხედრო გზით მოგზაურობის დროს. აკ. გაწერელიას ზემოხსენებულ განმარტებას სამართლიანად გამოეხმაურა ინჟინერი ლადო ჭიალაშვილი (იხ. მისი — მცირე შენიშვნა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 8).

3. ხუთვერსიან რუკაზე ჯვრის გადასავალის მისადგომებთან აღნიშნულია ექვსი დასახლებული პუნქტი: ალმაზიანი, ბაზილენი, კობი, ზემო უხათი, ქვემო უხათი და თოლგოთი. ეს პუნქტები სულ ხუთ სოფლად იყო დასახლებული. ამათგან ერთი იყო თოლგოთი, რომელიც დღეს ნასოფლარს წარმოადგენს. მეორე და მესამე იყო ზემო და ქვემო უხათი, ხოლო მეოთხე და მეხუთე—კობი და ალმასიანი. კობსა და ალმასიანს შორის მანძილი ერთ კილომეტრამდეა. მათ შუაში ჩამოუდის

ირი პატარა მდინარე — უხათის წყალი, რომელიც ორი წყლის — ნაროვანის წყლისა (ნარუანდონ) და მილიონას წყლის (მილონ დონ) შენაერთია, და ბიდარა.

ვინაიდან კობსა და ალმასიანს შორის მდინარეები ჩამოდის, ალმასიანს მეორენაირად ეძახიან გაღმა კობს. როგორც ჩანს, თავდაპირველად, მართლაც, ერთი იყო კობი, ხოლო მეორე გაღმა კობი-ალმასიანი და ბაზილენი სინამდვილეში გაღმა კობის ორი უბანია. რუკაზედაც ამიტომაა ნაჩვენები ისინი ერთიმეორის ახლოს. სახელწოდება ბაზილენი მომდინარეობს ოსური ფაზილან-იდან, რაც ნიშნავს შესახვევს. მთხრობლების განმარტებით, დასახლებულმა პუნქტმა ეს სახელწოდება მიიღო თრუსოს ხეობისაკენ შესახვევ გზაზე მდებარეობის გამო. მათივე ცნობით, გაღმა კობის ანუ ბაზილენის სამხრეთ მხარეზე, საქართველოს სამხედრო გზის პირად დუქანი და ღამის სათევი ფუნდუკი აუშენებია თბილისელ სომეხს, გვარად ალმაზიანს. აქის შემდეგ ჯერ სოფლის ერთი უბნისთვის, ხოლო შემდეგ მთელი სოფლისთვის შეურქმევიათ ალმაზიანი ანუ ალმასიანი.

ვინმე ალმასიანის აქ დამკვიდრებისა და დასახელებული პუნქტისადმი მისი სახელის შერქმევის თარიღს გადმოცემა არ გვაცნობს, მაგრამ თუ მთხრობლების ცნობა ალმასიანის შესახებ სინამდვილეს შეეფერება, შესაძლებელია, რომ ის აქ მოსული იყოს 1818 წელს. ამას გვაფიქრებინებს ნ. ჭილაშვილის შემდეგი ცნობა: „В сем отношении местечко Алмасиани, где учрежден воинский пост, неправильно называемый Кобийским, и с которым в зимнее время весьма часто прерывается сообщение от Тифлиса по причине снежных обвалов, обращало на себя особенное внимание начальства. Для облегчения сего затруднения, в январе месяцев 1818 года Душетские жители Григорий Априлов с товарищами были, по приказанию ген. Ермолова, соглашены завести в местечках Казбеки и Коби лавки с разными товарами... выстроить... постоялые дворы с комнатами для проезжих“... (АКАК, VII, 1878, стр. 352).

ნ. ჭილაშვილის მოხსენება საქართველოს სამხედრო გზის პირად მცხოვრებ მთიელთა შესახებ დაწერილია 1827 წელს. ამ დროისათვის გაღმა კობის ანუ ფაზილან-ისათვის ალმასიანი ახლად შერქმეული ჩანს. ასე რომ არ ყოფილიყო, ნ. ჭილაშვილს არ დასჭირდებოდა იმის განმარტება, რომ ამ პუნქტს შეცდომით კობს უწოდებენო. სამწუხაროდ, ნ. ჭილაშვილი არ იძლევა ალმასიანის ეტიმოლოგიას. საფიქრებელია, რომ ვინმე ალმასიანი ყოფილიყო ნ. ჭილაშვილის მიერ ხსენე-

ბელი გრიგოლ აპრილოვის ერთ-ერთი ამხანაგი, რომელსაც წილად ხვდა დუქნისა და ფუნდუკის დაარსება სოფ. გაღმა კობში.

4. იხ. შენიშვნა 3.

5. ბ ი დ ა რ ო ვ ე ბ ის შესახებ იხ. შენიშვნა 2.

6. ბ ო დ ო ეწოდება მაღალსა და შეუღ მთას, რომელიც თავს ფასცქერის სოფ. ალმასიანსა და საქართველოს სამხედრო გზას. ამ მთას მოხეველებიც ბოდოს ეძახიან. მისი ფერდობებიდან დაქანებული ლზარმაზარი თოვლის ზვავი გზას კრავს. ბოდოს ზვავი (ბ ო დ ო ზ ო ვ ი) ხეში სიდიდისა და ძალის სინონიმს წარმოადგენს.

7. ადგილს, რომელსაც აქაური ოსები უწოდებენ კ ო ბ ი ს ვ ა კ ე ს, მოხეველები ეძახიან ა დ ო ს მ ი ნ დ ო რ ს. მოხეველებმა ამ ადგილს შეუნარჩუნეს მისი ისტორიული სახელწოდება.

ტოპონიმი ადოს მინდორი გვხვდება გიულდენშტედტის ნაშრომში. გიულდენშტედტი ეხება რა გეწერალ ტოტლებენის შემოსვლას მოზდოკიდან საქართველოში, შენიშნავს: „ამ მხარეში თერგზე კობთან, პატარა ველზე, რომელსაც ქართველები ადოს მინდორს უწოდებენ, შეხვდა მას ერეკლე მეფე“ (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 225).

როგორც ვხედავთ, გიულდენშტედტი ამ ველის ზუსტ ლოკალიზაციას იძლევა და იმასაც აღნიშნავს, რომ მას ადოს მინდორს ქართველები უწოდებენ.

საყურადღებოა, რომ სოფ. ა დ ო იხსენიება გერგეტელ საყდრის შვილთა საბუთში (XV ს.). ამ საბუთში ხევის სოფლები ჩამოთვლილია ჩრდილოეთიდან სამხრეთის, ე. ი. მდ. თერგის დინების საპირისპირო მიმართულებით. სოფ. ადო, საიდანაც მძევლად გამოყოფილია ვინმე ცისკარაშვილი, დასახელებულია სოფ. მნასთან ერთად (იხ. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ტ. 30, თბილისი, 1954, გვ. 272. ქვემოთ ყველგან შემოკლებით იხ. ქ. შარაშიძე). სოფ. მნა დღესაც არსებობს და მდებარეობს სოფ. კობიდან ხუთ-ექვს კმ-ზე, მდ. თერგის შენაკადის სიღრმეში — მნის ხეობის სათავეში. სწორედ იმ ადგილიდან, სადაც მნის წყალი ერთვის თერგს, იწყება თრუსოს ხეობა. ამ ადგილას მდებარეობს ოსებით დასახლებული ორი სოფელი — შავარდენი და იქროყანა. მდ. თერგის დინების მიმართულებით ცოტა ქვემოთ, თერგის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებულია პატარა სოფ. ნ ო გ უ ა ნ ი. ამ სოფლიდან ალმასიანამდეა გადაჭიმული ზემოთ ხსენებული ადოს მინდორი. სავარაუდებელია, რომ სოფ. ადო ყოფილიყო სწორედ იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს სოფ. ნ ო გ უ ა ნ ი. ეს მით უფრო საგულის-

სმოდ გეჩვენება, რომ ოსურად ნ ო გ უ ა უ ნიშნავს ახალ სოფელს, რომელიც, როგორც ჩანს, აღმოცენდა სოფ. ადოს ნანგრევებზე და ახალ პუნქტს იქ დასახლებულმა ოსებმა სახელიც შესაბამისი შეარქვეს. ადოს მინდორთან სხვა დასახლებული პუნქტი ან ნასოფლარი არ გვეგულება. ამიტომ სოფ. ადო უფრო მეტად ადოს მინდვრის კიდეში ამჟამად მდებარე სოფ. ნოგუაუს ტერიტორიაზეა საგულვებელი, ვიდრე სხვა რომელიმე მეზობელი სოფლის ადგილ-სამყოფელზე.

8. მოხევეები ამ ადგილს უწოდებენ როგორც ს ა ძ ე ლ ე ს, ისე ს ა ძ ი ლ ე ს. რომელი მათგანია სწორი და რასთან დაკავშირებით წარმოიქმნა ეს სახელწოდება, ხალხური ცოდნა ამაზე პასუხს ვერ გვაძლევს. თუ ამ ადგილს ჰქვია საძელე, შეიძლება გვეგულისხმა, რომ აქ ოდესღაც ჭრიდნენ ძელებს, ხეებს და სახელწოდებასაც შესაძლებელია ეს დასდებოდა საფუძვლად. ასეთი რამ გამორიცხული არ უნდა იყოს, რამდენადაც ალმასიანისა და კობის მთებში ტყე ახლაც არის შემონახული, ხოლო წარსულში ეს ადგილები უღრანი ტყით ყოფილა შემოსილი.

რაც შეეხება მეორე სახელწოდებას — საძილეს, ხევში ის იხმარებოდა მწყემსების მიერ საძილედ შერჩეული ადგილის აღსანიშნავად. აბ შემთხვევაში შესაძლებელია ივარაუდებოდეს სწორედ საძილედ განკუთვნილი ქედი, მაგრამ ამათგან რომელიც არ უნდა იყოს სინამდვილესთან ახლოს, ერთი რამ მაინც უტყუარია — ტოპონიმი ს ა ჯ ე ლ ე ქართული საძელეს თუ საძილეს გადაოსურებული ფორმაა.

9. იხ. შენიშვნა 2, 3.

10. იხ. შენიშვნა 2.

11. ხამირზას ვინაობა გაურკვეველია.

12. იხ. შენიშვნა 7.

13. ოსებს ჰგონიათ, რომ ადგილის სახელწოდება მ ი ლ ი ო ნ ა ანუ ბ ი ლ ი ე ა ნ ა ჲ ქართულია, რომლის გადაოსურება მოხდა მ ი ლ ო ნ-ის სახით. სინამდვილეში ხალხური განმარტება არ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს. სამაგიეროდ არსებობს მისი მეცნიერული ახსნა. სახელდობრ, ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ ეხება რა მთა მილიონას და ამავე სახელწოდებისა და ამ მთიდან გამომდინარე წყალს, რომელიც სოფ. კობთან მდ. თერგს ერთვის, წერს: „უეჭველია იქ სადღაც იდგა ქვა, რომელსაც მილიონი ეწოდებოდა. აქედან შეიძლება უფრო მეტის დაჯერებით ვივარაუდოთ, რომ საქართველოს გზებზე ასეთი გზის მაჩვენებლები მდგარა, მათ მილიონი სწოდებიათ (ლათინური სახელი milliarium, ii—мыльный столб, обозначающий расстояние в 1000 шагов),

иногда = миля, т. е. 1000 шагов, Μῦλιου Τὸ — римская миля = 1000 шагов = $1^1/_3$ версты.

მილიონი ბერძნული გზით შემოსული ლათინური სახელია"... (ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966. გვ. 118).

საბა ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნულია: „მ ი ლ ი ფრანგულად ათასი ბიჯი, გინა ორასი წყართა". ლექსიკოგრაფი იქვე მ ი ლ ი ო ნ ი ს განმარტებისას შენიშნავს: „მილი და მილიონი ორივ ლათინურია. მ ი ლ ი არს ათასი, ხოლო მ ი ლ ი ო ნ ი ბევრის ბევრია" (სიტყვის კონა, თბ., 1949. გვ. 211).

14. ნ ა რ ო ვ ა ნ ი არის მთის სახელი, რომელიც ეკუთვნის ორ სოფელს — სიონსა და უხათს. მოხევე მთხრობლების განმარტებით, ეს სახელი წარმოიქმნა ადგილის ნარიანობის, ნარის გავრცელების გამო.

15. იხ. შენიშვნა 8.

16. შენიშვნა 2. 3.

17. უ ა ც ი ლ ა ოსეთში საყოველთაოდ ცნობილ ღვთაებას წარმოადგენდა, რომელსაც შესთხოვდნენ ამინდსა და მოსავალს. უაცილა იგივე ელიაა, ხოლო დღეობა უაცილობა (ვაცილობა//ვაჩილობა) —ელიობა. მის სახელზე სალოცავი არსებობს სოფ. კობშიც.

18. იხ. შენიშვნა 2.

19. ც უ თ ი არის მთის სახელი. მისი ნაწილი ეკუთვნის სოფ. ყანობს, ხოლო ნაწილი სოფ. კობსა და სოფ. შავარდენს. ყანობლები მას ეძახიან ცუთს, რასაც ც უ დ თ ან არავითარი კავშირი არა აქვს გარდა ფონეტიკური მსგავსებისა, რამდენადაც იგი წარმოადგენს მშვენიერ ზეგანს ხავერდოვანი ფერდობებით. მთის ნოყიერი ბალახით, წყაროებით, ნოზრდილი ტბითა და გზა-ბილიკებით ასე შემკობილი ადგილი ხევში მეორე არ მოიძებნება.

20. ქ ვ ე მ ო უ ხ ა თ ი ს მოსახლეობა ჩამოსულია ზ ე მ ო უ ხ ა თ ი დ ა ნ. ორ იზოლირებულ უბნად მცხოვრები უხათლები ერთი და იგივე მთა-ბარით სარგებლობენ. ქვემო უხათისა და ზემო უხათის ტოპონიმიკის ცალ-ცალკე აღწერა გამოიწვევდა ხშირ განმეორებას. ამიტომ ორივე უხათის ტოპონიმიკურ აღწერილობას ერთად ვიძლევით.

21. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველები (მოხევეები) ამ მთას ეძახიან მილიონას (იხ. შენიშვნა 13). სოფ. ფხელშეში ჩვენ დავამოწმეთ ამ ადგილის კიდევ ერთი სახელწოდება — ა ს ჭ ა კ ე უ ლ ი, რომლის ხალხური ეტიმოლოგიაც არსებობს. თანახმად გადმოცემისა, ეს მთა თურმე ეკუთვნოდათ ფხელშეში მცხოვრებ ელოშვილებს. ერთ-ერთ ელოშვილს შემოჰკვდომია უხათელი ოსი. შეყრილან თემის კაცები და

მოკლულის სისხლი შეუფასებიათ 100 ჰაკ ცხენად. თემის კაცებსვე ჯერჩევიათ ელოშვილებისათვის, რომ სისხლის საურავში (100 ცხენის საფასურში) მოკლულის ოჯახისთვის დაეტოვებინათ ეს მთა. ამ გადაწყვეტილების შესრულების შემდეგ ელოშვილებს თავისი ყოფილი ადგილისათვის, რომელიც 100 ჰაკ ცხენად იქნა შეფასებული, დაურქმევიათ ასჰაკეული.

ხევში ჩავიწერეთ კიდევ ერთი გადმოცემა, თითქოს ელოშვილებმა ქვრივი გაათხოვეს უხათში და ეს ადგილი მზითვად მისცესო. ეს გადმოცემა ნაკლებად სარწმუნოა, ვინაიდან ხევში ასეთი დიდი მზითევი (და ისიც ქვრივისა) არ არსებობდა (ხევში მზითვის შესახებ დაწვრ. იხ. ჯ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 232 და შემდეგ).

22. იხ. შენიშვნა 14.

23. ცხვარი ხალისიანად სძოვს გრილ ამინდში, ხოლო მზიან დღეში უმთავრესად დილა-საღამოთი. მზე როდესაც დააჭერს, მწყემსი ცხვარს მიერეკება ჩრდილში, წყლის პირად ან სანიავო ქედზე. სიცხეში ცხვრის დასასვენებელ ადგილს ოსურად ეწოდება რ ი ვ ა დ დ ო ნ. ხევში ცხვრის ამგვარ დასვენებას ჰქვია დ ა მ უ რ ე ბ ა, ხოლო საამისოდ შერჩეულ ადგილს ს ა მ უ რ ე ბ ა ძ ანუ დ ა ს ა მ უ რ ე ბ ე ლ ი. დამურება (დამურვა) ოდნავ სახეშეცვლილი ფორმა უნდა იყოს დ ა შ უ დ რ ვ ა-სი, რაც, საბას განმარტებით, არის „ფრინველთ დასადგურება საღამოდ“ (სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 89). ტოპონიმ. რიჭ დდონ-ს ზუსტად შეესატყვისება მოხეური დასამურებელი.

24. იხ. შენიშვნა 17.

25. „ჭამის შემდგომი სათიბები“ შესაძლებელია მაჩვენებელი იყოს იმისა, რომ ამ ადგილის გათიბვა ხდებოდა სადილობიდან საღამომდე, რასაც შეესატყვისება ქართული „სადილობისა“ — აღმნიშვნელი ნახევარი დღის სამუშაოსი.

## თერგის ხეობა (ყანობიდან გველეთამდე)

### ყ ა ნ ო ბ ი

1. სოფ. ყანობი მდებარეობს სოფ. კობიდან მეოთხე კილომეტრზე, მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 1950 მ სიმაღლეზე. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიმავალ მგზავრს ჯვრის უღელტეხილის გადავლისა და სოფ. კობის გავლის შემდეგ პირველად ყანობი შეხვდება, რომელიც საქართველოს სამხედრო გზიდან პირდაპირი ხაზით ერთი კილომეტრით მაინცაა დაშორებული. მოხევე-

ებით დასახლებულ სოფლებს შორის ყანობი სამხრეთის უკიდურეს საზღვარზე მდებარეობს.

როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, დღევანდელი სოფლის ტერიტორია ადრე სახნავ ადგილს წარმოადგენდა. სახნავ ადგილ-ხევში ეწოდება ყ ა ნ ა, ხოლო ნაყანარი ნაკვეთის სახელად მიჩნეულია ყ ა ნ ო ბ ი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ 914-918 წწ. შექმნილ თხზულებაში გვხვდება სიტყვა ყ ა ნ ო ბ ი რ ი (იხ. სტეფანე მტბერავი, გობრონის მარტვილობა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 81), რაც ამ გამოცემაში დართული ლექსიკონის თანახმად, არის ყანა, პურის სათესი (გვ. 465). საბას განმარტებით, ყ ა ნ ო ბ ი რ ი ყანები-ს აღმნიშვნელია (სიტყვის კონა. თბ.. 1949. გვ. 401). ამ მონაცემების ფონზე ყ ა ნ ო ბ ი უნდა შეესატყვისებოდეს ძველ ქართულში არსებულ ყ ა ნ ო ბ ი რ ს.

XV ს. საბუთში ყანობი იხსენიება სოფ. გორისციხისა და სოფ. ხურთისის ზემოთ, სამხრეთით (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 272). მაშასადამე, ყანობის იმდროინდელი ლოკალიზაცია ემთხვევა მის დღევანდელ მდებარეობას.

2. ხევში. სოფ. ყანობის პირდაპირ აღმართულია კლდოვანი მწვერვალი ქაბარჯინა, რომლის დაპყრობა ამ მხრიდან ალპინიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც კი შეუძლებელია. ამ მწვერვალის ერთ-ერთ ფერდობს, რომელსაც ქვემოდან მიუდგომელი კლდე იცავს, ეწოდება ა ს ა კ ე დ ი.

ამ სახელწოდების შინაარსში გარკვევის მიზნით საჭიროა აღინიშნოს, რომ მოხეური დიალექტით ა კ დ ო მ ა ანუ შ ა კ დ ო მ ა ნიშნავს სიმაღლის დაძლევას, მაღალზე ასვლას. გამომდინარე აქედან, ასაკედი ისეთი სიმაღლის სახელწოდებაა, რომელზედაც ხდება აკდომა ანუ შაკდომა.

ეს კლდოვანი ფერდობი, რომელსაც ერთადერთი ბილიკი სამხრეთიდან უდგება, წარმოადგენს ცხვრის საძოვარს, რომელიც ალაგ-ალაგ შემოსილია არყის ჯაგნარით. ფერდობს აქვს პატარა-პატარა ტაფობები ნასახლართა ნაშთებით. ხალხური გადმოცემის ერთი ვარიანტი ასაკედი წარმოადგენდა სოფ. ყანობის სახიზნარს მტრიანობის დროს, ხოლო მეორე ვარიანტის მიხედვით. იგი წარმოადგენდა ყანობლების პირველსაცხოვრისს. საიდანაც შემდეგ ისინი გადმოსახლებულან დღევანდელ ყანობში (იხ. ვ. ითონიშვილი, ხვნა-თესვა ხევში, თბილისის სელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი, 1953. გვ. 197—198).

3. ამირანაგას საჯოგე ეწოდება საძოვარ ადგილს, სადაც ძველად მდგარა ხარებისა და მოზვრების ჯოგი. ერთხანს ჯოგს თურმე მწყემსავდა ვინმე ამირანი, რის გამო სასოფლო საძოვარს მიაკუთვნეს ამაგდარი მწყემსის სახელი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ხევის ყველა სოფელში საჯოგე ეწოდება იმ საძოვარს, სადაც ბალახობენ მხოლოდ ხარები, ბერწი საქონელი და ცხენები. ამის გამო, საჯოგეს ნაცვლად ასეთი საძოვრის აღსანიშნავად გვხვდება აგრეთვე საბერწე და საკარე. რაკი საქონლის სახეობათა მიხედვით ხევში საძოვრების დახარისხებას ჰქონია ადგილი დანიშნულებისამებრ, ამიტომ გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც გვაუწყებენ, რომ საძოვარი ერთ შემთხვევაში იყო ცხვრისა, მეორე შემთხვევაში ბატკნისა, მესამე შემთხვევაში ძროხებისა. საძოვრების ამ სახეობათა შესახებ ხევის ტოპონიმიკაში სოფლების მიხედვით ასეთი სურათი გვესახება. გორისციხესა და ფხელშეში გვაქვს: საჯოგე, საძროხე და საცხორენი, სიონში — საჯოგე, გარბანში — საჯოგე, გაიბოტენში — საცხორე, თოთში — საბატკნე და საჯოგე, არშაში — საჯოგე, ფანშეტში — სათხე, გერგეტში — საბერწე, სათხიე, საჯოგე, და სათიკნიად, ცდოში — საცხორები, ახალციხეში — საჯოგე, კარკუჩაში — საკარე, ჯუთაში — საძროხია, ხოლო დარიალის ხეობაში — საჯოგე.

4. ბანთუკენად ეწოდება ყანობის ერთ-ერთ ახალ უბანს, რომელიც ადრე იხვნებოდა. უახლოეს წარსულამდე ამ სახნავი ადგილის წინ ბანიანი სახლები იყო, რაც ამჟამად აღარ გვხვდება. ბანიანი სახლების უკან მდებარე ადგილების აღსანიშნავად ეს სახელწოდება გვხვდება ხევის სხვა სოფლებშიც: ფხელშე-გორისციხეში — ბანთუკენად, ხოლო ყაზბეგში — ბანთუკენები.

5. ბატრიენი იყვნენ დუშელი კობიაშვილების (აზნაურების) გვანაყრები, ე. ი. ამ საგვარეულოს ფარგლებიდან გამოყოფილი ერთ-ერთი პატრონიმია. კობიაშვილებს ხევში ჰქონდათ მამულები, რომლებსაც აქირავებდნენ საბალახეს აღების პირობით. ყანობში სათიბ-საძოვრის გარკვეულ ადგილს ეწოდება ბატრიანი მთა. XIX საუკუნის მიწურულში ამ შტოდან ხალხს ახსოვს მხოლოდ სამი და-ძმა, რომლებიც წყალში დამხრჩვალან.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სახელწოდება ბატრიანი მთა დამახინჯებული ჩანს. ვინაიდან დუშელი კობიაშვილების ამ პატრონიმიას

ერქვა ბატრიენი, მათი კუთვნილი მამულის აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო ბ ა ტ რ ი ე თ მ თ ა და არა ბატრიანი მთა.

სოფ. ყანობში ერთ-ერთი მთხრობელი (დავით კობიაშვილი) იმასაც გვიმტკიცებდა, თითქოს ბატრიენი იყვნენ ყანობელი კობიაშვილების განაყრები. მთხრობლის მიზანი იყო დავერწმუნებინეთ, რომ თვით ყანობელი კობიაშვილები იყვნენ აზნაურები და საბალახეს აღების უფლებითაც ისინი სარგებლობდნენ. სინამდვილეში ყანობელი კობიაშვილები იყვნენ რიგითი მეთემეები, რომელთაც მხოლოდ ის შეეძლოთ. რომ დუშელ კობიაშვილებს (აზნაურებს) დახმარებოდნენ მამულების ექსპლოატაციაში.

6. როგორც ყანობში, ისე ხევის სხვა სოფლებში, ბ ე გ ი ეწოდება ბექობს. ბორცვს. სოფ. სიონში სათიბ-საძოვრად გამოყენებული ბორცვების აღსანიშნავად გვხვდება ტოპონიმი ბ ე გ ნ ი, ხოლო იქვე არსებულ წყაროს ეწოდება ბ ე გ თ ა წ ყ ა ლ ი. სოფ. სნოში ბორცვის თავზე გამავალ ბილიკს ეწოდება ბ ე გ ზ ე დ ა ჲ, რაც გზის მდებარეობის მაჩვენებელია. სოფ. ყანობში ერთ-ერთი სახნავი ნაკვეთის სახელწოდებაა ბ ე გ ი ს პ ი რ ი, ხოლო ასევე სახნავი ნაკვეთების აღსანიშნავად ტოპონიმი ბ ე გ ი ს თ ა ვ ი მოწმდება ყანობში, ფხელშე-გორისციხეში და ბიგუდაში. ართხმოში გვხვდება ე კ ლ ე ს ი ა ბ ე ქ ნ ი.

ბ ე გ ი ს თ ა ვ ი აღწერილობითი ხასიათის ტერმინია, რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან: ბ ე გ ი-სა და თ ა ვ ი-საგან და ნიშნავს ბეგის (ბორცვის) ზემოთა ნაწილს, ისევე, როგორც ბ ე გ ი ს პ ი რ ი აღმნიშვნელია ბექობის ახლო მდებარე ადგილისა, ბ ე გ-ზ ე დ ა ჲ— ბექობის ზედა მხარისა და ა. შ.

7. როგორც წყაროს, ისე სამეურნეო ნაკვეთების აღსანიშნავად და მისი მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ხევის რამდენიმე სოფელში. ყანობსა და თოთში ბ რ ო ლ ი ს წ ყ ა რ ო ჰქვია წყაროს, ხურთისსა და ტყარშეტში წყაროების სახელწოდებაა ბ რ ო ლ ი ა ნ წ ყ ა რ ო. ამავე სახელწოდებით აღინიშნება წყაროსა და მის ახლო მდებარე საძოვრის სახელწოდება ფხელშე-გორისციხეში. სოფ. ხურთისში ერთ-ერთ საძოვარ ადგილს ეწოდება ბ რ ო ლ ი ა ნ თ ი, ხოლო სოფ. ფანშეტში სახნავი ნაკვეთების აღსანიშნავად გვხვდება ბ რ ო ლ ი და ბ რ ო ლ ი ს ძ ი რ ი.

ყველა ზემოხსენებულ ტოპონიმში განმსაზღვრელ ნიშნად გვევლინება ბროლი იქ, სადაც ის ბლომად გვხვდება (წყალში თუ სამეურნეო ნაკვეთებში), დასტურდება შესატყვისი ტოპონიმის არსებობაც

8. ბ ო ს ლ ო ბ ი დღეს ცხვრის საძოვარს წარმოადგენს. ადრე კი იყო ყანობელი კობიაშვილების ერთ-ერთი პატრონიმიის — ლ ა დ ა-

რიანთ სათიბი. შემდეგ ეს ადგილი მათ მზითვად მისცეს სოფ. ხურთისში ტუჩაშვილზე გათხოვილ ქალს, რის გამო გადავიდა ტუჩაშვილების ხელში. ამიტომაა, რომ ბოსლობი სოფ. ხურთისის ტოპონიმიკაშიც გვხვდება. ამ სახელწოდების ახსნა ადგილზე ვერ მოხერხდა.

9. ქეჩვა ჰქვია ვიწრო ბილიკით სიარულს, მქეჩავი — ცხვრის ფარის წინამძღოლ თხას (ვაცს), ხოლო გასაქეჩავი ეწოდება კლდე-ღრეში სავალ საცალფეხო ბილიკს. ასეთი ბილიკის აღსანიშნავად სოფ. ხურთისში გვხვდება საქეჩავაჲ, ხოლო ფხელშეიორისციხეში — საქეჩავი. გამომდინარე აქედან, ერთ-ერთ საძოვარ ადგილს სოფ. ყანობში, რომელთანაც დაკავშირება შესაძლებელია ასეთი ბილიკით, შეარქვეს გასაქეჩავები.

10. სოფ. ყანობს გვერდზე ჩამოუდის ნაკადული, რომლის გაღმა განცალკევებით უცხოვრია გაბო კურკუმულს. მას იქვე ჰქონია სასნავ-სათიბი ადგილიც. მისი სახლის ნანგრევებს და მის ყოფილ ადგილ-მამულს, რომელიც დღეს სათიბ-საძოვრადაა გამოყენებული. ჰქვია გაბოს ნასახლარი.

ვინაიდან გაბოს წყალგაღმა უცხოვრია, ხოლო შემდეგ ის მდ. თერგის გაღმა გასიხლებულა, სოფელში მისთვის გაღმა გაბო შეურქმევიათ.

11. სასნავ ადგილს შუაზე კვეთს მასზე გამავალი ბილიკი, რის გამო ეწოდება გზაშუაჲ.

12. ხევში სათრევი ეწოდება თივის ან შეშის ჩამოსათრევ გზას. გოჭიენი არიან კურკუმულების განაყრები, ამ გვარის ერთ-ერთი პატრონიმია. სათრევს, რომლითაც ისინი თივებს აცურებდნენ, დღემდე ეწოდება გოჭიეთ სათრევი.

13. ყანობში ეს ტოპონიმი ცხვრის საძოვრად განკუთვნილი მიუდგომელი ფერდობების აღმნიშვნელია, სადც დეკა (Rhododendron caucasicum) ხარობს. ამავე მნიშვნელობით თოთშიც გვხვდება დეკიანი, ხოლო სიონში, სნოსა და კარკუჩაში — დეკიანაჲ.

14. ესკალაჲ ეწოდება ასკილს (Rosa canina), ეკლიან ველურ ბუჩქს, რომლის ნაყოფისაგან ამზადებენ C ვიტამინს. ის ხევის ყველა სოფელში გვხვდება.

ტოპონიმი ესკალთანაჲ იგივეა, რაც ასკილიანთან და მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ სამეურნეო ნაკვეთი მდებარეობდა ესკალასთან (ასკილის ბუჩქთან) ახლოს. ასეთი შინაარსისაა ესკალთანაჲ ყანობში, ყაზბეგსა და გერგეტში. ასკილის ბუჩქის ზემოთ მდებარე ადგილის მაჩვენებელია ტოპონიმი ესკალზედაჲ სიონში, ხოლო საპირისპირო მნიშვნელობის მქონეა ესკალთძირი აჩხოტში.

სოფ. ახალციხეში ერდ-ერთ სათიბს ეწოდება ესკლიანაჲ, რაც ნიშნავს ასკილიანს, ხოლო სნოში მოწმდება ტოპონიმი ესკალნი, როგორც ტყის სახელწოდება. ეს უკანასკნელი იმის აღმნიშვნელია, რომ ტყეში შერეული იყო ასკილის ბუჩქი.

15. ამ სახელწოდების მქონე ადგილი დღეს წარმოადგენს მდ. თერგის რიყეს ალაგ-ალაგ შემორჩენილი მინდვრით. ორიოდე ათეული წლის წინათ იქ იყო საძოვარი, რომელსაც სათიბების ნაკლებობით გაჭირვებული ზოგიერთი ოჯახი სათიბადაც იყენებდა. ძველად აქ მსხვილი ეკალი მდგარა. როგორც ყანობელი მოხუცები მიგვითითებენ, ამ სოფელში ზოგიერთი ძველი სახლი აქ მოჭრილი ხეებით ყოფილა გადახურული. ამიტომ შემორჩა ამ ადგილს სახელწოდება ეკალი, ხოლო იქვე აღმართულ საძოვარ ფერდობს ეკალთავები (შდრ. ვ. ითონიშვილი, სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში, ჟურნ. „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 168, 177).

ტოპონიმი ეკალი გვხვდება აგრეთვე კარკუჩსა და ყაზბეგში. კარკუჩაში ის საძოვარ ადგილს ეწოდება და ყანობის ანალოგიურად მიგვითითებს ოდესღაც იქ ეკლის არსებობაზე, ხოლო ყაზბეგში ამ სახელწოდებით აღინიშნება დღემდე არსებული ეკლის ბუჩქნარი.

16. მთის. ეს პატარა მდინარე წვიმიან ამინდში დიდ ღვარცოფად იქცევა ხოლმე. მას მეორენაირად ჰქვია ვაცის კევაჲ.

17. ვანენი ყანობელი კობიაშვილების ერთ-ერთი ნაწილის პატრონიმიული სახელწოდებაა. ამასთან დაკავშირებულია იმ ადგილის სახელწოდებაც, რომელიც ვანეთ სათიბს წარმოადგენდა, ხოლო ამჟამად გამოიყენება ცხვრის საძოვრად.

18. ვეძაჲ (ვეძა) ეწოდება მინერალურ წყალს, რომელიც გამოდის სოფ. ყანობისა და სოფ. კობის საძოვარი ადგილების სასაზღვრო ქედიდან. მინერალური წყლის არსებობის გამო მას ვეძათქედი ეწოდება.

19. დღეს ეს ადგილი წარმოადგენს სათიბს. ადრე ის იხვნებოდა. სახელი ველტეხილი შეურქმევიათ მას შემდეგ, რაც ის პირველად მოხნეს სვილის დათესვის მიზნით, ე. ი. ველი გატეხეს. ამიტომ ველტეხილი სიტყვა-სიტყვით არის გატეხილი ველი.

20. სოფლის ერთ-ერთი დიდი სალოცავი თარანგელოზი იგივე მთავარანგელოზია. თარანგელოზი ეწოდება აგრეთვე ამ სალოცავის მიდამოებს (საძოვრებს), ტყეს, ბუნებრივ გამოქვაბულებს და თავშესაფარ ნაგებობათა ნაშთებს. თარანგელოზის მეორე სახელია ძუძუები. მწვერვალ ქაბარჯინას ერთ მხარეზე წამოზრდილი ორი კლდოვანი

კონცხი თავისი მოყვანილობით მართლაც ქალის მკერდს მოგვაგონებს.

სალოცავი თარანგელოზი ყანობის გარდა სხვა სოფლებშიცაა: ფხელშე-გორისციხეში, გარბანში, გაიბოტენსა და გერგეტში. ხევში გვხვდება აგრეთვე ტოპონიმი თ ა რ ა ნ გ ე ლ ო. ფხელშეში ის ნაეკლესიარი ადგილისა და ძველი სამარხის აღმნიშვნელია, ხოლო გერგეტში საძოვარი ადგილისა.

21. წვიმიან ამინდში აქ იცის ღვარცოფი, რის შედეგად მწვერვალ ვაბარჯინას ფერდობებიდან ქვემოთ ზვავდება თეთრი ფერის ქვა-ქვიშა. ამიტომ ამ მიდამოებს ეწოდება თ ე თ რ ქ ვ ი შ ა.

22. თ ე მ უ რ ე ნ ი პატრონიმიული სახელია კობიაშვილების ერთ-ერთი ნაწილისა. მათ სათიბში მოჩუხჩუხე წყაროს ეწოდება თ ე მ უ რ ე თ წ ყ ა რ ო.

23. ეს სახელი წყაროს იმიტომ ჰქვია, რომ შორიდან მოედინება და ბზეზე თბება.

24. ი თ ო ნ ე ნ ი ითონიშვილების პატრონიმიული სახელია. მათი სასვილეების ახლო მოწყობილი ყოფილა კალო, სადაც გალეწილი პური წემდეგ მარხილით ჩამოჰქონდათ. ეს სახნავი ადგილი შემდეგ სათიბად გადააქციეს. მას და კალოს მიდამოებს შეარქვეს ი თ ო ნ ე თ ნ ა კ ა ლ ო-კ ა რ ი.

25. ეს ტოპონიმი აღმნიშვნელია კალოს ახლო მდებარე აღგილისა. ასეთივე შინაარსის მქონეა სოფ. ხურთისში კ ა ლ ო ს ძ ი რ ი (ტყე). სიონში — კ ა ლ ო ვ ა ნ ი (სახ.), ფანშეტში — კ ა ლ ო ს პ ი რ ა ჲ (სახ.). ყაზბეგში — კ ა ლ ო თ ა (სათ.), გერგეტში—კ ა ლ ო ვ ა ნ ი (სახ.), ცდოში — კ ა ლ ო ვ ა ნ ა ჲ (სახ.), კ ა ლ ო ნ ი (საძ.) და კ ა ლ ო ჲ ს თ ა ვ ი (ტყე), ართხმოში — კ ა ლ ო ს გ ვ ე რ დ ი.

26. სოფ. ყანობში კ ა რ თ ა ნ ა ჲ ეწოდება სოფელთან, სახლ-კართან ახლო მდებარე სამეურნეო ტერიტორიას. ასეთივე მნიშვნელობით გერგეტში მოწმდება კ ა რ თ ა ნ ა ჲ (საძ. ტყე) და კ ა რ ზ ე დ ა ჲ (სახ.), ხოლო ახალციხეში — კ ა რ ი ს პ ი რ ა ჲ (სახ.).

27. ხევში კ ე რ კ ე ნ ი ეწოდება მოყვითალო ფერის სათალ ქვას. სოფ. ყანობის თავში რამდენიმე ასეთი დიდი ქვა ძევს მწვანით შემოსილ კონცხზე. მის ირგვლივ მდებარე სახნავ-სათიბებს შეარქვეს კ ე რ კ ნ ე ბ ი. ანალოგიური ვითარება დასტურდება ხევის სხვა სოფლებშიც. ხურთისში გვაქვს კ ე რ კ ე ნ ი (გამ.) და კ ე რ კ ნ ი ა ნ ფ ე რ დ ი (საძ.), ფხელშე-გორისციხეში — კ ე რ კ ნ ე ბ ი (გამ. საძ.), ტყარშეტში — კ ე რ კ ე ნ ი (კლდე, საძ.) და კ ე რ კ ნ ი ს წყარო, გარბანში — კ ე რ კ ე ნ ი (გამ.), ყაზბეგში — კ ე რ კ ე ნ ი (კლდე, საძ.), ართხმოში — კ ე რ-

ენა (სახ.) და კერკენანი (სათ.), ჯუთაში — კერკენის წყალა (წყ. ტყე).

28. ეს სახნავი ნაკვეთი თავისი მოყვანილობით მართლაც ერთი ხარის შესაბმელ უღელს წააგავს. ნაკვეთის ამ სახელწოდებას არავითარი კავშირი არა აქვს ცალი უღლით (ე. ი. ერთი ხარით, ანუ მარტუღელათი) ხვნასთან.

29. ადგილს, სადაც ნარია გავრცელებული, ეწოდება ნარიანი. ამის ანალოგიურად ხურთისში გვაქვს ასევე ნარიანი (საძ.), სიონში — ნარიანა (სახ.) და ნარიანანი (სათ.), კარკუჩაში — ნარიანა (სახ.).

30. ნიშთანაძს მეორე სახელწოდებაა ღორღაძ. შემდეგში სახნავად გამოყენებულ ამ ადგილას ყოფილა დასახლებული სოფ. ყანობი. ის პირდაპირ უყურებს ე. წ. კევას, რომლის ვიწრო და დაქანებულ კალაპოტში წამოსულ ზვავს ნანგრევებად უქცევია სოფელი. გადარჩენილი მოსახლეობა ქვემოთ ჩამოსულა და დაუარსებია დღევანდელი სოფ. ყანობი.

ერთ ადგილას ღორღის დაგროვებას ხალხი ნასოფლარის არსებობით ხსნის. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ღორღი სოფლის ნანგრევია. ნასოფლარის უტყუარ ნიშნებად გვესახება ის გარემოებაც, რომ ხვნის დროს ერთხელ გაშიშვლდა სახლის კედლის საძირკვლები, ხოლო ბეგის (ბეჭობის) ჩაქცევა-დამეწყრების შედეგად გამოჩნდა ქვაყუთები ადამიანის ჩონჩხით.

31. ოხთანგენი ყანობელი ვარდიშვილების ერთი გაშტოების პატრონიმიული სახელია. თავისთავად გასაგებია, რომ სახნავი ნაკვეთის ზემოთ მდებარე საძოვარი ადგილის მდებარეობის მაჩვენებელ ნიშნად აღებულია ოხთანგეთ ყანა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ოხთანგი იგივე ვახთანგი ანუ ვახტანგია. ვარდიშვილების ამ ნაწილის ეპონიმი ყოფილა ოხთანგი (ვახტანგი). აქედანაა წარმოქმნილი პატრონიმიის სახელწოდება ოხთანგენი (ვახტანგენი).

32. ამ ადგილას 1969 წლამდე იდგა საქართველოს სამხედრო გზის შემკეთებელი მუშების საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ეწოდებოდა „კაზარმაძე“ (ყაზარმა). აქვე ახლოს იყო ივანე და დავით ყობიაშვილების დუქანი. მგზავრები აქ ჩერდებოდნენ, ისვენებდნენ. ზოგჯერ ღამესაც ათევდნენ და ბარგსაც აქვე ალაგებდნენ. რაკი აქ ღამენათევი მგზავრები ურმების გადმოტვირთვა-დატვირთვას ეწეოდნენ. ამის გამო, როგორც ამ პუნქტს, ისე მის მიდამოებს (საძოვრებს) შეარქვეს საბარგე.

ანალოგიური ვითარება მოწმდება ხევის სხვა სოფლების მაგალითზედაც, სადაც კი ასეთი ყაზარმა ან ფუნდუკი არსებობდა.

33. ზამთრის მოახლოების ჟამს მოხევეებს მთაში აგებული თივის ბულულები დაბლა ჩამოაქვთ და ისეთ ადგილზე ალაგებენ, საიდანაც მისი გამოტანა შესაძლებელია წელიწადის ყოველ დროში. ასეთ საიშედო და საგულდაგულო ადგილს, სადაც თივის დალაგება (დ ა გ უ ლ ვ ა) ხდება, ეწოდება ს ა გ უ ლ ე ბ ე ლ ი. მისი შესატყვისია აგრეთვე ს ა ყ უ ე ნ ი (თივების დასაყენებელი ადგილი). ამ მნიშვნელობით პირველი მათგანი გვხვდება ყანობში, ფხელშე-გორისციხეში, ტყარშეტში, გაიბოტენში, ფანშეტში, გერგეტში, სნოში და ახალციხეში, ხოლო მეორე: არშაში, ფანშეტსა და ქარკუჩაში.

34. ყანობიდან 4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ოსებით დასახლებული სოფ. კობი (შდრ. ხევის სათავეების ტოპონიმიკა), სადაც არსებობს წმინდა გიორგის დიდი სალოცავი. გიორგობის დღესასწაულზე ყანობლებიც კობში მიდიოდნენ საკლავ-საწირავით და იქ ლოცულობდნენ. შემდეგ კობელებსა და ყანობლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და კობელებს ყანობლები ხატში აღარ მიუშვიათ. ყანობლებს ემძიმათ ამ ხატიდან ფეხის ამოკვეთა. ამიტომ თავიანთ ერთერთ მაღალ ბორცვზე, რომელიც კობის სალოცავს ზემოდან დასცქერის, ააშენეს კობის წმინდა გიორგის ნიში და მასში ჩადგეს თეთრი დროშა. ამის შემდეგ ყანობლები აქ ლოცულობდნენ და იმავე წესებს ასრულებდნენ, რასაც ადრე კობის წმინდა გიორგის ხატში, მაგრამ ამ მდგომარეობას ვერ შეგუებიან. ყანობლებს გადაუწყვეტიათ თავიანთი ძველი უფლებების აღდგენა და ერთ-ერთ გივარგობაზე კობში შეიარაღებულნი შესულან. თან მიუბრძანებიათ წმინდა გიორგის ხატი. სალოცავში შეკრებილი ოსებისთვის მათ განუცხადებიათ: ეს ჩვენი სალოცავიც არის და უსისხლოდ ვერ დაგანებებთო. ოსები დაფიქრებულან და მოხუცებს რჩევა მიუციათ ახალგაზრდებისათვის — წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ, ყანობლები ნაპირის ხალხია, ჩვენი მოსაზღვრენია და დაგვაზარალებენო. მოხუცების რჩევა ახალგაზრდებსაც ბკუაში დასჯდომიათ და ყანობლებთან შერიგების მიზნით დიდი ჯორრობა (დიდი ჯვარობა) გაუმართიათ. დაუკლავთ ხარი, ძროხა და ბედიღლები, ერთად უდღესასწაულიათ და აღუდგენიათ ძველი კავშირი. ამ დღიდან ბორცვზე აგებულ ნიშში სიარული შეუწყვეტიათ, ხოლო იმ ბედს, სადაც ხატის ნიში და დროშა იდგა, დღემდე შემორჩა სახელწოდება ს ა დ რ ო შ ი ა ძ ს ქ ე დ ი.

35. ამ მთის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა სოფ. თოლგოთს (იხ. ხევის სათავეების ტოპონიმიკა, შენიშვნა 2), ხოლო მცირე ნაწილი სოფ.

ყანობს. ტოპონიმი სათოლგოთოიმის მაჩვენებელია, რომ ეს მთა ირსებითად იყო სოფ. თოლგოთის კუთვნილება.

36. ამ ადგილის სახელწოდებას ხალხში ორგვარი ახსნა აქვს. ერთთა განმარტებით, ამ საძოვარ ადგილს ეწოდება სამტვერე თითქოს იმის გამო, რომ ჭარის შედეგად საქართველოს სამხედრო გზაზე (ციხასფალტებამდე) და მის ხრიოკ მიდამოებში მტვერი დგებოდა. მთხრობლები იმასაც გვაუწყებენ, რომ ადგილის ეს სახელწოდება მერმინდელია ან დამახინჯებულიო. მათი განმარტებით, ამ ადგილს რქმევია სამტერე, ვინაიდან აქ ყოფილა ფიჭვის გაუვალი ტყე და მტრის ჩასაფრება სწორედ აქ იყო მოსალოდნელიო. აქვე ჰქონია ადგილი ბეზაურების ძარცვასა და ყაჩაღობა-მკვლელობას. ასეთი დასაბუთების ფონზე ხალხის მიერ სამტვერე მიჩნეულია სამტერეს ფორმაშეცვლილ სახელწოდებად.

37. ამ ტოპონიმში შემავალი ორივე სიტყვა ცალ-ცალკე საყურადღებოა. პირველი მათგანი მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს სათიბი ადგილი იყო სასოფლო ანუ საზოგადო მფლობელობაში. როგორც მართლაც ასე ყოფილა, ამისი მაჩვენებელია აღნიშნული ადგილით სარგებლობის წესი. მას გათიბდა ის, ვინც სოფელში სათიბების ნაკლებობას განიცდიდა. სასოფლო სათიბი გაასაძოვრეს სოფ. ყანობში კოლმეურნეობის დაარსების დღიდან. ასევე თემური საკუთრების მაჩვენებელია ისეთი ტოპონიმებიც, როგორიცაა: სასოფლო მთა (სათ). გარბანში, სასოფლო (საძ.) — თოთში და სასოფლო (სათ.) — გერგეტში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყანობის სასოფლო რუვიდან საინტერესოა მეორე სიტყვაც (რუვი). ხევში რუვი ეწოდება როგორც წყლის კალაპოტს, ისე მშრალ ღელესაც. ხევის ტოპონიმიკაში რუვი გვხვდება შემდეგი სახით: ხურთისში —რუვის პირები (სახ.), ფხელშე-გორისციხეში — მფონე რუვი (საძ.) და რუვაჲ (ნასახ.); ტყარშეტში — ფონე რუვი (სათ.); სიონში — რუვრუვაჲ (სახ.): გერგეტში: მფონე რუვი (საძ.), რუვი (მდ.), რუვაჲ (სახ.). საქობლორუვი (საძ. ტყე), სოფლის რუვი (მდ.), კმელრუვი (საძ.): ცდოში: გოთიეთ რუვი (სათ. ტყე) და რუვაჲ (სახ.) ახალციხეში: დიდრუვის თავი (სათ.) და წყაროს რუვი (წყ.); ართხმოში: რუვანი (სახ.), ბოსელთ რუვი (სათ.), ვეძის რუვი (სათ.), საკვერნეთ რუვი (სათ.); კარკუჩაში: დიდრუვი (სახ.) და ჭერხოს რუვი (სათ. საძ.); ჯუთაში — დიდრუვის ტყე; დარიალის ხეობაში: საბალახე რუვი, სამ-

შკლდის რუვი, საწისქვილო რუვი, ლეკების რუვი, ესტაჲს რუვი.

38. ყანობლებს აქვთ კიდევ ერთი სასოფლო მთა, რომელიც დღეს გამოყენებულია ცხვრის საძოვრად. კოლექტივიზაციამდე ის ითიბებოდა. მისი გაოიბვაც დასწრებაზე იყო დამოკიდებული. რაკი ამ ადგილის დასწრებით მიტაცება ხდებოდა, ხოლო დატაცებას ჰქვია დაფოროქება („დაიფოროქეს“ დაიტაცეს, „ფოროქაჲ დააყენეს“—დაიტაცეს), ამიტომ ამ მთასაც უწოდეს საფოროქო (დასატაცებელი). ამავე სახელწოდების მქონე სათიბი არსებობს სოფ. გორისციხეშიც.

დაჩემებულ-დატაცებული მიწების აღსანიშნავად ტერმინი საფოროქო გვხვდება აგრეთვე მთიულეთში (იხ. ხ ა რ აძ ე, ალ. რ ო ბ აქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1965, გვ. 53—54).

39. წყაროს, რომელიც ტატიშვილების სათიბში გამოდის და რომლისთვისაც ღარი დაუყენებია ტატიშვილ ტეტიას, ეწოდება ტ ე ტ ი აჲს წ ყ ა რ ო.

40. ამ სათიბი მთის სახელწოდება ზუსტად შეესაბამება მის მდებარეობას. ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ეს ტოპონიმი ხურთისში — უ ნ აგ ი რ აჲ (სათ.) და გერგეტში — უ ნ აგ ი რ აჲ (მყ. და საძ.).

41. ამ სახელწოდებით აღინიშნება ფიცარივით სწორი ზედაპირის მქონე ფიქალი კლდე და მის ახლოს მდებარე საძოვარი. ასეთივე შინაარსით ეს ტოპონიმი მოწმდება გარბანში — ფ ი ც არ თ ძ ი რ ი (საძ.), გერგეტში — ფ ი ც არ ნ ი (კლდე, საძ.) და ფ ი ც არ თ ი რ ი (სათ. სალ.), აჩხოტში — ფ ი ც არ ნ ი (საძ) და ფ ი ც არ თ ძ ი რ ი (სახ.).

42. როგორც ყანობში, ისე ხევის სხვა სოფლებში ფ შ ა ნ ი ეწოდება წყლიან-ჭაობიან მინდორს. თუ ყანობში გვაქვს ტოპონიმი ფშანი (სახ. სათ.), ფხელშე-გორისციხეში გვხვდება ფ შ ა ნ თ გ ვ ე რ დ ი (სახ.), ტყარშეტში — ფ შ ა ნ ი (სათ.), სიონში — ფ შ ა ნ ნ ი (სახ.), გერგეტში — ფ შ ა ნ ი (სათ.), ხოლო ახალციხეში — ფ შ ნ ი ა ნ აჲ (სათ.).

43. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ადგილის სხვა სახელწოდებაა ნ ი შ თ ა ნ აჲ (იხ. შენიშვნა 30). ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ტოპონიმ ღ ო რ ღ აჲ-ში იგულისხმება ღორღიანი, ქვიანი ადგილი. ასეთივე შინაარსისაა სოფ. ხურთისში ღ ო რ ღ ო ვ ა ნ აჲ (სათ.), ფხელშე-გორისციხეში — ღ ო რ ღ ო ვ ა ნ აჲ (საძ.), ტყარშეტში— ღ ო რ ღ აჲ (სახ.), სიონში — ღ ო რ ღ ი ა ნ აჲ (საძ.), გაიბოტენში — ღ ო რ ღ ი ა ნ ე ბ ი (სახ.), თოთში — ღ ო რ ღ ი ა ნ აჲ (სახ.), ფანშეტში ღ ო რ ღ ი ა ნ აჲ (სათ.), გერგეტში — ღ ო რ ღ ე ბ ი (სათ.), დარია-

ლის ხეობაში — დიდღორღი, ართხმოში — ღორღიან ვაკე (საძ.), თოთში ერთ-ერთი სახნავი ადგილის აღსანიშნავად გვხვდება ქვიანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხევეებს ადგილებისათვის სახელები შეურქმევიათ ქვის ჯიშებისა და მათი სახელწოდებების მიხედვითაც. იქ, სადაც გრანიტის მსგავსი მაგარი ქვა კოხი გვხვდება, მოწმდება ტოპონიმი საკოხენი (საძოვრების სახელწოდება გორისციხესა და გერგეტში), ხოლო სადაც ჰაჰი (ფიქალი) არის გავრცელებული, იმ ადგილებისთვის დაურქმევიათ: გორისციხეში ჰაჰიანაჲ (საძ.), სიონში — ჰაჰიანაჲ (საძ.), გაიბოტენში — ჰაჰწყარო (სათ.), გერგეტში — ჰაჰნი (საძ.).

44. ყორუღი თურქულიდან შემოსული სიტყვაა („კორუკ") და ნიშნავს ნაკრძალს. სოფ. ყანობში ეს ტოპონიმი ზუსტად ასეთივე მნიშვნელობისაა. ყორუღი აქ ეწოდება ჯოგის საძოვრად განკუთვნილ ადგილს, რომელიც დაცულია საშემოდგომოდ ქვის ღობით. როდესაც საზაფხულო საძოვარში ბალახი შემოილევა, ჯოგს უშვებენ საშემოდგომოდ დაცულ ნაკრძალში — ყორუღში, რომელსაც ხევში ეწოდება აგრეთვე დაცული.

45. ეს ადგილი დღეს წარმოადგენს კოლმეურნეობის სათიბს. ადრე იქ სვილი (ჭვავი) მოჰყავდათ ტატიშვილებს, რომელთა პატრონიმიული სახელია ყაზილენი. ამიტომ მას უწოდეს ყაზილეთასვილეები. იმ ადგილის აღსანიშნავად, სადაც ადრე სვილი ითესებოდა, მსგავსი ტოპონიმები ცნობილია ხურთისში — სასვილე (საძ.), ფხელშე-გორისციხეში — ლაზარეს სასვილიაჲ (სახ.), სიონში — სასვილის ძირი (სათ.), გერგეტში — ნავსილარნი (საძ.).

46. ამ შემთხვევაში ტოპონიმის მაწარმოებელია ფერი. გარდა ყანობისა, ასეთი შინაარსის სახელები გვხვდება ხურთისში —შავკლდე (საძ.) და შავნაბადაჲ (საძ.), ფხელშე-გორისციხეში — შავანაჲ (საძ.), სიონში — შავლამნი (საძ.), ფანშეტში — შავკლდე (სათ.), გერგეტში — შავნი (სათ. საძ.), შავნაბადაჲ (საძ. მყინვარი) და შავის ქოხები (გამ.).

47. ჩირდილაჲ ნიშნავს ჩრდილიან, უმზეო ადგილს. აქ მართლაც მზე შედარებით ცოტა ხანს აფენს თავის სხივებს. ხევის ყოველ სოფელში ჩირდილაჲ მზორეს (მზვარეს) საპირისპირო ცნებაა. ამის შესაბამისად სოფ. ხურთისში ასეთი ადგილის აღსანიშნავად გვხვდება ჩირდილნი (საძ.) და ჩირდილთ წყარო (წყ.), ტყარშეტში — ჩირდილი (სათ.) და ჩირდილთუკენაჲ (სათ.), გარბანში— ჩირდილა (სათ.), თოთში — ჩირდილი (სათ. საძ.), ფანშეტში

— ჩირდილაჲ (სახ. საძ.), გერგეტში — ჩირდილი (საძ.) და ჩირდილაჲ (სახ.), ახალციხეში — ჩირდილი (სათ.), ქოსელში — ჩირდილაჲ (სათ. საძ.), ხოლო მიგუდაში — ჩირდილანი (სახ.).

48. ჩხამაჲ არის მაღალი, სქელტანიანი, ბრტყელფოთლოვანი ნწვანე ფერის მცენარე. მისი გავრცელების ადგილს სოფ. ყანობში ეწოდება ჩხამაიანი, ხოლო ფხელშე-გორისციხეში, ტორნისაში, გერგეტსა და ცდოში — ჩხამოვანაჲ.

49. ერთ-ერთ ფერდობზე ქვიშა ზემოდან ქვემოთ ჩხრიალით ჩაბოდის, რის გამო ამ ადგილს შეარქვეს ჩხრიალაჲ. ეს ტოპონიმი მგვარი შინაარსით გვხვდება აგრეთვე სოფ. ხურთისში.

50. სოფ. ყანობში ცალგვერდი ეწოდება ერთ მხარეზე მკვეთრი დაქანების მქონე ფერდობს. ამავე მნიშვნელობით ეს ტოპონიმი გვხვდება აგრეთვე გარბანსა და ყაზბეგში.

51. იხ. ხევის სათავეების ტოპონიმიკა, შენიშვნა 19.

52. ძველ ყანობაჲ ეწოდება ნასოფლარს, რომლის სხვა სახელებია ნიშთანაჲ (იხ. შენიშვნა 30) და ღორღაჲ (იხ. შენიშვნა 43).

53. იხ. შენიშვნა 20.

54. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ტოპონიმის მაწარმოებელია ფერი. ეს შეეხებოდა შავი ფერის მქონე ადგილებს. იგივე შეიძლება ითქვას ჯმ შემთხვევაშიც, ვინაიდან აქ მართლაც წითელი ფერის ქვიშაა ჩამოზვავებული. ქანების წითელი ფერის მიხედვით ტოპონიმებს წარმოქმნის ანალოგიურ ვითარებას ვხედავთ ხევის სხვა სოფლებშიც. ხურთისში გვხვდება წითლოვანაჲ (სათ. ტყე). ფხელშე-გორისციხეში: წითელწვერი (საძ.), წითლოვანაჲ (სახ. სათ.), წითელნი (საძ.) და წითელთ ქოხები (ნასახ.). ტორნისაში: წითელნი (საძ.) და წითელთ კლდე (გამ.). სიონში—წითელნი (საძ.), წითელძირი (საძ.), წითელთ წყარო (წყ.) და წითელფერდი (საძ.). არშაში—წითელმიწაჲ (სათ.). ყაზბეგში — წითელნი (საძ.). გერგეტში: წითელქობი (საძ.), წითელნი (საძ. კლდე), წითელწვერები (საძ.), წითელთ ქოხი (გამ.) და წითელკაკები (საძ. ტყე). ახალციხეში — წითელმიწა (საწ.). ართხმოში — წითელძირი (სათ. საძ).

55. ყანობში ამ სახელწოდებით აღინიშნება მდინარისპირა ადგილები. ასეთივე მნიშვნელობით ტოპონიმი ჭალაჲ მოწმდება ფხელშე-გორისციხეში, გარბანში, გერგეტში, სნოში და ახლციხეში. ტოპონიმი ჭალები გვხვდება გაიბოტენსა და გველეთში, ხოლო ჭალაჲს ტყე — ცდოში.

56. ჯაჯი ეწოდება ჩამოქცეულსა და ნიაღვრით დაღარულ ადგილს. ხოლო ბეგი — ბორცვს, კონცხს, ქიმს. ტოპონიმი ჯაჯბეგი ნიშნავს დახრამულ ბორცვს, რაც დამახასიათებელია იმ პლატოს წინა ფასადისათვის, სადაც მდებარეობს სოფ. ყანობი. მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ხევის სხვა სოფლებშიც. ხურთისში — საფათრის ჯაჯები (საძ.), სიონში — ჯაჯნი (საძ.), გერგეტში — ჯაჯები (სათ. საძ.), ახალციხეში—ჯაჯისთავი (სათ.), ართხმოში — ჯაჯისგვერდი (სათ.), ჯუთაში — ჯაჯისთავი (სახ. სათ.), ყაზბეგში — ჯაჯისთავი (სახ.) და ჯაჯმელაჲ (ეს უკანასკნელი არის სახელი პატარა მდინარისა და მის ახლო მდებარე საძოვრისა. როგორც ჩანს, მას უნდა რქმეოდა ჯაჯველაჲ და არა ჯაჯმელაჲ, რამდენადაც ერთდროულად აქ გვაქვს ჯაჯიც და ველიც. ჯაჯმელაჲ უნდა იყოს ჯაჯველაჲს დამახინჯებული ფორმა).

57. მთის პატარა მდინარის ან მშრალი ხევის აღსანიშნავად ეს და მისი მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ხევის სხვა სოფლებშიც. ასეთ სევებთან ახლო მდებარე ადგილებსაც შეარქვეს აქედან მომდინარე სახელები: ხურთისში — კევნი (სახ.); ფხელშე-გორისციხეში — კეჲაჲ (მდ.), კევაჲს ბეგები (საძ.) და კევის ყური (სახ.); ტყარშეტში — კევაჲ (მდ.); გაიბოტენში — კევი (სათ.); სიონში — სივანის კევი (სახ. სათ.); ფანშეტში — კევნი (სახ.); ცდოში — კევისთავი (სახ.), ხოლო ყაზბეგში ტყიან-ეკლიანი სათიბ-საძოვრის სახელწოდებად გვხვდება კევღურმაჲ, რაც სიტყვა სიტყვით უნდა ნიშნავდეს ღრმა ხევს (კევი ღრმაჲ). ამ ტოპონიმში ღურმაჲ უნდა წარმოადგენდეს ღრმაჲ-ს დამახინჯებულ ფორმას.

შეიძლება ითქვას, რომ კევაჲ ხევში თითქმის ისეთი მდინარის ზოგად სახელწოდებად გვევლინება, რომელიც ღრმა ხევში მოედინებოდა წვიმიან ამინდში ღვარცოფად იქცეოდა ხოლმე.

58. ჯოფი ნიშნავს ჩაღრმავებულ ადგილს. ხევის ყველა სოფელში ის ამ მნიშვნელობით გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია: ფხელშე-გორისციხეში—ჯოფნი (საძ.); ტყარშეტში — ჯოფაჲ (სახ.), ჯოფაჲს თავი (სახ.) და ჯოფები (სათ.); გარბანში—ჯოფაჲ (სათ.); გაიბოტენში — ჯოფნი (სათ.) და ჯოფთავი (სათ.); თოთში — ჯოფაჲ (სახ.); ყაზბეგში — ჯოფნი (სათ.); გერგეტში — ჯოფები (სათ. საძ.);

ცდომი — ჰოფაჲ (სახ.) და ჰოფები (საძ.). ქოსელში — ჰოფვაკე (სახ.); ხურთისში — ჰოფთ უჩუაჲ (სათ.).

## ხურთისი

1. სოფ. ხურთისი მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე. ზღვის დონიდან 1900 მ სიმაღლეზე. სოფელი ძველად დასახლებული იყო ხურთისის ციხის (კოშკის) ქვემოთ. ის ახლაცაა შემორჩენილი შეცვლილი სახით (გადაკეთებული ან დანგრეული სახლებით), როგორც ძველი დასახლების ყველაზე საინტერესო ნიმუში ხევში. აქედან გასული მოსახლეობა დამკვიდრდა ახლად გაშენებულ სოფელში, რომელსაც მეორენაირად ეწოდება ჰეჟე, ვინაიდან ადგილს, სადაც ახალი ხურთისი განსახლდა, ერქვა ჰეჟე.

ხალხური გადმოცემის მიხედვით, ამ სოფლის პირველი მკვიდრნი ყოფილან კურთისის შვილები, რომელთაც ადრე უცხოვრიათ ყუროს ფერდობზე, შემდეგ მათი ნაწილი თემს ამოუწყვეტია, ხოლო ვინც გადარჩა, დღევანდელი ხურთისის ტერიტორიაზე დასახლებულა. თანახმად ხალხური ეტიმოლოგიისა, ადგილს სადაც კურთის შვილები დასახლდნენ, ეწოდა კურთისი, ხოლო მათ მიერ მიტოვებულ პირველსაცხოვრისს — ნაკურთისალი (იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3).

თუ ხალხური გადმოცემა ისტორიულ სინამდვილეს ასახავს, მაშინ კურთის შვილების აქ დამკვიდრება და ამის შედეგად სოფლის ამ სახელწოდების გაჩენა უნდა მომხდარიყო XV საუკუნეზე ადრე, რამდენადაც სოფ. კურთისი უკვე იხსენიება XV საუკუნით დათარიღებულ გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთში (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 272).

2. ალბაინიში ეწოდება მწვერვალ ქიბარჯინას ერთ-ერთ სამხრეთ ფერდობს, რომელიც დუშელი აზნაურების — კობიაშვილების საკუთრებას წარმოადგენდა. ამ ადგილისათვის დავა ჰქონიათ ყანობლებსა და ხურთისლებს, როგორც ურთიერთმომიჯნავეებს. შემდეგ, როდესაც ბადაშვილები სოფ. უხათიდან სოფ. ხურთისში გადმოსახლებულან, კობიაშვილებისაგან ეს ადგილი მათ უყიდიათ.

ალბაინიშის ხალხური ეტიმოლოგია არ არსებობს. მთხრობლებისაგან კაცი მხოლოდ იმას გაიგონებს, რომ ეს თათრული სახელიაო.

3. ალექსანდრეს ვინაობა გაურკვეველია.

4. ახო ერთ-ერთი ისეთი ტოპონიმია, რომელიც ადგილების რიგ სხვა სახელწოდებებთან ერთად ხევში ტყის მასივების ადრინდელი არსებობის მაჩვენებელია. ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ტოპონიმი

ა ხ ო სათიბი ადგილის სახელწოდებად გარბანში, ხოლო ე ხ ო ტყის აღსანიშნავად გერგეტში.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 8.

6. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

7. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

8. სოფ. ხურთისის პირდაპირ (გაღმა) მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე. მწვერვალ ჭაბარჯინას მისადგომებთან აღმართულია პატარა მთა, რომელსაც ეწოდება გ ი ხ ი გ ო რ ა ჲ ანუ დ ი ხ ი გ ო რ ა ჲ. ამ ბორცვის წვერზე შემორჩენილია ნასახლარებისა და ნაკოშკარის საძირკვლები. ნაგებობათა ნაშთების გაბარიტები იმის მაჩვენებელია, რომ ისინი მუდმივი საცხოვრებლები კი არ ყოფილან, არამედ დროებითი თავშესაფარი ქოხები, ხოლო კოშკი აქ სასიგნალოდ უნდა ყოფილიყო აღმართული.

ხალხური გადმოცემის მიხედვით, ამ ბორცვზე (გორაზე) ერთხანს უცხოვრია ვინმე გ ი ხ ი ს თუ დ ი ხ ი ს, რის გამო ბორცვისთვის შეურქმევიათ გიხი გორაჲ ანუ დიხი გორაჲ.

9. გლუ ზედაპირის მქონე ადგილის აღსანიშნავად თუ ხურთისში გვაქვს ტოპონიმი გ ლ უ ვ ნ ი, ამის შესატყვისია გარბანში მ გ ლ უ ვ ნ ი (სახ.), ყაზბეგში — მ გ ლ უ ვ ნ ი (სათ.), ცდოში — გ ლ უ ვ ნ ი (საძ.), სნოში — გ ლ უ ვ ნ ი (სახ.), ქოსელში — მ გ ლ უ ვ თ ტ ყ ე (სათ. საძ.) და გ ლ უ ვ ნ ი (სათ.).

10. ხურთისელი გოგიშვილების პატრონიმიული სახელია გ ო გ ი ა ნ ნ ი. ეს ადგილი ადრე მათ სახნავს წარმოადგენდა. იმის შემდეგ, რაც ძველი ხურთისიდან ხალხმა ახალ ტერიტორიაზე გადმოინაცვლა, ერთერთი უბანი გოგიანთ ყოფილ სახნავ ადგილზედაც დასახლდა. ამ დღიდან უბანს შეარქვეს სახელი გ ო გ ი ა ნ თ ე უ ლ ი, რაც იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ეს ადგილი ხალხის იქ დასახლებამდე გოგიშვილებისა იყო.

11. სოფ. ყანობში კურკუმულების გვარში შემავალი ერთ-ერთი პატრონიმიული ერთეულის სახელწოდებაა გ ო გ ო რ ე ნ ი. მათ მიწის ნაკვეთი ჰქონიათ სოფ. ხურთისის ტერიტორიაზე. შემდეგ ეს ადგილი გადავიდა ხურთისლების ხელში. ამ დღიდან სახნავ ნაკვეთს შეარქვეს გ ო გ ო რ ე თ ე უ ლ ი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ადრე ის წარმოადგენდა გოგორეთ საკუთრებას.

12. თანახმად ხალხური გადმოცემისა, სოფ. ხურთისიდან არწივს ბოუტაცნია ბავშვი. როდესაც არწივი ბავშვის დასაკორტნად დამჯდარა, შეუმჩნევია გორისციხელ კაცს და ბავშვი გადაურჩენია. ბავშვის მამას მადლობის ნიშნად გორისციხელისთვის სახნავი ნაკვეთი უჩუქე-

ბია სოფ. ხურთისში. ვინაიდან ამ ნაკვეთს გორისციხელები ხმარობდნენ, მას უწოდეს გორისციხული.

13. ამ ტოპონიმის ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: ხურთისში ოდესღაც ორ დას, რომელთა გვარ-ჩამომავლობა უცნობია, თავისი სულის მოსახსენებლად თერგის გაღმა დაუდგამთ ხატი (ნიში თავისი ჯვრით), რის გამო სახნავ-სათიბად გამოყენებულ მის მიდამოებსაც ეწოდა დათხატი. ხალხს მიაჩნია რომ დათხატი შედგენილი სიტყვაა (დათ ხატი) და ნიშნავს დების ხატს.

14. ეს ადგილი წინათ ეკლით ყოფილა დაფარული. მისი დასაკუთრების მიზნით მეზობლებს შორის დავა ყოფილა. ერთი მათგანი სახალხოდ გამოსულა და ხატზე დაუფიცია — ეს ეკალი მამა-პაპითგან მე ბეკუთვნისო. ვინაიდან ხატზე ტყუილად დაფიცება ძველად წარმოუდგენელი იყო, მოფიცარის მტკიცება სარწმუნოდ მიუჩნევიათ. დროთა ვითარებაში ეკალი გაკაფეს, ხოლო გასაძოვრებულ ადგილს, ზემოთ აღწერილი ინცინდენტის გამო, უწოდეს დაფიცული ეკალი.

15. ხევში მეცხვარეობა განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მოხევეებს ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. მანამდე ცხვარს ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ ან საქართველოს ბარში მიერეკებოდნენ. ასეთ პირობებში მთიელები მოკლებული იყვნენ დიდი მასშტაბის მეცხვარეობის შესაძლებლობას, რის გამო საზაფხულო საძოვრებიც აღარ ყოფილა დატვირთული. ზოგიერთი სოფელი თავიანთ მთებს ზაფხულობით ბარიდან ამოსულ მეცხვარეებზე აქირავებდა. საზაფხულო სეზონზე ყოველ 100 სულ ცხვარზე იღებდნენ ერთ ჭედილას (საბალახეს). ასეთი პირობით ერთხანს თავისი მთები გაუქირავებიათ ხურთისლებსაც. საბალახეში აღებულ ჭედილებს კლავდნენ საასოფლო დღეობებზე, ხოლო ნაწილის საფასურით სოფელი იხდიდა საბელმწიფო გადასახადს.

საბალახეს გადახდის პირობით ხურთისში ზაფხულობით უვლიათ ქართლელ მეცხვარეებს. ერთი მათგანი ბაზალეთიდან ყოფილა და რქმეია დიმიტრი (დიმიტრაძ). სადაც მისი ცხვარი ბალახობდა, იმ ადგილს შეარქვეს დიმიტრაძს მინდორი ანუ დიმიტრაძს ნაბინავარი. მეორე ქართლელი მეცხვარის სახელი ყოფილა კისერაძ. ადგილს, სადაც კისერას ცხვარი სძოვდა, უწოდეს კისერაძს ნაბინავარი (იხ. ქვემოთ). მათთან ერთად აქ უვლია აგრეთვე ბაზალეთელ ქავთარს. მთას, სადაც ქავთარის ცხვარი ზაფხულობით ბემოდიოდა, ხურთისლებმა დაარქვეს ქავთარშამასვლობაძ (იხ. ქვემოთ).

16. ველტეხილი ეკუთვნოდა როგორც ხურთისს, ისე ყანობს. მის შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 19.

17. ზაქარიენი ტუჩაშვილების ერთ-ერთი პატრონიმიის სახელია. ამასთან არის დაკავშირებული სათიბი ადგილის სახელწოდებაც.

18. მოხეური დიალექტით ჯორი ნიშნავს ჯვარს. ხევში ბევრია ისეთი ტოპონიმი გვხვდება, სადაც „ჯორი" დომინანტობს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამეურნეო ნაკვეთი მდებარეობდა ჯვარის (სალოცავის) ახლოს, ანდა წარმოადგენდა მის სკუთრებას. ასეთებად გვესახება: ზემო ჯორაჲ (სათ.) სოფ. ხურთისში, ჯორთაჲ (სახ.) — ფხელშე-გორისციხეში, თავის ჯორნი (სახ.) და ჯორთანაჲ (სახ.) — ტყარშეტში, ჯორთკალო — სიონში, ჯორის ყანა (სახ.) — ფანშეტში, გულთაჲს ჯორი (სახ.) და კბილის ჯორი (სახ.) — ყაზბეგში, ჯორნი (სალ.) და ჯორის ძირი (საძ.) — გერგეტში, ჯორნი (ბერების სადგომი) — სნოში, ჯორთუკენაჲ (სათ. საძ.) — ახალციხეში, ჯვართი (სახ. სათ.) და ჯორკორკაჲ (საძ.) — ჯუთაში, თეთრჯორნი — დარიალის ხეობაში, ჯორის ტყენი (ტყე, სათ.) და ჯორიმზორე (საძ. ტყე) — ცდოში.

19. ხურთისის ზემოთ, სოფლის სასაფლაოსთან მდგარა ეკლესია, რომელიც 1930-იან წლებში დაანგრიეს და მისი ქვით ააშენეს დაწყებითი სკოლა. ხალხი ამ ეკლესიის აშენებასაც სახელოვან თამარ მეფეს მიაწერს. ნაეკლესიარ ადგილსა და მის მიდამოს, რომელსაც სახნავად ხმარობდნენ, შემორჩა ყოფილი ნაგებობის სახელი.

20 თავის სათიბში ეს წყარო გაუკეთებია თომა ტუჩაშვილს.

21. სოფ. ხურთისის ჩრდილოეთ მხარეზე, კლდოვან ქედზე, საიდანაც სოფელს გადმოჰყურებს მრავალსართულიანი კოშკი (ე. წ. ხურთისის ციხე), მდგარა კიდევ ერთი პატარა კოშკი, რომელიც მეწყერს დაუნგრევია. ამას ერქვა ივაის ციხე. ადგილს, სადაც ეს კოშკი მდგარა, დღემდე ეწოდება ივაის ციხე. ზოგიერთ მთხრობელს დავიწყებული აქვს, რომ აქ კოშკი იდგა და ივაის ციხეს შეცდომით უწოდებენ იქვე ახლოს მდებარე ერთ-ერთ შვეულ კლდეს, რომელიც თავისი მოყვანილობით კოშკს წააგავს. ივაჲ, ვისი სახელითაც აქ არსებული კოშკი, ნაკოშკარი ადგილი და კოშკის მსგავსი კლდე იხსენიება, კაცის სახელია, მაგრამ მისი ვინაობა გაურკვეველია.

22. ყანობელი ითონიშვილების პატრონიმიული სახელია ითონენი. ტოპონიმი ითონეთეული იმის მაჩვენებელია, რომ ეს ად-

გული ითონიშვილებისა იყო, ხოლო შემდეგ მოექცა ხურთისის მფლობელობაში.

23. ხურთისში მცხოვრები ბადაშვილები გადმოსახლებულან სოფ. ჯახათიდან, სადაც დღემდე ცხოვრობენ ოსები. ვიდრე ბადაშვილები ოსურ ენას დაივიწყებდნენ, ურთიერთშორის თურმე ოსურად ლაპარაკობდნენ. მათ ჰყვარებიათ მზვარე ადგილას, ერთ-ერთ კლდესთან ჯასვლა და კაპარის (მჟავე სასმელია) დალევა. სხვათა შორის, ხალხს ახსოვს, როდესაც ისინი ერთმანეთს ეტყოდნენ: „ცომ მა კამახგლ ბანაზამ კუგმალ“ (იმ კლდეში გავიდეთ და კაპარი დავლიოთ).

რაკი ბადაშვილები ამ კლდესთან მიდიოდნენ, ხოლო კლდეს ოსურად ეწოდება კამახ, ხურთისლებმაც ამ ადგილს შეარქვეს კაზახად.

24. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

25. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

26. კისერაძის ნაბინავარის შესახებ იხ. შენიშვნა 15.

27. საძოვარ ადგილზე შეეულადაა აღმართული კლდე, რომელიც თავისი ფორმით კოშკს მოგვაგონებს. ვინაიდან ხევში კოშკს ეწოდება ციხე, კოშკურა კლდესაც უწოდეს კლდის ციხად.

28. ყანობელი კობიაშვილების ერთ-ერთ პატრონიმიას ეწოდება ლადარიანნი. ხურთისში მათ ჰქონდათ სახნავი ნაკვეთი, სადაც ამჟამად დასახლებულია სოფლის ერთ-ერთი უბანი. სახელწოდება ლადარიანთეული მაუწყებელია იმისა, რომ ეს ადგილი ადრე კობიაშვილებისა იყო.

29. სათიბს ეს სახელი შეარქვეს იმის გამო, რომ აქ მელიებს სოროები ჰქონიათ გამოთხრილი.

30. როგორც ხურთისში, ისე ხევის სხვა სოფლებში ნაბინავარი ეწოდება ადგილს, სადაც ღამით ცხვარი იდგა.

31. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29.

32. ხევში ზოგიერთ სათიბ ადგილს რწყავდნენ წყალთან მისი ახლო მდებარეობის შემთხვევაში. სახნავი ნაკვეთების მორწყვა საერთოდ არ ხდებოდა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ნიადაგის ჩამორეცხვა მეტნაკლები დახრილობის მქონე ფერდობებზე მათი განლაგების გამო. ბალახით დაფარულ სათიბებს კი ეს საშიშროება არ ემუქრებოდა. შემდეგში ზოგიერთი სათიბი, რომელსაც რწყავდნენ, გაასაძოვრეს. ამის გამო, სოფ. ხურთისში ნარწყავ მინდორი ეწოდება სათიბ-საძოვარ ადგილს. სათიბის აღსანიშნავად ფხელშე-გორისციხეში გვხვდება ტოპონიმი სარწყავები, ტყარშეტში ერთ-ერთ სათიბს ეწოდება სარწყავი, ხოლო ტყარშეტში ამავე სახელწოდების მქონეა საძოვარი ადგილი.

33. რამდენადაც კ ა კ ი ნიშნავს ხრამს (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56), ეს ტოპონიმი აღმნიშვნელია ორ ხრამს შორის მდებარე ადგილისა.

34. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

35. ალაყა (ა ლ ა ყ ა ჲ) ხევში ეწოდება თიხას, აყალო მიწას. ადგილს, საიდანაც თიხას იღებენ, ეწოდება ს ა ა ლ ა ყ ე, ე. ი. თიხის საბადო, სათიხე. თიხნარი ადგილის აღსანიშნავად ტოპონიმი ა ლ ა ყ ა ჲ გვხვდება სოფ. გერგეტში.

36. ეს ადგილი წარმოადგენდა სახნავ ნაკვეთს, რომელიც ეკუთვნოდა დუშელ აზნაურებს — კობიაშვილებს. შემდეგ უყიდიათ ბადაშვილებს და იქ დასახლებულან. მათ უბანსაც შემორჩა ადრინდელი სახელი, მაუწყებელი იმისა, რომ ის იყო ბატონისა.

37. გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როგორც წესი, სახნავ-სათიბი ადგილებიც საძოვრად გამოიყენებოდა. ხბოებს ცალკე აძოვებდნენ. მათთვის განკუთვნილ ადგილს მზე თურმე მაგრად აჭერდა და ბზიკებისაგან (მკბენარი ბუზისაგან) შეწუხებული ხბოები ფრთხებოდნენ და დარბოდნენ. ბზიკისაგან დაკბენილი ხბოს გაქცევას ხევში ეწოდება დაბზიკება, რის გამო იმ ადგილსაც, სადაც ეს ხდებოდა, შეარქვეს ს ა ბ ზ ი კ ა რ ა ჲ.

38. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 45.

39. როდესაც ოჯახი იყრებოდა, ქონება იმდენ თანაბარ ნაწილად იყოფოდა, რამდენი მოწილეც იმყოფებოდა ოჯახში. ოჯახის უფროსს კუთვნილ წილთან ერთად დამატებით აძლევდნენ საუფროსოსაც საქონლის ან მამულის ნაკვეთის სახით. ხურთისის ტოპონიმიკაშიც, ისევე როგორც ხევის სხვა სოფლების ადგილთა სახელებში, ეს მომენტი აისახა. ამ სოფელში ერთხანს ერთად უცხოვრიათ სამ ძმას (გოჭი, გაჯალაჲ, ხიზანაჲ) თავიანთი შთამომავლობით. მათ გაყრისას საუფროსოდ სახნავი ნაკვეთი მიუციათ სულ უფროსი ძმისთვის — გოჭისთვის. შემდეგ ეს უანა გაუყიდია გოჭის ვაჟს ზურაბს. გოჭიდან დღემდე ითვლება 6 თაობა (გოჭი—ზურაბი—სვიმონი—ბაჩია—დოღდი—დოღდის შვილები). მათ სამოსახლო უბანს შემორჩა ტუჩაშვილების დიდი ოჯახის გაყრისდროინდელი სახელწოდება — ს ა უ ფ რ ო ს ო.

40. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56.

41. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

42 ს ა ყ ა ლ ნ ო ეწოდება სოფ. ხურთისის პირდაპირ, მდ. თერგის გაღმა მდებარე ტერიტორიას. მასში ექცევა ძირითადად საქართველოს სამხედრო გზის მიდამოები (ვაკე ადგილები) და ნაწილობრივად მწვერვალ ქაბარჯინას კალთებიც. ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ადრე

სახნავად გამოიყენებოდა და გვარებზე იყო დანაწილებული: დიდ შინდორი ეკუთვნოდა ტუჩაშვილებს, სამხედრო გზისთა-ი — გოგიშვილებს, ქემაშვილებსა და წიკლაურებს, გვერდ ა ნუ სახილე — ჩქარეულებს, ხოლო საწველი ქოხების მიდამოები და ალბაინიშის ნაწილი — ჩოჩიშვილებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბაინიში დუშელი კობიაშვილებისაგან იყიდეს ბაღაშვილებმა (იხ. შენიშვნა 2). ალბაინიში საყალნოში თურმე არ შედიოდა. ალბაინიში იყო საბატონო, ხოლო საყალნო წარმოადგენდა სასელმწიფო ადგილს, რომელშიაც აქ დასახლებული გვარები იხდიდნენ ბალანს. ხურთისის სხვა ადგილებით სარგებლობის გამო კომლზე გაწერილი ყოფილა წელიწადში ორი მანეთი. შემდეგ, როდესაც გვარებზე დანაწილებული საყალანო გაასაძოვრეს, მასზე ყალანის გადახდაც შეუწყვეტიათ, მაგრამ ძველი ვითარების შესაბამისი სახელწოდება ადგილს დღემდე შემორჩა.

43. საწყევარა ეწოდება შემოღობილ სახნავ ნაკვეთს ძველი ხურთისის ტერიტორიაზე.

არსებობს გადმოცემა, თითქოს აქ იდგა სალოცავი, სადაც სოფელში დამნაშავეს რისხავდნენ, წყევლიდნენ.

გადმოცემის მეორე ვარიანტის მიხედვით, სოფლელ დედაკაცებს აქ დაუწყევლიათ და დაურისხებიათ ხაჯი, რომელსაც ბავშვებს ცხენების ფეხქვეშ გაუსრესია (იხ. შენიშვნა 61).

44. ხევში ხილი ჰქვია მოცვს (Vaccinium myrtillus). ამ ადგილას, რომელსაც ყანობლები ეძახიან საკურთიველოს, მოცვი ხარობს, რისთვისაც მას ეწოდება სახილე.

45. სოფ. ხურთისში დაახლოებით 1950 წელს 80-მდე წელს მიღწეული გარდაცვლილა ტარიელ ჩოჩიშვილი, მაგრამ ტოპონიმი ტარიელაძს ტუქანი მის სახელთან არ არის დაკავშირებული. ამ ტოპონიმში ნაგულისხმევი ტარიელის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა და ვერც ის გაირკვა, თუ რატომ ჰქვია სათიბ ადგილს ტუქანი.

46. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 40.

47. სოფ. ხურთისის პირდაპირ საქართველოს სამხედრო გზა მკვეთრი ხვეულებით ეშვება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. პირდაპირი ხაზით ორ კილომეტრამდე გაჭიმულ ტერიტორიას, რომელიც დღეს ცხვრის საძოვრადაა გამოყენებული, ეწოდება ფიჭვდაღმები. ეს ტოპონიმი ორ სიტყვას შეიცავს — ფიჭვს და დაღმებს, რაც მაჩვენებელია ამ დაღმართ ადგილზე ოდესღაც ფიჭვის ტყის არსებობისა. მართლაც, ხალხში არსებობს. გადმოცემა, რომლის თანახმად ეს ადგილი ფიჭვის გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ტყე სამი მხრი-

დან (აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან) ყოფილა შეზღუდული. დასავლეთიდან მას იცავდა მის გვერდზე ჩამომდინარე თერგი და მისი ღრმა კალაპოტი. ტყეს ჰყოლია ყარაულიც, რომელიც იდგარა მწვერვალ ქაბარჯინას ძირას, შემაღლებულ ადგილზე, საიდანაც მას შეეძლო ზემოდან ედევნებინა თვალი თავისი სადარაჯოსთვის.

მთხრობლები არაერთგზის მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ აქედან გატანილ ხეებით ყოფილა დახურული მოხევეთა ბევრი ძველებური სახლი.

აქ ოდესღაც ტყის არსებობის სარწმუნო წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ წყალდიდობისა და დამეწყრების შედეგად ხშირად შიშვლდება ნამარხი მორები, რასაც მოხევეები ნაძვებს უწოდებენ და საწვავ მასალად ხმარობენ.

საყურადღებოა გავიხსენოთ, რომ ადგილს, სოფ. ყანობის ამ მხარეზე მდებარე საძოვრებთან ერთად, ეწოდება აგრეთვე ს ა მ ტ ვ ე რ ი თუ ს ა მ ტ ე რ ე (იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 36). ამავე ადგილის სახელწოდებაა ს ა მ ტ ე რ ე ს ანუ ს ა მ ტ ვ ე რ ე ს ტ ყ ე. სამტვერის ტყეს იხსენიებს ალ. ყაზბეგი თავის რომანში „ხევისბერი გოჩა", რომელიც ეეაცნობს XVII საუკუნის I მეოთხედში მომხდარ ისტორიულ ამბებს.

ყოველივე ეს წარსულში აქ მართლაც ტყის არსებობის მაჩვენებელია.

48. იხ. შენიშვნა 15.

49. სოფ. ხურთისში საყვარელი ჰყოლია ერთ-ერთ ფხელშელ თუ გორისციხელ კაცს. როდესაც ხურთისლებს მისი ქალთან სიარული შეუტყვიათ, ჩასაფრებიან და გზად მიმავლისათვის ღამით ისარი უსვრიათ. ისარი მოხვედრია წოწოლა ქუდის წვეროში, რის გამო იმ ადგილისათვის, სადაც ეს მოხდა, დაურქმევიათ ქ უ დ ი ს წ ვ ე რ ა დ. ადრე მას ეწოდებინათ, ხოლო შემდეგ ხურთისის ახალშენის ერთ-ერთ უბნად იქცა.

50. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

51. ღ ო რ თ ყ ა ნ ა ს მეორენაირად ეწოდება ღ ო რ ნ ი. სახნავ ნაკვეთს ეს სახელწოდება მიუღია იმის შემდეგ, რაც მის საფასურში რომელიღაც ხურთისელს ბ. ულის პატრონისთვის მიუცია ღორის გვერდი (ლორი).

საძოვრის სახელწოდების სახით ღ ო რ ნ ი და ღ ო რ თ ვ ა კ ე გვხვდება სიონშიც, სადაც აგრეთვე ხურთისის ანალოგიური ეტიმოლოგია მოწმდება. შესაძლებელია ამითი აიხსნებოდეს ფანშეტში ერთ-ერთი სახნავი ნაკვეთის სახელწოდებაც (ღ ო რ ა დ).

52. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 46.

53. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 46.

54. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

55. როგორც ხურთისში, ისე ხევის სხვა სოფლებში ჩხატი ეწოდება ჩანჩქერს, სულ ერთია ის დიდი იქნება თუ პატარა. ადგილის სახელწოდებაც ხშირად აქედან წარმოსდგება. ამ შინაარსით გვაქვს ფხელშე-გორისციხეში ჩხატი (საძ.) და ჩხატის წყალი (მდ.), არშაში — ჩხატი (საძ.) და ჩხატის წყალი (მდ.), ფანშეტში — ჩხეტი (საძ.), ყაზბეგში — ჩხატისთავი (საძ.) და კდის ჩხატი (საძ.), ცერგეტში — ჩხეტები (სათ.), ჩხატები (საძ. ტყე) და ჩხატის ჭოხები (გამ.), ცდოში — ჩხატისთავი (სათ. ტყე), ართხომში— ჩხატისთავი (სახ.), კარკუჩაში — ჩხატისკარაჲ (სახ. სათ. საძ.), ჯუთაში — ჩხატა (სახ.), დარიალის ხეობაში — ჩხატის ძირი (საძ.), გარბანში — ჩხატი (საძ.) და ჩხატის წყალი (მდ.).

56. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 49.

57. ამ სალოცავს ეწოდება აგრეთვე ზემო ჯორაჲანპეტრეპავლეს ნიში.

58. ეს ადგილი ეკუთვნის სამ სოფელს: ხურთისს, ფხელშესა და გორისციხეს. ხურთისის ნაწილი შედარებით მცირეა, რომელიც გამოიყენება სათიბად. უფრო მაღლა არის საძოვარიც, ხოლო ქვემოთ შემორჩენილია ვერხვისა და არყის ტყე (ბუჩქი). სამივე სოფლის კუთვნილ ტერიტორიაზე გვხვდება წითელი ფერის ლოდები და კლდეები, რამაც ასახვა პოვა ადგილის სახელწოდებაში (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54).

59. ჰეჟე ეწოდება სოფ. ხურთისის ახალ დასახლებას (იხ. შენიშვნა 1). ადრე ის სახნავ ადგილს წარმოადგენდა.

60. ყანობელი ჭიალაშვილების პატრონიმიული სახელია ჭიალენი. მათ ყოფილ სახნავ ნაკვეთს სოფ. ხურთისში, რაც შემდეგ ხურთისელთა ხელში გადავიდა და სამოსახლოდ იქნა გამოყენებული, დღემდე ეწოდება ჭიალეთეული.

61. როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, თათრების ერთერთ ლაშქრობას ხევში თურმე ხელმძღვანელობდა ვერაგი ხაჯი. ის ხურთისსაც დასცემია თავს, ბავშვები სოფლის დასაველეთით მოვაკებულ ბორცვზე დაუყრია და ზედ ცხენები უტარებია. ამის გამო შეურქმევიათ ამ ადგილისათვის ხაჯის კალო ანუ ხაჯიანთ კალო.

62. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

63. ჯუთა არის სახელი ხევსურებით დასახლებული სოფლისა სნოს ხეობაში. თუ რატომ ჰქვიან სოფლის სახელი ხურთისის სახნავსათიბ ადგილს, ეს ხურთისლებისთვის გაურკვეველია.

64. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## ფხელშე და გორისციხე

1. ფხელშე და გორისციხე მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებია, რომლებსაც ერთმანეთისაგან ყოფს მთის პატარა წყალი — ე. წ. კევაძ. დიდი წვიმის დროს ეს წყალი საშიშ ღვარცოფად იქცევა ხოლმე.

ფხელშე და გორისციხე სარგებლობს ერთი და იგივე მთა-ბარით ამიტომ ადგილთა სახელწოდებების განმეორების თავიდან აცილების მიზნით ორივე სოფლის ტოპონიმიკურ აღწერილობას ერთად ვიძლევით.

2. არეულ ნი ნიშნავს უსწორმასწორო ადგილს, რომლის შესატყვისია აკაბუკაძ.

3. ამ შემთხვევაში ასაკედი ნიშნავს მიუდგომელ ადგილს, ისევე როგორც ეს ჩანს სოფ. ყანობის მაგალითზე (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 2).

4. ვინაიდან ხევში ციხე ეწოდება კოშკსაც, ამიტომ ნანგრევს, სადაც ავსაჯანიშვილების კოშკი იდგა, ეწოდება ავსაჯანიანთ ციხე.

5. ბართლომე ჩქარეულს მამაწმინდის სალოცავის სახელზე შეუწირავს სახნავი ნაკვეთი. ამ დღიდან ის იქცა ჩქარეულების გვარის საერთო საკუთრებად. ყოველ წელს გვარიდან ორი ოჯახი ამ მამულს ამუშავებდა, მოსავალს ისინი შუაზე იყოფდნენ, ხოლო გვარს მამაწმინდობაზე (დღეობაზე) თავისი ხარჯით უმასპინძლდებოდნენ. გვარის უფროსი, პირველ რიგში, შესვამდა ბართლომეს სულის მოსახსენებელს, ბართლომეს, რომლის სახელიც შეარქვეს მიწის ნაკვეთს.

6. ტოპონიმი ბათაკაძსეული იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ეს სახნავი ადგილი ბათაკა ავსაჯანიშვილის ნაქონი იყო.

7. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ხევში სალაშქროდ გადმოდიოდნენ დვალები. ფხელშესა და გორისციხეზე მათი ერთ-ერთი თავდასხმის დროს მოხვეებს თავიანთი ციხე-სახლებიდან ისრები უსროლიათ. ერთ-ერთ მეისრეს (ერესტეთი ყოფილა, გვარად ელოშვილი) იმ დროს დაუჭრია დვალი, როდესაც დვალები თურმე უკან გარბოდნენ. ამ დვალის სახელი ყოფილა ბადრი. დაჭრილი ბადრი გამოქვაბულში შესულა და იქ დაულევია სული. ამის გამო შეურქმევიათ ამ გამოქვაბულისთვის ბადრის ქოხ. ვინაიდან ამ ადგილს ჰქვია კეტო, მეორენაირად გამოქვაბულს ეწოდება კეტოს ქოხი. ტოპონიმიკურ აღწერილობაში ჩვენ ორივე სახელწოდება შევიტანეთ.

8. 1954 წლის 18 აგვისტოს სოფ. ტორნისაში 90 წლის იოსებ გიორგის ძე ავსაჯანიშვილმა ჩაგვაწერინა, რომ გორისციხეში ოდესღაც ცხოვრობდნენ ბალიენი, რომელნიც შემდეგ სხვაგან გადახვეწილან.

ბით ყოფილ ადგილ-მამულს, რომელიც ავსაჯანიშვილებს დაუჭერიათ, ეწოდეს ბ ა ლ ი ე თ ე უ ლ ი.

1962 წლის 12 აგვისტოს სოფ. გორისციხეში ჩაწერილი მასალის მიხედვით (მთხრობელი ილია გრიგოლის ძე ავსაჯანიშვილი, დაბად. 1858 წ.) ავსაჯანიშვილების თუ ჩქარეულების ერთ-ერთ განაყრობას ერქვა ბ ა ლ ი მ ე ნ ი, რომელთა წინაპარი ყოფილა ბ ა ლ ი მ ა ძ. მთხრობლის აზრით, ბალიმენი უფრო მეტად ჩქარეულების გვარს უნდა მიკაკუთნოთ. ამის საბუთად მას მიაჩნია ის, რომ სახნავ-სათიბი ადგილი, რომელსაც ბ ა ლ ი მ ე თ ე უ ლ ი ეწოდება, ჩქარეულებს ეჭირათ. ჩქარეულების სათიბშია ე. წ. ბ ა ლ ი მ ა ძ ს წ ყ ა რ ო, ხოლო მათ სახნავ ხაკვეთში ხვნის დროს აღმოჩენილია დოქის ყელი, წალდი (ორიეე ნივთი დაკარგულა), კერა ნახშირით და ნასახლარი, რაც სოფელში ცნობილია ბ ა ლ ი მ ე თ ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი ს სახელწოდებით.

ამ არგუმენტების მიხედვით, ბალიენი თუ ბალიმენი ჩქარეულები ჩანან.

9. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 4.

10. იხ. შენიშვნა 8.

11. ბ ა წ ა წ ა ძ კაცის სახელია. ის ყარაული ყოფილა და ღამით ბურმე გამოქვაბულში იმყოფებოდა, მაგრამ ვერ დავადგინეთ ვერც მისი ვინაობა და ვერც ის, თუ რას ყარაულობდა იგი.

12. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

13. მწვერვალ ქაბარჯინას ერთ-ერთ ფერდობს შეყვება ზემოდან კლდეებით წამოხურული ვიწრო და ბალახოვანი ღელე, სადაც ადრე საკმაოდ ხშირი ტყე მდგარა. ახლაც აჩნია ხეების სათრევი, რომლის ნაპირები ალაგ-ალაგ ქვებითაა შემაღლებული, რათა დაცურებული ხე სათრევიდან არ ამოვარდნილიყო.

იმის გამო, რომ ეს ღრმა ღელე-კარები ზედ წამოხურული კლდეებითაა დაჩრდილული, ხოლო წარსულში ტყით იყო დაბურული, მას შეარქვეს ბ ლ ე ნ კ ა რ ა ძ, ე. ი. ბნელი კარი, ბნელი ღელე, რამდენადაც ბ ლ ე ნ ი იგივე ბ ნ ე ლ ი ა.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 6.

15. ბ ი ძ ი ა, რომლის სახელზედაც ეს წყარო არსებობს, ყოფილა სოფ. ფხელშის მკვიდრი, გვარად კორხიბაშვილი. წყარო მის სათიბში იყო და ბიძიას სახელითაც ამის გამო არის ცნობილი.

16. გ ა წ ყ ო ბ ი ლ ნ ი ეწოდება ფიცარივით სწორ კლდეს, რომლის ახლოს ნასახლარების არსებობაზეც მიუთითებენ.

17. სათიბში არის გეჯივით მოყვანილობის კლდე, რომელშიც წვრილი წყალი დგება. ამის მიხედვით მთელ იმ მიდამოს შეარქვეს გ ე ჯ ა ნ ი.

18. გ ო რ ა ა ჲ წარმოადგენს ნასახლარებით, სიმაგრეთა ნაშთებით და ღობეებით მოფენილ კონცხს, რომელიც გადაჰყურებს მდ. თერგს. აქ ყოფილა ძველად დასახლებული სოფ. ფხელშე. როგორც რიგ სხვა შემთხვევაში, ისიც შემდეგ სალოცავად, წმინდა ადგილად იქცა. წინაპართა სამოსახლოს ნანგრევებში სალოცავი თეთრი ნიშით დღემდე არის შემონახული. ამ სალოცავს ჰქვია ზ ე დ ვ ა კ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი, ვინაიდან გორაჲს მეორე სახელწოდებაა ზ ე დ ვ ა კ ე.

19. გ უ ტ ე ნ ი პატრონიმიული სახელია ფხელშელი ჩქარეულების ერთი ნაწილისა. ეს ადგილი ადრე მათ სახნავ ნაკვეთს წარმოადგენდა. ამჟამად მასზე გატანილია გზა, რასაც ეწოდება ს ო ფ ე ლ შ უ ა ჲ (იხ. შენიშვნა 60).

20. მწვერვალ ქაბარჯინას ერთ-ერთი მისადგომის სახელია დ ო ნ ა ტ ა ჲ, რომელიც წარმოადგენს სათალი ქვის მდიდარ საბადოს. იქ შემორჩენილია ნასახლარები, სადაც შიშიანობისა და ჭირიანობის დროს გახიზნულ ხალხს უცხოვრია.

21. ხალხური გადმოცემის მიხედვით, მიუდგომელ კლდეში უცხოვრია დევს. მას აქ ჰქონია სადგომი ბაკი (ბინა), რის გამო ამ კლდისთვის შეურქმევიათ დ ე ვ ი ს ა ბ ა კ უ რ ა ჲ ანუ ს ა ბ ა კ უ რ ნ ი, რაც ნიშნავს საბაკე, საბინაო ადგილს. ზოგჯერ მას დამახინჯებულად უწოდებენ დ ე ვ ი ს ს ა ბ ა ყ უ რ ა ს, სადაც ყ ენაცვლება კ-ს.

22. როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, ხევში საქონლის ქატაცების მიზნით ხშირად გადმოდიოდნენ დვალები თრუსოს ხეობიდან და ნარიდან. ერთ-ერთ დღეობაზე (ფერისცვალებაზე), როდესაც მთელი თემი სოფ. გერგეტში იკრიბებოდა, დვალები გადმოსულან მ ა მ ა წ მ ი ნ დ ი ს მ თ ა ზ ე ფხელშისა და გორისციხის გაძარცვის მიზნით. მათი მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მოხევეებს, გერგეტშიც კაცი უფრენიათ და შეიარაღებული ხალხი დვალებს შეჰგებიან ფერდობზე, რომლის სახელია რ უ ხ ე. ბრძოლაში დამარცხებული დვალები გაქცეულან.

როდესაც დვალები ხევის ტერიტორიაზე შეჭოსულან, რუხეში, სახელდობრ იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება წ კ ა ნ ტ ლ ე, ერთად მოუგროებიათ იმდენი ქვა, რამდენი მეომარიც მოვიდა. როდესაც მოხევეებმა ისინი უკან გაქციეს, თითოეულ დვალს ამ გროვიდან თითო ქვა უკან წაუღია. დარჩა მხოლოდ იმდენი ქვა, რამდენი დვალიც ბრძოლის ველზე დაეცა. დვალების მიზანი ის ყოფილა, რომ სამახსოვრო ნიშანი დაეტოვებინათ დაღუპულთა პატივსაცემად.

გადმოცემის მეორე ვარიანტის მიხედვით, დვალებმა თითქოს მაშინ დააგროვეს ქვები, როდესაც უკან გარბოდნენო, ნიშნად იმისა, რომ ამდენი კიდევ გადავრჩით და მომავალში შურს მაინც ვიძიებთო.

ჩვენ არ შეუძლებით იმის განსჯას, თუ ამ ვარიანტთაგან რომელია სარწმუნო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მწვანით მოსილ ფერდობებზე ღორღის ერთად დაყრას მოხვეევები დვალებს მიაწერენ.

ტოპონიმი დ ვ ა ლ ღ ო რ ღ ი და მის შესახებ არსებული ხალხური გადმოცემა საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც დროთა ვითარებაში ქიმილირებული დვალების შესახებ ხალხში გარკვეული წარმოდგენა არსებობს.

ყაზბეგის რაიონის გაზეთმა „დარიალმა“ გამოაქვეყნა ყალბი მასალა მოხვეეებისა და დვალების შეტაკების შესახებ. ამის მიხედვით გაბოდის, თითქოს ბრძოლა მოხდა სნოს ხეობის სათავეში — ნადარბაზევში, თითქოს აქ ბრძოლის შემდეგ „უზარმაზარი ქვის გორაღა გაკეთებულა, ამას დვალთ ღორღიანს უწოდებს დღეს ერი. დარბაზის კედლის ქვით დათვალესო დვალთ თავები“ (გ. მირიანაშვილი, ნადარბაზევი, „დარიალი“, 1966, №95). გ. მირიანაშვილმა ამას უწოდა თქმულება. სინამდვილეში ასეთი თქმულება ხევში არ არსებობს. ნადარბაზევისა და დვალების შესახებ გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს გ. მირიანაშვილის ისეთსავე შენათხზს, როგორიცაა ამ გაზეთში დაბეჭდილი მის მიერ ასევე დამახინჯებული სხვა მასალები (შდრ. კარკუჩის ტოპონიმიკა, შენიშვნა 2).

23. ერთ-ერთი გამოქვაბულის ახლოს სახლს თურმე აშენებდა ვ ა ნ ა ე ლ ო შ ვ ი ლ ი. დაუმთავრებელი ნაგებობა ვანას გაუყიდნია. ეს სახლი რაკი გამოქვაბულთან ახლოს იყო და ვანას ეკუთვნოდა, ამიტომ გამოქვაბულსაც უწოდეს ვ ა ნ ა ს ქ ო ხ ე ბ ი.

24. ზ ა ქ ა რ ი ე ნ ი, რომელთაც ეს სათიბი ეკუთვნოდათ, პატრონიმიული სახელია ფხელშელი ელოშვილების ერთ-ერთი ნაწილისა.

25. ზ ა ლ ი ე ნ ი სტეფანწმინდელი ჩოფიკაშვილების გვარში შემავალი ერთ-ერთი პატრონიმიის სახელწოდებაა. როგორც ჩანს, გორისციხეში მათ ჰქონდათ სახნავი ადგილი, რაც შემდეგ გორისციხელთა ხელში გადავიდა.

26. ზ ე დ ვ ა კ ე არის იგივე გ ო რ ა ჲ (იხ. შენიშვნა 18). ვინაიდან სოფ. ფხელშე ძველად აქ ყოფილა გაშენებული, ამიტომ მას ეწოდება აგრეთვე ძ ვ ე ლ ი ფ ხ ე ლ შ ე, ანუ ზ ე მ ო ფ ხ ე ლ შ ე.

27. იხ. შენიშვნები 18 და 26.

28. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20.

29. თ ა რ ა ნ გ ე ლ ო იგივე თ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი, ანუ მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ა. სალოცავს ამ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე სოფ. ფხელშის ცენტრალურ ადგილას, სადაც მდგარა პატარა ბაზილიკა—

თარანგელო (მთავარანგელოზის სალოცავი) და იქვე ყოფილა ელოშვილების საგვარეულო სასაფლაო.

30. მ ა მ ა წ მ ი ნ დ ი ს სალოცავი ორ ადგილასაა — ერთი შიგ სოფ. გორისციხეში, ხოლო მეორე მთაზე. მთას, სადაც ეს სალოცავი დგას, ეწოდება რ უ ხ ე, რისთვისაც სალოცავსაც ეწოდება რ უ ხ ე ს მ ა მ ა წ მ ი ნ დ ა. მისი მეორე სახელწოდებაა წ ვ ე რ ი ს მ ა მ ა წ მ ი ნ დ ა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის მთის წვერზე მდებარეობს. სალოცავი ადგილისთვის, სადაც ხატია მოწყობილი, ხალხს დაურქმევია ს ა ბ ზ ა ნ ი ს ი (საბრძანისი), ხოლო ხატისთვის კიდევ ერთი სახელიც გაუჩენიათ — უ ძ რ ა ვ ი. ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწვერვალზე მდგარ ხატს ეწოდება თ ა ვ ი მ ა მ ა წ მ ი ნ დ ა, რამდენადაც ის ითვლება მთავარ სალოცავად, ხოლო სოფელში მოწყობილი ხატი მის ნიშად (ფილიალად).

31. როგორც მთხრობლები მიუთითებენ, ამ ადგილას ყოფილა ხელოვნური გამოქვაბული და ნასახლარები.

32. მიუთითებენ ნასახლარების არსებობაზეც.

33. სოფ. გაიბოტენში არსებობს მცირე ზომის ბაზილკა — კ კ რ ი ა, რომელსაც აკრავს მოედანი — ე. წ. კ კ რ ე ს კ ა რ ი. ამ მოედანზე იმართებოდა კკრესძლობა (დღეობა).

კკრეს კარი ეკუთვნოდა ყაზბეგებს. მათ ეს ადგილი მიუციათ თავიანთი მწყემსისთვის — გორისციხელი დავითა იმედას ძე ავსაჯანიშვილისათვის ჯამაგირში („საწყემსოში"). დავითას დაუმუშავებია ორი დღიური სახნავი ნაკვეთი.

მართალია, ეს ნაკვეთი სოფ. გაიბოტენის ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ რაკი მას გორისციხელი დაეპატრონა, ამიტომ დაგვისახელეს მთხრობლებმა ის გორისციხის ტოპონიმიკაში.

34. როგორც სახელწოდებიდანაც აშკარად ჩანს, ეს ნაკვეთი არსებობდა სალოცავ კ კ რ ი კ ე ს სახელზე. ავსაჯანიშვილები მას მორიგეობით ხნავდნენ. რომელი ოჯახიც მოხნავდა, ის გვარს უმასპინძლდებოდა რომელიმე დღეობაზე.

35. ავსაჯანიშვილებს კ კ რ ი კ ე ს სახელზე ჰქონიათ სათიბიც. მისი გათიბვის უფლება ჰქონდა ავსაჯანიშვილების ნებისმიერ ოჯახს, რომელიც გვარს პატივს სცემდა ერთი ბატკნითა და ვედრონახევარი ღვინით.

36. ამ სალოცავში წესად ყოფილა მიღებული კვიცების შეწირვა. მაგრამ ადგილზე ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ როდის სრულდებოდა ეს წესი და რა მიზანს ემსახურებოდა. თაობიდან თაობამდე შემოგვენახა მხოლოდ ცნობა იმის შესახებ, რომ აქ კვიცებს კლავდნენ და სალოცავის სახელწოდებაც ამასთან იყო დაკავშირებული.

37. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

38. ამის შესახებ იხ. შენიშვნა 7.

39. სოფ. ფხელშეში ცხოვრობდნენ კორხიბაშვილები, რომლებიც გადაშენებულან. მათი პატრონიმიული სახელი იყო კ ო რ ხ ი ბ ე ნ ი. ამიტომ მათ ნასახლარებს ეწოდება კ ო რ ხ ი ბ ე თ ჭ ო ხ ი, ხოლო მათ ყოფილ სალოცავს კ ო რ ხ ი ბ ე თ ნ ი შ ი.

40. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

41. კ ო წ ა ხ უ რ ა ძ კაცის ზედმეტი სახელი უნდა ყოფილიყო. მისი ვინაობა გაურკვეველია.

42. კ ო კ ა ძ ყოფილა გორისციხელი, გვარად ავსაჯანიშვილი.

43. ლ ე რ წ მ ი ა ნ ი ეწოდება სოფ. ფხელშის ერთ-ერთ უბანს, სადაც ელოშვილებს დაუსახლებიათ თავიანთი ამანათები—თ უ ზ ა რ ე ნ ი. როგორც მთხრობლებმა გადმოგვცეს, აქ ლერწამი თუ მისი მსგავსი მცენარე თურმე იზრდებოდა, რისთვისაც მას ერქვა ლერწმიანი. მისი მეორე სახელწოდებაა ღ ნ ა რ უ ლ ი.

44. შდრ ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 45.

45. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

46. სოფ. გორისციხეში მცხოვრები ჩქარეულების ერთ-ერთი პატრონიმიაა პ ა პ ე ნ ი. ჩქარეულებს აქ ჰქონიათ საერთო-საგვარო კოშკი (ამის შესახებ იხ. შენიშვნა 86). ამ საერთო-საგვარო კოშკის ახლოს კოშკი ჰქონიათ თავისთვის პაპეთ პატრონიმიასაც. ამიტომ ადგილს, სადაც ეს კოშკი მდგარა, კვლავ პ ა პ ე თ ც ი ხ ე ჰქვია.

47. იხ. შენიშვნა 30.

48. რ უ ე ა ძ (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37) ამჟამად ჩოქცეულია სოფ. გორისციხის დასახლების ფარგლებში. ამ ადგილას მთხრობლებს ახსოვთ ძველ ნასახლართა ნაშთების არსებობა.

49. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

50 შდრ. ტორნისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 6.

51. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

52. მოხევეების განმარტებით, ლ ე ბ ი წარმოადგენს კლდეში, წყლის გამონაყონში შერეულ მოლურჯო-მომწვანო ფერის შაბისმაგვარ ხავსს. ის ედება კლდესა და ქვაზე, შრება მზეზე და მარილივით ეფინება. ხალხის დაკვირვებით ლები მომჟავო-მომლაშო გემოსია. როცორც მონადირეები ამბობენ, ლებს ჭამს (ლოკავს) ცხვარი, თხა და ჯიხვი; მარილის მოთხოვნილებას ჯიხვი ლებით იკმაყოფილებს.

მოხევეები ლებს იყენებდნენ ტყავის დამუშავების პროცესში. მას ახალ ტყავზე აყრიდნენ ზედ გაყოლილი ხორცის მოშორების მიზნით. ხალხურ მედიცინაში ლები მიჩნეულია კბილის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებად.

ადგილს, სადაც ლები მოიპოვება, ეწოდება ს ა ლ ე ბ ე. ეს ტოპონიმი ხევის სხვა სოფლებშიც (გერგეტში, ახალციხესა და ჯუთაში) ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება.

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ლები არის ჭაობიანი ნიადაგების ფენა მოლურჯო ფერისა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი, 1955, გვ. 1506).

53. სალებეში თივა უმზადებიათ და ზამთრობით საქონელი ჰყოლიათ გამოსაკვებად ავსაჯანიშვილების ერთ-ერთ ნაწილს, რომლის პატრონიმიული სახელია ბ ე რ ე ნ ი. მათი ერთი ნაწილი იქ საზამთროდ აშენებულ ქოხებში ცხოვრობდა, ხოლო საქონელს ბოსელში ამყოფებდნენ. ამიტომ იმ ადგილს, სადაც ბერენი ასეთ მეურნეობას ეწეოდნენ. ეწოდება ბ ე რ ე თ ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ ი, ბ ე რ ე თ ნ ა ბ ო ს ლ ა რ ე ბ ი, ანდა ს ა ლ ე ბ ე ს ნ ა ქ ო ხ რ ე ბ ი.

54. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 36; ხურთისის ტოპონიმიკა. შენიშვნა 47.

55. ს ა ტ ვ ი რ თ ო ე ბ ი ეწოდება ძნელად მისადგომ სათიბ ადგილს, საიდანაც თივა ხალხს ზურგით გამოჰქონდა, საიმედო ადგილზე ბულულებად აგებდნენ და მთიდან თრევით ჩამოჰქონდათ. ამ ადგილს ეწოდება აგრეთვე ს ა ფ ო რ ო ქ ო.

56. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

57. შდრ. ყანობის ტოპონომიკა, შენიშვნა 3.

58. ალპური საძოვრების ზოლში შემორჩენილია კედლის ნაშთები, რომელიც ერთ-ერთ წმინდა ადგილად, სალოცავად ითვლება. მთხრობლების მითითებით, მტრიანობისა და ჭირიანობის დროს ეს ცოფილა ერთ-ერთი სახიზნავი, თავშესაფარი. ამდენად, შემორჩენილი ნაკედლარები მძიმე მომენტში დროებით გაკეთებული ნაგებობების ნანგრევებია, რაც შემდეგში წინაპართა მოსაგონარ საკულტო ობიექტად იქცა, როგორც ეს ვიცით ხევის სხვა სოფლების მაგალითზედაც.

59. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

60. ს ო ფ ე ლ შ უ ა დ ეწოდება იმ ტერიტორიას და მასზე გატანილ გზას, რომელიც მოქცეულია თანამედროვე სოფ. ფხელშესა და ფხელშის ძველ ნასოფლარს შორის. ეს ტოპონიმი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ არსებობდა ფხელშის ძველი დასახლება, რომელიც თანამედროვე დასახლების ზემოთ მდებარეობს, ხოლო მათ ერთმანეთისაგან საზღვრავს ეს ადგილი. ამ გზასა და ადგილს მეორენაირად ეწოდება გ უ ტ ე თ ყ ა ნ ა (იხ. შენიშვნა 19).

61. ს ა ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ყ ა ნ ა ერქვა ხატის სახელზე არსებულ ნაკვეთს, რომელიც ეკუთვნოდათ ჩქარეულებს. ამ ნაკვეთს ჩქარეუ-

ლებ კომლობრივ ირიგებდნენ. ის, ვინც ამ ყანით ისარგებლებდა, ვალდებული იყო გვარისთვის საღმრთო გადაეხადა დიდ ხუთშაბათს, რასაც თვით ნაკვეთის სახელწოდებაც მიგვითითებს.

62. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 32.

63. იხ. შენიშვნა 55; შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 38.

64. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

65. სასოფლო ადგილს, რომელიც მთელი სოფლის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და რომლიდანაც სათიბი ნაკვეთი ეძლეოდა ახლად გამოყოფილ უადგილმამულო ოჯახს, ერქვა ს ა ფ ო ნ დ ო.

66. იხ. შენიშვნა 30.

67. ტაფობის აღსანიშნავად ხევში გვხვდება ტ ა ფ ი, ხოლო მრავლობით რიცხვში ტ ა ფ ნ ი ან ტ ა ფ ე ბ ი. ხევის ყველა სოფელში ეს სიტყვა ამ გაგებით იხმარება, ხოლო ზოგან ის ტოპონიმადაც იქცა. თუ ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკაში გვაქვს ტ ა ფ ე ბ ი, ამის შესატყვისად სიონსა და გერგეტში მოწმდება ტ ა ფ ნ ი.

68. აქ ადრე ტყეც ყოფილა. ტოპონიმი ტ ყ ე თ ა ნ ა ც ნიშნავს ტყიან ადგილს. ტყეთანაც აღმნიშვნელია არა ხშირი ტყისა, არამედ ალაგ-ალაგ შეფენილი ტყის თხელი ბუჩქებისა.

69. იხ. შენიშვნა 30.

70. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 42.

71. ორი სოფლის — გორისციხისა და ტყარშეტის შუა მდებარეობს მწვანით შემოსილი კლდოვანი ქედი, რომელსაც ირგვლივ აკრავს სახნავ-სათიბი ადგილები და ტყის ბუჩქი. როგორც ამ ქედს, ისე მის მიდამოებს ეწოდება ქ ე დ უ რ ი. ეს არის სახელწოდება სოფლისა, რომელიც ამ ქედზე იყო დასახლებული. სოფლის ადრინდელ არსებობაზე მიგვითითებს შემორჩენილი ნანგრევები და მიწისქვეშა აკლდამები ზემოდან დახურული ქვის ბრტყელი ფილებით. ნასახლარებისა და ნაკოშკართა კედლები აგებულია. თლილი ქვის მშრალი წყობით.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სოფ. ქედური იხსენიება XV საუკუნით დათარიღებულ გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში. გერგეტელი საყდრისშვილებისათვის გამოყოფილი მძევლების ჩამოთვლისას ქედურიდან დასახელებულია ვინმე ბუღნია (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 272).

72. ეს ადგილი ადრე ქერის სათეს ნაკვეთს წარმოადგენდა.

73. სოფ. გორისციხის პირდაპირ, მწვერვალ ქაბარჯინას ერთ-ერთ ფერდობზე მიუთითებენ დიდი სათალი ქვების გროვაზე, სადაც შემორჩენილია მტრიანობისა და ჭირიანობის დროს მოწყობილ სახიზართა კედლის ნაშთები. დიდი ქვების არსებობის გამო ამ ადგილს შერქმევია ქ ვ ა დ ი დ ნ ი.

74. კ უ ნ წ უ ხ ა ძ ნიშნავს კლდის ქიმს. ასეთივე ტოპონიმი გვხვდება სოფ. გერგეტში: კ უ ნ წ უ ხ ა ძ — იმ სათიბის აღსანიშნავად, რომელიც მდებარეობს კლდის წვერის ახლოს, ხოლო მ ა რ ი შ ო ვ ა ნ ი ს კ უ ნ წ უ ხ ი საკუთრივ ერთ-ერთი კლდის სახელწოდებად.

75. ქ უ რ უ ხ ა ძ რქმევია მეცხვარის ძაღლს. მთაში წყალმოწყურებულ ჭურჭას უპოვნია წყარო, რომლის არსებობა მანამდე არ სცოდნიათ. ამის შემდეგ როგორც წყაროსთვის, ისე მისი მიდამოების ოვის დაურქმევიათ ქ უ რ უ ხ ა ნ ი.

76. ეს სახელწოდება გვხვდება სოფ. ხურთისის ტოპონიმიკაშიც (იხ. შენიშვნა 49). ამ ტოპონიმის შესახებ სოფ. გორისციხეშიც ხურთისის ანალოგიური გადმოცემა დავამოწმეთ. როგორც ჩანს, ხურთისის ტერიტორიაზე მდებარე ეს სახნავი ნაკვეთი ადრე გორისციხისა იყო და ამიტომ მოხვდა როგორც ხურთისის, ისე გორისციხის ტოპონიმიკაში.

77. ქ ე ა კ ა ც ა ძ ეწოდება შვეულად დაყუდებულ მაღალ ქვას ან კლდის წვეტს. ამ შემთხვევაში სათიბი ადგილის სახელწოდებას საფუძვლად დაედო ასეთი ქვაკაცას არსებობა.

78. სოფ. გორისციხის ტერიტორიაზე ოთხი დღიური სახნავი ადგილი სჭერიათ ფხელშელ ელოშვილებს. ელოშვილებს შემოჰკვდომიათ ქოსლელი კაცი (სოფ. ქოსელში მცხოვრები ფიცხელაური). ქოსლელთათვის სისხლის საურავში ელოშვილებს მიუციათ ეს ადგილი. შემდეგ ქოსლელებს ის მიუყიდიათ გორისციხელი ავსაჯანიშვილებისათვის. ქოსლელების ნაქონ ადგილს უწოდეს ქ ო ს ლ ე ლ თ ე უ ლ ი.

79. ღ ნ ა რ უ ლ ს მეორენაირად ეწოდება ლ ე რ წ მ ი ა ნ ი (იხ. შენიშვნა 43).

80. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

81. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 46.

82. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 2.

83. ხევში შ უ კ უ ნ ა ძ ეწოდება სარკმელს. რა კავშირშია ის სახნავ ადგილთან, ეს ჩვენთვის გაუგებარია.

84. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 48.

85. ხალხის დაკვირვებით, სოფ. გორისციხის ვეძას (მყავე წყალს) რამდენი ჩიტიც სასმელად დასწაფებია, იმდენი შიგ ჩავარდნილა გოვირდის მკვეთრი სუნისაგან გაბრუებული და ჩამხრჩვალა. ამიტომ როგორც ამ წყალს, ისე მის ახლო მდებარე სახნავ ადგილს შეარქვეს ჩ ი ტ ი ს ს ა ხ რ ჩ ო ბ ე ლ ა ძ.

86. სოფ. გორისციხეში, ერთ-ერთ შემაღლებულ, ოთხივე მხრიდან ძნელად მისადგომ კლდეზე დგას ოთხკუთხა კოშკის ქვედა სარ-

ფულის კედლები. ამჟამად ის წარმოადგენს მამაწმინდის ხატს (ამის შესახებ იხ. შენიშვნა 30). იმის შემდეგ, რაც მან დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია როგორც თავდაცვითმა ნაგებობამ, ის გადაიქცა სალოცავად. წარსულში ეს კოშკი ჩქარეულების საგვარეულოს ეკუთვნოდა, რაც კარგად ჩანს მის სახელწოდებაში.

87. ჭაბარჯინას ერთ-ერთ კონცხს ეწოდება ძიბალაჲ ანუ ძიბალაჲს წვერი, ხოლო მის ქვემოთ შემორჩენილ ნასახლარებსა და ამ კონცხის მიდამოსაც ჰქვია ძიბალაჲ. როგორც მთხრობლებმა განმარტეს, ძიბალაჲ კაცის სახელია, რომელსაც აქ უცხოვრია და ჩისი ადგილ-სამყოფელისთვისაც მისივე სახელი შეურქმევიათ.

88. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

89. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

90. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

91. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

92. იხ. შენიშვნა 30.

93. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

94. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

95. ხავაჲ ნიშნავს რბილ, ხავსიან ადგილს.

96. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

97. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

98. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

99 იგივე ჩიტის საბრჩობელაჲ (იხ. შენიშვნა 85).

100. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

101. მოხეურად კვესკვესი ნიშნავს დუღილს. როგორც მთხრობლები განმარტავენ, ამ ადგილას წყალი კვესკვესებს (ამოდუღს), რის გამო სათიბსაც შეარქვეს კვესკვესანი.

102. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

## ტორნისა

1. ტორნისა ერთ-ერთი პატარა სოფელია ხევში, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე. პირველად აქ სოფ. გორისციხიდან გადმოსახლებულა სოსია ავსაჯანიშვილი, რომლის შთამომავლობა ჯერჯერობით ცხოლოდ ხუთ თაობას ითვლის. ავსაჯანიშვილებს უყიდიათ აზნაურ ყაზბეგებისა და სიონელი კვირიშვილების კუთვნილი მამულები, რაც ამ სოფლის ტოპონიმიკიდანაც აშკარად ჩანს (იხ. ქვემოთ შენიშვნები 10 და 13).

2. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 16.

3. როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს, აქ შემონახულია სამქანაშვილების წინაპართა ნასახლარები. კავთისხევიდან მოსული სამქანაშვილების წინაპარი თავდაპირველად აქ დამკვიდრებულა. ამჟამად ისინი ცხოვრობენ სოფ. ფანშეტში.

4. გ ო თ ი ე ნ ი გვარად წიკლაურები არიან და სოფ. სიონში ცხოვრობენ. ისინი გადმოსახლებულან ხევის სოფ. ცდოდან. ტოპონიმი გ ო თ ი ე თ ე უ ლ ი იმის მაჩვენებელია, რომ ეს ადგილი ადრე გოთიეთი იყო, ხოლო შემდეგ ტორნისელთა ხელში გადაიცა.

5. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20.

6. ავსაჯანიშვილების ერთ-ერთი პატრონიმიის სახელია დ ა თ უ რ ე ნ ი. დათურეთ რამდენიმე ოჯახს ჰქონია გაუყოფელი სახნავი ადგილი, რომელსაც ყოველ წელს საბლით ზომავდნენ, ოჯახებზე თანაბარ ნაკვეთებად ყოფდნენ და ცალ-ცალკე ხნავდნენ. პატრონიმულ საკუთრებაში არსებული ადგილის ამგვარი წესით მოხმარებასთან დაკავშირებით გაჩნდა ტოპონიმიკაში ზემოხსენებული სახელწოდება. ასეთივე შინაარსისა უნდა იყოს ფხელშე-გორისციხეში დამოწმებული ტოპონიმი — ს ა ზ ო მ ი.

7. საძოვარ ადგილს ეს სახელი შეარქვეს მის ტერიტორიაზე ვეძას (შავი წყლის) არსებობის გამო. გადმოცემის მიხედვით აქ ძველად ტყეც ყოფილა.

8. ვ ა შ კ ა ც ე ნ ი სახელწოდებაა ელოშვილების გვარის ერთ-ერთი პატრონიმიისა, რომელთაც ეკუთვნოდათ ტყის ბუჩქი.

9. კ ა ვ თ ი ჰქვია სოფ. ტორნისის აღმოსავლეთით მდებარე ფერდობს, სადაც შემონახულია სამქანაშვილების წინაპართა ნასახლარები (იხ. შენიშვნა 3), სალოცავები (კავთის წმინდა გიორგი და კავთის საბაზანისი, რაც აისახა ტორნისის ტოპონიმიკაში) და ბუნებრივი გამოქვაბულები — ე. წ. კ ა ვ თ ი ს ქ ო ხ ე ბ ი. მთხრობლები მიუთითებენ, თითქოს ეს გამოქვაბულები ხელოვნურად იყოს გამოკვეთილი, მაგრამ მათ ხელოვნურობისა არაფერი ეტყობათ. ისინი შექმნილია ქანების ბუნებრივი დაშლისა და გამოფიტვის შედეგად. ამაზე, პირველ რიგში, მიგვითითებს კლდისა და მაგარი ქანების უსწორმასწორო „დერეფნები". სარწმუნოდ მიგვაჩნია მთხრობლების ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ქოხებს (გამოქვაბულებს) იყენებდნენ სახიზნავად მტრიანობისა და ჭირიანობის დროს.

10. ეს ადგილი ავსაჯანიშვილებს უყიდიათ სიონელი კვირჭიშვილებისაგან, რომელთა პატრონიმიის სახელი იყო კ ვ ი რ ჭ ი ე ნ ი.

11. ტორნისაში დღემდე შემონახულია ისეთივე დანიშნულების ნაგებობა, როგორიც სოფ. ყანობის პირდაპირ (შდრ. ყანობის ტოპო-

ნიშნავს, შენიშვნა 32) და ამ ფუნდუკსაც საბარგე ერქვა.

12. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 36; ხურთისის ტოპონიმიკა. შენიშვნა 47.

13. ყაზბეგიანთეული ეწოდება ყაზბეგისაგან შეძენილ ბაღს.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 48.

15. ამ შემთხვევაშიც ადგილის სახელწოდებას საფუძვლად დაედო ქანების ფერი (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54). თუ წითელნი ეწოდება საძოვარ ადგილს წითელი ფერის ქვა-ქვიშის გამო, წითელთ კლდე ჰქვია გამოქვაბულს სიონის ტყის უკან, სადაც თურმე იხიზნებოდნენ ქოლერის დროს. გამოქვაბულს ორი კარი ჰქონია — ერთი შესასვლელი და მეორე გამოსასვლელი. მისი ფართობი შეიცავს დაახლოებით 20 კვადრატულ მეტრს.

## ტყარშეტი

1. სოფ. ტყარშეტი დასახლებულია მდ. თერგის მარცხნივ მდებარე პლატოზე, რომელიც საგრძნობი დაფერდება-დახრილობით ხასიათდება. ტყარშეტი პირდაპირ გაჰყურებს სოფ. სიონს და მასზე გამავალ საქართველოს სამხედრო გზას. XV ს. საბუთში ტყარშეტი იხსენიება გორისციხესთან, ქედურთან, სიონთან და ხევის სხვა სოფლებთან ერთად (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 272). ეს მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ სოფ. ტყარშეტი ერთ-ერთი ძველი დასახლებაა. საყურადღებოა, ისიც, რომ სოფ. ქედური ტყარშეტთან და გორისციხესთან ერთად სოფლადაა ხსენებული. მაშასადამე, ქედური არ წარმოადგენდა არც გორისციხელთა და არც ტყარშეტელთა პირველსაცხოვრისს და თითოეული მათგანი იყო დამოუკიდებლად არსებული სოფელი.

2. შდ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

3. მაისურაძეების ერთ-ერთი პატრონიმიის სახელწოდებაა ბუსურნი. მათ ძველ უბანში მდგარა კოშკი, რის გამო ნაკოშკარ ადგილს დღემდე ეძახიან ბუსურთ ციხეს.

4. დორიჩენი გორისციხელი ჩქარეულების ერთ-ერთი პატრონიმიის სახელია, რომელთა ყოფილ ადგილს ტყარშეტის ტერიტორიაზე შემორჩა აღნიშნული სახელწოდება.

5. ზევით ტყარშეტი ეწოდება თანამედროვე სოფლის ზემოთ, კონცხზე შემორჩენილ ნაგებობებს, რომელთაგან აღსანიშნავია პატარა ეკლესიის, ხალხის საკრებულო სახლისა და საცხოვრებლების ნაშთები.

6. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

7. თამარის ვინაობა გაურკვეველია.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

9. კვირეცხოველის სხვა სახელებიდან აღსანიშნავია აგრეთვე კვირეხთიშვილი და კვირეთანგელოზი.

10. კაჩაჲ ნიშნავს წვივის ძვალს. თავისი ფორმით ამ ადგილს უდარებენ კაჩას (ძვალს) მოგრძო და შუაში მოვიწროებული მოყვანილობის გამო. მიუთითებენ აქ ნასახლარების არსებობაზე.

11. მიხეილის ვინაობა გაურკვეველია.

12. მთხრობლები აღნიშნავენ, რომ ამ ადგილას შემორჩენილია ნასახლარები, რასაც მაღაროს ნასახლარებს უწოდებენ, მაგრამ რატომ ჰქვია ხსენებულ ადგილს მაღარო, ამაზე განმარტებას ვერ იძლევიან.

13. ტყარშეტლები ლოცულობდნენ იმავე ხატში, რომელშიაც დაღიოდნენ გორისციხლები და ფხელშლები. თავი მამაწმინდა ანუ წვერის მამაწმინდა (იხ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 30) სამივე ამ სოფლის საერთო სალოცავი იყო. როგორც ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკიდან (შენიშვნა 30) ვიცით, სოფ. გორისციხეში არსებობდა ამ სალოცავის „ფილიალი“. მამაწმინდის სალოცავის ნიში არსებობს ტყარშეტშიც.

14. მოხეური დიალექტით მიწრო ნიშნავს ვიწროს. ტოპონიმი მიწროთის ჰირაჲ აღმნიშვნელია ვიწრო ადგილის ნაპირისა.

15. ეს სახელწოდება აღმნიშვნელია ისეთი ადგილისა, სადაც იცის ნიაღვარი (მოხეურად ნიაღორი), ღვარცოფი.

16. ტოპონიმი ნასისხლი აღმნიშვნელია ან იმისი, რომ ამ ადგილას სისხლი დაიღვარა, ანდა იმისი, რომ მიწის ეს ნაკვეთი გაღებულ იქნა სისხლის საურავში. ტყარშეტელი მთხრობლებიც ვარაუდობენ, რომ ადგილის ეს სახელწოდება ერთ-ერთი ამ მოვლენის ამსახველი უნდა იყოს, მაგრამ კონკრეტულად არ შეუძლიათ მიგვითითონ, რასთან დაკავშირებით წარმოიქმნა ეს სახელწოდება და ამ ვარიანტთაგან რომელია უფრო სარწმუნო.

17. ამ სათიბს რწყავდნენ ორი მხრიდან ორ ტოტად მომდინარე წყლით, რასთანაც არის დაკავშირებული მისი სახელწოდება.

18. ფსიტის (არჩვის) სამყოფ ადგილს ეწოდება საფსიტე. ასეთი მნიშვნელობით გვხვდება ეს ტოპონიმი სოფ. გაიბოტენშიც.

19. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 32.

20. საჯღნე ჰქვია საქალამნე ტყავს, ხოლო ჯღანი შინ შეკერილ ქალამანს. გადატანით ჯღანი ნიშნავს დაძველებულ ნივთს, და-

ბერებულ-დაჩაჩანაკებულ ადამიანს და ა. შ. სათიბისადმი ამ სახელის შერქმევის მიზეზი გაურკვეველია. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ის ოდესღაც ვიღაცის მიერ საჯღნეთი იყოს შეძენილი და ძველი სახელწოდებაც აქედან მომდინარეობდეს. ისევე, როგორც სოფ. სურთისში ღორის ლორზე გაყიდულ ნაკვეთს შეარქვეს ღ ო რ თ ა ყ ა ნ ა ძ ანუ ღ ო რ ნ ი (შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 51), სოფ. სიონში სოფლის მიერ სისაურებისაგან ნაყიდ ადგილს უწოდეს ღ ო რ ნ ი (შდრ. სიონის ტოპონიმიკა, შენიშვნა 24) და ა. შ.

21. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

22. ფ ა ჯ ი ე ნ ი პატრონიმიული სახელია სიონელი ფაჯიშვილებისა, რომელთაც ეს ნაკვეთი ადრე ეკუთვნოდათ.

23. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

24. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 42.

25. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 71.

26. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

27. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

28. ეს ადგილი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ შემონახულია ნაკოშკარი და ნასახლარები.

29. წ ი ნ ტ ყ ა რ შ ე ტ ი ეწოდება თანამედროვე სოფ. ტყარშეტს. ამასთან მიმართებაში უკან ტყარშეტად საგულვებელია სოფლის ძველი ადგილსამყოფელი.

30. მაისურაძეების ერთ-ერთი პატრონიმია იყო ჭ ყ ი რ ე ნ ი, რომელთაც ეკუთვნოდათ ეს ნაკვეთი.

31. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

32. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

33. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

## ს ი ო ნ ი

1. სიონი ხევის ულამაზესი სოფელია. მისი ტყე ხევის ნამდვილი მშვენებაა. სოფელი დასახლებულია გაშლილად, დიდ ტერიტორიაზე. საქართველოს სამხედრო გზა სოფელზე გადის. სიონს სოფ. გარბნისაგან ჰყოფს მხოლოდ მდ. ტ ე რ ხ ე ნ ა, რომელიც სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე მოედინება. ამ მდინარის ერთი ტოტი სოფელს შუაში ჩამოუვლის.

სიონის ეს მდებარეობა ახალი დასახლების შედეგია. ძველად სოფელი მდებარეობდა ქედზე, სადაც ამჟამად ორიოდე კომლიღა ცხოვრობს. აქედან ახალ სიონს გადმოჰყურებენ ხევის ისტორიული ძევ-

ლები — IX—X სს. გალავანშემოვლებული სამნავიანი ბაზილიკა და გვიანფეოდალური ხანის კოშკი.

2. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ ა რ ო ვ ა ნ ი ნიშნავს ისეთ ადგილს, სადაც გავრცელებულია ნარი (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29), მაგრამ გაუგებარია რატომ უწოდებენ ნაროვანის ერთ ადგილს ახალს, ხოლო მეორეს ძველს.

3. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 6.

4. ბ უ ც ე ნ ი, რომელთაც ეს წყარო ეკუთვნოდათ, სახელწოდებაა სიონელი ღუდუშაურების (ყარაჯეთი) პატრონიმიის ერთ-ერთი მიკრო-პატრონიმიისა. მათი ეპონიმი ყოფილა ბ უ ც ა ძ. ეს არის ზედმეტი სახელი, რომელიც გამოხატავს პიროვნების თვისებას. როგორც მთხრობლები განმარტავენ, მას იმიტომ შეარქვეს ბუცაძ, რომ ჩხუბის დროს უმალვე დატაკება (დაბუცება, ბუცება) სცოდნია.

ყარაჯეთ პატრონიმიის მეორე მიკროპატრონიმიას ეწოდება ბ უ ტ ე ნ ი. მთხრობლების გადმოცემით, ამ პატრონიმიის ეპონიმის სახელიც — ბ უ ტ ა ძ პიროვნების ზედმეტი სახელია. ის ბუტია ყოფილა და ამ თვისების გამო მისთვის ეს სახელი შეურქმევიათ.

5. გ ა ღ მ ა  ს ი ვ ა ნ ი ეწოდება სოფლის იმ ნაწილს, რომელიც გაშენებულია მდ. ტერხენას ტოტის მარცხენა მხარეს, ტყის მისადგომებთან.

6. გ ო თ ი ე ნ ი, რომელთაც ეს სათიბი ეკუთვნოდათ, პატრონიმიული სახელია სოფ. ცდოდან სიონში გადმოსახლებული წიკლაურებისა.

7. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 13.

8. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20.

9. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 14.

10. ვ ა ლ დ ა ხ ი ეწოდება მზეზე სანახევროდ გამომშრალი გრძელღერიანი ბალახებისაგან დაგრეხილ საბელს, რომლითაც კონავენ და სათარზე (სათარი — არყის წნული, რომელზედაც აგებენ თივის ზვინს და რომლითაც ათრევენ მთიდან) ამაგრებენ თივის ზვინს. შესაძლებელია ამ სახნავი ნაკვეთის მიდამოებში სავალდახე ბალახი იზრდებოდა და იმიტომ ჰქვია ამ ადგილს ვ ა ლ დ ა ხ უ რ ი.

11. ვ ა ც ს ა წ ვ ა ლ ი სიტყვასიტყვით ნიშნავს ვაცის (მამალი თხის) საწოლ ადგილს. ხალხს შეუმჩნევია, რომ ამ ადგილას ვაცები მართლაც წვებოდნენ და ისვენებდნენ.

12. ზ ე მ გ ო რ ი ნიშნავს ზემო გორს, სოფლის თავში მდებარე ბორცვს სიონის ეკლესიის ახლოს, სადაც გვერდიგვერდ არის ორი მოზრდილი გამოქვაბული. გამოქვაბულს კი, როგორც ვიცით, მოხევეები ეძახიან ქოხს.

13. როდესაც სოფ. სიონი ქედზე იყო დასახლებული, ეს ადგილი იხვნებოდა. ამჟამად სიონის მოსახლეობის თითქმის ნახევარი კალოვანის ტერიტორიაზეა დამკვიდრებული. იხვნება აქედან მხოლოდ ზოგიერთი სახლის წინ შემოღობილი საკარტოფილე ნაკვეთი. „კალოვანის“ მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ხევის სხვა სოფლებშიც (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25).

14. იხ. შენიშვნა 4; შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29.

15. ნანა ყოფილა ღუდუშაური (ყარაჯეთი). მას კაცი შემოჰკვდომია და მთაში იმალებოდა. იქვე აუშენებია წყაროც, რომლისთვისაც ნანას სახელი შეურქმევიათ.

16. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

17. მწვერვალ ქაბარჯინას სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებობს რამდენიმე ბუნებრივი გამოქვაბული, სადაც თურმე ხალხი იხიზნებოდა მტრიანობისა და ჭირიანობის დროს.

18. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

19. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

20. ხევში სრევალი ეწოდება მზეზე გაშრობის მიზნით ბრეზენტზე თხლად გაფენილ პურეულს, რომელიც წისქვილში უნდა წიაღონ. რატომ ეწოდება სახნავ ნაკვეთს სასრევლიაჲ, ეს ადგილზე ვერ გავარკვიეთ. შესაძლებელია ამ ადგილზე მარცვლეულს ახმობდნენ და ადგილის სახელიც ამასთან იყოს დაკავშირებული.

21. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

22. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 67.

23. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 42.

24. ეს ადრე ყოფილა სისაურების სათიბი, რომელიც შემდეგ სოფლისთვის მიუყიდიათ ღორის გვერდზე (ლორზე) და სახელწოდება ღორნი ამიტომ მიუღია. სოფელს ეს ადგილი გაუსაძოვრებია ანალოგიური ვითარება მოწმდება სხვა სოფლებშიც (შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 51).

25. მთის ღოლო (Rumex alpinus) წარმოადგენს მაღალღეროიან, პრტყელფოთლიან, მჟავე გემოს მქონე მცენარეს, რომელსაც მოხვევები საშველადაც იყენებენ (იშვიათ მისი ღეროც). სადაც ეს მცენარეა მოდებული, იმ ადგილს ეწოდება ღოლოიანი. ანალოგიური ვითარება მოწმდება სოფ. ახალციხის ტოპონიმიკაშიც.

26. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

27. ყარაჯენი პატრონიმიული სახელია სიონელი ღუდუშაურებისა.

28. ეს ადგილი სისაურებისაგან უყიდიათ სეთურიძეებს. მის საცხასურში მიუციათ მხრებზე წამოსასხამი შავი ნაბადი, რისთვისაც ადგილს მიუღია შესაბამისი სახელწოდება.

29. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 46.

30. სიონის ეკლესიის უკან, ტყით შემოსილ ბორცვზე თურმე ხდებოდა სოფლის შეკრება მწყემსების დაყენების, მეველეების ამორჩევის და სხვა საერთო საქმის გადაწყვეტის მიზნით. აქვე იკრიბებოდნენ ახალგაზრდები დღეობაზე გამართული ღრეობის შემდეგაც. მთვრალებს ხშირად აუტეხიათ შარი და აყალმაყალი, რისთვისაც ამ ბორცვისთვის შეურქმევიათ შარის გორაჲ.

31. ხალხური გადმოცემით, ამ ადგილას მოხდა ალ. ყაზბეგის რომანის — „ხევისბერი გოჩას“ გმირების—შეყვარებული ახალგაზრდების საბედისწერო შეხვედრა, რამაც გამოიწვია მესანგრეთა მარცხი და შეყვარებულთა ტრაგიკული დაღუპვა. „ხევისბერი გოჩას“ ხალხური ვარიანტების მიხედვით, ტოპონიმი ჩაძინებული უშუალო კავშირშია თავდაყრუებას მიცემულ მიჯნურთა ტკბილად ჩაძინებასთან (იხ. ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. II, თბილისი, 1948, შენიშვნები, გვ. 518-522).

32. იხ. შენიშვნა 2.

33. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

34. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

35. ჯორთკალო ანუ ჯვართკალო ეწოდება მოედანს სიონის ეკლესიის კარების წინ, სადაც ჩამწკრივებულია ხელოვნურად გამოთლილი ქვის სკამები, განკუთვნილი სათათბიროდ შეკრებილი თემის ბჭეებისათვის (ჯორთან//ჯვართან დაკავშირებული ტოპონიმების შესახებ იხ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18).

გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამ ადგილს თავდაპირველად რქმეოდა ჯართანუ საჯარეკალო, სადაც მართლაც ჯარის (ხალხის) შეყრა, ბჭეების საჯარო სხდომა ეწყობოდა და სათანადო გადაწყვეტილების გამოტანა ხდებოდა./

36. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56.

## გარბანი

1. სოფ. გარბანი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე. სოფლის მარცხენა (დასავლეთ) მხარეზე მისგან საკმაოდ შორს მიედინება მდ. თერგი.

როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, წარსულში ის ხევის ერთ-ერთი დიდი სოფელი ყოფილა. ამის დამამტკიცებელია მის ზემოთ არსებული ტერასები ნამარხი ნასახლარებით. შემთხვევითი არ არის ის,

რომ ამ ნამოსახლარ ტერიტორიას ძ ვ ე ლ გ ა რ ბ ა ნ ა დ ეწოდება. შემდეგ სოფელი მეწყერს და ზვავს დაუნგრევია, მოსახლეობა აყრილა და დასახლებულა მდ. თერგის პირას, სადაც შემორჩენილია ნასახლარები და კოშკის ნანგრევები. ამ ნამოსახლარს ეწოდება ქ ვ ე მ ო  ს ო ფ ე ლ ი. რაც მართლაც ქვემოთ არის როგორც ძველ გარბანასთან, ისე თანამედროვე გარბანთან შედარებით.

გარბანში შემონახულია IX—X სს. ეკლესიის კედლები (ამ ძეგლის შესახებ დაწვრ. იხ. ვ. დოლიძე, გარბანი, თბილისი, 1958).

2. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 4.

3. გიორგობის დღესასწაული ყველაზე დიდი ზეიმით ტარდებოდა სოფ. გარბანში, გარბნის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა და ს. წ. თ ა ვ ი  გ ი ვ ა რ გ ო ბ ა მის მოედანზე იმართებოდა. გიორგობის ამ ცენტრალურ სალოცავს უწოდეს ბ ე ბ ე რ ი  წ მ ი ნ დ ა  გ ი ვ ა რ გ ი. ე. ი. მთავარი (უფროსი) წმინდა გიორგი.

4. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

6. ეს სალოცავი მოწყობილია ნაკოშკარზე. კოშკის ნანგრევის სალოცავად გადაქცევა მერმინდელი ამბავია. გარბანში, ისევე როგორც სხვა სოფლებში, ეს მოხდა კოშკის თავდაპირველი ფუნქციის დაკარგვასთან დაკავშირებით.

7. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

8. ო რ ტ უ ე  შ უ ა დ. იგივეა, რაც ო რ  ხ ე ს  შ უ ა-დ, რამდენადაც სევში ერთ ხესაც ტყე ეწოდება.

9. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

10. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

11. ს ე მ ღ ი ს ა ს  მეორენაირად ეწოდება წ ვ ე რ ი ს  წ მ ი ნ დ ა  გ ი ვ ა რ გ ი.

12. ტატი გუჯარაიძის ნაქონ ადგილს ტ ა ტ ი ს ე ულ ი ეწოდება.

13. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 41.

14. იხ. შენიშვნა 1.

15. ამ ადგილზე გაშენებულია გელაძეების ერთ-ერთი პატრონიმიის ბეჟუეთ (ბ ე ჟ უ ე ნ ი) უბანი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ბეჟუეთ მეორე სახელია ყ უ ჭ ყ ა ნ ი, რაც შემდეგი მიზეზით აიხსნება. ბეჟია იყო ბეჟუეთ ეპონიმი, ამ ერთეულის წინაპარი. მის სახელს თურმე ვერ ამბობდნენ რძლები, ვინაიდან, ძველი ჩვეულების მიხედვით, რძლებს უფროსი მამაკაცების სახელის ხმამაღლა წარმოთქმა არ შეეძლოთ. ბეჟიას სახელი რომ არ ეთქვათ, ამიტომ შემდეგში ვერც პატრონიმიის სახელის (ბეჟუენი) თქმა გაუბედნიათ. სხვა გამოსავალი რომ

ვერ ნახეს, თავიანთი ოჯახისა და პატრონიმიისათვის რძლებს უწოდებიათ სამოსახლო ადგილის სახელი. ამის ნიადაგზე ტოპონიმიკური სახელი ონომასტიკურ სახელად იქცა.

16. ეს სახნავი ადგილები ხატისთვის შეუწირავთ ცალკეულ პირებს თავისი სულის მოსახსენიებლად. ხევში არსებული წესის თანახმად, ამ ადგილებს სოფელი ამუშავებდა. ყოველ წელს ერთი ან ორი მორიგე მასპინძელი აქედან მიღებული შემოსავლის ხარჯზე სოფელს საღმრთოს უმართავდა რომელიმე დღეობაზე და მამულის შემწირველის შესანდობარს პირველ რიგში სვამდნენ. ამიტომ შეარქვეს ამ ნაკვეთებს შ ა შ ა ნ დ ო ბ რ ე ბ ი (შესანდობრები).

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

18. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

19. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 50.

20. იხ. შენიშვნა 1.

21. ამ სალოცავს ეწოდება ს ე მ ღ ი ს ა ჲ.

22. მთხრობლების განმარტებით ტოპონიმი წ ი ნ ე კ ა ლ ი თითქოს იმას ნიშნავს, რომ აქ წინათ ეკალი იყო. უფრო მეტად კი საფიქრებელია აღნიშნული ტოპონიმი მიგვითითებდეს იმაზე, რომ ეკალი ყოფილიყო სახნავი ადგილის წინა მხარეს. ე. ი. წინეკალის თავსართი „წინ“ აღმნიშვნელი ჩანს მდებარეობისა და არა ეპოქისა.

23. შდრ. ყანობს ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

24. ამ ადგილს, სადაც ძველად ტყე ყოფილა, მეორენაირად ეწოდება წ ყ ა ლ შ უ ა ჲ.

25. იხ. გაიბოტენის ტოპონიმიკა, შენიშვნა 19.

26. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

27. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## გ ა ი ბ ო ტ ე ნ ი

1. გაიბოტენი პატარა სოფელია და დასახლებულია მდ. თერგის ბარცხენა ნაპირზე, კლდოვან კონცხზე. სიძველეებიდან აქ შემორჩენილია სალოცავად გადაქეთებული ნაკოშკარი და მცირე ზომის ბაზილიკა. გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში (XV ს.) სოფ. გაიბოტენიდან საყდრისშვილთა მძევლად დასახელებულია ვინმე ე კ ა ლ ა უ რ ი (ქ. შარაშიძე, გვ. 272). როგორც ჩანს, ეკალაური იყო გვარი. ამ გვარის შესახებ ცნობები არ შემონახულა არც წერილობითი და არც ზეპირი.

2. როგორც მთხრობლებმა გვაცნობეს, სოფ. გაიბოტენის თავში, კლდეში, სადაც ანდეზიტის ქვას ამუშავებენ, ყოფილა დიდი გამოქვაბული. ეს თურმე წარმოადგენდა კლდეში გატანილი გვირაბის სათავეს,

გვირაბისა, რომელიც აქედან სოფ. თოთში ადიოდა. თოთი მდებარეობს სოფ. გაიბოტენის ზემოთ ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე, სულ ცოტა 200 მეტრით მაღლა. გვირაბის თავში რომ კატას შევაგდებდითო, აღნიშნეს მთხრობლებმა, თოთში ამოჰყოფდაო თავს. ამ გვირაბის ზემოთ ბუნებრივად დაკიბული კლდეც ყოფილა, რომლის მეშვეობით გაიპოტენიდან თოთში ასვლა მოკლე გზით ხდებოდა. ქვაბის გამოკვეთას და გვირაბის გაყვანას ხალხური გადმოცემა დევს მიაწერს, რაც მის სახელწოდებაშიც აისახა.

3. გივი ხულელიძეს გამოქვაბულის ერთ მხარეზე ქვის კედელი აუშენებია და მთაში. საზაფხულო საძოვარზე მყოფი ცხვარ-ძროხის საწველი მოუწყვია. ვინაიდან გამოქვაბულს მოხეურად ქოხი ეწოდება, გივი ხულელიძის მიერ საწველად გამოყენებულსა და მის მიერვე ამოკედლილ გამოქვაბულს შეარქვეს გ ი ვ ი ს ქ ო ხ ი. გივი კარგად ახსოვთ ვანო იოსების ძე ხულელიძეს (დაბად. 1899 წ.) და ანდრო იორდანეს ძე ხულელიძეს (დაბად. 1903 წ.).

4. ეკლესიის (პატარა ერთნავიანი ბაზილიკის) ახლო მდებარე ნაკვეთს ეწოდება ე კ ლ ე ს ი ა ჯ.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20.

6. აქ შემონახულია ხულელიძეების ნამოსახლარი და აკლდამები.

7. გაიბოტენი დგას კერკნის (მოყვითალო ფერის ქვა) კლდეზე. აქ და მის მიდამოებში მოიპოვება გვარჯილა, რომლისგანაც ამზადებდნენ თოფის წამალს და კირს. იმ კლდესა და გამოქვაბულში, სადაც გვარჯილა წვეთ-წვეთად ჟონავს და შემდეგ მზეზე მარილივით შრება, ეწოდება ნ ა წ ვ ე თ ქ ო ხ ი.

8. სათიბი ადგილი გაიბოტენის მთაში, რომელსაც პ ა პ ი ა ნ თ ე ბ ი ეწოდება, ეკუთვნოდა ხულელიძეებს. მთხრობლების ცნობით, პაპიანნი შეადგენდნენ ხულელიძეების ერთ-ერთ განაყრობას (პატრონიმიას), რომლის სახელწოდება წარმოქმნილია მათი ეპონიმის — პაპი ან პაპა ხულელიძის საკუთარი სახელიდან.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ პიროვნების შთამომავალთაგან ხულელიძეების გვარიდან რამდენიმე კაცია დასახელებული წერილობით წყაროებშიც. 1774 წლის სტატისტიკურ აღწერილობაში სოფ. გაიბოტენიდან გვხვდებიან ჯერ ხულელიძე პაპისშვილი თაგო, ზაზა, ივანე, პატარა და პაპუა, ხოლო შემდეგ ხულელიძე პაპისშვილი ისე და ღურმი (იხ. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა ჩეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1907, გვ. 422). იმავე წლის მორიგე ჯარის სიაშიც ჩამოთვლილია: ხულელიძე პაპოშვილი იესე, ხულელიძე პაპიაშვილი ზაზა, ხულელიძე პაპიშვილი

თაგო, ხულელიძე პაპიშვილი ივანე, ხულელიძე პაპიშვილი პაპუა, პაპიაშვილი ღურუმი (ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", ტ. XIV—B, თბილისი, 1947, გვ. 322).

როგორც ვხედავთ, აღწერილობაში შევიდა ჯერ გვარის სახელწოდება (ხულელიძე), ხოლო შემდეგ პიროვნების უახლოესი წინაპრის (მამის ან პაპის) სახელი, რომლითაც შემდეგში აღინიშნებოდა უახლოეს ნათესავთა გაერთიანების (პატრონიმიის) სახელწოდება. დოკუმენტებში ხსენებული პაპისშვილი, პაპოშვილი, პაპიაშვილი თუ პაპიშვილი (ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი სახელწოდების განსხვავებულად მოხსენიება ჩამწერთა დაუდევრობით აიხსნება) თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით იგივეა, რაც ხალხში ცნობილი პაპიანნი.

დროთა ვითარებაში პატრონიმიის ეს სახელწოდება დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი დაიკავა ახალმა სახელწოდებამ. როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს და როგორც ეს ზემოთ დამოწმებული საბუთებიდანაც დავინახეთ, პაპიანთ მამიშვილობის ერთ-ერთ წევრს ერქვა ი ა გ ო. შემდეგში ამ ნათესაური გაერთიანებისთვის შეურქმევიათ თ ა გ ვ ე ნ ი, რაც უშუალოდ თაგოს სახელთან არის დაკავშირებული. ხულელიძეების იმ შტოს, რომელსაც პაპიანნი ერქვა, დღესაც თაგვენი ეწოდება, მაგრამ სათიბ ადგილს კი ძველი პატრონიმიული სახელი ბოლომდე შემორჩა.

თუ გაიბოტენში პაპიანთები სათიბი ადგილის სახელია, მეზობელი სოფლის — თოთის ერთ-ერთ საძოვარ ადგილს ეწოდება პ ა პ ი ა ნ თ მ თ ა, სადაც ხულელიძეები თავის საქონელს აბალახებდნენ. ესეც იმის მანიშნებელია, რომ ეს ადგილი ხულელიძეების პაპიანთ შტოს ეკუთვნოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თოთის მთა-ბარს ღუდუშაურები ფლობდნენ (იხ. თოთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 1). ღუდუშაურების დიდი საგვარეულოდან გამოყოფილი ერთ-ერთი ნაწილის — პაპიაშვილების პატრონიმიული სახელია პ ა პ ე ნ ი. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ზემოხსენებული საძოვარი ადგილი პაპეთი ყოფილიყო და ადგილის სახელწოდებაც ღუდუშაურების (პაპიაშვილების) ამ პატრონიმიის სახელთან იყოს დაკავშირებული. მაგრამ აქვე გვხვდება საპირისპირო ვითარება: ეს ადგილი რომ პაპეთი ყოფილიყო, მოხეური დიალექტის მიხედვით, მისი სახელწოდება უსათუოდ იქნებოდა პ ა პ ე თ მ თ ა და არა პაპიანთ მთა, ვინაიდან ნათესაობის აღმნიშვნელი სახელწოდებიდან ადგილის სახელის წარმოება პირველის შეუცვლელად ხდება.

9. შდრ. ხევის სათავეების ტოპონიმიკა, შენიშვნა 23.

10. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

11. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

12. „ფსვენ-ი ფსვენისა (Eremias) ზოოლ. პატარა, ხვლიკისებრი ქვეწარმავალი, გვხვდება ზოგან აღმოსავლეთ საქართველოშიც“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბილისი, 1962, გვ. 183).

სევში ხვლიკს ფ ს ვ ე ნ ი ეწოდება და ყოველ სოფელში გვხვდება. განსაკუთრებით ბევრია ის მშრალ (ქვაღორღიან და ქლდიან) ადგილებში. ერთ-ერთი ასეთი მშრალი ადგილისათვის, სადაც ფსვენი ბლომად გვხვდება, გაიბოტნელებს შეურქმევიათ ს ა ფ ს ვ ე ნ ი ე ბ ი.

13. შდრ. ტყარშეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

14. ტყარშეტში მაისურაძეების ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც აერთიანებდა ერთი დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად წარმოქმნილ რამდენიმე ოჯახს და წარმოადგენდა ახლო ბიძაშვილების პატრონიმიულ გაერთიანებას, მათი ეპონიმის — დიდი ოჯახის ყოფილი უფროსის სახელის (ქუცაძ) მიხედვით ეწოდება ქ უ ც ე ნ ი. მათგან სათიბი ადგილი უყიდიათ გაიბოტნელში მცხოვრებ ხულელიძეებს, რისთვისაც ამ ადგილს უწოდეს ქ უ ც ე თ ე უ ლ ი, ე. ი. ქუცეთ ნაქონი.

15. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

16. შესაძლებელია ამ ტოპონიმსაც ისეთივე შინაარსი ჰქონდეს, როგორიც თუნდაც ტყარშეტის ასეთსავე ტოპონიმს (შდრ. ტყარშეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20).

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

18. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

19. ხულელიძე ჯ ა რ ა ნ ა ძ ყოფილა უწილო (უძეო) კაცი: მას ჰყოლია ერთადერთი ქალიშვილი. ხევში ქალი რაკი მემკვიდრედ არ ითვლებოდა, ამიტომ ჯარანას გარდაცვალების შემდეგ მისი მამული დარჩენია მის ძმისწულს — სასებას. სასება იყო 1899 წ. დაბადებული მთხრობლის — ვანო იოსების ძე ხულელიძის პაპის—ვანისეს მამა. მაშასადამე, ჯარანადან და მისი ძმიდან (სასებას მამიდან) ვანომდე გაღასულია ოთხი თაობა. თვითონ ვანო მეხუთე თაობის წარმომადგენელია.

ჯარანას კუთვნილ ადგილებს, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ძმის შთამომავლობას დარჩა, ეწოდა ჯ ა რ ა ნ ე თ ე უ ლ ე ბ ი.

რამდენადაც ჯარანას შთამომავლობა არ ჰყავდა და ჯარანას სახელის მატარებელი პატრონიმია არ შექმნილა, ადგილის სახელწოდება უნდა ყოფილიყო არა ჯ ა რ ა ნ ე თ ე უ ლ ე ბ ი, ან ჯ ა რ ა ნ ე თ ე უ ლ ი

(რაც რამდენიმე ოჯახის, ე. ი. პატრონიმიული გაერთიანების ნაქონი მამულის აღმნიშვნელია), არამედ ჯ ა რ ა ნ ა ძ ს ე უ ლ ე ბ ი ან ჯ ა რ ა ნ ა ძ ს ე უ ლ ი, ვინაიდან ეს ადგილები ჯარანას ეკუთვნოდა. მაგრამ ვინაიდან ხევში ოჯახის აღსანიშნავადაც ოჯახის უფროსის სახელი იხმარებოდა. ჯარანასი და მისი ძმის ოჯახსაც ერქვა ჯ ა რ ა ნ ე ნ ი და ჯარანას ნაქონ მამულსაც ეწოდა ჯ ა რ ა ნ ე თ ე უ ლ ე ბ ი.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გარბანშიც გვხვდება სახნავი ნაკვეთის სახელწოდება ჯ ა რ ა ნ ე თ ე უ ლ ი. გარბანში აღარ ახსოვთ, თუ რატომ ეწოდა ამ ადგილს ჯარანეთეული ან ვინ იყვნენ ჯარანენი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სახნავი ნაკვეთი გარბანლებს ნაყიდი უნდა ჰქონდეთ ან თვით ჯარანასაგან, ან ჯარანას ძმის შთამომავლობისაგან, ვის ხელშიაც ეს მამული-გადავიდა. ჯარანას მამულების ძირითადი ნაწილი კვლავ ხულელიძეების ხელში უნდა დარჩენილიყო. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ გარბანში გვაქვს ტოპონიმი ჯარანეთეული (ერთი ნაკვეთის აღმნიშვნელი), ხოლო გაიბოტენში — ჯარანეთეულები (რამდენიმე ნაკვეთის აღმნიშვნელი).

20. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

21. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## თ ო თ ი

1. სოფ. თოთი მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა მხარეზე, ფერდობ პლატოზე. ხევში ის ყველაზე მაღალ დასახლებას წარმოადგენს. თუ სოფ. ყაზბეგი ზღვის დონიდან 1705 მ სიმაღლეზე მდებარეობს, თოთი ამაზე 300 მეტრით მაღლა მაინცაა.

თოთის მთა-ბარი ღუდუშაურების საკუთრებას შეადგენდა. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში არაგვის ერისთავების მოურავმა შ ი ო ლ ა ღ უ დ უ შ ა ე რ მ ა აქ დაასახლა და თავის ყმებად გაიხადა ოსები (სალბიევები და მირაქოევები), რომლებიც დროთა ვითარებაში გაქართველდნენ. ღუდუშაურებმა ამავე დროს ოსები ასეთივე პირობით დაასახლეს აგრეთვე სოფ. აჩხოტში (შდრ. აჩხოტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 1).

დროებით აღზევებული ღუდუშაურების პრივილეგიური მდგომარეობის დაქვეითების შემდეგ, რაც გამოიწვია მათ წინააღმდეგ თემის შეუპოვარმა ბრძოლამ, აჩხოტი, თოთი და უხათი ხელთ იგდეს და ამ სოფლებზე თავიანთი უფლებები გაავრცელეს ყაზბეგებმა.

როგორც მთხრობლებმა გადმოგვცეს, ღუდუშაურების თანხმობით დღევანდელი თოთის ტერიტორიაზე პირველად დასახლებულა ოსეთიდან კაცის მოკვლის გამო გამოქცეული თ ა თ ო ს ა ლ ბ ი ე ვ ი. ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, სოფლის სახელწოდება თ ო თ ი უშუ-

ლო კავშირშია მისი პირველი მკვიდრის — თ ა თ ო ს საკუთარ სახელთან.

თოთში მცხოვრები სალბიევებისა და მირაქოვების ასიმილაციის პროცესი ქართულ ნიადაგზე განსაკუთრებით დაჩქარდა თოთში ღუდუშაურების, ხულელიძეების, წიკლაურებისა და აესაჯანიშვილების დასახლების დღიდან.

მიუდგომელი მდებარეობის გამო თოთის მცხოვრებთა უმრავლესობა თანდათანობით სოფ. არშაში ჩამოსახლდა. ზოგი გადასახლდა ქალაქებში (ორჯონიკიძე, თბილისი). დღეს თოთში მოსახლეობას ძირითადად ზაფხულში ვხედავთ, ვინაიდან ის მესაქონლეობისთვის ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოშია მოქცეული.

2. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

3. კ უ დ ე ბ ი დ ა ნ (იხ. თოთის ტოპონიმიკა) ძ ა ღ ლ ი ქ ო მ ა შ ი (იხ. თოთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25), თავის სათიბში წყარო გამოუყვანია, მისთვის ჰაჭით (ფიქალი) კედელი ამოუშენებია და ღარი დაუყენებია გაგო სალბიევს, რისთვისაც ამ წყაროს უწოდეს გ ა გ ო ს წ ყ ა რ ო.

4. „დარანი კლდეში, ანუ მიწის ქუშაში შესასვლელი“ (ს ა ბ ა, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 90). ხევში დარანი ეწოდება დახურულ წყალსადენს, წყლის სადინარ კალაპოტს. ამავე შინაარსისა „დარანი“ თოთის ტოპონიმიკაშიც. სათიბ ადგილს, სადაც ასეთი დარანი იყო, შეერქვა წყალსადენის სახელი.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 13.

6. დ ე ვ ი ს ქ ო ხ ი იგივე დ ე ვ თ ქ ო ბ ი ა (შდრ. გაიბოტენის ტოპონიმიკა, შენიშვნა 2).

7. ვ ა ჩ ი ლ ა ძ იყო თოთში დასახლებული ოსების სალოცავი. ეს ღვთაება უ ა ც ი ლ ა-ს სახელწოდებით გვხვდება როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ოსეთის თითქმის ყოველ ხეობასა და სოფელში (შდრ. ხევის სათავეების ტოპონიმიკა, შენიშვნა 17).

8. თ ა გ ვ ე ნ ი, რომელთაც ეს ნაკვეთი ეკუთვნოდა, წარმოადგენდა ხულელიძეების ერთ-ერთ პატრონიმიას.

9. როგორც მთხრობლები მიუთითებენ, აქ ძევს ოთხკუთხა ფორმის, კიდობნის მსგავსი დიდი ლოდი, რაც საძოვრის სახელწოდების საფუძვლად იქცა. ანალოგიური ვითარება მოწმდება სხვა სოფლებშიც. საძოვარ ადგილს სოფ. არშაში, სადაც ასეთი ფორმის ქვები ყრია, ეწოდება კ ი დ ო ბ ა ნ ე ბ ი. ფანშეტსა და ყაზბეგშიც როგორც ამგვარი ქვის, ისე მისი მიდამოს აღსანიშნავად გვხვდება კ ი დ ო ბ ა ნ ა ძ ქ ვ ა.

10. მაქსა ივანეს ძე ხულელიძე დაბადებულია 1896 წელს და დღეს ცხოვრობს სოფ. არშაში. 1968 წლის 25 ოქტომბერს მან გვითხრა, რომ

ეს წყარო გამოდის თოთის მთაში. ამ წყაროსთვის ღარი დაუყენებია მაქსას. რის გამო მას დაარქვეს მ ა ქ ს ა ჲ ს წ ყ ა რ ო.

11. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29.

12. იხ. გაიბოტენის ტოპონიმიკა, შენიშვნა 8.

13. რ ო ს ტ ო მ ა ჲ, ვისი სახელიც უწოდეს წყაროს, ყოფილა გვარად ღუდუშაური. ჯ ა ბ ა ნ ე თ პატრონიმიის წარმომადგენელი.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

15. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

16. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 32.

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

18. ადგილს, საიდანაც მოჰქონდათ ბანზე დასაყრელად გამოსადეგი წყალგაუმტარი თუ კედლის შესალესად ვარგისი თიხნარი მიწა, ეწოდება ს ა მ ი წ ი ა ჲ.

19. გასაბჭოებამდე ეს ადგილი ყაზბეგებს ეკუთვნოდათ, რომელსაც მეცხვარეებზე აქირავებდნენ საბალახეს აღების პირობით. საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან გადავიდა მიწათმომწყობი კომისიის ხელში, უწოდეს მას ს ა ფ ო ნ დ ო და საბალახეს ეს კომისია იღებდა სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწესებული ნიხრის შესაბამისად.

20. ფ ი რ ა ნ ი ა ნ ნ ი, რომელთაც ეს ნაკვეთი ეკუთვნოდათ, ღუდუშაურების საგვარეულოს ერთ-ერთ პატრონიმიას წარმოადგენდა.

21. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

22. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

23. ვინაიდან თოთის მთა-ბარი ყაზბეგების ხელში იყო, შესაბამისი სახელი დღემდე შემორჩა ერთ-ერთ ადგილს.

24. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

25. ამ ადგილას თურმე ძალიან ბევრი ნარი იზრდება. განსაკუთრებით ნარიანი ყოფილა სათიბი ადგილის ქვედა ნაწილი. თანახმად მთხრობლების განმარტებისა, ტოპონიმი ძ ა ღ ლ ი ქ ო მ ა ჲ შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ქ ო მ ა ჲ ნიშნავს ქომო-ს (ქვემოს), ხოლო ნარის, როგორც მიუკარებელი მცენარის სინონიმად გამოყენებულია „ძაღლი“. მაშასადამე, ასეთი გაგებით, ძ ა ღ ლ ი ქ ო მ ა ჲ იგივეა. რაც ნ ა რ ი ქ ო მ ა ჲ.

26. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## ა რ შ ა

1. თანამედროვე სოფ. არშა მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე. უახლოეს წარსულში ეს ტერიტორია წარმოადგენდა ისტორიული სოფ. არშის, გარბნისა და აჩხოტის სახნავ-სათეს ადგილს

1930-იან წლებში გაიხსნა რა ანდეზიტის წარმოება, არშის მცხოვრებნი აქ გადმოასახლეს, ვინაიდან მათ საფრთხეს უქმნიდა ხშირი აფეთქებები. აქვე ააშენეს მუშათა საერთო საცხოვრებლები, საზოგადოებრივი დაწესებულებები და სარაიონო საავადმყოფო. ხევის ამ ახალშენს უწოდეს ახალი სახელი ანდეზიტი, რაც უშუალოდ დაკავშირებულია იქ ქვის სახელთან, რომლის დამუშავება აქ დღესაც არ შეწყვეტილა. საომარი ომის დამთავრების შემდეგ ახალი არშის ტერიტორიაზე მოსახლეობას მისცეს საკარმიდამო ნაკვეთები. ყოფილ სახნავ-სათიბ ნაკვეთებზე დასახლდნენ ხევის სხვა სოფლების წარმომადგენლებიც. ხევს სამი სოფელი: არშა, გარბანი და სიონი თითქმის ერთიმეორეს გაღაება და დაბას დაემსგავსა. უცხო კაცი მათ შორის საზღვრებს ვერც შეამჩნევს.

ისტორიულ სოფ. არშისაგან დღეს შემორჩენილია მხოლოდ ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს თერგის მარცხენა მხარეზე, იმ მთის ძირას, რომლის კლდოვან კონცხზე შემორჩენილია ცნობილი არშის ციხის ნანგრევები და სალოცავები. ვახუშტის ცნობით, „ჩასავალს (ე. ი. ჯვრის უღელტეხილს — ვ. ი.) ქვეით არს, ჩრდილოთ კერძ, არაგვის დასავლით, ციხე არშისა, თუნიერ კაცთა ჭელთაგან ქმნული, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილ კლდითავე და შეუალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 67).

1623 წელს გიორგი სააკაძემ არშის ციხეში გამოკეტა ანდუყაფარ ამილახვარი, რომელიც აქედან სპარსელებმა გაათავისუფლეს 1624 წელს (იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 401).

ერთ-ერთ ნაშრომში არშის ციხესა და შირვანის ქალაქ არეშს შორის იგივეობის ნიშანია დასმული. არეშის შესახებ დართულ შენიშვნაში დამოწმებულია ის წყაროებიც, რომლებიც შეეხება არშის ციხეს (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას შენიშვნებით, თბილისი, 1964, გვ. 125). სინამდვილეში შირვანის ქალაქ არეშსა და არშის ციხეს შორის არაფერი საერთო არ არის, გარდა სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსებისა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ხიზნების გამოსაღების ნუსხაში სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია სოფ. აში (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 310-311). ამ საბუთზე დაყრდნობით გამოითქვა მოსაზრება, რომ „ხევში ხიზნების კატეგორიაც მოწმდება“,

რამდენადაც სოფ. „აშის ქვეშ ხევის სოფელი არში-არშა უნდა იგულისხმებოდეს“ (გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XXII—B, 1961, გვ. 211). უნდა ითქვას, რომ აში და არშა სხვადასხვა სოფლებია. არშა ხევის სოფელია, ხოლო აში მდებარეობს სოფ. არანისის, ყვავილის და არაგვის ხეობის ქვედა წელის სხვა სოფლებთან მეზობლად. ეს კარგად ჩანს როგორც XVIII საუკუნის ზემოხსენებული დოკუმენტიდან, ისე გიულდენშტედტის (XVIII ს.). აღწერილობიდან (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გ. გელაშვილის გამოცემა, თბილისი, 1962, გვ. 273). XIX საუკუნეშიც აში იხსენიება ყვავილის სასოფლო საზოგადოების ფარგლებში (იხ. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893).

არშის ეტიმოლოგია ნახური ენობრივი მონაცემების საფუძველზე სცადა ვ. გამრეკელმა. როგორც იგი აღნიშნავს, ჩაჩნურად ოარს (ოარც) ეწოდება შავ (ე. ი. ტყიან) მთებს. შემდეგ წერს: „არშა—სოფელი და ციხე ხევში. ყურადღებას იპყრობს არშას მახლობლად პატარა ტყიანი ქედის არსებობა. ეს ტყე ერთადერთია, რომელიც გვხვდება თერგის გაყოლებით — ყაზბეგის რაიონის ფარგლებში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა „არშა“ მომდინარეობდეს ქისტურ ოარს (ოარც)-საგან“. მკვლევარი იქვე სქოლიოში შენიშნავს: „ამ ტყესთან, უფრო ახლოა სოფ. სიონი, მაგრამ სახელწოდება სიონი აშკარად გვიანდელი წარმოშობისაა; მას შემდეგ რაც იქ ეკლესია აშენდა, მანამდე კი, შესაძლოა მთელ ამ მიდამოს არშა რქმეოდა“ (ვ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV. ნაკვეთი I, თბილისი, 1958, გვ. 50).

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. სიონში ეკლესია აშენდა IX—Xსს-ში. ამდენად, თუ სოფლის სახელს ეკლესიის აშენების თარიღს დავუკავშირებთ, ის არც თუ ისე ახალი გამოდის.

რაც შეეხება ვარაუდს, რომ არშადან სიონამდე არსებულ ტერიტორიას არშა უნდა რქმეოდა, ესეც ძნელი წარმოსადგენია. ამ ტერიტორიაზეა დასახლებული აგრეთვე სოფ. გაიბოტენი და გარბანი. ასეთი ვარაუდის გაზიარების შემთხვევაში ძალაუნებურად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხევის ერთ-ერთი უძველესი სოფლის—გარბანის სახელიც არშა უნდა ყოფილიყო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პატარა ტყიანი ქედი, ე. ი. სიონის ტყე, სოფ. არშიდან 4 კილომეტრითაა დაცილებული. თანაც ძველი არშა მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო სი-

ონი თერგის მარჯვნივ. ამდენად, არშის ეტიმოლოგიის დაკავშირება ჩაჩნურ შავთან (პირობითად ტყიან მთასთან) მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.

2. ბ ა ზ ა ლ ი გვარია სოფ. არშაში.

3. შდრ. თოთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

4. მ უ რ ი ა ნ ნ ი, რომელთა სახლის უკან მდებარეობს ეს ნაკვეთი, პატრონიმიული სახელია აჩხოტიდან არშაში გადმოსახლებული ბედოშვილებისა.

5. არშის ციხის მიუდგომელ კარიბჭესთან კლდეზე გადებული ყოფილა რამდენიმე დიდი მორი, რომლის მეშვეობითაც იყო შესაძლებელი ციხეში მოხვედრა. როდესაც ეს ხიდი ჩამოშლილა, მის ნაცვლად კედელი ამოუშენებიათ. ამ შესასვლელს დღემდე ეწოდება ნ ა კ ი დ ც ა რ ი.

6. ადგილს, საიდანაც ღუმელში დასადებ კეცებს (ქვის ბრტყელ ფილებს) იღებდნენ, ეწოდება ს ა კ ე ც ე თ ი (შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 15).

7. არშის ციხის მისადგომებთან ლეკების ერთ-ერთი შემოსევის დროს შეუღლი კლდიდან გადმომხტარა ფანშეტელი მებრძოლი, გვარად სამქანაშვილი და მოსალოდნელი საშიშროების საწინააღმდეგო ზომები მიუღია. სამქანაშვილის ასეთი გმირობის გამო ამ კლდეს უწოდეს ს ა მ ქ ა ნ ე თ ნ ა ხ ტ ო მ ი.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

9. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

10. არშის ციხეს ირგვლივ იცავს მიუდგომელი კლდე. ერთ-ერთი ომიანობის დროს ლეკებს ერთმანეთზე დაწყობილი უნაგირების მეშვეობით უცდიათ კლდეზე ასვლა და ციხეში შეჭრა. მათი ეს ცდა მარცხით დამთავრებულა, ხოლო იმ ადგილისთვის, სადაც კიბედ მიდგმული უნაგირებით ცდილან ლეკები მიზნის მიღწევას, დაურქმევიათ უ ნ ა გ ი რ ა ჯ ი. ეს სახელი უწოდეს ამ კლდის ახლო მდებარე სათიბ-საძოვარსაც.

11. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

12. ც ი ხ ი ს კ ა ლ ო ეწოდება არშის ციხის მოედანს, სადაც შემორჩენილია ნასახლარებიც. შესაძლებელია ის მართლაც კალო ყოფილიყო გახიზნული მოსახლეობისა.

13. ც ი ხ ი ს წ ყ ა რ ო ეწოდება მთიდან თიხის მილებით შემოტანილ წყაროს, რომელსაც სვამდნენ მეციხოვნეები და დახიზნული მოსახლეობა.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

15. არშის ციხიდან ჩრდილო აღმოსავლეთით არის მთა — ე. წ. ა ჭ კ ა ლ ნ ი. ამ მთაში არსებობს ბუნებრივი გამოქვაბული, რომლის თავზე პატარა ვაკე მინდორია. თანახმად ხალხური გადმოცემისა, არშის ციხეში მოხევეების ერთ-ერთი დამარცხების შემდეგ ლეკებს ბავშვები ამ მინდორზე დაუყრიათ და ზედ ცხენები უტარებიათ. ეს თვალსაჩინო ადგილი განგებ შეურჩევიათ მოხევეების დამორჩილების მიზნით. ადგილს, სადაც ეს უბედურება მომხდარა, უწოდეს ც ო დ ვ ი ლ თ კ ა ლ ო.

## ფ ა ნ შ ე ტ ი

1. სოფ. ფანშეტი მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, კლდოვან კონცხსა და მის დავაკებაზე. ამ კონცხზე დგას ორი კოშკი, რომელთაგან პირველი ყოფილა სამქანაშვილებისა და მეორე - ჩონიაშვილებისა. მშენებლობის ტექნიკით, სიმაღლით, სილამაზითა და მდებარეობით განსაკუთრებით მიმზიდველია პირველი მათგანი. ახლო წარსულამდე ამ ორი კოშკის ირგვლივ იყო დასახლებული სოფელი. ვაკეზე ჩამოსახლება დაიწყო ჩვენს საუკუნეში, რასაც არასასურველი შედეგებიც მოჰყვა: მთიდან დაქანებულმა თოვლის ზვავმა რამდენიმე ოჯახი იმსხვერპლა. უსათუოდ წინაპრები უფრო წინდახედულები იყვნენ, რომ საზვავეში დასახლებას გაურბოდნენ.

ისტორიულ წარსულში ფანშეტი დასახლებული ყოფილა თანამედროვე სოფლის ჩრდილოეთით მდებარე კონცხზე, სადაც შემორჩენილია ნაკოშკარები, ნასახლარები, სამარხები, ღობეები და ხელოვნურად გაკეთებული პატარ-პატარა მოედნები (ტერასები). ამ ნასოფლარში, რომელსაც ეწოდება ძ ვ ე ლ ფ ა ნ შ ე ტ ა ძ, მოწყობილია სალოცავი. როგორც წესი, წინაპართა საცხოვრისი შემდეგ წმინდა ადგილად იქცა, სადაც იმართებოდა დღეობები.

2. სოფ. ფანშეტის ჩრდილოეთით მდებარე ადგილს, რომელსაც შეეული კლდე გადმოჰყურებს ფანშეტიდან ყაზბეგისაკენ მიმავალი გზის თავზე, ეწოდება ა კ ა დ ე. აკადის კლდეში არსებობს რამდენიმე გამოქვაბული, ე. წ. ა კ ა დ ი ს ქ ო ხ ე ბ ი. თანახმად ხალხური გადმოცემისა, ამ ქოხებთან მიდიოდა გზა, რომელიც დროთა ვითარებაში ჩამოიშალა. იქ ზამთრობით მდგარან ზაფხულობით ბეთლემის სავანეში მყოფი ბერები, ვინაიდან სუსხიან ზამთარში ბერების ყოფნა ბეთლემში შეუძლებელი ყოფილა. ახლო წარსულში აქ უცხოვრია თევდორე ბერს, რომელსაც თურმე ემსახურებოდა ნიკო გრიგოლის ძე სამქანაშვილის (დაბად. 1877 წ.) პაპა — ისმელა სამქანაშვილი. შემდეგ თევდორე აქედან წასულა და სადღაც მღვიმეში დაუმთავრებია თავისი სიცოცხლე.

გადმოცემის ერთი ვარიანტით, ბერის სახელი ყოფილა შიო, რის გამო მთხრობლები მას უწოდებდნენ შიო მღვიმელს. აჯადის მეორე სახელწოდებაა აგრეთვე ღარაკი. ამის მიხედვით გამოქვაბულების აღსანიშნავად მიღებულია ღარაკის ქოხები ანუ ღარაკის ბანი.

3. ტოპონიმი ბიბოსეული იმაზე მიგვითითებს, რომ ეს სახნავი ადგილი ადრე ეკუთვნოდა ბიბოს. ბიბო იყო გვარად ყაზბეგი.

4. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

5. სამქანაშვილების ერთი ნაწილის პატრონიმიული სახელწოდება იყო გაბრიელენი, რაც დაკავშირებულია მათი ეპონიმის — გაბრიელ სამქანაშვილის საკუთარ სახელთან. გაბრიელისა და მისი შთამომავლობის ნაქონ ადგილს უწოდეს გაბრიელთ კარი.

ფანშეტის მოსაზღვრე სოფ. არშაშიც არიან გაბრიელენი, რომელიც შეადგენდა ბაზალის გვარის ერთ-ერთ პატრონიმიას, მაგრამ როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს, სახნავი ნაკვეთი გაბრიელთ კარი ეკუთვნოდა სამქანაშვილების გაბრიელეთ განაყრობას (პატრონიმიას).

6. ეს ადგილი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აქ გაშენებული ყოფილა სოფლის ერთ-ერთი ძველი უბანი.

7. ვეძაძეწოდება მინერალურ წყალს, რომლის ჩამოსხმაც ამჟამად წარმოებს და საღდება ოფიციალური მარკით („ყაზბეგი"). ამ წყაროს მიდამოებსაც ვეძას ეძახიან.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

9. შდრ. თოთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

10. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

11. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

12. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 39.

13. ამ მთას აქვს ორი სახელწოდება: სათხე და ჩხეტი. პირველი სახელწოდება იმის მაჩვენებელია, რომ ამ კლდოვანსა და მიუკარებელ ადგილებში მხოლოდ თხები მიდიან ბალახის მოსაძოვად. რაც შეეხება მეორე სახელწოდებას, ის იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ იგი წარმოადგენს წყლის გადმოსაჩხერებელ ადგილს. მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ხევის სხვა სოფლებში (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3; ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55).

ჩხეტში შემონახულია თავშესაფარ ნასახლართა ნაშთები. აქვე უნახავთ ხელსაფქვავის ნატეხი და ხელით სატყორცნი მრგვალი ქვები, რომლებსაც თურმე მტრის მოსაგერიებლად იყენებდნენ აქ გახიზნული მოხევეები.

14. იხ. შენიშვნა 2.

15. იხ. შენიშვნა 2.

16. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 51.

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

18. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 46.

19. შარმაზანი ყოფილა გვარად საბაური, რომლის მოდგმას ერქვა შარმაზანენი. შარმაზანენი ამოწყვეტილან. მათი სახნავი ადგილი, სადაც შემორჩენილია ნასახლარი და ნაწისქვილარი, დარჩენიათ ნინიეთ — საბაურების მეორე ნაწილს (პატრონიმიას). ნინია იყო მისი პაპის—გლახას მამა. შარმაზანეთ ნაქონ მამულს, სადაც ნინიენი შარმაზანის შესანდობარს სვამდნენ ხვნის დაწყების წინ, დღესაც შარმაზანეთეული ეწოდება.

20. იხ. შენიშვნა 13.

21. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

22. ცოდვილთ ქოხები იგივეა, რაც სოფ. არშის ტოპონიმიკაში ხსენებული ცოდვილთ კალო (შდრ. არშის ტოპონიმიკა, შენიშვნა 15).

23. იხ. შენიშვნა 1.

24. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

25. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 67.

## ყაზბეგი და თარგმანი

1. დაბა ყაზბეგი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე. აქედან იწყება ცნობილი დარიალის ხეობა და აქედანვე დიდი სისწრაფითა და ხმაურით ეშვება მდ. თერგი დარიალის კლდოვან ვიწროებში. დ. ყაზბეგს ზურგი შეუქცევია. პირქუში ცუროსათეის, რომელიც მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთითაა აღმართული და მთელი ფასადით პირდაპირ გასცქერის ხევის დედოფალს — მყინვარწვერს.

ყაზბეგს ძველად ერქვა სტეფანწმინდა. მას ყაზბეგი შეარქვეს რუსებმა ალ. ყაზბეგის პაპის — გაბრიელ ყაზიბეგისძე ჩოფიკაშვილის პატივსაცემად, ვინაიდან ის რუსეთის ხელისუფლების ერთგული მოხელე გამოდგა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და 1804 წელს ქართველ მთიელთა აჯანყების ჩახშობის პერიოდში. გააზნაურებულმა და სამხედრო სამსახურში დაწინაურებულმა გაბრიელმა უარჰყო მამაპაპური გვარი, რიგით მეთემეებად დარჩენილ ჩოფიკაშვილებს გაემიჯნა და გვარად მიიღო მამის სახელი. აქედან დაიწყო ყაზბეგების გენეალოგია, ასეთნაირად იშვა ახალი პრივილეგი-

ური გვარი და ამის საფუძველზე წარმოიშვა სოფლის ახალი სახელწოდებაც. ამავე დროიდან რუსებმა მყინვარწვერსაც ყაზბეგი უწოდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე ყაზბეგის რაიონის ცენტრი სოფელი ყაზბეგი გარდაიქმნა დაბად, ხოლო ყაზბეგის სასოფლო საბჭო — ყაზბეგის სადაბო საბჭოდ. ყაზბეგთან ტერიტორიული შერწყმის გამო, ამავე ბრძანებულების მიხედვით, სოფ. გერგეტი, როგორც დამოუკიდებელი დასახლება, გაუქმდა.

ასეთი ღონისძიება არ დასჭირვებია ყაზბეგთან თარგმანის ურთიერთობის საქმეს. ცალკე პატარა სოფლად ყაზბეგის აღმოსავლეთით, ჭიკერვალ ყუროს ძირში მდებარე სოფ. თარგმანი თითქმის შეუერთდა ყაზბეგს. მათ შორის დარჩენილი ადგილი სულ მალე შეივსება სწრაფად მზარდი ყაზბეგის ახალი უბნით.

თანახმად ხალხური განმარტებისა, სოფლის სახელი თარგმანი წარმოიშვა ხევის შორეულ წარსულში არსებული სოფლის — ს ა თ ა რ გ ა ნ ო-ს სახელწოდებიდან. სოფ. სათარგმნო მდებარეობდა სოფ. თარგმანიდან ჩრდილოეთით, მდ. ყუროს ნაპირას და წარმოადგენდა ხევის ძველეს სათემო ცენტრს (იხ. ვ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან, მსე, ტ. IX, თბილისი, 1957; მისივე, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები, ჟურნ. „მნათობი“, 1957, №11; მისივე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 29—36).

ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, ძველ მოხეურში „თარგმანი“ ნიშნავდა ბჭობას, თათბირს, მსჯელობას, რის გამო თითქოს იმ ადგილსაც, სადაც ხევის თავკაცების ბჭობა იმართებოდა, უწოდესო თარგმანი. რაკი ამ სახელწოდებას სხვა ახსნა არ მოეძებნება, ვცმაყოფილდებით ხალხური განმარტებით ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

ვინაიდან ყაზბეგი და თარგმანი ერთ-ტერიტორიაზეა დასახლებული და ერთი და იგივე ადგილებით სარგებლობენ, სახელწოდებათა განმეორების თავიდან აცილების მიზნით მათ ტოპონიმიკურ აღწერილობას ამ შემთხვევაშიც (ფხელშე-გორისციხის ანალოგიურად) ერთად ვიძლევით.

2. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 4.

3. ეს ადგილი ეკუთვნოდათ ხეთაგურებს. ერთხელ სათიბად მყოფი ხეთაგურები თურმე სადილობდნენ. ამ დროს ყუროდან გამოგორებული ქვა სუფრას დასცემია. ხალხი გადარჩენილა. ამ დღიდან ეს ადგილი დაუწყევლიათ და მიუტოვებიათ. მას დაპატრონებიან გ ო ჩ ი ა ნ ნ ი (ფიცხელაურების ერთ-ერთი პატრონიმია), რომელსაც ისინი

კომლობრივი მორიგეობით ხმარობდნენ. უბნის (პატრონიმიის) საერთო საკუთრებაში არსებულ ადგილს (სათიბს) დაარქვეს გოჩიანთ საუბნო.

4. შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 2.

5. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

6. გუგუცა ყაზბეგის ყოფილ სათიბს ეწოდება გუგუციანული.

7. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 14.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 15.

9. ელიას მეორე სახელწოდებაა გორები. ზოგჯერ მას ეძახიან ელიაის გორებს. ამის შესაბამისად ღრმულს, სადაც თოვლის ნადნობი და წვიმის წყალი გროვდება, ეწოდება ელიაის ტბა, ანდა გორაის ტბა.

10. ეფხვენი პატრონიმიული სახელია ღუდუშაურებიდან გაბოყოფილი ეფხოშვილების გვარისა. ქვიან-ქვიშიან სათიბს, რომელიც ეფხოშვილებს ეკუთვნოდათ, გადატანით ეწოდება ეფხვეთ ქვიშა.

11. თეთრჯორნი იგივე გურაპეთ ნადგომია (შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 2).

12. ამ პატარა მოვაკებულ ადგილს, ყუროს ერთ-ერთ ფერდობზე, ეწოდება აგრეთვე კალოთა. მის ახლოს თურმე სვილი მოჰყავდა და იქვე ბერტყავდა აბაზური იასიან (იასე). აბაზურები ამოწყდნენ.

13. მას ეწოდება აგრეთვე სამშკლდის რუვი (შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 4).

14. კანკარა ნიშნავს სუფთას, გამჭვირვალეს, ანკარა წყაროს.

15. იხ. შენიშვნა 12; შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

16. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

18. ყუროს მთიდან ხდის ხეობაში გადასასვლელს, რომელიც თავისი კლდოვანი მისადგომებით კიბეს მოგვაგონებს, ეწოდება კიბენი. რელიეფის მიხედვით ანალოგიური სახელწოდება გვხვდება სნოს ხეობის სათავეებში (შდრ. კარკუჩის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7).

19. შდრ. თოთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

20. თანახმად მთხრობლების განმარტებისა, ეს ნაკვეთი ყაზბეგებისაგან უყიდიათ ქუშაშვილებს, საფასურში მიუციათ მანდილი და ეს სახელიც ამიტომ შეურქმევიათ.

21. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

22. შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

23. ო ქ რ ო ს ბ უ რ თ უ ს ო ვ ა ნ ი ს შემოკლებული სახელია ბ უ რ თ უ ს ო ვ ა ნ ი, რაც ამ სახით შეტანილი გვაქვს ყაზბეგის ტოპონიმიკაში.

24. ადგილი, სადაც მდებარეობს ხ ა ჯ უ რ თ ი ს ა ლ ი (იხ. შენიშვნა 22).

25. ცრუმორწმუნეთა მტკიცებით აქ დევი ბინადრობდა.

26. ყაზბეგში არსებობდა გიგაურების დიდი ოჯახი (დიდი ჩეკიენი), რომელთაც ეს სახნავი ნაკვეთი იყიდეს სანდროსაგან (ალ. ყაზბეგისაგან), რის შემდეგ მას დაარქვეს ს ა ნ დ რ ო ს ე უ ლ ი.

27. შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 4.

28. ს ა მ ძ ი რ ნ ი ეწოდება ბორცვს, სადაც დარჩენილია კოშკის ნანგრევი. ადგილის სახელის შესაბამისად ამ ნაკოშკარს ეძახიან ს ა მ ძ ი რ თ ც ი ხ ე ს. ეს კოშკი ნაგებია შავი ფერის ფიქალით, რისთვისაც მისი მეორე სახელია შ ა ვ ც ი ხ ე. სოფ. თარგმანთან ახლო მდებარეობის გამო მას ეწოდება აგრეთვე თ ა რ გ მ ნ ი ს ც ი ხ ე, რაც აღნიშნულია ჩვენს ტოპონიმიკურ აღწერილობაში.

საფიქრებელია, რომ ამ ბორცვის ნამდვილი სახელი ყოფილიყო ს ა მ ზ ი რ ნ ი (სამზერი), რამდენადაც ასეთი ბორცვები თუ კონცხები ბათზე მდგარი კოშკებით მართლაც სამზერად, სათვალთვალოდაც გამოიყენებოდა და არა მარტო თავდასაცავად. ძ-თი ზ-ს შენაცვლების შედეგად ჩანს მიღებული სამზირნის ნაცვლად სამძირნი.

29. ჯარიახის (არმხის) ხეობიდან ქისტები (ინგუშები) მგვრგალაზე გადმოდიოდნენ და ხევიდან საქონელს იტაცებდნენ. ამ გზით მათ ხელი მიუწვდებოდათ სოფ. სნოს საძოვრებზედაც. როგორც წესი, დაზარალებული მოხევეები სამაგიეროს გადახდის მიზნით თვითონაც ესხმოდნენ თავს ქისტების სოფლებს, ხოლო ხევიდან მოტაცებული საქონლის დასახსნელად მდევარნი მიდიოდნენ, მოკლე ბილიკებით ქისტებს გზებს უპრიდნენ და საიმედო ადგილებში უსაფრდებოდნენ. ხნოველებს ამორჩეული ჰქონიათ ერთ-ერთი გამოქვაბული, როგორც საიმედო საფარი მტაცებელთა წინააღმდეგ. რაკი გამოქვაბულს მოხევეები ეძახიან ქოხს, ამიტომ სნოველთა საფარს უწოდეს ს ა ს ნ ო ვ ლ ო ქ ო ხ ი.

30. ადგილს, სადაც სპარსანგელოზის ხატში მიმავალი მხვეწარი ღამეს ათევდა, ეწოდება ს ა ღ ა მ ი ს თ ე ვ ო.

31. ს ტ ა ნ ც ი ა ა ქ ერქვა რევოლუციამდე აშენებულ ადმინისტრაციულ სახლს ყაზბეგში, რომელშიც გასაბჭოების შემდეგ მოთავსებული იყო რაიაღმასკომის აპარატი. ეს ორსართულიანი, თლილი ქვით

ნაგები შენობა დაიწვა 1953 წლის 11 იანვარს. მის ადგილას ამჟამად აღმართულია ალ. ყაზბეგის ძეგლი.

32. ამ ადგილის ძველი სახელწოდება იყო წ ყ ა ლ ღ ვ რ ე ბ ი. რაც იმის მანიშნებელია, რომ მას ნიაღვარი სწვდებოდა. შემდეგ ეს ადგილი შემოუღობავთ და სათიბად მიუციათ სტრაჟნიკებისათვის. ამის შემდეგ სასოფლო ადგილი გადაიქცა სამოხელეო საკუთრებად და შესაბამისი სახელიც უწოდეს.

33. შდრ. დარიალის ხეობის ტოპონომიკა, შენიშვნა 2.

34. ქ უ შ ე ნ ი პატრონიმიული სახელია ქუშაშვილების გვარისა. მათ ჰქონიათ კოშკი. ნაკოშკარზე შემდეგ დაუდგამთ წმინდა გიორგის ნიში — ამ გვარის სალოცავი აღდგომასა და ამაღლებაზე. ამ ადგილს დღესაც ეწოდება ქ უ შ ე თ ც ი ხ ე.

35. ყაზბეგების ყოფილი მამულის სახელწოდებაა.

36. ყაზბეგში მცხოვრები ღუდუშაურების ერთ-ერთი პატრონიმიის სახელია ყ ა ზ ი ე ნ ი. მათ ჰქონიათ ქვიან-ქვიშიანი სათიბი, რის გამო მას უწოდეს ყ ა ზ ი ე თ ქ ვ ი შ ა, ისევე, როგორც ეფხოშვილების ასეთსავე სათიბს ეძახდნენ ე ფ ხ ვ ე თ ქ ვ ი შ ა ს (შდრ. შენიშვნა 10).

37. ხევის ტერიტორიაზე მყინვარწვერის შემდეგ ყველაზე მაღალი წვერვალია ყუროო. ამ კლდოვანი და დახრამული მთიდან მოედინება ბატარა მდინარე ყუროც (შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 1).

38. იხ. შენიშვნა 28.

39. შ ა ვ ხ ა ლ ე ნ ი პატრონიმიული სახელია ფიცხელაურების ერთ-ერთი ნაწილისა. ისინი ადრე იწერებოდნენ შავხალაშვილად, ხოლო შემდეგ მათ ფიცხელაურობა მიიღეს (იხ. ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960. გვ. 42). მდ. ყუროს პირას შავხალაშვილებს ჰქონიათ კოშკი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში დაუნგრევიათ სვიმონ შავხალაშვილს და მისი ქვით სახლი აუშენებია.

შ ა ვ ხ ა ლ ე თ ც ი ხ ე (კოშკი) აშენებული ყოფილა ყუროს შავი ქვით, რის გამო მასაც, ისევე, როგორც ს ა მ ძ ი რ თ ც ი ხ ე ს, ერქვა შ ა ვ ც ი ხ ე, ე. ი. ყაზბეგ-თარმანის ტერიტორიაზე ორი შავციხე ჩდგარა და ორივე მათგანის ეს სახელწოდება სამშენებლო მასალის (ქვის) ფერთანაა დაკავშირებული.

საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ სოფ. სათარგმნოში, რომელიც უძველეს სათემო ცენტრს წარმოადგენდა ხევში და რომელიც ღვარცოფს წაულეკავს, მდგარა ციხე (კოშკი), სახელდებული შ ა ვ ხ ა ლ ი ს ც ი ხ ე დ. როგორც გადმოცემა მოგვითხ-

ობს. შ ა ვ ხ ა ლ ი ყოფილა ხევისბერი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებულია ციხის აშენება. ამიტომ შეურქმევიათ ამ კოშკისათვის შავხალის ციხე. სამწუხაროდ, გადმოცემამ არ შემოგვინახა შავხალის ბიოგრაფია (იხ. ვ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 29—36).

შავხალისა და შავხალეთ ციხე (კოშკი) სხვადასხვა დროისაა; ასაკით პირველი დიდად უსწრებს მეორეს. სამწუხაროდ, პიროვნების სახელის (შავხალისა) და პატრონიმიის სახელწოდების (შავხალენი) ფონეტიკური მსგავსების ნიადაგზე ზოგიერთი „მკვლევარი" შავხალის ციხეს აიგივებს შავხალეთ ციხესთან. ასე დაემართა, მაგალითად, გ. მირიანაშვილს (იხ. მისი „ბეთლემის საიდუმლოების ნაკვალევზე", გაზ. „დარიალი", 1966 წ. № 120). ამის შესახებ იხ. გერგეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 5.

40. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

41. შდრ. ყანობის ტოპონომიკა, შენიშვნა 50.

42. იხ. შენიშვნა 32.

43. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

44. ამის შესახებ იხ. ვ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 55.

45. ხ ე თ ა გ ე ნ ი პატრონიმიული სახელია ხეთაგურების გვარისა. წარმოშობით ისინი არიან თექთურმანიძეები. გვარის ახალი სახელი წარმოიშვა ერთ-ერთი პიროვნების — ხეთაგ თექთურმანიძის საკუთარი სახელიდან, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა გვარის წარმოების პროცესისათვის.

შუა საუკუნეების ხევში თექთურმანიძეები იყვნენ ამ კუთხის პატრონები, გამგებლები. შემდეგ ისინი ამოწყვიტეს არაგვის ერისთავების წინაპრებმა. მათი ახალი შთამომავლობის ეპონიმად მოგვევლინა ხეთაგი, საიდანაც იწყება ხეთაგურების გენეალოგია. თექთურმანიძე — ხეთაგურების დამსახურება თემში იმითი აღინიშნა, რომ ახალწელ დღეს დამყარდა ტრადიცია ამ გვარის პირველ რიგში დამწყალობებისა. წმინდა სამების დეკანოზების მიერ ხეთაგურებისთვის ახალი წლის მილოცვა და მათი დამსახურების აღნიშვნა ხდებოდა ხეთაგურების უბანში, სადაც აღმართულია წმინდა სამების ნიში. სწორედ ამ სალოცავს ეწოდება ხ ე თ ა გ ე თ ნ ი შ ი.

46. ჯ ღ უ ნ ა, ვისაც ეს სათიბი ეკუთვნოდა, იყო გვარად ფიცხელაური, რომელიც შემდეგ ქ. ორჯონიკიძეში გადასახლდა. მასთან მეგობრობდა ალ. ყაზბეგი. მწერალმა თავის „მამის მკვლელში" ერთერთ დადებით პერსონაჟად ის წარმოგვიდგინა.

47. ჯ ა ი კ ე ნ ი (ხაიკენი) პატრონიმიული სახელია ჯაიკაშვილების გვარისა, რომელთა სალოცავსაც ეს ნიში წარმოადგენდა.

48. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56.

49. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56.

50. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

51. იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7.

52. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

53. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## გ ე რ გ ე ტ ი

1. სოფ. გერგეტი მდებარეობს სოფ. ყაზბეგის პირდაპირ, მყინვარწვერის კალთაზე, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე. თავისი ისტორიული წარსულითა და სიძველეებით იგი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სოფელია ხევში. მას ზემოდან გადმოჰყურებს წმინდა სამების ტაძარი — ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია ხევში თავისი სამრეკლოთი და მის ერთ კედელზე მიშენებული სათემო საბჭოთი.

2. თანახმად ხალხური გადმოცემისა, ა ბ ა ნ ო ეწოდება ბერების საბანაო „წმინდა“ წყალს ბეთლემის უდაბნოში (იხ. ვ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები, ჟურნ. „მნათობი“, 1957 № 11; მისივე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 30 და შმდ.). მის ახლო მდებარე საძოვრებსაც ეძახიან აბანოს. ამ წყლის მეორენაირი სახელია აგრეთვე ქ რ ი ს ტ ე ს ა ბ ა ნ ო.

3. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 35.

4. სათიბ ადგილს, სადაც მთამსვლელთა და მყინვარწვერზე ამსვლელ დამკვირვებელთა სადგომი ბარაკები იყო მოწყობილი, ბ ა რ ა კ ე ბ ი შეარქვეს.

5. ბ ე თ ლ ე მ ი ცნობილი გამოქვაბულია მყინვარწვერის კალთებზე. იგი ბერების ყოფილი სავანეა, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა პოემა „განდეგილი“.

ბეთლემის შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ოდესღაც მოქმედ, შემდეგ ლეგენდების ბურუსით მოცულ, ხოლო 1948 წლიდან საქვეყნოდ ცნობილ სიძველეთა ამ უნიკალური კომპლექსის შესახებ მეტ-ნაკლები ღირებულების მქონე ცნობები გროვდებოდა, ერთი მხრივ, ხალხური გადმოცემების ფიქსაციის, ხოლო, მეორე მხრივ, ბეთლემის მიდამოების უშუალო აღწერის გზით. ეს ცნობები ეკისკა ისტორიკოსების, ფილოლოგების, მწერლებისა და მოგზაურე-

ბის თხსულებებში. ქართველ. რუს და უცხოელ მოღვაწეთა შრომები კრიტიკულად განვიხილეთ ილია ჭავჭავაძის ეთნოგრაფიული მოღვაწეობის შესწავლასთან დაკავშირებით (იხ. ვ. ითონიშვილი. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები, ჟურნ. „მნათობი“, 1957, № 11; მისივე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 21—56). ამიერიდან ამ საკითხს აქ არ დავუბრუნდებით. მკითხველს მხოლოდ შევახსენებთ. რომ ამ შრომებში შემოვიფარგლეთ გამოქვეყნებული წყაროებისა და ხევში ჩვენ მიერ შეკრებილი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების ანალიზით და დავსვით საკითხი ბეთლემის შემდგომი შესწავლის საჭიროების შესახებ. ასეთ შესწავლაში იგულისხმებოდა დიდხანს ხანგრძლივი მუშაობა ისეთი კომპლექსური ექსპედიციისა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები და ხელოვნებათმცოდნეები. როგორც მკითხველმა იცის, ჯერჯერობით ასეთი ექსპედიცია არ შემდგარა. სამაგიეროდ ასეთი ექსპედიციის მისია თავს იდო გ. მირიანაშვილმა, რომელსაც ბეთლემში რამდენჯერმე ყოფნის გამო პრეტენზია აქვს ძეგლის მეცნიერული კვლევისა, მისი საიდუმლოების გახსნისა და ყველა დღემდე არსებული შეხედულების უარყოფისა. ეს სრულიად აშკარად ჩანს მისი წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა ყაზბეგის სარაიონო გაზეთ „დარიალის“ ფურცლებზე (1966, № 115, 117, 118, 120, 121). მან დასაწყისშივე ამცნო მკითხველს: „ვისაც კი რამე დაუწერია ბეთლემის შესახებ (ვგულისხმობთ: ვ. და ი. ბატონიშვილებს, ი. ჭავჭავაძეს, ს. ყაზბეგს, ს. მაკალათიას, მ. ჩიქოვანს, ნ. მახათაძეს, ვ. ითონიშვილს და მრავალ უცხოელს) მათ თვალითაც არ უნახავთ ბეთლემის გრანდიოზული სანახაობა“ („დარიალი“, 1966, № 115).

გაზეთის ამავე ნომერში ავტორი შენიშნავს: „ჩვენი კვლევის ობიექტი ბეთლემი ისტორიკოსების, არქეოლოგების, არქიტექტორებისა და სხვათა მიერ შესწავლილი არ არის“.

შემდეგ ვკითხულობთ: „განდეგილის“ სიუჟეტის დადგენისათვის ლიტერატორებმა და ეთნოგრაფებმა მრავალი ფოლკლორული მასალა შეკრიბეს ხევში ბეთლემის შესახებ, მაგრამ ისინი მოკლე ფრაგმენტული ხასიათისანი არიან... ისიც უნდა ითქვას, რომ ლეგენდებისა და ისტორიული თქმულებების ჩაწერის დროს მკვლევრები არ ცდილან გასცილებიყვნენ იმ ზღურბლს, რომელზედაც „განდეგილი იყო დაყუდებული“ და გაერკვიათ ბეთლემის ასაკი და მისი ისტორიული დანიშნულება, თუნდაც იმიტომ, რომ ნათელი ყოფილიყო თუ რა ისტორიულ სიღრმის გადმოცემებთან გვქონდა საქმე“ („დარიალი“, 1966, № 115).

ვინაიდან ზემოხსენებულ პირებს ბეთლემი „არ უნახავთ“, ის სპეციალისტებს „არ შეუსწავლიათ“ და მკვლევართ ვერც ბეთლემის ისტორიული დანიშნულება და ვერც არსებულ გადმოცემათა ისტორიული სიღრმე „ვერ გაურკვევიათ“, გ. მირიანაშვილმა მიზნად დაისახა ფარდა ახადოს „ბეთლემის საიდუმლოებას“ და დაადგინოს: „ვინ შექმნა ბეთლემი? ვინ ცხოვრობდა იქ? რისთვის დასჭირდა ერს შეექმნა ის? ან რატომ არ გადაეცა მისი გზა-კვალი შთამომავლობას?“ („დარიალი“. 1966, № 115).

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით გ. მირიანაშვილი, პირველ რიგში, იძლევა ბეთლემის ნაგებობათა კომპლექსის აღწერილობას, რამდენადაც. როგორც იგი შენიშნავს, მისი „კვლევის ობიექტი“ შესწავლილი არ არის სპეციალისტების მიერ.

გ. მირიანაშვილის ცნობით, „ბეთლემი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ გამოქვაბულს, როგორც აქამდე წარმოდგენა ჰქონდა ხალხს: მის კომპლექსში შედის „ამირანის ნაქოხარი“, „მარიამ წმინდის საბრძანისი“, „ირმის საწველი“, „ბერების აბანო“, მრავალი მღვიმე და გამოქვაბული და საერთოდ „ნაბერალი“.

ჩამოთვლის რა ამ ძეგლებს, გ. მირიანაშვილი იქვე შენიშნავს, რომ მათი სახელწოდებები დამოწმებული აქვს ხალხში.

აღწერილობაში ავტორი მიუთითებს ნაბერალში ქვა-ჯვარისა და „ადრეფეოდალური ხანის“ ზურგიანი კოშკის არსებობაზე. თურმე ეს კოშკი „უყურებდა ლიჯის მთის კოშკს, ეს უკანასკნელი კი სამების კოშკს, სადაც ტაძრის აშენებამდე კოშკი მდგარა“, რომელიც გადაჰყურებდა დარიალის სიმაგრეებს და ამდენად „ბეთლემის კომპლექსი კავშირში იყო თერგის გასწვრივ დარიალის გზაზე განლაგებულ ნაგებობებთან“.

ასეთი სურათის ჩვენების შემდეგ გ. მირიანაშვილი კვლავ უბრუნდება მშრალი წყობით ნაგებ სიძველეთა აღწერილობას და დაასკვნის, რომ „ის არე-მარე მოგაგონებთ ქვის ხანის ადამიანის ნამოქმედარს“.

რა შეიძლება ითქვას ბეთლემის კომპლექსის მირიანაშვილისეული აღწერილობის შესახებ? — პირველ ყოვლისა ის, რომ იგი ხელაღებით უგულებელყოფს მკვლევართა წვლილს ამ ძეგლების შესწავლაში. ბეთლემში რამდენიმე ნაგებობის არსებობაზე ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა. მისი ცნობით, „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა... კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ, და აწ ცალიერი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941 წ., გვ. 67).

როგორც ვხედავთ, ბეთლემი რომ მარტო ერთ გამოქვაბულს არ წარმოადგენს, ეს ვახუშტიმაც მშვენივრად იცოდა, როდესაც დაასახელა არა მხოლოდ ერთი ქვაბი, არამედ ქვაბნი (ე. ი. რამდენიმე გამოქვაბული) და კლდეში გამოკვეთილი მონასტერი.

თუ ვახუშტი ბეთლემში არ ყოფილა და მისი ეს ცნობა გადმოცემას უნდა ემყარებოდეს, გ. მირიანაშვილის მიერ აქ ჩამოთვლილი ძეგლებიდან შემდეგში ბევრი მათგანი ადგილზე იხილეს და აღწერეს ფ. ბაქრაძემ, ქართველმა ალპინისტებმა 1927 წელს, ს. მაკალათიამ 1930 წელს, ბეთლემის შემსწავლელმა ექსპედიციამ 1948 წელს და ბოლოს ის ძეგლები, რომლებსაც გ. მირიანაშვილი ჩამოთვლის და რომელთა ადრეულ აღწერილობასაც ის თავის თავს მიაწერს, გაცილებით კვალიფიციურად აღწერა გ. მირიანაშვილზე ადრე გაზ. „დარიალის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში ისტორიკოსმა არჩილ კობაიძემ (იხ. „დარიალი“, 1966, № 106, 107). მაგრამ არც ერთი აღწერილობაც რომ არ გვქონოდა დღემდე, რას მოგვცემდა მირიანაშვილისეული აღწერილობა? — სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ სასარგებლოს არაფერს, ვინაიდან ის შესრულებულია მეტისმეტად დაბალ, ისტორიული მეცნიერებისათვის შეუფერებელ დონეზე.

ზემოხსენებულ მკვლევართა ღვაწლთან ერთად. გ. მირიანაშვილი წარმალავს ხალხურ ცოდნას ბეთლემის შესახებ. ის საქმის ვითარებას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ხალხმა აქამდე არ იცოდა, რომ ბეთლემში არსებობს ნაგებობათა მთელი კომპლექსი და არა მხოლოდ ერთი გამოქვაბული. საკითხავია, თუ ხალხმა ეს არ იცოდა, როგორღა შეძლო გვ. მირიანაშვილმა ხალხში ამ ნაგებობათა სახელწოდებების დადგენა?

ამგვარად, გ. მირიანაშვილმა ანგარიში არ გაუწია არც ხალხურ ცოდნას და არც მეცნიერულ მემკვიდრეობას და თვითრეკლამის მიზნით ბევრი დაჩრდილვა მოისურვა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. მან ბეთლემი წარმოგვიდგინა ციხე-ქალაქის ტიპის დასახლებად, რომელსაც მისი მტკიცებით, კავშირი ჰქონია დარიალის „ციხე-ქალაქთან“. ამის დასამტკიცებლად მან მოიშველია საკუთარი ფანტაზია და წმინდა სამების ტაძრის ადგილზე აღმართა კოშკი, რომელიც თურმე ტაძრის აშენებამდე მდგარა. რასაკვირველია, ეს წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ ხომ რა ექნა გ. მირიანაშვილს? — თუ არა ამ ადგილას კოშკის არსებობით, მას რითი უნდა „დაემტკიცებინა“, რომ „ქალაქი ბეთლემი“ სტრატეგიულად იყო დაკავშირებული „ბახტრის ციხე-ქალაქთან“?

გ. მირიანაშვილის აღწერილობა განსაკუთრებით „საყურადღებოა“ ძეგლების დათარიღების თვალსაზრისით. მან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ნაბერალის ზურგიანი კოშკი გამოაცხადა ადრეფეოდალური ხა-

ნის ნაგებობად. რა საბუთით? — რატომ არ შეიძლება ის იყოს გვიანფეოდალური ხანისა? მითუმეტეს რომ ხევის ტერიტორიაზე ორივე ასეთი ძეგლი (გერგეტისა და ხურთისის კოშკები) გვიანფეოდალურ ეპოქას განეკუთვნებიან.

გ. მირიანაშვილი უფრო შორს მიდის და ბეთლემის კომპლექსში საბოლოო ანგარიშით ქვის ხანის ადამიანის ნამოქმედარს ხედავს. გამომდინარე აქედან: ქვის ხანის ადამიანი თურმე აშენებდა ეკლესიებსა და ზურგიან კოშკებს, კლდეში ქვეთდა მონასტრებს, აჩუქურთმებდა და ასომთავრულით ამშვენებდა ქვა-ჯვრებს, ჰედდა ჯაჭვსა და ხატებს და როგორც ჩანს, თვითონვე ადგენდა „სულთა მატიანის პირველ ტომსაც". აი სად ყოფილა ბეთლემის საიდუმლოება? — მოდი და ნუ ვიამაყებთ ჩვენი სწორუპოვარი ქვისხანელი ბეთლემელი წინაპრებით?

გ. მირიანაშვილი ამაყად აცხადებს, რომ ის მრავალგზის იყო ბეთლემში, რომ სევში ჩაიწერა „დღემდე შექმნილი ისტორიული თქმულებების ვარიანტები", რომ ყოველივე ეს „სამეცნიერო აპარატის დახმარებით გააანალიზა" და დაასკვნა, რომ ბეთლემი „არ წარმოადგენდა ღვთისმოსავი ადამიანების მხოლოდ თავშესაფარს... ბეთლემი არის ქართლის საეკლესიო განძთსაცავი ქალაქი".

ამის „საბუთად" ავტორი იმოწმებს საკუთარი ფანტაზიით შეთითხნილ არაკს ე. წ. „შეფიცულთა" შესახებ, რომელთაც თითქოს ოსების შემოსევის დროს სამებაში დაცული განძი ბეთლემში გადამალეს და „ვიღრე ვახტანგ გორგასალი მხსნელად მოევლინებოდა, განძი საიდუმლოდ იყო დაცული"-ო.

გ. მირიანაშვილს ამ უსუსური ზღაპრის შედგენაშიც ღალატობს ისტორიული კვლევის ალღო. როდესაც ის „შეფიცულს" თხზავდა, სრულებით არ გახსენებია ის ამბავი, რომ ვახტანგ გორგასალსა (V საუკუნე) და სამების აშენების თარიღს (XIII—XIV სს.) ერთმანეთისაგან აშორებს 8—9 საუკუნე. ჩვენმა „მწერალმა" თუ „ისტორიკოსმა" კი (არ ვიცი თვითონ ახლა რად მიაჩნია თავი გ. მირიანაშვილს — მხატვრული სიტყვის ოსტატად თუ ისტორიკოსად?) სამების განძის გატაცების მიზნით ოსების შემოსევა და ვახტანგ გორგასალის ხევში მოსვლამდე „შეფიცულთა" მიერ ბეთლემში განძის გადამალვა ერთდრულ პროცესად წარმოგვიდგინა.

რისთვის დასჭირდა გ. მირიანაშვილს „შეფიცულის" შეთხზვა? — მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ განძში შედიოდაო ოქროს ჯვარი, სულის სახარება და წმინდა ნინოს ოქროს ჯვარი. გ. მირიანაშვილი ამ მიზნით აქვე იმოწმებს დ. ბაქრაძისა და თ. ჟორდანიას შრომებს იმის შესახებ, რომ ნინოს ჯვარი და „სულთა მატიანე" სამებაში ინახებოდა.

სამეცნიერო რომ ისინი ერთ დროს მართლაც ინახებოდა, ამაზე დღეს არავინ არ დაეჭვება. არც არაფერი იმაშია ახალი, რომ ასეთი ნივთები თუ ხელნაწერები ბეთლემში მოხვედრილიყო. ეს კარგად ჩანს ვახუშტის, იოანე ბატონიშვილის აღწერილობიდან, ადრე გამოქვეყნებული სალხური წყაროებიდან და ბოლოს ბეთლემს, როგორც განძსაცავს ხომ არ კამათობდა ან კი რა არის საოცარი იმაში და რატომ მიაჩნია გ. მირიანაშვილს საგანგაშოდ ის, რომ ხატები და სასულიერო ხასიათის ხელნაწერები დებულიყო იქ, სადაც სამონასტრო ცხოვრება იყო გაჩაღებული.

გ. მირიანაშვილს ბეთლემში უპოვია „სულთა მატიანის“ ყდის ნატეხი. ამის საფუძველზე იგი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ეს ისტორიული წყარო ინახებოდა მისი თხზულების გმირთა (ე. წ. „შეფიცულთა“) ხელში. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „შეფიცულნი“ არსებობდნენ. რატომ ჰგონია გ. მირიანაშვილს, რომ ეს ხელნაწერი უსათუოდ მათ ხელში უნდა ყოფილიყო და არა ბერების ხელში, რომლებიც საერთოდ საქართველოში საუკეთესო მწიგნობრები იყვნენ. ყდის ნატეხზე ეგების ამ „შეფიცულთა“ სახელები აწერია და ჯერჯერობით ამას საიდუმლოდ ინახავს მისი აღმომჩენი?

გ. მირიანაშვილი ერცლად შეეხო „სულთა მატიანის“ მნიშვნელობას, რათა გვიჩვენოს მცხეთასთან სამებისა და ბეთლემის კავშირი და ამის საფუძველზე დაამტკიცოს, თითქოს გერგეტელთა საყდრიშვილობა, როგორც გარკვეული ფეოდალური პრიორიტეტი ხევში, დაკავშირებული იყო ბეთლემში გადამალული საგანძურის დაცვასთან. სინამდვილეში „სულთა მატიანე“ მოგვითხრობს მხოლოდ იმ კავშირზე, რომელიც არსებობდა მცხეთასა და სამებას შორის, ხოლო გერგეტელთა საყდრიშვილობა, როგორც სათანადო პრივილეგია, უშუალოდ დაკავშირებულია სამებასთან. ამ დოკუმენტში ბეთლემზე, როგორც განძსაცავზე, კრინტიც არ არის დაძრული და გ. მირიანაშვილს არავითარი უფლება არ ჰქონდა, რომ გერგეტელთა საყდრიშვილობა ბეთლემთან კავშირში ეხსენებინა. სოფ. გერგეტი თემის ცენტრად იქცა სამების აშენების დროდან (XIII—XIV სს.). ამასთან ერთად ხდება გერგეტელთა საყდრიშვილობის უფლების მინიჭებაც, რაც დაადასტურა ბაგრატ მეხუთემ სიგელის განახლებით. პირველი სიგელი უნდა გაცემულიყო გერგეტლების, როგორც საყდრიშვილების, სახელზე სამების აშენებისა და გერგეტელთათვის მისი ჩაბარებისთანავე, ხოლო შემდეგ ეს წყალობა მათთვის ცოტა მოგვიანებით განუახლებია ბაგრატ მეხუთეს. ამის შესახებ ჩვენ გვქონდა გამოთქმული მოსაზრება (იხ. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960,

გე. 87—88; მისივე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 77—79), მაგრამ გ. მირიანაშვილისათვის არავითარ შეხედულებას ფასი არა აქვს. სამაგიეროდ მას ხელი აქვს გაწაფული სხვისი შეხედულებების მითვისებაში. თვით „სულთა მატიანეზე“ ის ისე „მსჯელობს“, თითქოს მის შესახებ მეცნიერებაში ერთი სიტყვაც არ იყოს ნათქვამი. სინამდვილეში ეს ძეგლი მშვენიერი გამოკვლევით გამოაქვეყნა ქ. შარაშიძემ (ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მსკი, ნაკ. 30, თბ., 1954), რომლის ნაშრომსაც გ. მირიანაშვილი განუკითხავად სძარცვავს, მაგრამ, მისდა სავალალოდ, იგი შედეგს ვერ აღწევს, ვინაიდან გ. მირიანაშვილი ვერ გაერკვა ამ დოკუმენტის მნიშვნელობაში და ის ხელოვნურად მიატმასნა ბეთლემის პრობლემას.

მიუტევებელი შეცდომისა და ისტორიული დოკუმენტის მცდარი ინტერპრეტაციის ნიმუშად გვესახება ასეთი მსჯელობა: „თამარის მეფობის დროს XII ს. ხევი მჭიდრო ურთიერთობაშია ქართლის სამეფოსთან და ქრისტიანულ მცხეთასთან. შემდგომ პერიოდში ხევი მთიულეთთან ერთად განუდგა სამეფოს, რისთვისაც გიორგი ბრწყინვალემ „ძეგლი დაუდო“ (გავიხსენოთ მისი XII მუხლი). აი სწორედ „დიდი სისხლის“ შესახებ სიგელიც ამიტომ განახლდებოდა“ (იხ. „დარიალი“. 1966, № 117).

ამ ამონაწერში ორი ძირითადი საკითხია დასმული და ორივე მცდარად გაგებული. პირველ რიგში, თვალში გვეცემა იმის მტკიცება, რომ ხევი მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა თამარის სამეფოსთან, რომელიც თურმე მხოლოდ ქართლს მოიცავდა. განა საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდან მაინც არ უნდა იცოდეს „ხევის ისტორიკოსმა“, რომ თამარის სამეფო მარტო ქართლს კი არა, არამედ საქართველოს ყველა პროვინციასთან ერთად მოიცავდა თითქმის მთელ ამიერ- და იმიერკავკასიას და ახლო აღმოსავლეთის გარკვეულ ნაწილს. ასეთ ვითარებაში შეიძლება დაუშვას „მკვლევარმა“, რომ ხევი მჭიდრო ურთიერთობაშია სამეფოსთან? რა გამოდის? — ის რომ ხევი იმდროინდელი საქართველოს ორგანული ნაწილი კი არ ყოფილა, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონია შესაბამისი „ურთიერთობა“ დაემყარებინა საქართველოს სამეფოსთან. საქართველოს ისტორიის ასეთი ხელყოფა დღეს არც ერთ რიგით მკითხველს არ ეპატიება. რასაკვირველია, ამ მხრივ, უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვისაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრეტენზიები აქვს.

გ. მირიანაშვილი ზემოთ მოტანილ ამონაწერში შეეხო აგრეთვე ხევისა და მთიულეთის დამოკიდებულებას სამეფოსთან გიორგი ბრწყინვალის დროს. იგი სრულიად უპასუხისმგებლოდ ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ხევ-მთიულეთი სამეფოს განუდგა. სინამდვილეში მხოლოდ მთიულეთში ზოგიერთი იურიდიული კანონმდებლობა იქნა დარღვეული, რისთვისაც მეფე გიორგი ბრწყინვალეს დასჭირდა სანქციებო ღონისძიების ჩატარება. რაც შეეხება ხევს, ხსენებულ ეპოქაში მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია სპეციალისტების მიერ (იხ. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957), მაგრამ გ. მირიანაშვილს, როგორც ჩანს, მეცნიერთა კვლევის შედეგები არც ამ შემთხვევაში აკმაყოფილებს. თავისი „ორიგინალური მოსაზრების დასასაბუთებლად" ის მიუთითებს „ძეგლის დადების" XII მუხლს, რომლის შინაარსი მას აქ არ მოჰყავს, მაგრამ მასზე დაყრდნობით აცხადებს, რომ სწორედ ეს მუხლი ყოფილა სამეფოდან ხევის განდგომისა და „დიდი სისხლის" განახლების საბუთი. თუ რამდენად შეესაბამება ეს მითითება სიმართლეს, გავეცნოთ ხსენებული მუხლის შინაარსს: „თუ ხევისბერმან მოკლას ჰეროვანი მამულის ნდობისათვის, ერთს წელიწადს მამულისაგან განიძოს და თუ ეფათერაკოს, დაიურეოს ისრე, ვით ზემოთ გაგვიჩენია". კანონმდებელი ამ „ზემოთში" გულისხმობს XI მუხლს, სადაც ლაპარაკია, თუ რა ღირს ჰეროვანის სისხლი (იხ. ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108). როგორც ვხედავთ, მითითებულ წყაროსა და გ. მირიანაშვილის მსჯელობას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს.

გ. მირიანაშვილის მტკიცებით, ბეთლემი წარმოადგენს V საუკუნის ძეგლს და წინასწარმეტყველებს, რომ ეს „აუცილებლად ბეთლემში არქეოლოგიური გათხრებითაც დადასტურდება"-ო. ასეთი „პროგნოზის" შემდეგ იგი ასევე გულდაჯერებით გვარწმუნებს, რომ ბეთლემი, როგორც ხალხისა და განძის თავშესაფარი, გაფართოებულა სპარსელების, არაბებისა და მონღოლების შემოსევის ხანაში, ე. ი. V—XII საუკუნეებში, ხოლო ბეთლემს თავდაცვითი მნიშვნელობა დაუკარგია და ის გაუკაცრიელებულა სამების ტაძრის აშენების დროიდან.

მაშასადამე, გ. მირიანაშვილს მიაჩნია, რომ V—XII საუკუნეებში ბეთლემი წარმოადგენდა სამხედრო მნიშვნელობის მქონე ციხე-ქალაქს, რომელშიც იხიზნებოდა მტრისაგან დაწიოკებული მოსახლეობა, იხახებოდა ქვეყნის სიმდიდრე და ეს „ქალაქი" სტრატეგიულად იყო დაკავშირებული დარიალის სიმაგრეთა კომპლექსთან. XIII—XIV სს. მისი ეს ფუნქცია შეუცვლია სამების ტაძარს.

რაკი ასეთი ვითარება გ. მირიანაშვილს სარწმუნოდ მიაჩნია, მაშინ იქიდან ერთი უნდა დაგვიმტკიცოს: ან ის, რომ სამების ტაძარიც იოლად ასრულებდა ციხე-ქალაქის ფუნქციას, რომ გუმბათიანი ეკლესიაც აუღებელი სიმაგრე ყოფილა. თუ ეს ვარიანტი არ აწყობს გ. მირიანაშვილს, მაშინ უნდა დაგვარწმუნოს იმაში, რომ სამების აშენების დღიდან საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა, შემოსევებს ბოლო მოეღო და ბეთლემის სიმაგრეთა კომპლექსმაც დაჰკარგა ადრინდელი მნიშვნელობა. საინტერესოა, ამათგან რომელ ვარიანტს აირჩევდა „ხევის ისტორიის მესაიდუმლე?“—თუ მასთან რჩევა ჭრის, დაგვიჯეროს, რომ თავისი „კონცეფციის“ დასაცავად არც ერთი ასეთი „დასაბუთება“ არ გამოადგებოდა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ გ. მირიანაშვილმა გზა დაკარგა ისტორიის ლაბირინთებში.

რაკი გ. მირიანაშვილმა ის „დაამტკიცა“, რომ სამების ტაძრის აშენების დღიდან ბეთლემში ცხოვრება შეწყდა, ახლა მის წინაშე წამოიჭრა მეორე საკითხი —- „მაშ როგორ გაჩნდა ბეთლემში ან ნაბერალში XVIII საუკუნის ნივთებიც კი?“ („დარიალი“, 1966, № 117).

ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ გვიანი დროის ნივთები აქ უნდა მოხვედრილიყო შეწირულების გზით, რამდენადაც ბეთლემი ხევის ერთ-ერთ უდიდეს სალოცავსაც წარმოადგენდა, ხოლო სალოცავად მისულ ღვთისმორწმუნე კაცს ხატისთვის ძღვენის მირთმევაც წესად ჰქონდა (იხ. ვ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963, გვ. 54).

გ. მირიანაშვილი თავის მხრივ ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს „ბეთლემში დაიარებოდა ის, ვისაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მისი გზა-კვალის ცოდნა. როგორც გერგეტელნი ადასტურებენ. მისი გზა იცოდნენ სუჯაშვილების გვარის წარმომადგენელმა სასულიერო პირებმა („დარიალი“, 1966, № 117). მათ შორის გ. მირიანაშვილი ასახელებს მარკოზ მღვდელს, რომელსაც მრავალგზის გაუძარცვავს ბეთლემი.

ამის შემდეგ სრულიად მოულოდნელად ეხება იოანე ბატონიშვილის მიერ მღვდლად ხსენებულ იოსებ მოხევეს და ცდილობს იმის დამტკიცებას. თითქოს იგი იყოს ასტრონომი და ბუნებისმეტყველი. იოსებს თურმე მწვერვალისაკენ იზიდავდა მეცნიერული ინტერესი, მაგრამ ვინაიდან ბეთლემში, როგორც წმინდა ადგილში, მისვლა „სასულიერო პირისათვის აკრძალული იყო“, დასჯის თავიდან აცილების მიზნით გაჰხდარა ის მემარხულე და ღვთისმეტყველი და ერეკლე მეფისთვისაც ამ მიზნით მიურთმევია კარვის ნაჭერი („დარიალი“, 1966, № 117).

ბეთლემის საიდუმლოების მაძიებელი კვლავ ჩიხში მოექცა. ის ჯერ ამტკიცებდა, რომ ბეთლემის გზის ცოდნა მემკვიდრეობით გადაეცათ

ებრაელების გვარიდან გამოსულ სასულიერო პირებს. ამის საბუთად ისტორიკოსი მარკოზ მღვდლის იქ სიარულს. შემდეგ კი იმის დასაბუთებას ცდილობს, თითქოს სასულიერო პირს ეკრძალებოდა იქ მისვლა და იოსებ მღვდელი ამიტომ გახდა ღვთისმეტყველი და მემარხულეო. მაშასადამე, გამოდის, რომ ერთ შემთხვევაში ბეთლემში სიარული სასულიერო პირთა სვედრია, ხოლო მეორე შემთხვევაში მათთვის ეს აკრძალულია. აქვე სრულიად გაუგებარია მსჯელობა იოსების პიროვნების შესახებ. გ. მირიანაშვილის მტკიცებით, ის არის მეცნიერიც და სასულიერო პირიც. ამასთან ერთად, იოსები მემარხულე გამხდარა და ერეკლესთვისაც ამ მიზნით მიურთმევია კარვის ნაჭერი. საკითხავია — განა სასულიერო პირი თავისთავად მემარხულე არ იყო, როგორღა უნდა გამხდარიყო ის მემარხულე? ანდა რა შუაშია აქ მემარხულეობის მიზეზით ერეკლესთვის კარვის ნაჭრის მირთმევა? — სრული გაუგებრობაა!

როგორც ვხედავთ, გ. მირიანაშვილს სურდა მკითხველისთვის გაეხმარტა, თუ რითი აიხსნება XIII—XIV საუკუნეებიდან მიტოვებულ ბეთლემში XVIII საუკუნის ნივთების მოხვედრა. ამაზე პირდაპირი და ნათელი პასუხის ნაცვლად ის მოყვა ზემოთ განხილულ ქაოსურ მოთხრობას ბეთლემის გზის გასაიდუმლოების, სასულიერო პირების იქ სიარულისა და იმის შესახებ, თუ როგორ გაძარცვა ბეთლემი მარკოზმა. როგორ გავიგოთ ყოველივე ეს? — XVIII საუკუნის ნივთების არსებობას ბეთლემში გ. მირიანაშვილი იმითი ხსნის, რომ მარკოზი იქ საქურდლად დადიოდა?

რაკი გავეცანით გ. მირიანაშვილის „დებულებებს“ ბეთლემის გზის გასაიდუმლოებისა და გვიანდელი ნივთების იქ არსებობის მიზეზის შესახებ, აქვე იბადება ერთი ასეთი ზოგადი ხასიათის კითხვაც — რისთვის დასჭირდათ ბეთლემის გზის გასაიდუმლოება მას შემდეგ, რაც საზების ტაძარი აშენდა, განძსაცავად ის იქცა, ხოლო გაუკაცრიელებულმა ბეთლემმა, როგორც ყოფილმა განძსაცავმა, დაჰკარგა მნიშვნელობა? რას იტყოდა ამის შესახებ გ. მირიანაშვილი? — თუ ზემოთ ნათქვამი მას სარწმუნოდ მიაჩნია, მაშინ, შეცდომის ლოგიკით, იგი იძულებული აღიაროს, რომ ბეთლემი ვიდრე განძსაცავი იყო, მისი გზა არ იყო გასაიდუმლოებული, ხოლო იმის შემდეგ, რაც განძი სამებაში იქნა მოთავსებული, ბეთლემის გზა საიდუმლოებამ მოიცვა. ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენს წინაპრებს ასეთი უგუნური გადაწყვეტილება მიეღოთ. მიტომ არაფრით არ არის გამართლებული ასეთი დაუჯერებელი ზღაპრების თხრობით ხევის ისტორიული სინამდვილის დამახინჯება.

გ. მირიანაშვილი საგანგებოდ შეეხო ბეთლემის სახელწოდებასაც. მისი შეხედულებით, სიძველეთა ამ კომპლექსს ბეთლემი უნდა შერ-

ქმეოდა იმის შემდეგ, რაც იგი აღარ წარმოადგენდა განძსაცავს, ხოლო ვიდრე ის განძსაცავი იყო, მას სახელიც სხვა უნდა რქმეოდა.

რისთვის დასჭირდა გ. მირიანაშვილს ამგვარი მკითხაობა? — კვლავ იმისთვის, რომ დააჯეროს მკითხველი, თითქოს ბეთლემი ადრე იყო ციხე-ქალაქი, ხოლო შემდეგ ის გადაიქცა ბერების სავანედ. სხვა გამოსავალი გ. მირიანაშვილს არ ჰქონდა, ვინაიდან „ბ ე თ-ლ ე მ ი არის სახლი ცხოვრებისა, გინა სიწმინდისა“ (საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნი, სიტყვის კონა). მართალია, გ. მირიანაშვილმა ამ შემთხვევაში საბას დამოწმება არ ისურვა და უფრო სოლიდურ საქმედ ცნო ებრაული ენციკლოპედიის ცნობა, რომლის მიხედვით ბეთლემი ნიშნავსო ღმერთის სახლს ან ღმერთის საცხოვრებელს, მაგრამ საქმეს არც ეს შველის, ვინაიდან იქვე ამ განმარტების მიხედვით ბეთლემი ნიშნავს წმინდა ადგილს, წმინდანთა სამყოფს. ხოლო რამდენადაც წმინდანთა ადგილ-სამყოფელსა და ციხე-ქალაქს შორის გ. მირიანაშვილმა ნათესაური კავშირი ვერ დაადგინა, იძულებული გახდა საკუთარი გონებისთვის მოეხმო და და „განეკვრიტა“, რომ ბეთლემი არის მერმინდელი სახელწოდება ციხე-ქალაქისა, რომელსაც ადრე სხვა სახელი უნდა რქმეოდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გ. მირიანაშვილი ახლო მომავალში ბეთლემის თავდაპირველ სახელწოდებასაც „აღმოაჩენს“, ისევე, როგორც მან „აღმოაჩინა“ ბეთლემის გზის „საიდუმლეობა“, ე. წ. „შეფიცულთა“ არაკი და სხვა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

გ. მირიანაშვილი საგანგებოდ ეხება ჩვენ მიერ ხევში ჩაწერილ სალხურ გადმოცემას და მისი შინაარსის ღირსება-ნაკლოვანებებზე ისე ეთხოვს პასუხს, როგორც ამ თქმულების ავტორს. მაგალითად, იგი უკმაყოფილოა იმით, რომ გადმოცემაში ზუსტად არ არის ნაჩვენები გვირგვეტის მთების მდებარეობა და ამას შეცდომად მიითვლის. ჩვენს „კრიტიკოსს“ ავიწყებდა, რომ გადმოცემის შინაარსის შესწორების, ე. ი. ფალსიფიკაციის უფლება არავის არა აქვს. თუ ხალხური გადმოცემა ისტორიულ წყაროდაა მისაჩნევი, ეს პირველ ყოვლისა იმ პირობით, თუ მას შევუნარჩუნებთ ხალხურობას და ჩვენი ჩარევით არ შევბღალავთ მის შინაარსს. ამიტომ მე, როგორც თქმულების ჩამწერმა (და არა ავტორმა) მის რედაქციაზე და მისი შინაარსის ისეთ „გაუმჯობესებაზე“, როგორც ეს გ. მირიანაშვილს სჩვევია, არ მიფიქრია. ამიტომ, თუ გადმოცემიდან მას რაიმე არ მოსწონს, ჩემს მთხრობლებს ედავოს და მათთან გაასწოროს თავისი „მეცნიერული“ ანგარიშები.

გადმოცემის ჩვენ მიერ ჩაწერილი ვარიანტის ერთ-ერთ ნაკლად გ. მირიანაშვილს მიაჩნია ქრონოლოგიური შეუსაბამობა გადმოცემაში ხსახულ ამბავსა და მოქმედ პირთა შორის. მას ჩაუხედია რა XVIII საუკუნის ხევის სტატისტიკურ აღწერილობაში, იქ შეხვედრია ჩვენ მიერ

წერილი გადმოცემიდან ნაცნობი სახელი ღურბელა. გ. მირიანაშვილთან არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ ღურბელა თოლიკასშვილი მართლაც იხსენიება ამ აღწერილობაში, როგორც სოფ. სტეფანწმინდის მკვიდრი. მაგრამ გ. მირიანაშვილი განგებ ჩქმალავს იმ გარემოებას, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ გადმოცემაში მოქმედ პირად გვევლინება არა თოლიკეთ ღურბელა, არამედ ქოსლელი ღურბელა. იმის შესახებ, რომ ხევის წარსულში ჯარის სარდლად გადმოცემაში ნაგულისხმევია ქოსლელი ღურბელა, აღნიშნული გვქონდა ჩვენს ერთ-ერთ წიგნში (იხ. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, 1963, გვ. 47—48). ამიტომ 1963 წელს გამოქვეყნებულ წიგნში შეტანილ ხალხურ გადმოცემაში, რომლის ავტორადაც გ. მირიანაშვილმა მე გამომაცხადა. ღურბელა მხოლოდ სახელითა და გვარით მოვიხსენიეთ და აღარ ვიგვითითებია რომელი სოფლიდან იყო ის და ფიცხელაურთა საგვარეულოს რომელ პატრონიმიას (ნათესაურ გაერთიანებას) ეკუთვნოდა იგი. გ. მირიანაშვილმა ძალიან კარგად იცოდა ეს, მაგრამ რაკი ქოსლელებიც და თოლიკენიც ფიცხელაურები არიან, მკითხველის შეცდომაში შეყვანის მიზნით მიმართა თავის მარჯვე იარაღს — სიყალბეს.

ქოსლელი ღურბელა, ხალხური გადმოცემის მიხედვით, გვესახება შორეული წარსულის მოღვაწედ და მას თოლიკასშვილ ღურბელასთან სახელის მსგავსების მეტი არაფერი არ აკავშირებს. გ. მირიანაშვილს ავიწყდება ის გარემოება, რომ თოლიკასშვილი ღურბელა იხსენიება სოფ. სტეფანწმინდის მცხოვრებად, იმ სტეფანწმინდისა, რომლის სახელი ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ დაუკავშირა ქოსლელი ღურბელას იმ სახელს, რომელიც მან ბერად აღკვეცის შემდეგ დაირქვა.

სახელების დამთხვევის მხრივ ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ავსაჯანიშვილების გვარში. ხალხური გადმოცემა იცნობს ორ ამოვანს, რომელთაგან ერთს მიიჩნევენ ავსაჯანიშვილების ეპონიმის (ავსაჯანის) ძმისწულად (ე. ი. გვარის ერთ-ერთ წინაპრად). მის სახელთან ყოფილა დაკავშირებული ბევრი საგმირო საქმეები. ამ მხრივ ასევე დიდი მეომრის სახელი მოუხვეჭია შედარებით ახლო წარსულში მცხოვრებ ამოვანს. როგორც წესი, წინაპრის სახელის დარქმევა ხევშიც და სხვაგანაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ ერთი ჩამომავლობის შიგნით შეიძლება რამდენიმეჯერ განმეორდეს ერთი და იგივე სახელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველანი ერთი ეპონიმის მცხოვრებნი იყვნენ.

ჩვენ მიერ ფიქსირებულ გადმოცემაში მოქმედ პირებად გვევლინებიან ქოსლელი ღურბელა და ავსაჯანის ძმისწული ამოვანი. რაც შეეხება ღურბელა თოლიკასშვილს და მეორე ამოვან ავსაჯანიშვილთან

მის ურთიერთობას, ეს თავისთავად შეიძლება საინტერესოც იყოს, მაგრამ გადმოცემის ჩვენ მიერ ჩაწერილ ვარიანტთან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ. გამორიცხული არც ის არის, რომ გადმოცემის სხვა ვარიანტში მოქმედ პირებად ნაგულისხმევი ყოფილიყვნენ ახალი დროის პერსონაჟები. გ. მირიანაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ხალხურ ნაწარმოებს ხშირად ახასიათებს ქრონოლოგიური ნახტომები. მე ოშვიათად მეგულება ისეთი ისტორიული ხასიათის ხალხური გადმოცემა, რომელშიაც ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფისა და ერეკლე მეორის სახელები არ იყოს ფიგურირებული, განურჩეველად იმისა, თუ რა ეპოქას ეხება ეს გადმოცემა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოხუცი მოგვითხრობს ლეკიანობის ამბავს, ხოლო ხმალს მოაქნევინებს ვახტანგ გორგასალს, ანდა, პირიქით, როდესაც ერეკლე მეორეს სახელს დაუკავშირებენ მის დაბადებამდე მომხდარ გმირულ ეპიზოდებს. ყველა დროის თქმულებასა და ლეგენდაში ხალხი მოქმედ მდგომარეობას უნარჩუნებდა თავიანთ საყვარელ გმირებს. ასეთი რამ არც მოხეური ზეპირსიტყვიერებისთვის არის უცხო. ამიტომ გ. მირიანაშვილს არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემისთვის ეწოდებინა „შეთხზული“, მხოლოდ იმიტომ, რომ მის „მხატვრულ შედევრებთან“ მას საერთო არაფერი აღმოაჩნდა.

გ. მირიანაშვილი უნდობლობას უცხადებს ჩვენს მასალას სოფ. სათარგმნოს წალეკვის შესახებ, რამდენადაც „სათარგმნოს წალეკვის შესახებ ლეგენდა ვ. ითონიშვილამდე და არც იმის შემდეგ არავის შეხვედრია ხევში. ამის შესახებ არაფერი იცის არც თვით ს. მაკალათიამ“-ო („დარიალი“, 1966, № 120).

პირველ ყოვლისა მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ სოფლის წალეკვის შესახებ არსებული თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი, რომელშიც მოქმედ პირად ღურბელა (ბერობისას სტეფანედ სახელდებული) იხსენიება, გამოაქვეყნა ს. მაკალათიამ (იხ. მისი, ხევი, 1934, გვ. 130—131). მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა არც ს. მაკალათიამ. როგორ წარმოუდგენია გ. მირიანაშვილს, ვ. ითონიშვილს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება მასალის გამომზეურებისა, როდესაც ეს მასალა სხვებისთვისაც არის ცნობილი? ე. ი. რამდენ სიახლესაც გ. მირიანაშვილი ჩემს მომავალ ნაშრომებში იხილავს და რამდენიც მისთვის უცნობი და ხელმიუწვდომელი იქნება, იმდენს მან უნდა უწოდოს „შეთხზული“, „ხალხურის დამახინჯება“ და „ინტერპოლაცია“?

გ. მირიანაშვილი ძალ-ღონეს არ იშურებს დაამტკიცოს, რომ იგი ხევს მოევლინა სწორუპოვარ ისტორიკოსად, რომლის მიზანია სხვების

--შეცდომების გასწორება“. ამ საპატიო ამოცანის გადასაჭრელად მას ...არალად გამოუყენებია კვლავ ცილისწამება. მაგალითად, სოფ. სათარ-...გმნოს შესახებ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ გადმოცემაში იხსენიება ხე-...კისბერ შავხალის ციხე, რომელიც სოფელთან ერთად ღვარცოფს წა-...ულეკავს. გ. მირიანაშვილს კი გადაუწყვეტია დაარწმუნოს მკითხველი, ...თქოს გადმოცემაში იხსენიებოდეს შავხალეთ ციხე, რომელიც ახლო ...წარსულში სვიმონ ფიცხელაურს (შავხალეთ სვიმონას) დაუნგრევია. ...ევისბერ შავხალის ვინაობაზე გადმოცემა არაფერს მოგვითხრობს. შავხალი იხსენიება აქ როგორც ხევისბერი, რომლის ინიციატივითაც ...უშენებიათ ციხე სოფ. სათარგმნოში და ამიტომ ციხე მის სახელს ატა-...რებდა. გ. მირიანაშვილმა დაინახა თუ არა ფონეტიკური მსგავსება პიროვნების სახელისა (შავხალისა) ნათესაური გაერთიანების (პატრო-ნიმიის) სახელწოდება შავხალეთთან, მათ შორის დასვა იგივეობის ნიშ-ანი და სრულ გაუგებრობაზე აშენებული „არგუმენტებით“ სცადა იმის დამტკიცება, რომ თქმულება სათარგმნოს წალეკვის შესახებ „შეთხ-ზულია“.

ასევე თვითნებურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იგი ცდი-ლობს მკითხველის დარწმუნებას იმაში, თითქოს ჩვენს ერთ-ერთ ნაშ-რომში (ხალხური მმართველობის ისტორიიდან, მსე, IX, თბ., 1957) ვუ-არყოფდეთ არქეოლოგების აზრს შეთხზული ამბებისა და ტერმინების საფუძველზე. სინამდვილეში ჩვენ ამ ნაშრომში განვიხილეთ მხოლოდ ყაზბეგის არქეოლოგიური ძეგლების ის ნაწილი, რომელსაც ფრ. ბაი-ერნი იკვლევდა და ამასთან დაკავშირებით მოვიშველიეთ ეთნოგრაფი-ული მასალა. ამიტომ გ. მირიანაშვილს არ ჰქონდა უფლება ჩვენთვის შეეთხოვა „ყაზბეგის განძის“ მთლიანად განხილვა და პასუხის გაცემა იმაზე, თუ რატომ აღმოჩნდა სამარხებში ჩონჩხი, ანდა რითი აიხსნება სხვადასხვა დანიშნულების მქონე ნივთების თავმოყრა. ყოველივე ამის გაკეთება არქეოლოგების მომავალ კვლევა-ძიებაზეა დამოკიდებული, რომელთა ყოველ ახალ მონაპოვარს ჩვენც სიამოვნებით გამოვიყენებთ.

ამგვარად, გ. მირიანაშვილმა ბეთლემის შესწავლაში ერთადერთ ჭეშმარიტ წყაროდ გამოაცხადა მხოლოდ საკუთარი „დაკვირვებები“. რგი ქვეყანას ეფიცება, რომ ბეთლემის საიდუმლოების გასაღებია „შე-ფიცულნი“. მისი მტკიცებით, ყოველივე ის, რაც მის „კონცეფციას“ ეწინააღმდეგება, „შეთხზულია“ და „უკუსაგდები“. ასეთ ეპითეტებს გ. მირიანაშვილი განსაკუთრებით უხვად იმეტებს ჩემი შრომების მისა-მართით. ეს მაშინ, როდესაც მხატვრული ნაწარმოებების შექმნის პრე-ტენზია თვით ჩვენს „კრიტიკოსს“ აქვს. ამან ერთგვარი გამოხატულება

უკვე პოვა მის მიერვე შეთხზულ თქმულებებში (იხ. ნაისრალი ჭორწილი. გაზ. „დარიალი“, 1965, № 14; მრუდე ციხე, „დარიალი“, 1965, № 50; ნადარბაზევი, „დარიალი“, 1966, № 95), რომლებსაც ის ხალხურად ასაღებს. ასეთივე კატეგორიის ნაწარმოებია მისი „შეფიცულნი“ („დარიალი“, 1965, № 32), რომელსაც ხევის ისტორიულ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს და ამდენად ბეთლემის შესწავლის წყაროდ მისი გამოყენება სხვა არა არის რა, თუ არა ისტორიის ფალსიფიკაცია.

გ. მირიანაშვილის მიერ „დარიალში“ გამოქვეყნებული წერილი თავიდან ბოლომდე მცდარია. გ. მირიანაშვილმა ვერ შეძლო ვერც ერთი იმ საკითხის გაშუქება, რომელიც მან დასვა. ეს იმიტომ, რომ ავტორი საამისოდ მომზადებული არ არის. მარტო სურვილი კი მეცნიერებაში თავის გამოჩენისა, მეტისმეტად უსუსური და უპერსპექტივო წინაპირობაა. ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების დონე და გ. მირიანაშვილის პრეტენზიები ერთიმეორეს დიდი მანძილით აცდენენ.

ყოველივე ამის შემდეგ საკითხავია—რატომ დაუთმო გაზ. „დარიალმა“ (რედაქტორის მოადგილე კ. ჩქარეული) ექვსი გვერდი ამ უთავბოლო მოთხრობას?! — მაგრამ სამწუხაროა ისაა, რომ ამ თვითმარქვია მეცნიერის „ნაშრომის“ გამოქვეყნებამდეც იმავე კ. ჩქარეულის ინიციატივით ზემოხსენებული გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა შოთა რუსთაველის დღემდე უცნობი და ძალზე უცნაური „თავგადასავალიც“.

როგორც ცნობილია, 1966 წელს შ. რუსთაველის იუბილეს საინტერესო მასალები მიუძღვნეს ცენტრალურმა და სარაიონო გაზეთებმა. ვალში არც გაზ. „დარიალი“ დარჩენილა. საიუბილეო დღეებში მის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა, როგორც ცენტრალური პრესის მასალები, ისე ყაზბეგის რაიონის მკვიდრთა ლექსები, წერილები, ჩანაწერები. ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ვეფხისტყაოსნის ხალხური ვარიანტი — „ამბავი სამი მეგობრისა“ („დარიალი, 1966, № 88), რომელიც ხევში ჩაუწერია მიხ. მარსაგიშვილს. „დარიალის“ მომდევნო ნომრებში (№№ 97, 98) ორ სავსე გვერდზე დაიბეჭდა ექიმ ევთევან ფიცხელაურის პოეტური ნაწარმოები „თქმულება შოთა რუსთაველზე (მოხეური ვარიანტი)“. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: შოთას მამა ყოფილა ხელოსანი, რომელსაც ემარჯვებოდა ლექსების შეთხზვა. ასევე პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შოთა თურმე სოფელში იზრდებოდა, ხოლო როდესაც დავაჟკაცებულა, მეფის კარზე მიუწვევიათ მგოსნად და მრჩევლად. იქ შეჰყვარებია მეფის ასული, რომელიც სხვაზე გაუთხოვებიათ. იმედგაცრუებულ ახალგაზრდა მგოსანს ბეთლემის

ლაპარაკობულში შეუფარებია თავი. იქ ის უნახავს ერთ მოხევე მწყემსს, რომელიც თურმე პოეტს თვეში ერთხელ უზიდავდა სანოვაგეს. შოთას ვისაკის უამბნია თავისი თავგადასავალი და თანაც უთხოვია, რომ ჩემს ქ ყოფნას ნუ გაუმხელ მეფის მდევარს, რომელიც მე დამეძებსო. მწყემსს შეუსრულებია მისი თხოვნა, მაგრამ საბოლოოდ მეფის შეიარაღებულ რაზმს მაინც მიუგნია მგოსნის ადგილსამყოფელისათვის და შოთა იქიდან ძალით წამოუყვანიათ.

ჭ. ფიცხელაურის მიერ ლექსად შეთხზულ ამ ნაწარმოებს რედაქციამ წაუმძღვარა განმარტება, თითქოს ეს ამბავი ჭ. ფიცხელაურს უამბო მისმა მამამ ივანე ფიცხელაურმა.

ივ. ფიცხელაურს დაწერილი აქვს ლექსები, პოემები, ხალხური თქმულებები და მოგონებები, რომლებიც ჩვენ გამოსაცემად მოვამზადეთ. მან რაც იცოდა, დაუწერლად არაფერს არ ტოვებდა. მის არქივში შეიძლებით სრულიად უმნიშვნელო ამბების აღწერილობასაც კი, მაგრამ ის არსად არაფერს ამბობს ბეთლემში შოთას შეკედლების შესახებ. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ხევში ასეთი თქმულება არ არსებობს და როგორც თვით ქეთევან ფიცხელაურმა 1966 წ. შვიდ ნოემბერს გვითხრა, მისთვის ეს არც მამას უამბნია. „თქმულება შოთა რუსთაველზე" წარმოადგენს ჭ. ფიცხელაურის საკუთარ პოეტურ თხზულებას, რომელსაც ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აქედან, ივანე ფიცხელაურის მთხრობლად დამოწმებით ქეთევან ფიცხელაურის ნაწარმოების ხალხურობის დამტკიცების ცდა სხვა არაფერია. თუ არა ცდა მკითხველის მოტყუებისა სინამდვილის შეგნებული ფალსიფიკაციის გზით.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა უყოყმანოდ გაიზიარა რედაქციის ეს განმარტება. სულ მალე გაზეთი აქვეყნებს „გულამაჩუყებელ" სტრიქონებს: „აკი შოთასაც ცოცხალს ხომ 800 წლის წინ ფეხი დაუდგამს მყინვარწვერის კალთებზე" („დარიალი", 1966, № 106). ამას მოჰყვა ვაჟა გელაძის ლექსები იმის შესახებ, თუ როგორ უმზერდა ბეთლემის სენაკის სარკმლიდან „თმაშეველცხლილი" პოეტი ქარაფებსა და არწივებს და როგორ აწკრიალებდა ის ბეთლემის ზარებს (იხ. „დარიალი", 1966, № 112).

როგორც ვხედავთ, გაზ. „დარიალის" რედაქციამ არაფერი არ დაიშურა იმისათვის, რათა მკითხველისთვის თავს მოეხვია შ. რუსთაველის უდიდესი სახელის დამამცირებელი თავგადასავალი და გ. მირიანაშვილის ყალბი შენათხზი ბეთლემის შესახებ.

ფ. ბ უ ს ე ნ ი, რომელთაც ეს სათიბი ეკუთვნოდათ, პატრონიმიული სახელია ჩიბაშვილების გვარის ერთ-ერთი ნაწილისა. ისინ ამოწყვე-

ლილან. რაც შეეხება წვრილს, რომელიც აქ გვხვდება, ეს მიგვითითებს სათიბი ადგილის ფორმა-მოცულობაზე, რამდენადაც წვრილი ნიშნავს ვიწროსაც და პატარასაც.

7. ეს ტოპონიმი ორ სიტყვას შეიცავს — ბოსელსა და კარს და იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სახნავი ნაკვეთი მდებარეობდა ბოსლის პირად. „კარი“ ამ შემთხვევაში ბოსელთან სახნავი ადგილის მიმართების (სიახლოვის) მაჩვენებელია.

8. ბ ე ქ ა ყოფილა გვარად არაბული. მას უგზო ადგილას ჰქონია სახნავი ნაკვეთი. ძნის ამოტანა რომ გაადვილებოდა, გზა კლდეში გაუკრია და ამიტომ გზასაც მისი სახელი უწოდეს.

9. აქ ადრე ეკალიც მდგარა.

10. დღეს ეს ადგილი წარმოადგენს სასოფლო საძოვარს. ადრე ყოფილა გია არაბულის სათიბი. ამიტომ არაბულები კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე ყოველთვის პრეტენზიას აცხადებდნენ ამ ადგილზე.

გ ი ა ძ ს წ ვ ე რ ი ს მისადგომებს (სახნავ-სათიბს) ეწოდება გ ი ს ძ ი რ ი, რაც მიაჩნიათ „გიაძს წვერის ძირი“-ს შემოკლებულ გამოთქმად.

11. გ ი გ ი ა ყოფილა გვარად წიკლაური. ერთხანს ხევში გავრცელებულა ხმა, რომ გიგია თავის მძახალს (ქალის დედამთილს) ჰყვარობდა. „ჭორის“ მოსპობის მიზნით გიგია გასულა წ ყ ა ლ პ ი რ ა ს (კომპალიეს ხატის ძირას), სამანი (გრძელი ქვა) ჩაუყუდებია მიწაში და საბალხოდ უთქვამს: თუ მე ჩავიდინე ეს ცოდვა, ღმერთმა მე მომკითხოს ჩემი შთამომავლობითო, თუ არა და იმას, ვინც ტყუილად მოგიგონაო.

გიგიას შთამომავლობა ამოწყვეტილა, რასაც ხალხი იმით ხსნის, რომ გიგია იყო დამნაშავე და სამანის ჩასმასთან დაკავშირებით თქმული წყევლა მასვე დაატყდაო. სამანი დღესაც უძრავად დგას და გატიალებული გიგიას სახელიც მან შემოგვინახა.

12. დ ი დ ს ა ბ ი ნ ო ნიშნავს დიდ საბინაოს, ე. ი. ადგილს, სადაც ღამით ცხვრის ფარას აყენებდნენ, რამდენადაც ხევში ბინა ეწოდება არა მარტო საცხოვრებელ ნაგებობას, არამედ ღია ცისქვეშ საქონლის ბადგომსაც. ბინას ეძახიან აგრეთვე მწყემსის სათბილო და საწვიმარ ტანსაცმელსაც (ქურქს, ნაბადს, ყისინას....).

13. სოფ. გერგეტის გზის პირად ძევს დიდი ლოდი, რაზედაც მიგვითითებს მისი სახელწოდება. მაგრამ მისი მნიშვნელობა სიდიდეში როდია. ხალხი მას სხვა ქვებისაგან იმით გამოარჩევს, რომ მასთან დაკავშირებულ რიტუალს ასრულებდნენ ახალწელს, როდესაც სამების

ჯეკანოზები სოფ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) ხეთაგურებს დაამწყალობნებდნენ და უკან გამობრუნდებოდნენ.

14. დ ო ხ ტ ე ლ უ რ ი მდებარეობს გერგეტ-ფანშეტის საძოვრების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აქ შემორჩენილია ნასახლარები და საქონლის სადგომი ბაკის ნაშთები. მიუთითებენ, რომ აქ უცხოვრიათ წმინდა სამების ამშენებელ კალატოზებს. აქედანვე სამებამდე გატანილი ყოფილა სამარხილე გზა და ხარებით უზიდიათ თლილი ქვა, რომელიც დოხტელურში მოიპოვება.

15. ე ხ ო უნდა იყოს ა ხ ო-ს დამახინჯებული გამოთქმა (შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 4).

16. შესაძლებელია ეს იყოს ვერხოვანა-ს დამახინჯებული გამოთქმა და აქ ადრე ყოფილიყო ვერხვის ტყე, რაც ესოდენ კარგად ხარობს გერგეტის მიდამოებში.

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 14.

18. ეგუა წიკლაური ყოფილა განთქმული მონადირე. იგი გვევლინება წიკლაურების ერთ-ერთი პატრონიმიის — ე გ უ ე თ (ე გ უ ე ნ ი) ეპონიმად. კლდეს, სადაც ის ჯიხვებს უსაფრდებოდა, შეარქვეს ე გ უ ა ს ქ ე დ ი.

19. იგულისხმება ფირნის ველის ქვემოთ მდებარე საძოვრები.

20. ვ ა ჩ ი ლ ა (უაცილა) არის იგივე ელია (შდრ. ხევის სათავეების ტოპონიმიკა, შენიშვნა 17; თოთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 7). როგორც ჩანს, ეს სათიბი, როგორც ხატის მამული, ამ სალოცავის სახელზე არსებობდა და მისი სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს.

21. ეს დავაკებული ადგილი სოფ. გერგეტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, მდ. ჩხრის პირად. იქ ერთხანს უცხოვრიათ ჩიბაშვილებს.

22 ზ ე მ ო ს ო ფ ე ლ ი ეწოდება ადგილს სოფ. გერგეტის სამხრეთ-დასავლეთით, საღაც შემონახულია ნახევრად ჩამონგრეული ზურგიანი კოშკი. იქვე არის სალოცავი — ე. წ. ზ ე მ ო ს ო ფ ლ ი ს ყ ვ ე ლ ა წ მ ი ნ დ ა. როგორც მისი სახელწოდებიდანაც ნათლად ჩანს, იგი წარმოადგენდა ძველ სამოსახლოს. ხალხური გადმოცემით, აქ უცხოვრიათ ი რ ჯ ი ა უ ლ ე ბ ს, რომელთა ნაწილი თემს ამოუწყვეტია, და ნაწილი განუდევნია თემის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამო.

23. ვინაიდან ლები (ლების შესახებ იხ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 52) გვხვდება თ ა დ ი ე თ (არაბულები) სათიბში, ამ ადგილს უწოდეს თ ა დ ი ე თ ს ა ლ ე ბ ე. ერთხელ აქ დიდი უბედურება დატრიალებულა. არაბულებს ჩამოსატანი ჰქონიათ 200 ძირი (ბულული) თივა. სამუშაოდ გასულა ექვსი კაცი მათი ოჯახიდან და ექვსი მეზობელი მიხმარებია. თითო კაცს გაუბია ორ-ორი თივა. როდესაც

12 კაცმა 24 თიეა ადგილიდან დაძრა, გამოჰყოლია თოვლი და ყველა ნათგანი ზვავს დაუტანია. თადიეთ ოჯახს ათი დღიური-სახნავი (ვარანის უბე) გაუყიდია და როგორც თავისი ექვსი კაცის, ისე ექვსი მეზობლის ხარჯში (სუფრების დადგმაში) გაუღია მისი საფასური. ექვსი მეზობლის სისხლი სოფელმა არ გადაახდევინა თადიეთ, ვინაიდან ესინი დაიღუპნენ უნებურად.

24. სოფ. გერგეტში ხატის სახელზე არსებობდა 300 მარხილისუბის (ერთ მარხილისუბეში შედის 45 ძნა) სახნავი. აქედან 200 მარხილისუბის ადგილს ხნავდნენ სამების დეკანოზები და ამ მოსავლით ხევის ღვთს უმასპინძლდებოდნენ ფერისცვალება დღეს. დანარჩენი 100 მარხილისუბის ნაკვეთები ყოფილა სამნათო (სასოფლო). სოფლის მნათე (მასპინძელი) მოხნავდა რა ამ ადგილებს, ვალდებული იყო თოვლის გიორგობაზე სოფელს გამასპინძლებოდა.

ოცი წლის განმავლობაში გერგეტში ასეთ მასპინძლობას ეწეოდა და 100 მარხილისუბის ყანებსაც ხნავდა არაბული (თადიეთ) ღარიბა. როგორც წესი, ყოველ თოვლის გიორგობაზე ის სოფელს პატიჟებდა. იწვევდა აგრეთვე თითო-ოროლა კაცს (ე. წ. მოთემის კაცებს) ხევის ყველა სოფლიდან.

ღარიბას როდესაც მეოცედ გაუშლია სუფრა, იქ მისვლაზე უარი შეუთვლია სოფლის თავკაცს, 120 წლის ელანდი (აწკვეთ) ხუციშვილს. სოფლის მოპატიჟისთვის ელანდის უთქვამს: თემის კაცი ვინმე მოვიდესო. მისულან თემის კაცები და კიდევ უთხოვიათ ღარიბასთან მისვლა. ელანდის მათთვის უთქვამს: როგორ გადმოვიდე, როდესაც ღარიბა ფიქრობს ხელი მოგვაწერინოსო და სასოფლო ადგილი დაისაკუთროსო. მოუსმენიათ რა ელანდის სიტყვა, თემის კაცებს ეს სხვებისთვისაც უცნობებიათ და ხალხი გაქცეულა ღარიბას ოჯახიდან. როგორც შემდეგ გამორკვეულა, ელანდიმ ეს აზრი განგებ გაავრცელა, რათა ღარიბას ხელი აეღო სოფლის მასპინძლობაზე და ყანების მოხვნის უფლება გადასულიყო მისი (ელანდის) შვილების ხელში. ელანდის განზრახვა განუხორციელებელი დარჩენილა, ვინაიდან ეს ყანებიც სამების დეკანოზებს გადაეცათ და მათ დაევალათ სოფლისათვის ქნათეობის (მასპინძლობის) გაწევა. სიკვდილის წინ ღარიბა ხალხს უდანაშაულოდ უცნია. დაუსაფლავებიათ ის სამების გალავნის მისადგომთან და როგორც წესი, თავსა და ფეხებთან („თავ-ფეჯთით") ორი გრძელი „ჰაჭი" (ფიქალი) ჩაუყუდებიათ. ღარიბას მიმართ მტრულად განწყობილ ელანდის შთამომავლობას აგრეთვე გაუვრცელებია ხმა, თითქოს ღარიბამ სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი: სამების გალავანში დამასაფლავეთ, თორემ სამარიდან ავდგები და შავ დღეს დაგაყენებთო.

ცრუმორწმუნე ხალხს ეს კი არ შეუსრულებია, მაგრამ შიშით სამების ახლოს ფერდობზე მაინც დაუსაფლავებიათ იგი. ელანდის შთამომავლობა ცდილა ხალხი იმაშიც დაერწმუნებინა, თითქოს ღარიბას საფლავის თავსა და ბოლოში დაყუდებული ორი ქვა წარმოადგენდა ღარიბასა და მისი შთამომავლობის სარისხეულო სამანს. როგორც ვხედავთ, ღარიბას საფლავის თავსა და ბოლოში დაყუდებული ქვები ხალხს მიაჩნია საფლავის ნიშებად, როგორც ეს საერთოდ ყველა საფლავს უკეთდებოდა. ამ ქვებისადმი თადიეთ სამანის წოდება მომდინარეობს ელანდისა და მისი შთამომავლობის მიერ ღარიბასადმი მტრული დამოკიდებულებიდან. ამდენად, ტოპონიმი თადიეთ სამანი პირობითი ხასიათისაა და ის რეალურ ვითარებას არ ასახავს.

25. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 20.

26. იაგორ კაზალიკაშვილი იყო ცნობილი მთამსვლელი ყაზბეგიდან. მთაძსვლელებმა მის პატივსაცემად მყინვარწვერის გზაზე, მეტეოროლოგიური სადგურის ახლოს, ერთ-ერთ ადგილს უწოდეს იაგორას ნიში.

27. იობა ხუციშვილი ყოფილა ჭკუანაკლული, რის გამო ოჯახის გაყრის დროს მისთვის მამულის წილი არ მიუციათ. იობასთვის სოფელს სასოფლო ადგილიდან გამოუყვია 9-10 თივის სათიბი. მისი გარდაცვალების შემდეგ ამ ადგილს უწოდეს იობაძას ნათიბი.

28. იასიაძ (იასე) ყოფილა გვარად აბაზური. ეს გვარი ხევში აღარ არსებობს. იასეს ჰქონია 40 თივის სათიბი და პატარა სახნავი ნაკვეთი, რომლის მოსავალს თურმე იქვე მინდორზე ლეწავდა. ამიტომ შეურქმევიათ ამ ადგილისათვის იასიაძას კალო.

რაც შეეხება ტოპონიმ კალოვანს, ეს აქ ისეთივე შინაარსისაა, როგორც ხევის სხვა სოფლებში (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25).

29. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 26.

30. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 26.

31. კალატაის წყარო ნიშნავს კალატოზების წყაროს. თანახმად ხალხური გადმოცემისა, ამ წყაროს სვამდნენ და მის წყალს იყენებდნენ წმინდა სამების (XIII-XIV სს. ძეგლი) მშენებელი კალატოზები.

32. სოფლის თავში (სოფლიდან დასავლეთით) წმინდა სამების გზის პირად ფერდობზე მდგარ მცირე ზომის ერთნავიან ბაზილიკაში ერეკლე მეორის დროს მღვდლად ყოფილა კუთარა სუჯაშვი-

ლი, რისთვისაც ნაგებობას უწოდეს მისი სახელი. ნაეკლესიარ ადგილს დღემდე ეს სახელი შემორჩა.

33. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 74.

34. მას მეორენაირად ეწოდება სათიკნიად. ძველად აქ მდგარა ორი კოშკი. მათი ნანგრევები შემდეგ ქალების ხატად იქცა.

35. სახნავ ნაკვეთს ეს სახელი შეარქვეს ლამიანი ნიადაგის გამო. ანალოგიური შინაარსის მქონეა ტოპონიმი ლამთქედი.

36. ლიჯე წარმოადგენს გერგეტელთა საჯოგე მთას. აქვე არის დეკა. რომელსაც თურმე საწვავად იყენებდნენ ბეთლემის სავანეში მცხოვრები ბერები. თანახმად ხალხური გადმოცემისა, ბერები ლიჯეშიც მდგარან. აქ თურმე არსებობს ხელოვნური გამოქვაბული, რომელშიც შეიძლება ორ-სამ კაცს ეცხოვრა. გამოქვაბულს ჰქონია სარკმელი და 20 სმ სიმაღლეზე ქვით ამოშენებული საწოლი.

37. ლიჯის კარების სხვა სახელწოდებებია აგრეთვე მარიამ წმინდის კარი და მფონე რუვი. იგი წარმოადგენს ბეთლემის მიდამოთა ერთ-ერთ საინტერესო უბანს, რომელთანაც დაკავშირებულია ასკეტთა ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები. იქვე მდგარა კოშკი — ე. წ. მეჯოგის ციხე, რომელსაც იყენებდნენ ჯოგის გასარეკად მომხვდური ქისტების წინააღმდეგ.

38. წიკლაურების ერთ-ერთი პატრონიმიის — ჯათიეთ სათიბში ბლომად ყოფილა მელიების სოროები. მელიების ამ ბუნაგს უწოდეს ველის სათიბე.

39. მფონე რუვი იგივე ლიჯის კარები ან მარიამწმინდის კარია. ტოპონიმ რუვის შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

40. იგი მდებარეობს მეტეოროლოგიური სადგურის ახლოს. როგორც იქ მყოფი გერგეტლების ნათქვამიდან ჩანს, ამ ქვაქვიშიან უდაბნოში ალაგ-ალაგ გვხვდება გვირილა. შემონახული ყოფილა პატარა ეკლესიისა და საცხოვრებელი ქოხების ნანგრევები და ქვის ჯვარი, რომელსაც ერთი მეტრი სიმაღლე ჰქონია და სიგანეც ერთი მეტრი. ადგილობრივთა რწმენით, ეს თლილი ქვის ჯვარი აქ დაუდგამს ანდრია პირველწოდებულს. მშრალი წყობით ნაგები ეკლესია და ბერების საცხოვრებელი ქოხები გადახურული ყოფილა ბრტყელი სიპებით, რომლებიც მარტუღელათი (ერთი ხარით) უზიდიათ თოთის მთიდან — საბერწედან. სიპების ქვეშ ხეებად და ჭერად გამოუყენებიათ ადგილობრივი ღვია. ნაბერალის ზემოთაა (დაახლ. 1 კმ) ცნობილი ბეთლემის ქობი თავისი კარებითა და ჯაჭვით. ნაბერალნი რომ ბერების სამყოფს წარმოადგენდა, ეს პირველ რიგში მისივე სახელწოდებიდან ჩანს.

41. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 45.

42. პ ე ტ ი ე ნ ი პატრონიმიული სახელია ქისტაურებისა. ეს ად-
გილი, რომელიც ამჟამად დასახლებულია, ადრე წარმოადგენდა სახნავს.
პირველად ის ყოფილა ირჯიაულებისა (იხ. შენიშვნა 22). ირჯია-
ულების დამარცხების საქმეში თავი გამოუჩენიათ ქისტაურებს, რისთ-
ვისაც თემს მათთვის მიუცია ირჯიაულების ადგილი.

43. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

44. პ ო ვ ლ ი ე ნ ი პატრონიმიული სახელია ხუციშვილების ერთ-
ერთი ნაწილისა, რომელთაც ეს წყარო და სათიბი ეკუთვნოდათ.

45. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

46. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

47. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

48. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

49. ამ ტოპონიმის შინაარსი ხალხისთვის უცნობია. შესაძლებელია
აქ როდისმე მიწაში იპოვეს ნამარხი (არქეოლოგიური) ქოთნები და
მას სახელი ამიტომ უწოდეს. დასაშვებია ისიც, რომ აქ ყოფილიყო ქოთ-
ნების დასამზადებლად ვარგისი თიხა და ადგილის სახელწოდებაც ამას-
თან იყოს დაკავშირებული.

50. „დუცი (Heracleum Sp.) ბოტან. მთის მცენარე ქოლგოსანთა
ოჯახისა, აქვს ყრუ ღერო, დანაკვთული ფოთლები და ქოლგად შეკრე-
ბილი ყვავილები. ქერქებშემოფცქვნილს ჭამენ მთაში“ (ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი, III, თბილისი, 1953, გვ. 1242). იმ ადგილს,
სადაც დუცი ჭარბადაა გავრცელებული, სოფ. გერგეტში ეწოდება ს ა-
დ უ ც ი ა ნ ა. ეს ტოპონიმი ასეთივე შინაარსით გვხვდება სოფ. სიონსა
და სოფ. კარკუჩის ტოპონიმიკაში.

51. ხალხური გადმოცემით, სიკვდილს გადარჩენილი ირჯიაულები
(იხ. შენიშვნა 22) შესდგომიან ფერდობს. მდევარს მათთვის კიდევ უს-
ახიათია ისრები და მოკლულები დაბლა რუვში (ღელეში) ჩამოგო-
რებულან. ამიტომ მისთვის დაურქმევიათ ს ა გ ო რ ა ვ თ რ უ ვ ი.

52. ერთ-ერთ მზვარე ადგილს ტყის ახლოს, სადაც არსებობს გამო-
ქვაბული და სადაც საახალწლოდ ლუდს ხარშავდნენ, ეწოდება ს ა ლ უ-
დ ი ს კ ა რ ი. აქვე ინახებოდა სპილენძის დიდი ქვაბი. აქედან გამო-
ტანილ ლუდს სვამდნენ გერგეტლები იმის შემდეგ, რაც სტეფანწმინ-
დაში (ყაზბეგში) ახალწელს მიულოცავდნენ თემის წინაშე დიდად დამ-
სახურებულ ხეთაგურებს და სამების დეკანოზები დაამწყალობებდნენ
მათ.

53. ს ა თ რ ე ვ ი ეწოდება თივებისა და შეშის ჩამოსათრევ გზას
მთაში.

54. მთაში იზრდება მცენარე, რომელიც ისხამს ჩიტის კვერცხზე უფრო მოზრდილ ნაყოფს. ფორმით ეს ნაყოფი წააგავს კიტრს და ხევში ეწოდება კ ი ტ რ ი კ ო მ ბ ა ლ ა ჲ ან ჩ უ გ უ კ ი ტ რ ა ჲ. ამ მცენარის გავრცელების არეს გერგეტში შეარქვეს ს ა კ ი ტ რ ი ა ჲ. ასეთსავე ადგილს სოფ. სნოში ეწოდება ს ა კ ი ტ რ ე ნ ი, ხოლო სოფ. კარკუჩაში — ს ა კ ი ტ რ ი ა ჲ.

55. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 52.

56. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

57. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

58. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

59. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

60. ეს არის სანადირო, კლდოვანი ადგილი. როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს, იქ მხოლოდ ძაღლი და ნადირი იკიდებს ფეხს. ამიტომ, ამ მიუდგომელსა და უსარგებლო ადგილს უწოდეს ს ა ძ ა ღ ლ ე.

61. გერგეტში 1922 წელს უცდიათ საბაგირო გზის გაჭიმვა ს ა გ უ ლ ე ბ ლ ი დ ან (თივის დასაყენებელი ადგილიდან) ო ჯ ა რ ე შ ა მ დ ე, თივების ადვილად ჩამოტანის მიზნით. ეს ვერ განახორციელეს, ხოლო ადგილს, სადაც სათანადო მოწყობილობა იდგა, შეარქვეს ამ მოწყობილობის („სტანოკის“) სახელი.

62. ს ა ბ რ ო ლ ი ა ჲ ეწოდება ადგილს, სადაც მოიპოვება მთის ბროლი.

63. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

64. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

65. ეს გზა მიემართება მთის ფერდობებზე. იწყება ღ ე ჭ ი ა დ ან, გადადის კ ა რ თ ა ნ ა ზ ე. ძ ა ბ ი ა ჲ ს (ძ ა ი ა ს) ფ ე რ დ ზ ე, ხ ა ტ ი ს წ ყ ა რ ო ზ ე და მიდის ხ ა ტ ი ს მ ი ნ დ ო რ ზ ე, ე. ი. იქ, სადაც აღმართულია წმინდა სამების ტაძარი. როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, წმინდა სამების ასაშენებლად თლილი ქვა ღეჭიადან ამ აღმართით უზიდიათ მარხილში შებმული ხარებით. ამიტომ ეწოდება მას ს ა კ ა რ მ ა რ კ ი ლ ე გ ზ ა.

66. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 67.

67. სათიბ ადგილს, რომელიც ტეფია ჩიბაშვილს ეკუთვნოდა და რომლის ახლო მდებარე გამოქვაბულში სოფელი ლუდს ადუღებდა, მეორენაირად ეწოდება ს ა ლ უ დ ი ს კ ა რ ი (იხ. შენიშვნა 52).

68. ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ როდიდან შემოიხიზნა ეს რუსული სიტყვა გერგეტის ტოპონიმიკაში.

69. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 40.

70. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 41.

71. სათიბისადმი ამ სახელის შერქმევის მიზეზია ფიქალ კლდესთან (ფ ი ქ ა რ კ ლ დ ე = ფიქალკლდეს) მისი ახლო მდებარეობა.

72. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 42.

73. ქ ო ბ ი წარმოადგენს ნასოფლარს. ამ სახელწოდებითაა ცნობილი აგრეთვე ნასოფლარის მიდამოები — სათიბ-საძოვრები და ყოფილი სახნავი ნაკვეთები. ყოფილი სოფლის სახელიდანვეა წარმოებული ისეთი ტოპონიმებიც, როგორიცაა ქ ო ბ ი ს ძ ი რ ნ ი, ქ ო ბ ი მ თ ა (ე. ი. ქობის მთა), ქ ო ბ ი რ უ ვ ი (ქობის რუვი), ქ ო ბ ი მ ზ ო რ ე (ქობის მზვარე), ქ ო ბ ი ს ბ ე თ ლ ე მ ი, ქ ო ბ თ ც ი ხ ე (ქობის ციხე), ქ ო ბ თ ვ ა კ ე.

ქობში უცხოვრიათ ჩიბაშვილებსა და ჩონიაშვილებს. შემდეგ ჩიბაშვილები გადასულან ვ ა კ ე ქ ო ლ ტ ე შ თ ა და აქედან გერგეტში, ხოლო ჩონიაშვილები — ფანშეტში. სოფ. ქობი (ქვაბი, ქუაბი) იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში, როგორც წმინდა სამების სახელზე არსებული საეკლესიო სოფელი. 1484 წელს წმინდა სამების ეკლესიისთვის სოფ. ქ უ ა ბ ი შეუწირავს ქართლის უცნობ მეფე ვახტანგს (გიორგი მერვის შვილს), ხოლო შემდეგ ეს შეწირულება განუახლებია ერეკლე მეორეს. ერეკლეს შეწირულების წიგნში (1765 წ.) ქ უ ა ბ ი ს ნაცვლად წერია ქ ვ ა ბ ი (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 266, 286).

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის მიწურულს ქ ო ბ ი ჯერ კიდევ დასახლებული იყო, რამდენადაც ის სოფლად მოიხსენიება.

ხალხური გადმოცემის მიხედვითაც, ქობიდან მოსახლეობის აყრა და სოფლის მიტოვება ერეკლე მეორის დროს მომხდარა.

XIX საუკუნეში ამ ნასოფლარის ახლოს, მისგან ჩრდილოეთით, ქ ო ბ თ ვ ა კ ე ზ ე ყაზბეგებს დაუსახლებიათ ოსები, რომელთა ნასახლარები დღემდეა შემორჩენილი. ყაზბეგებს ასეთ თვითნებობას ადგილის მიტაცებაში არ შერიგებიან გერგეტლები და მათ ოსები აქედან გაუძევებიათ.

ვინაიდან არსებობს ძველი ნასოფლარი, სადაც ცხოვრობდნენ მოხევეები, ხოლო მის გვერდით XIX საუკუნეში გაჩნდა ოსთა ახალშენიც, ამის გამო ისტორიულად არსებულ სოფელს შეარქვეს ძ ვ ე ლ ქ ო ბ ა ჲ, ხოლო მის ახლო მდებარე სათიბ ტერიტორიას—ძ ვ ე ლ ი ქ ო ბ ნ ი, რითაც ძველ დასახლებას გამოყოფენ ოსთა ახალი ნასოფლარისაგან, ე. წ. ქ ო ბ თ ვ ა კ ი ს ა გ ა ნ.

74. იხ. შენიშვნა 2.

75. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. შენიშვნა 65), ღ ე ჭ ი ა ჲ წარმოადგენდა ქვის საბადოს, საიდანაც ეზიდებოდნენ თლილ ქვას სამების ტაძრის მშენებლობის დროს. ეს ადგილი საინტერესოა იმ მხრივაც,

რომ მის ქედზე შემონახული ყოფილა 4 ნასახლარი. ხალხური გადმოცემით, აქ უცხოვრიათ იმ მუშებს, რომლებიც სამებისთვის თლიდნენ ქვას.

76. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 43.

77. ადგილი. სადაც ყაზბეგების ცხვარი იდგა.

78. ყ ა ზ ი ე ნ ი. რომელთაც ეს სათიბი ეჭირათ, პატრონიმიული სახელია ყაზბეგელი ღუდუშაურების ერთ-ერთი ნაწილისა.

79. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 46.

80. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 46.

81. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 46.

82. ეს სათიბი ადგილი ეკუთვნოდათ გერგეტელი არაბულების კ ა ბ ი ლ ე თ პატრონიმიას. შემდეგ ის მიუყიდიათ ყაზბეგელი შადურებისათვის. შადურების ერთ-ერთი ნაწილის პატრონიმიული სახელი იყო შ ი ბ ლ ი ე ნ ი. რა დღიდანაც კაბილეთ სათიბი მოექცა შიბლიეთ ხელში, მას უწოდეს შ ი ბ ლ ი ე თ რ უ ვ ი.

83. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 47.

84. შდრ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 55.

85. შდრ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 55.

86. შდრ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 55.

87. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 47.

88. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 48.

89. იხ. შენიშვნა 73.

90. იხ. შენიშვნა 73.

91. მთხრობლების განმარტებით, ძ ა ბ ი ა არის იგივე ძ ა ი. ძაი სუჯაშვილი იხსენიება XVIII საუკუნის სტატისტიკურ აღწერილობაში (იხ. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1907, გვ. 407). ძაის შთამომავლობას გერგეტში ეწოდება ძ ა ი ა ნ ნ ი. მთხრობლებს მიაჩნიათ, რომ ძაბია არის დამახინჯებული სახელი ძაიასი, რის გამო იმ ადგილსაც, რომელიც ეკუთვნოდა ძაიას, დაარქვეს ძ ა ბ ი ა ჲ ს ფ ე რ დ ი.

92. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 54.

93. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 54.

94. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 54.

95. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 54.

96. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 54.

97. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 43.

98. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 55.

99. ტოპონიმ ჯ ო რ ნ ი-ს შესახებ იხ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 18. ეს ადგილი გერგეტში ბერების სადგომი ყოფილა.

100. ჯ ა ნ უ ყ ე ნ ი პატრონიმიული სახელია სნოველი ღუდუშაურების ერთ-ერთი ნაწილისა, რომელნიც იწერებიან ჯანუყაშვილად. ქისილა ჯანუყაშვილი მწყემსად მდგარა გერგეტში, რომელიც ცხვარს თურმე აყენებდა გამოქვაბულში. ამ ადგილს გერგეტში ეწოდება მ გ კ რ გ ა ლ ე კ ა ლ ი, ხოლო გამოქვაბულს — მ გ კ რ გ ა ლ ე კ ა ლ თ ქ ო ხ ი. იმის შემდეგ, რაც ქისილა ჯანუყაშვილს ეს გამოქვაბული ღამის ბინად გაუჩენია, დაურქმევიათ მისთვის ჯ ა ნ უ ყ ე თ ქ ო ხ ე ბ ი.

101. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

102 შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56.

103. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## ც დ ო

1. სოფ. ცდო მდებარეობს დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა. კლდოვან პლატოზე. ამ სოფელში ცხოვრობენ წიკლაურები და ზაკაშვილები. უმრავლესობას შეადგენენ წიკლაურები, რის გამო ლიტერატურასა და რუკებზე სოფლის სახელწოდებად გვხვდება წიკლაური, სევე, როგორც ღუდუშაურების ხალხმრავალი საგვარეულოს სახელის ზიხედვით ღ უ დ უ შ ა უ რ ი ს ხ ე ო ბ ა შეარქვეს სნოს ხეობას (შდრ. სნოს ტოპონიმიკა, შენიშვნა 1).

ხევში სოფ. ცდოს წიკლაურს არავინ უწოდებს. ისტორიულადაც მას ერქვა ცდო. როგორც გერგეტელ საყდრიშვილთა XV საუკუნის საბუთი გვაუწყებს, სამების მძევლებად სხვებთან ერთად გაუმწესებიათ „ცდოჲთ გიშელი და ბარზანდელი" (ქ. შარაშიძე, გვ. 271).

2. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამ ადგილას ოდესმე ბლის ხეები მდგარიყო და ამის გამო იყოს შემონახული ეს ტოპონიმი.

3. თანახმად ხალხური გადმოცემისა, სოფელში ქოლერა გავრცელებულა, შეშინებული ხალხი გახიზნულა, ხოლო საქონლის სადგომი ბოსლები ამ ადგილას აუშენებიათ. ოდესღაც არსებულ ბოსლებთან ახლო მდებარე ნაკვეთს თითქოს ამიტომ შემორჩა ეს სახელწოდება. აღნიშნული ტოპონიმის შინაარსი ნათლად ჩანს გერგეტის ტოპონიმიკიდან (შდრ. შენიშვნა 7).

4. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

5. ამჟამად ეს ბორცვი სათიბ-საძოვარია. ადრე აქ ხალხს უცხოვრია. რაზედაც მიგვითითებს შემორჩენილი ნასახლარები.

6. ადგილს, სადაც ეს წყარო გამოდის, ეწოდება ჩ ხ ა მ ო ვ ა ნ ა ჲ (ამ ტოპონიმის შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 48), ხოლო წყაროს — ჩ ხ ა მ ო ვ ა ნ ა ჲ ს წ ყ ა რ ო. ეს წყარო ძალიან ჰყვარებია

კიგია წიკლაურს. გიგიას გარდაცვალების შემდეგ წყარო მის დედას უკურთხებია შვილის სახელზე, რისთვისაც მას უწოდეს გ ი გ ი ა ჲ ს წ ყ ა რ ო.

7. გ ო თ ი ე ნ ი სახელია წიკლაურების ერთ-ერთი პატრონიმიისა, რომელთაც ეს რ უ ვ ი ეკუთვნოდათ. რუვის შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

8. ეს გამოქვაბული მდებარეობს სოფ. ცდოს ძირას, კლდეში, რომელიც გადმოჰყურებს მის ქვეშ გაჭრილ საჭართველოს სამხედრო გზასა და მჭუხარე თერგს. აქ იღებდნენ ანდეზიტის ქვას. ქვის ასაფეთქებელ დინამიტს ინახავდნენ ზემოხსენებულ გამოქვაბულში, რომელსაც დარაჯობდა სოფ. ცდოში მცხოვრები ეფრემა ივანეს ძე წიკლაური. ვიღაიდან გამოქვაბულში ინახებოდა ასაფეთქებელი ნივთიერება (ე. წ. წამალი). სოლო მისი დაცვა დავალებული ჰქონდა ეფრემ წიკლაურს, ამიტომ ამ გამოქვაბულს შეარქვეს როგორც ე ფ რ ე მ ა ჲ ს ქ ო ხ ი, ისე ს ა წ ა მ ლ ი ა ჲ ქ ო ხ ი.

9. ზ ა ლ ი ე ნ ი, რომელთაც ადრე ცდოში ეს ადგილი ეჭირათ, სახელია ყაზბეგელი ჩოფიკაშვილების ერთ-ერთი პატრონიმიისა. ზალიეთ სათიბი უყიდიათ წიკლაურების (ჩოფანეთ) დიდ ოჯახს—ე. წ. დ ი დ ჩ ო ფ ა ნ ე თ.

10. ეს ადგილი მდებარეობს სოფ. ცდოს საურმე გზის მარცხნივ. თანახმად ხალხური გადმოცემისა, ერთ-ერთი შემოსევის დროს თათრებს მარცხი განუცდიათ, ისინი მოხევეებს დაუხოციათ და ერთ საწარხში ჩაუყრიათ.

11. ადგილს, სადაც ი ვ ა ს ე ბ ე თ (წიკლაურების ერთ-ერთი ნაწილის) ცხვარი ბალახობდა და ღამითაც ბინად იდგა, უწოდეს ი ვ ა ს ე ბ ე თ ნ ა ბ ი ნ ა ვ ა რ ი. ტერმინი ნ ა ბ ი ნ ა ვ ა რ ი ამ შემთხვევაში არ გულისხმობს ხალხის საბინადრო ადგილს. იგი მხოლოდ ცხვრის საძოერისა და სადგომი ადგილის აღმნიშვნელია.

12. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

13. ს ა კ ე ც ე თ შ ი ანდეზიტის დამუშავების დროს ამ გამოქვაბულს იყენებდნენ სამუშაო იარაღის დასაწყობად.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

15. როგორც მთხრობლებმა განმარტეს, ადრე აქ ყოფილა ტყე. ბოკრილ შეშას თურმე ამ ქედზე აგებდნენ თოვლის მოსვლამდე, ხოლო შემდეგ თოვლზე დააცურებდნენ. ასე აგებულ შეშას მოხეურად ეწოდება ჩ ა ღ დ ი, ხოლო ადგილს, სადაც შეშის ჩაღდები იდგა, შეარქვეს ს ა ჩ ა ღ დ ე ქ ე დ ი.

16. გამოქვაბულს, სადაც თოფის წამლის მასალას (ლებს) პოულობდნენ და ამზადებდნენ, ეწოდება ს ა წ ა მ ლ ი ა ჲ ქ ო ხ ი.

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

18. იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 15.

19. ეს ადგილი ადრე ეჭირათ გერგეტელ ჩიბაშვილებს. მათ ქალი გაეთხოვებიათ ცდოში წიკლაურზე და სათიბი მზითვად მიუციათ. ამ დღიდან ქ ო ბ ი მ თ ა, რომელიც მდებარეობს ყოფილი სოფ. ქობის ტერიტორიაზე, გადავიდა ცდოველთა ხელში.

20. იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 17 და ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

21. საძოვარ ადგილს, სადაც წყაროც გადმოჩუხჩუხებს და სადაც შიუკა წიკლაური ცხვარს აბალახებდა და აბინავებდა, ეწოდება შ ი უ კ ა ძ ს წ ყ ა რ ო ანდა შ ი უ კ ა ძ ს ნ ა ბ ი ნ ა ვ ა რ ი.

22. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 48.

23. იხ. შენიშვნა 6.

24. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

25. ამ ტერიტორიაზე არის სათიბი, საძოვარი, ტყე და გამოქვაბული. ტყე ადრე ყოფილა სოფ. გველეთისა. შემდეგ უყიდია ცდოველ კაკო წიკლაურს, რის შედეგად იგი იქცა საოჯახო საკუთრებად, რაც გამონაკლის შემთხვევად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც საოჯახო საკუთრებაში ტყის არსებობა ხევისათვის დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენდა. ტყე იყო გვარის, ანდა სოფლის ხელში.

26. წიკლაურებმა ეს 12 თივის ბულულის სათიბი ადგილი მზითვად მისცეს ყაზბეგში ჩოფიკაშვილზე გათხოვილ ქალს. ამ დღიდან ყაზბეგლებმა უწოდეს ც დ ო ვ ი ს ე ლ ი, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ადრე ცდოველებისა იყო. მდებარეობს იგი ცდოს ძირს ჭალაზე.

27. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

28. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 57.

29. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

30. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა. შენიშვნა 18.

## გ ვ ე ლ ე თ ი

1. სოფ. გველეთი მდებარეობს დარიალის ხეობაში, ყაზბეგიდან ჩრდილოეთით მე-8 კილომეტრზე, მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე.

გერგეტელ საყდრიშვილთა XV ს. საბუთში ხევის სასაზღვრო პუნქტებად ნაჩვენებია სამხრეთიდან სოფ. კობი, ხოლო ჩრდილოეთიდან სოფ. გველეთი.

გველეთიდან სამებისთვის მძევლებიცაა დასახელებული: [...ანი] და ხარსილაძ (ქ. შარაშიძე, გვ. 271).

ვახუშტის აღწერილობით, „გერგეთს ქვეით, ჩრდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის ჯ ე ვ ი გ ე ლ ა თ ი ს ა, ძველად ესრეთ წოდებული

დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გ ვ ე ლ ე თ ს“ (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა...., გვ. 67).

გასულ საუკუნეში ამ სოფელში ცხოვრობდნენ აქ შემოსახლებული ინგუშები, რომლებსაც მოხევეები ეძახიან ქისტებს (ქიშტებს). სხვაგასხვა მიზეზების გამო, მეფის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ისინი აქედან გადაასახლეს. დატოვეს მხოლოდ ხუთი კომლი ბ ე ზ უ რ ტ ა ნ ო ვ ე ბ ი — სახელგანთქმული მთამსვლელები და მონადირეები. ჯერეს მათი მოდგმიდან მხოლოდ ორი კომლია დარჩენილი: იაკობ ინალყას ძე ბეზურტანოვი და გირი მახამეთის ძე ბეზურტანოვი. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ სოფ. ცდოდან და სოფ. ყაზბეგიდან 1944 წლიდან ჩასახლებული მოხევეები, 15-მდე კომლი.

გველეთში ინგუშების ხანგრძლივად ცხოვრებამ თავისი კვალი დააჩნია სოფლის ტოპონიმიკასაც. ინგუშების აქედან წასვლის გამო მათ ენაზე არსებული ბევრი ტოპონიმი დავიწყებას მიეცა. ადგილების ინგუშურ სახელწოდებებს, რომლებიც აქ მცხოვრებთ ჯერ კიდევ ახსოვთ, ვიხსენებთ ქვემოთ მოვიხსენიებთ.

2. ეს ნაკვეთი ეკუთვნოდა გველეთელ ბორძა ბეზურტანოვს. ბ ო რ ძ ა ს ყ ა ნ ი ს ინგუშური შესატყვისია ბ ო რ ძ ყ ა. გველეთური ინგუშურის მიხედვით, ყ აარის ყანის სახელწოდება. ჯარიახის ხეობის ინგუშები კი ყანას უწოდებენ კ ა-ს. კ ა-ს მაგივრად ყ ა-ს ხმარება გველეთში ქართულის გავლენის შედეგია.

3. იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 23.

4. დ ა ბ ა ძ ს შესახებ, რომლის ინგუშური შესატყვისია დ ა ბ, იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 22.

5. დ ა ყ ბ ო ს არის იგივე ინგუშური დ ა ა ყ ბ ო ს, რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან: დ ა ა ყ ნიშნავს, ნაწილს, ხოლო ბ ო ს იხმარება ადგილის აღსანიშნავად. სიტყვასიტყვით დ ა ა ყ ბ ო ს ნიშნავს ა დ გ ი ლ ი ს ნ ა წ ი ლ ს.

6. ცდოში მცხოვრები ზაგაშვილების პატრონიმიული სახელია ზ ა გ ე ნ ი. მათ ოდესღაც უცხოვრიათ გველეთში, სადაც შემონახულია ზაგეთ ნასახლარები. იქვე ყოფილა მათი სასაფლაოც.

7. მ წ ყ რ ო ბ ს ინგუშები ეძახიან წ ყ ო ა რ ს. ინგუშურად წ ყ ო ა რ ეწოდება წყაროს.

8. ო რ წ ყ ა ლ შ უ ა ს ინგუშური შესატყვისია შ ი ნ ხ ი ი უ ყ ი ე (შ ი ნ=ორი, ხ ი=წყალი, ი უ ყ ი ე=შუა).

9. ს ე მ ღ ი ს ა ს ინგუშურად ეწოდება წ უ ტ ი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ს ა ლ ო ც ა ვ ზ ე დ ა-ს. ზ ე დ ა ს ა ლ ო ც ა ვ ს (წუ-სალოკავი, ტი-ზედა).

10. სოფლის ახლოს არსებობს ორი ტბა. მათ ირგვლივ მდებარე ადგილებს შეარქვეს ტ ბ ე ბ ი. ამ ტოპონიმის ინგუშური შესატყვისია ჯ ი შ.

11. ადგილს, სადაც ქუბი (ჟოლო) გვხვდება, ეწოდება ქ უ ბ ა ჲ (შდრ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 24). ქართულის გავლენით ინგუშთა გამოთქმაში გვაქვს ქ უ ბ.

12. ამ სალოცავს ინგუშურად ეწოდება თ უ შ ო ლ ტ ი, რომლის ქართული თარგმანია ხ ა ტ ი (ს ა ლ ო ც ა ვ ი) ზ ე მ ო (თ უ შ ო ლ = სალოცავი, ტ ი = ზემო)

13. იხ. დარიალის ხეობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

14. ამ სათიბი ადგილის ინგუშური სახელწოდებაა ქ ე რ ბ ე ტ (ქ ე რ = წისქვილი, ბ ე ტ = მინდორი, ადგილი).

15. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

16. ხ რ ე კ ს გველეთელი ინგუშები ეძახიან ხ ა რ თ-ს.

17. საძოვარ მთას და მყინვარწვერზე ამსვლელთა ერთ-ერთ შესასვენებელ ადგილს, სადაც ქოხიც (хижина) მდგარა, უწოდეს ხ ი ჟ ი ნ კ ა ჲ.

## დ ა რ ი ა ლ ი ს ხ ე ო ბ ა

1. ეს პატარა მდინარე ძალიან დიდდება წვიმიან ამინდში. მის ღრმა და ვიწრო კალაპოტში იწრიტება ყუროს მწვერვალის, ფერდობებისა და ხევების ჩამონადენი წყალი. ამავე კალაპოტში ზვავდება წყლით ვაჟღენთილი შავთიხა მიწა და იქმნება საშინელი ღვარცოფი. ის დიდი სიჩქარით მოექანება და მოატივტივებს უზარმაზარ ლოდებს. ყუროს მოპირდაპირე მხარეს, მყინვარწვერიდან ასეთივე დაქანებით მოედინება საკმაოდ მოზრდილი მდინარე ჩხერი. ორივე ეს მდინარე ერთიმეორეს პირისპირ ხვდებიან მდ. თერგში. ერთდროულად ამ ორი ღვარცოფის შეჯახებას რამდენიმე ხნით არაერთხელ შეუგუბებია დაუდეგარი თერგი, რომელიც განსაკუთრებით დიდი სიჩქარით დარიალის ხეობაში სწორედ ამ ადგილიდან ეშვება.

საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებამდე გზა უაზბეგიდან ჩრდილოეთისაკენ ყუროზე გავლით, მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე მიემართებოდა. ყუროს ადიდება იწვევდა გზის დაზიანებას და ზოგჯერ მოძრაობის შეჩერებას. ადიდებული ყუროს გადალახვა არამც თუ ცხენით, არამედ ტანკითაც კი შეუძლებელია. ამიტომ დაარქვეს მას რუსმა მოგზაურებმა „Бешеная балка“. ალ. პუშკინს ყუროზე კარგ ამინდში გამოუვლია: „Недалеко от селения Казбек переехали мы через Бешеную балку—овраг, во время сильных дождей превращаю-

щийся в яростный поток. В это время он был совершенно сух и громок одним своим именем" (А. Пушкин, Путешествие в Арзрум во время похода 1829 года, Полное собрание сочинений, т. IV, Москва, 1949, стр. 422).

როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, ხევის ისტორიულ წარსულში ყუროს ერთ-ერთი ადიდების შედეგად ნიაღვარმა წალეკა სოფ. სათარგმნო, რომელიც მის ნაპირზე ყოფილა გაშენებული და ხევის სათემო ცენტრს წარმოადგენდა (ვ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, გვ. 29—36).

2. როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, კაცის მკვლელობის გამო საიდანღაც გამოქცეული ექვსი ძმა გურაპიშვილები დასახლებულან საკმაოდ მიუდგომელ თეთრწორთ. იქვე ახლოს ჰქონიათ წყალი და წისქვილი, ხოლო სახნავად გამოუყენებიათ წოწეხნი. საცხოვრებლად აუშენებიათ ციხე-სახლი და მაღალი კოშკი. ამ ნაგებობებისა მხოლოდ ნანგრევებია შემონახული. როდესაც ისინი გამრავლებულან, ზოგიერთი მათგანი დასახლებულა სოფ. სტეფანწმინდაში (ახლანდელი ყაზბეგი). გურაპიშვილებს დაევალათ მოუსვენარი კურთიშვილების ამოწყვეტა (იხ. მომდევნო შენიშვნა). ამის შემდეგ ხურთიშვილების ყოფილი ადგილებიც მათ დაუჭერიათ. საქმე იქამდე მისულა, რომ კაკმელაძდან გველეთის ხიდამდე ადგილში ისინი სტეფანწმინდის საქონელს თურმე აღარ უშვებდნენ. თავწასული გურაპიშვილების დიდი ნაწილი სტეფანწმინდელებს გაუწყვეტიათ, ხოლო ნაწილი ხევიდან გადახვეწილა.

3. ნაკურთისალი ეწოდება ნამოსახლარს ყუროს ერთ-ერთ ღერდობზე (სბალახე რუვზე), რომელიც, ხალხური გადმოცემის მიხედვით, წარმოადგენდა ვინმე კურთის და მისი შთამომავლობის საცხოვრისს. კურთის შვილები თურმე მოსვენებას არ აძლევდნენ სოფ. სტეფანწმინდას. სტეფანწმინდელებმა ბოლოს მაინც შეძლეს მათი დამარცხება. სოფლის გადაწყვეტილებით კურთიშვილების ამოწყვეტა დაევალათ კურთიშვილების დისწულებს — გურაპიშვილებს.

მთხრობლების ცნობით, გადარჩენილი კურთიშვილებიდან წარმომდგარა ახალი სოფლის სახელწოდება კურთისი. გადმოცემის ვრცელი შინაარსი, რომელიც შედგენილია ხევის წარსულის კარგი მცოდნის, ალ. ყაზბეგისა და ვაჟა ფშაველას მეგობრის, არაერთი ლექსისა და კორესპონდენციის ავტორის, მოხევე იაგორ ღუდუშაურის მიერ, გამოაქვეყნა ს. მაკალათიამ (ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 132—138).

4. მთხრობლების მითითების თანახმად, დარიალის ხეობის ამ ადგილში ჭრიდნენ მშვილდ-ისრისათვის გამოსადეგ მასალას. მშვილდის

მისახსრელი რტოების სიმრავლის გამო შეურქმევიათ ამ ადგილისათვის ს ა მ შ ვ ი ლ დ ე  რ უ ვ ი (ტოპონიმ რ უ ვ ი ს შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37).

5. მიცვალებულის სახელის უკვდავყოფის მიზნით ხევში ერთ-ერთი ჩვეულებად მიღებული იყო მიცვალებულის სახელზე წყაროს აშენება. ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ყოფნისას გარდაცვლილი მეცხვარის — ი ლ ი კ ო  ი ვ ა ნ ე ს  ძ ე  ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი ს სახელზე დარიალის ხეობაში (მდ. დევდორაკის პირდაპირ, საქართველოს სამხედრო გზის მარჯვენა მხარეზე) წყარო აუშენებიათ და მისთვის ილიკოს სახელი დაურქმევიათ ილიკოს ამხანაგებს, ყაზბეგელ მეცხვარეებს. გ. მირიანაშვილს რომ ჰკითხოთ, ამ „წყაროს მოხევეებმა“ ილიკოს წყარო „ილიკო ჭავჭავაძის პატივსაცემად შეარქვეს“ (იხ. გაზ. „დარიალი“, 1965, № 30), რაც აშკარა სიყალბეა.

ანალოგიური შეცდომა გაიმეორა სხვა ავტორმაც (იხ. Н. Квезерели-Копадзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1967, стр. 125).

6. რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1853—1856 წწ.) ყირიმში დატყვევებული თურქების ნაწილი რუსებს შემოუყვანიათ საქართველოში დარიალის გზით. გზაში ერთი თურქი მომკვდარა და დაუმარხავთ გზის პირას, ი ლ ი კ ო ს  წ ყ ა რ ო ს ახლოს, დევდორაკის პირდაპირ. იმ დროს ცრუმორწმუნეებს გაუვრცელებიათ ხმა, თითქოს ეს თურქი ღამ-ღამობით დგებოდა და მგზავრებს ეკითხებოდა — რომელი გუბერნიიდან ხართო.

1961 წლის 3 აგვისტოს 82 წლის მოხუცმა ვანია ბიძიას ძე ხუცი-შვილმა სოფ. გერგეტში ერთი ასეთი ეპიზოდი გაიხსენა: ძაუგიდან (ქ. ორჯონიკიძიდან) მოდიოდა მთელი აღალი. სხვებთან ერთად აღალში ყოფილან მთხრობლის პაპა გ ლ ა ხ ა ჯ, ე ფ ხ ო შ ვ ი ლ ი  ჯ ი ვ ა ჯ და სხვები. გლახას ხუმრობა ჰყვარებია. მას ამხანაგებისთვის გზა აუქცევია, წინ წასულა, თურქის საფლავთან ნაბადში გამოხვეული ქვაზე შემდგარა და მიახლოებული მგზავრებისათვის ბოხი ხმით უკითხავს: С какой губернии?— შეშინებული მგზავრები ჯერ სულ გაჩუჩებულან, ხოლო შემდეგ ჯივასთვის უთხოვიათ: რკინის მკვნეტელი კაცი ხარ და შენ გაბედე თურქთან მისვლაო. ჯივას შეუკრებია აღალის წევრები და რაკი თვალში გლახა მოიკლო, მიმხვდარა მის ეშმაკობას. გლახას გამოჰკიდებიან, ის გაქცეულა, შემდეგ ისიც აღალს შეერთებია და უცინიათ. ასეთია ამ ადგილის სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგია.

7. ჯ დ ი ს  ხ ე ო ბ ა განთქმულია კარგი საძოვრებით, ტყითა და საჯიხვეებით. ამ ხეობაში დიდი სისწრაფით მოედინება თეთრი, ჭაფჭაფა მდინარე ჯ დ ე, ჯ დ ი ს  წ ყ ა ლ ი ანუ ქ ი ს ტ უ რ ა ჯ, რომელიც

ერთვის თერგს. კდის ხეობაში ერთხანს უცხოვრიათ არაბულებს, ქისტაურებს და სორნაულებს, რომელთა ნასახლარები დღესაც არსებობს. შემდეგ არაბულების ერთი ნაწილი და ხორნაულები გადასახლებულან ფშავ-ხევსურეთში, ხოლო ქისტაურები და არაბულების ნაწილი საცხოვრებლად ამოსულან სოფ. გერგეტში.

ხალხური გადმოცემის მიხვედით, აქ მდგარან ჩამოსახლებული ქისტებიც (ინგუშები), გვარად იანდიევები. შემდეგ ქისტები აქედან გადასახლებულან ახლანდელი ქ. ორჯონიკიძის ახლოს — ე. წ. იანდიევის ხუტორში. ისინი იქიდან ჯოგს მოერეკებოდნენ და ზაფხულობით კდეში აბალახებდნენ.

ქისტებსა და მოხევეებს შორის ამ ხეობის გამო დავას ჰქონია ადგილი. ქისტები თურმე ამტკიცებდნენ. რომ ხეობა ქისტეთს ეკუთვნის, რამდენადაც მდინარეს ქისტურა ეწოდებაო. მოხევეებს თავის მხრივ მოუშველებიათ ის არგუმენტი, რომ ხეობაში ცხოვრობდნენ ქართველები და თვით იანდიევებიც წარმოშობით სოფ. გერგეტიდან ჩასახლებული და გაქისტებული ხუციშვილები არიანო. სარწმუნო საბუთად თელიდნენ იანდიევებისა და ხუციშვილების სახლიკაცობას და გერგეტში მათი მამა-პაპის ნასახლარების არსებობას. ბოლთს და ბოლოს ეს დავა მოხევეების გამარჯვებით დამთავრებულა და კდეც მათ დარჩენიათ.

8. ფალხატში ანუ ფიჭვიანებში მოხევეები მიდიოდნენ ჩირაღის (ქვარის) მოსატანად. ამ მიზნით იქ სიარულს ადგილი ჰქონია XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც, როდესაც სახლის გასანათებლად ნავთის ლამპა ჯერ კიდევ არ იყო შემოსული. ჩვენ თვითონ გვქონდა შემთხვევა გვესაუბრა ზოგიერთ მოხუცთან, რომელიც ფალხატიდან ჩირაღს ეზიდებოდა. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ჩირაღისთვის მოხევეებს ადრე უვლიათ ფიჭვდაღმებშიც (იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 36; ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47), მაგრამ უპირატესობას ანიჭებდნენ ფალხატის, როგორც მზვარე ადგილის ჩირაღს. ამასთან ერთად, ფიჭვდაღმების ჩირაღი უფრო მსხვილი ყოფილა, რის გამო ამ მხრივაც ფალხატის წვრილ ჩირაღს არჩევდნენ.

ქისტებისაგან მოსალოდნელი თავდასხმის შიშით ფალხატში მიდიოდნენ ჯგუფებად. ოღროჩოღრო ადგილებში სასიარულოდ და იქიდან ბარგის წამოსაღებად მიჰყავდათ ვირები. წასვლა ხდებოდა ღამით, უმთავრესად მთვარიან ღამეს, რათა ფალხატში ჩასვლა, ჩირაღის შეგროვება და დილით წამოსვლა მოესწროთ. ამიტომაა ნათქვამი „ულაყის ვირის პატრონსა, საძილედ სადღა სცალიანო". ჩირაღზე მოთხოვნილება ხევში დიდი იყო ზამთრის გრძელ ღამეებში, როდესაც დედა-

ლები მუშაობდნენ (ართავდნენ, ქსოვდნენ, ჩეჩავდნენ), აგრეთვე ხალხის თავშეყრილობის მომენტში (ქორწილი, დღეობა, ქელეხი...). ამის გამო ჩირაღობ სიარული სისტემატურად, თითქმის კვირაში ერთხელ, მაინც დებოდა და ოჯახიდან ეს საქმე ერთ რომელიმე კაცს ევალებოდა.

9. **საწისქვილო რუვი** ეწოდება ერთ-ერთ ხევს, სადაც აშენებენ და თლიდნენ წისქვილის ქვებს. გარდა მოხევეებისა, აქედან ასვლები უსიდიათ ქისტებსაც (ინგუშებს). როგორც მთხრობლების ნათქვამიდან ჩანს, დარიალის ხეობიდან ხარებით ათრევდნენ ამ ქვებს მთის ჯერდობების აცილით და ჩამოჰქონდათ ჯარიახის (არმხის) ხეობის სოფ. ოლგეთში.

10. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

11. **სეკრეტი** შეარქვეს იმ ადგილს, სადაც მდგარან მენშევიკების გვარდიის დარაჯები და საიდუმლოდ ეცნობოდნენ მენშევიკური შთავრობისა და მთავარსარდლობისაგან მიღებულ ბრძანებებს.

12. სოფ. ყაზბეგში მცხოვრები ქავთარაშვილების პატრონიმიული სახელია **ქავთარენი**. დარიალის ხეობაში მათ ჰქონიათ სათიბი და იქვე არსებობს გამოქვაბული. ვინაიდან ხევში გამოქვაბულს ეწოდება ბოხი, ამიტომ ქავთარაშვილების კუთვნილ სათიბსა და ამ ტერიტორიაზე ბდებარე გამოქვაბულს შეარქვეს **ქავთარეთ ბოხი დასათიბი**.

13. გზას ზემოდან დაჰყურებს მოშალი კლდე. ის რომ არ ჩამოშლილიყო, ქვემოდან მიუშენეს კედელი, რასაც დაარქვეს **სიმაგრენი**. ამჟამად აღარც ეს კედელი არსებობს და ის კლდეც სულ ჩამონგრეულია, მაგრამ ადგილს ძველი სახელწოდება დღემდე შემორჩა.

14. **გევეთ მუკლი** ეწოდება გზის ერთ-ერთ მოსახვევში მდებარე სათიბს, რომელიც ეკუთვნოდა ყაზბეგში მცხოვრები ვალიშვილების ერთ-ერთ შტოს. მათი პატრონიმიული სახელია **გევენი** და ადგილის სახელწოდებაც უშუალოდ სოციალური ერთეულის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული.

15. **საკეცენი** ანუ **საკეცეთი** ეწოდება ანდეზიტის საბადოს დარიალის ხეობაში, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. მთელი ხევის მოსახლეობა აქედან ეზიდებოდა საუკეთესო კეცებს. ამასთან არის დაკავშირებული მისი ეს სახელწოდებაც. მისი მიდამოები და თვით ეს ადგილი ეკუთვნოდა ორ სოფელს — გერგეტსა და ცდოს. ამიტომ მოხვდა მათ ტოპონიმიკაშიც (შდრ).

16. **ქობის წყალი** ანუ **ქობური წყალი** ეწოდება ნაკადულს, რომელიც მოედინება ნასოფლარ ქობის ტერიტორიიდან, ჩამოუელის საკეცეთს და საქართველოს სამხედრო გზის გადაკვეთის შემდეგ ბდ. თერგს უერთდება.

17. ღუდუშაურების დიდი საგვარეულოს ერთი ნაწილი ცხოვრობს სოფ. ყაზბეგში, რომლის პატრონიმიული სახელია ყ ა ზ ი ე ნ ი. ყაზიეთ კუთვნილ სათიბს დარიალის ხეობაში, რომელიც მათ შემდეგ მიუყიდიათ ცდოვლებისათვის, ეწოდება ყ ა ზ ი ე თ რ უ ვ ი.

18. „პ რ ა ნ ე ს ი გ ო ს პ ო დ ი“ რუსებმა შეარქვეს საქართველოს სამხედრო-გზის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და ვიწრო მოსახვევს დარიალის ხეობაში, რომელსაც ზემოდან დასცქერის ნახევრად დაკიდებული კლდის კონცხი.

19. შდრ. სოფ. ცდოს ტოპონიმია, შენიშვნა 26.

20. სათემო სალოცავი ი ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი მ ც ე მ ე ლ ი მდებარეობს დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე. მის მოპირისპირე მხარეს, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთ მოსახვევში დგას ივანე ნათლიმცემლის ნიში, სადაც მლოცველები საწირავს ტოვებდნენ ივანე ნათლიმცემლის სახელზე გზის ამ მკვეთრ მოსახვევსა და კონცხს, რომელზედაც კირით შეთეთრებული ნიში დგას, ეწოდება ი ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი მ ც ე მ ლ ი ს მ უ კ ლ ი. მუკლი ხევში საერთოდ მოსახვევის აღმნიშვნელი ცნებაა.

21. ბ ო რ ძ ა ჲ იყო გვარად ბეზურტანოვი, სოფ. გველეთში მცხოვრები ქისტი (ინგუში). ადგილს, რომელსაც ბორძა ხნავდა და დღეს საძოვრადაა გამოყენებული, ეწოდება ბ ო რ ძ ა ჲ ს ყ ა ნ ა.

22. დ ა ბ ა ჲ ეწოდება დავაკებულ ადგილს სოფ. გველეთის ჩრდილოეთ მხარეზე. თუ რატომ ეწოდება ამ ადგილს დაბა, ხალხური მასალა ამაზე პასუხს არ იძლევა. იმის თქმაც ძნელია, თუ რა კავშირშია ეს ტოპონიმი ვახუშტის მიერ დაბად წოდებულ სოფ. გველეთთან. როგორც ვახუშტი წერს, „გერგეთს ქვეით, ჩრდილოთკენ, დასავლეთ დამ ერთვის ჴ ე ვ ი გ ე ლ ა თ ი ს ა, ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გ ვ ე ლ ე თ ს“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 67).

ვახუშტი იძლევა სოფ. გველეთის ზუსტ ლოკალიზაციას. სოფელი დღესაც ამ ხევისპირადაა დასახლებული და ნასოფლარიც აქვეა შემორჩენილი. როგორც ადგილზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ძველი გველეთი საკმაოდ დიდ სოფელს წარმოადგენდა და ალბათ ვახუშტიმაც ამიტომ უწოდა მას დაბა. რაც შეეხება იმ ადგილს, რომელსაც მოხევეები დაბას ეძახიან, წარმოადგენს სოფლიდან ორიოდე კილომეტრით დაშორებულ საძოვარს.

23. დ ე ვ დ ო რ ა კ ი მყინვარწვერის უდიდესი მყინვარია. აქედან მოედინება მდ. დევდორაკი ანუ დევდორაკის წყალი, რომელიც ერთვის მდ. თერგს სოფ. გველეთის ქვემოთ. დევდორაკი არაერთგზისაა აღწე-

ჩილი გეოგრაფების, ალპინისტების და მყინვარწვერზე მყოფი სხვა მრავალი დამკვირვებლის მიერ.

24. ხევში ქუბი ეწოდება ჟოლოს (Rúbus idaeus). ვინაიდან დარიალის ხეობის ამ ადგილზე ის ბლომად მოდის, მას შეარქვეს ქუბაჲ.

25. ძველ დარიალაჲ ეწოდება დარიალის ხეობის ყველაზე ღნიშვნელოვანსა და ისტორიულად საინტერესო ადგილს, სადაც მდებარეობს თამარის ციხედ წოდებული დარიალის ცნობილი ციხე, მისი გალავანი, სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები და სალოცავები. რა ტრე ეწოდება ამ ადგილს ძველ დარიალაჲ? — ხალხური მასალა ამის შესახებ პასუხს არ იძლევა. ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაში ჯერ-ით ეს სახელწოდებაც არ გვხვდება, არამც თუ მისი მნიშვნელობის ახსნის ცდა.

ჩვენი ვარაუდით, სახელწოდება ძველ დარიალაჲ გაჩენილი უნდა იყოს დარიალის ხეობაში რუსთა გარნიზონის ჩადგომისა და მათ მიერ დარიალის ახალ სიმაგრეთა აშენების დროიდან. ვინაიდან ისტორიულ სიმაგრეთა მეზობლად ახალი სიმაგრეც აღიმართა, ერთმანეთისაგან მათი გარჩევისა და ლოკალიზაციისათვის ხალხმა, როგორც ჩანს, დარიალის ახალ სიმაგრეთა საპირისპიროდ ისტორიულად არსებულ ნაგებობათა სისტემას და მათი განლაგების ტერიტორიას შეარქვა ძველ დარიალაჲ. თუ არა ნაგებობების ასაკის მიხედვით, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა, რატომ ეწოდება დარიალის ხეობის მხოლოდ ერთ ადგილს ძველი.

26. ლეკების რუვი ეწოდება წყლის ნადინარ ადგილს თამარის ციხის (დარიალის ციხის) მიდამოში, სადაც, თანახმად ხალხური გადმოცემისა, მოხევეებს ამოუწყვეტიათ და იქვე დაუსამარებიათ ლეკები.

27. ბახტრის წმინდა გივარგი წარმოადგენს მოხევეების სალოცავს დარიალის ციხის ახლოს. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ბახტარი ძველად ერქვა დარიალის ხეობის ქვედა წელს. მოხევეები ბახტრის ტერიტორიას აქცევენ დარიალის ხიდიდან სავარის წყლამდე (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, შენიშვნა 34). როგორც მთხრობლები განმარტავენ, დაახლოებით ათი კილომეტრის მანძილზე გაჭიმული ეს ტერიტორია წარმოადგენდა ნეიტრალურ ზონას საქართველო-ოსეთის საზღვარზე. აქ მოსახლეობას არ უცხოვრია. მდგარა მხოლოდ საქართველოს ჯარი, ძირითადად მოხევეებით დაკომპლექტებული. საზღვარი თურმე გადიოდა სავარის წყალთან, ხოლო თანამედროვე ლარსის ციხის (კოშკის) აქეთ ფრიალებდა ქართველთა სამეფო დროშა, ბაირაღი. მოხევეების წარმოდგენით, ადგილს, სადაც საქართველოს

ბაირაღი//ბაირახი იყო აღმართული, ძველად ერქვა ბაირაღტარი ანუ ბაირახტარი. მთხრობლები ირწმუნებიან, რომ ბაირახტარის შეკვეცილი ფორმაა ბოლო დროისათვის შემონახული სახელწოდება ბახტარი. იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ ბახტარი ქართველ მესაზღვრეთა სადარაჯოს წარმოადგენდა და მას წმინდა სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, მოხევეებს მიაჩნიათ ბახტრის წმინდა გიორგის ფუნქცია. იგი ითვლებოდა ლაშქრის მფარველ ღვთაებად, როგორც ფშავში ლაშარის ჯვარი. ასეთი ფუნქციის მქონე ღვთაებისათვის ხალხს იქ მიუჩენია ადგილი, რომელიც საყურადღებო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა და სადაც მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები ტარდებოდა..

უსათუოდ ბახტარი უნდა ჰქონოდა მხედველობაში ვახუშტის, როდესაც წერდა... „ამას ქვეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით, კიდესა ზედა, გ მეფის მირვანის მიერ — შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათჳს, რათა უმისოთ ვერღარა ვიდოდნენ [და არს სახელი ესე მოვრეული. ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად. მუნ დადგიან“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 67—68).

ადგილი დარიალის ქვემოთ, რომელიც, ვახუშტის ცნობით, ოსეთში ბოლაშქრე ქართველ მეფეთა ნასასახლევს წარმოადგენდა, იყო ის ტერიტორია, რომელსაც მოხევეები უწოდებენ ბახტარს.

28. ამ ადგილას სცოდნია ზამთრობით თოვლის ზვავი, ხოლო ზაფხულობით მეწყერი, რის გამო მას შეარქვეს დიდზოვი (ზოვი ნიშნავს თოვლის ან მიწის ზვავს). იქ შეშა უმზადებია ყაზბეგელ ესტა ქირიკაშვილს, რისთვისაც გაჩნდა ახალი ტოპონიმი ესტადას საშეშო ანუ ესტადას რუვი.

29. სოფ. გველეთიდან თერგის მარცხენა ნაპირზე მთის ძირა ზოლში მიემართება ბილიკი. ამ გზით მგზავრი გადალახავს მდ. დევდორაკს, გაივლის ძველ დარიალას (დარიალის ანუ თამარის ციხის მიდამოებს) და მიადგება ტყიანი ღელის დიდ აღმართს. ეს საძოვარი ადგილი მოფენილია ლოდებით, ზოგან დახრამულია, მას იქვე ჩამოუდის წყალი. ამ აღმართის ავლის შემდეგ მგზავრი მოექცევა უღელტეხილზე, საიდანაც დაეშვება საქართველოს სამხედრო გზაზე დარიალის ხიდისა და ზემო ლარსის შუა. მდ. თერგისაგან გზისა და ხიდის დანგრევის შემთხვევაში გამოყენებულ თუ ცხვრის გადასარეკ ამ უღელტეხილს ეწოდება ხურნუკი, ხურნუკის ყელი ანუ ხურნუკის გადასასვლელი.

30. დარიალის ხეობაში არსებობს შავი ფერის ქვის საბადო. ამ ქვას იყენებდნენ სახლის სახურავად. მას აქვს აგრეთვე სამრეწველო

ნიშვნელობა. ადგილს, სადაც ქვის ეს ჯიში (Сланец) მოიპოვება, ეწოდება ს ლ ა ნ ც ი.

31. ლ ა რ ს ი დღეს სამ სოფლადაა დასახლებული საქართველოს სამხედრო გზაზე. ზემო და ქვემო ლარსი დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ წარმოიშვა. რაც შეეხება შუა ანუ ცენტრალურ ლარსს, ეს არის ძველი დასახლება. სამივე ეს სამოსახლო ერთეული ადმინისტრაციულად შედის ჩრდილო ოსეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში. ლარსში ძირითადად ცხოვრობენ ყაზბეგის რაიონიდან ჩასახლებული ქართველები (მოხევეები). იქვე არის ოსებისა და რუსების თითო-ოროლა ოჯახი. მოხევეები ლარსში დასახლებას იწყებენ 1918 წლიდან, როდესაც ადრე იქ მცხოვრები ოსები გადასახლდნენ ჩრდილო ოსეთის ბარში.

32. კოშკის ნანგრევი შემონახულია სოფ. ლარსის ჩრდილო მხარეს ცლდოვან კონცხზე. ხალხური გადმოცემით, იქ ერთ დროს ვინმე მ ა ჰ მ ა დ ი მდგარა და ამიტომ შეურქმევიათ მ ა ჰ მ ა დ ი ს ც ი ხ ე.

33. ქ უ ნ დ უ ხ ე თ ი ეწოდება ლარსსა და მის მიდამოებს, რომელიც ეკუთვნოდათ ოს ქუნდუხოვებს. მოხევე მთხრობლების გადმოცემით, ქუნდუხოვები იყვნენ თაგაურლები. მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ ქუნდუხოვებსა და ჩიმის მებატონე დუდაროვებს ხევში ძველად ეძახდნენ დვალებს. ქუნდუხოვებს ეკუთვნოდათ აგრეთვე ლარსის ციხეც (კოშკი), რომელიც შიგ სოფელში მდგარა და ეწოდებოდა ქ უ ნ დ უ ხ ე ბ ი ს ც ი ხ ე.

34. მთხრობლების ცნობით, ს ა ვ ა რ ი ს წ ყ ა ლ ი იგივე ს ა ზ ღ ვ ა რ ი ს წ ყ ა ლ ი ა. მათი მითითების თანახმად, ძველად აქ (სანიბის ხევთან, დღევანდელი ჩიმის ახლოს) გადიოდა საქართველო-ოსეთის საზღვარი და წყლის სახელწოდებაც ამითი აიხსნებაო.

35. სოფ. ჩ ი მ ი ადმინისტრაციულად შედის ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში. ჩიმში ცხოვრობენ ქართველები (მოხევეები), ოსები, ინგუშები და რუსები. ჭარბობს ქართული მოსახლეობა. ისინი უმთავრესად ჩასახლდნენ 1940 წლიდან, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის წლებში. ისტორიულად ის წარმოადგენდა ოსი მებატონეების, ინგუშური წარმოშობის დუდაროვების სამფლობელოს. ვახუშტის ცნობით, „არამედ ამ ქისტის-წყლის შესართავს, არაგვის დასავლით, მაღლა მთის ძირს, არს ჩ ი მ ი, დაბა დიდი და კოშკოვანი. მოსახლენი არიან ოვსნი, სიდამონნი გვარითა, და არიან აწ თავნი მათნი მაჰმადიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისათჳს, არამედ არიან მისიცა უმეცარნი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 112).

36. მ ი ნ დ ვ რ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ვ ა რ გ ი ეწოდება სალოცავს, რომელიც მდებარეობს ჩიმის მინდორზე, საქართველოს სამხედრო გზის პირად. მოხევეები მას თვლიან მეცხვარეებისა და მგზავრების მფარველ ღვთაებად. იქ სალოცავად მიდიოდნენ მოხევეები, ოსები და ინგუშები. სალოცავის მეორე სახელწოდებაა ხ ა რ ხ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ვ ა რ გ ი (იხ. შენიშვნა 37).

37. როგორც მთხრობლები მიგვითითებენ, სოფ. ხ ა რ ხ ი მდებარეობდა სოფ. ჩიმის ბოლოზე, მისგან ჩრდილოეთით, კლდოვან ბორცვზე, საქართველოს სამხედრო გზიდან მარცხნივ. ხარხში უცხოერიათ დარიალის ხეობიდან ჩასახლებულ ქართველ ხ ა რ ხ ი შ ვ ი ლ ე ბ ს. ადგილებზე დავის გამო აქ ერთიმეორეს შესჯახებიან ხარხიშვილები, ოსები და ქისტები (ინგუშები). ბრძოლებში ხარხიშვილები ამოწყვეტილან, გადარჩენილი ერთი-ორი კომლი გამოხიზნულა ხევსა და მთიულეთში. საბოლოოდ ისინი დასახლებულან მთიულეთში და დაუარსებიათ სოფელი ხ ა რ ხ ე თ ი, რომელიც დღემდე არსებობს. ხარხელების სალოცავს წარმოადგენდა ხ ა რ ხ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ვ ა რ გ ი, რომელსაც მეორენაირად ეწოდება მ ი ნ დ ვ რ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ვ ა რ გ ი. შემთხვევითი არ არის, რომ მოხევეები ამ სალოცავთან კავშირს არ წყვეტდნენ. ხარხიშვილებისა და სოფ. ხარხის განადგურების შემდეგ ეს ნასოფლარი იქცა „წმინდა ადგილად", ისევე, როგორც ვიცით სხვა უამრავი შემთხვევაც, როდესაც ნასოფლარი ან ნაკოშკარი სალოცავად იქცეოდა.

ხარხში ნაპოვნი აბასიდების დირგემების მიხედვით ხარხელთა ძველ სამარხებს ა. კრუგლოვი ათარიღებს 791—792 წწ. (А. П. Круглов, Археологические работы на реке Терек, журн. „Советская археология", 1937, № 3, стр. 245).

38. სოფ. ბ ა ლ თ ა მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, ქ. ორჯონიკიძიდან სამხრეთით, მეთოთხმეტე კილომეტრზე. ბალთაში ცხოვრობენ ქართველები, ოსები და ინგუშები. რიცხობრივად ჭარბობენ ქართველები, რომლებიც აქ მოვიდნენ ხევიდან, მთიულეთიდან და ქსნის ხეობიდან. ქართველების დასახლება მოხდა ძირითადად XX საუკუნეში. ბალთა ეკუთვნის ჩრდილო ოსეთს.

39. ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან, საქართველოს სამხედრო გზაზე გვხვდება დასახლება, რომელსაც მოხევეები ეძახიან რ ე დ ა ნ ს. დღეს მას რუსულად ეწოდება Редант, რაც სახეშეცვლილი ფორმაა ყოფილი Редут-ისა.

40. ქალაქის გაშენებამდე ამ ადგილას არსებობდა ოსთა სოფელი ო ა უ ჯ ი-ყ ა უ. ამავე სახელით მოიხსენიებენ ხოლმე ქალაქს დღეს ოსები, ხოლო მოხევეები მას ეძახიან ძ ა უ გ ს. 1784 წელს რუსებმა ააშე-

ნეს ვლადიკავკაზის სიმაგრე. 1860 წლიდან ეს სახელი უწოდეს ოსებმა თვით ქალაქს. ამ სახელთან ერთად ქართულ პრესაში გვხვდება ვლადიკავკავი. 1936 წლიდან ქალაქს უწოდეს ორჯონიკიძე.

## სნოს ხეობა

### აჩხოტი

1. სოფ. აჩხოტი მდებარეობს სნოს ხეობის კარებში, მთის ძირას. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში არაგვის ერისთავების მოურავძე შიოლა ღუდუშაურმა აქ დაასახლა ოსები. აქაური ოსები ითვლებოდნენ ღუდუშაურების ყმებად. ეს უფლებები სოფლის მიმართ შემდეგში ხელთ ჩაიგდეს აზნაურმა უაზბეგებმა. ოსების უმრავლესობა აქედან გადასახლდა ჩრდილო ოსეთში. ბედოევების გვარიდან კი ხაწილი სოფ. არშაში დასახლდა, გაქართველდა და ბედოშვილად დაიწერა. აჩხოტში დასახლდნენ სნოდან გამოსული ოჯახები. დღეს ის თანამედროვე ტიპის სოფელს წარმოადგენს მშვენიერი ორსართულიანი სახლებით.

2. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 14.

3. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 41.

4. შაჯთა წყაროს მეორე სახელწოდებაა სისხლის წყარო. გადმოცემის მიხედვით, ხართიშვილებს როდესაც სამარხვნში უცხოვრიათ (შდრ. სნოს ტოპონიმია, შენიშვნა 17), დვალები დასცემიან და ეს გვარი ამოუწყვეტიათ. გადარჩენილა მხოლოდ სხვაგან მყოფი უსაჯი (უშაჯი). სახლში ის მაშინ მისულა, როდესაც გამარჯვებული დვალები ნადავლით გზას გასდგომოდნენ. უსაჯი მათ დასწევია წყაროსთან და 20 კაცი მოუკლავს. ნაბრძოლ ვაჟკაცს სისხლიანი ხმალი გაურეცხია ამ წყაროში, რის გამო მისთვის შეურქმევიათ სისხლის წყარო. ამ წყაროს პირველი სახელწოდება კი უშუალოდ უსაჯის (უშაჯის) საკუთარ სახელთან ჩანს დაკავშირებული. სახელწოდება შაჯთა წყარო დროთა ვითარებაში სახეშეცვლილი ფორმა უნდა იყოს უშაჯის წყაროსი.

### სნო

1. სოფ. სნო მდებარეობს ამავე სახელწოდების მქონე ხეობაში, სნოს ხეობაში. საქართველოს სამხედრო გზიდან სნომდე საათ კილომეტრია. სოფელს გვერდზე ჩამოუდის ხევის შავიარაგვი, რომელსაც ეძახიან სნოს წყალს. სნოს ხეობიდან ქვენამთის გავლით გზა გადადის გუდამაყრის ხეობაში. სოფ. ჯუთაზე და საძელეზე გავლით სნოს ხეობიდან გზა მიემართება ხევსურეთში, ხოლო ართხმოდან შონჩოსმთის გადავლით მგზავ-

რი მოხვდება როგორც მთიულეთში (სოფ. შონჩოში), ისე გუდამაყარში.

სოფ. სნოში ყველაზე ხალხმრავალი გვარია ღუდუშაური: გვიან-ფეოდალურ ხანაში მათვე მიაღწიეს ხევში აღზევებას. როგორც ჩანს, ღუდუშაურების პოპულარობის გამო სნოს ხეობას შეარქვეს ღუდუშაურის ხეობა. ხეობის ეს სახელწოდება გვხვდება რუკებსა და ლიტერატურაში (იხ. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 3).

2. თუ ხევის რიგ სოფლებში (გარბანში, ყაზბეგში, გველეთში) სემღისაჯ ანუ ამღისაჯ სალოცავს წარმოადგენდა, სოფ. სნოში ამღისაჯ ეწოდება ამავე სალოცავის სახელზე შეწირულ სახნავ ნაკვეთს — ე. წ. ხატის ყანას. დროთა განმავლობაში ეს სალოცავი და მასთან დაკავშირებული რიტუალი დავიწყებას მიეცა, ხოლო მიწის ნაკვეთს მისი სახელი დღემდე შემორჩა.

3. ამჟამად ეს ადგილი დეკითაა დაფარული. წინაპართა გადმოცემით, ადრე აქ ალვის ხეებივით აწოლტილი ხეები მდგარა. ოდესღაც მაღალი ტყით შემოსილ ამ ადგილს შემორჩა სახელი ალვათავი, რაც, მთხრობლების განმარტებით, ნიშნავს მაღალტყიან ადგილს.

4. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 6.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

6. ვინაიდან ტყე ეკუთვნოდა გელაშვილებს, ხოლო ამ საგვარეულოს პატრონიმიული სახელწოდებაა გელენი, ამიტომ ერქვა მას გელეთ ტყე.

7. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

8. ბოლო დროისათვის ეს ადგილი იხვნებოდა. ის წარმოადგენდა სოფ. სნოს ერთ-ერთ ძველ სამოსახლო ადგილს, რაც დასტურდება აქ შემორჩენილი ნასახლარებით და მასთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემებით (ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 49—50).

9. გოდერძიანნი არის პატრონიმიული სახელი გოდერძიშვილების გვარისა, რომელთაც ეს სახნავი ეკუთვნოდა და მათ საუფროსოს წარმოადგენდა. საუფროსო აქ ისეთივე შინაარსის ტერმინია, როგორც ხევის სხვა სოფლებში (შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 39).

10. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 13.

11. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 14.

12. გადმოცემის მიხედვით, ვანნი, რომელსაც ჰქვია აგრეთვე მზორე და ღალიანი, სნოველთა ერთ-ერთ უძველეს სამოსახლოს

წარმოადგენდა: სხვათა შორის, მთხრობლები იმ გარემოებაზედაც მიუთითებენ, რომ საცხოვრებლად ყველაზე დიდხანს იქ დარჩენილან სამუკაშვილები — ღუდუშაურების განაყრები და რაზიკაშვილების უშუალო წინაპრები (ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 50, ტაბულა: მისივე, ვაჟა-ფშაველას წინაპრები. ჟურნ. „მნათობი", 1961, № 7), მაგრამ სულაც რომ არავითარი ცნობა არ გვქონოდა ხელთ ამ ნასოფლარის შესახებ, თვით მისი სახელწოდებაც საკმარის საფუძველს მოგვცემდა, რათა ამ ტერიტორიაზე სამოსახლოს არსებობა გვეგულისხმა.

საბას განმარტებით ვანი ნიშნავს სადგომს (სიტყვის კონა. თბილისი, 1949, გვ. 116). ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, VI-VII საუკუნეებამდე ქართულ და ნათარგმნ ძეგლებში საცხოვრებელი სახლის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინი ვანი, ხოლო შემდეგდროინდელ წყაროებში ის უკვე იხსენიება როგორც სავანე (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946, გვ. 7—8).

თუ ვანი ნიშნავს სახლს, ხევში დამოწმებული ტოპონიმი ვანი აღმნიშვნელია რამდენიმე სახლისა, ე. ი. დასახლებისა, სოფლისა, რამდენადაც ხევში ეს სახელწოდება შემონახულია მრავლობითის ფორმით.

13. ზემოსოფელა ეწოდება ნასოფლარს, რომლის ტერიტორიაზე შემორჩენილია საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო ხასიათის ნაგებობათა ნაშთები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი კოშკის ნანგრევი — ე. წ. კარეს ციხეები. სნოველები აქ სალოცავად მიდიოდნენ და კარესძლობას იხდიდნენ. როგორც ბევრი სხვა მაგალითის მიხედვით ვიცით, ამ შემთხვევაშიც ხალხმა თავიანთ წინაპართა საცხოვრისი სალოცავად, წმინდა ადგილად გადააქცია.

ზემოსოფელას მეორენაირად ეწოდება კარე, ხოლო ადრე სახნავად ხმარებულ მის მიდამოებს — კარესუკანა. ამ უკანასკნელ სახელწოდებას ზოგჯერ იყენებენ მთელი ნასოფლარის აღსანიშნავადაც. ამგვარად, ნასოფლარისა ვიცით სამი სახელი: ზემოსოფელა, კარე და კარესუკანა. უშუალოდ ნასოფლარის მეორე სახელწოდებასთან არის დაკავშირებული კოშკების ნანგრევებისა და სამეურნეოდ გამოყენებული ნაკვეთების სახელებიც. ასევე მის სახელწოდებას უკავშირდება იმ დღეობის სახელიც, რომელიც იქ იმართებოდა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ამასთან დაკავშირებით აღინიშნოს, რომ გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთში ხევის სოფლებისა და საყდრიშვილთათვის მისაცემი მძევლების ჩამოთვლისას სხვებთან ერთად დასახელებულია ღუდუშაური შალვა, რომლის სოფელი ყოფილა კკრაჲს ძალთაჲ (ქ. შარაშიძე, გვ. 272). არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ XV საუკუნის ამ საბუთში ხსენებული კკრაჲს ძალთაჲ იყოს სწორედ ზემოხსენებული კკრე ანუ ზემოსოფელაჲ. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ დოკუმენტის მიმიხედვით კკრაჲს ძალთაჲ წარმოდგენილია ღუდუშაურების საცხოვრისად, ე. ი. ლოკალიზებულია სოფ. სნოსთან, ღუდუშაურების დედასამშობლოსთან, ხოლო ნასოფლარი კკრეც სოფ. სნოს უახლოესი მეზობელია. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ნასოფლარის სამი სახელიდან ორი უშუალოდ კკრაჲ-სთანაა დაკავშირებული.

კკრაჲ//კკრე ესაა იმ ღვთაების სახელი, რომლისადმი თაყვანისცემა სნოში ახლო წარსულამდე გრძელდებოდა და რომლის სახელსაც ატარებდა არა მარტო თავის დროისათვის ხალხით დასახლებული სოფელი, არამედ ეს სახელი შემორჩა თვით ნასოფლარსაც.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29.

15. სოფ. სნოს ჩამოუდის წყალი, რომლის ენერგიით მომუშავე ელსადგური შუქს აწვდის სნოს ხეობის სოფლებს. წყალი პირდაპირ სოფლის ქუჩებში მოედინება და გადის კლდეზე აღმართული სნოს ციხის წინ. გადმოცემის მიხედვით, ამ ციხესთან მრავალჯერ ყოფილა ბრძოლა, მრავალი ტყვია გასროლილა და ბევრი მათგანი წყალშიც ჩავარდნილა. ამიტომ შეარქვეს ამ წყალს ნათოფაჲ, ე. ი. დათოფილი, ბოფნასროლი.

16. შდრ. გერგეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 50.

17. სამარავანი ამჟამად წარმოადგენს სალოცავს. ადრე აქ ცხოვრიათ ხართიშვილებს. სამარავანში შემონახულია საცხოვრებელი ნაგებობებისა და კოშკის ნანგრევები.

18. სოფ. სნოში გვიანობამდე იყო შემორჩენილი სამუკაშვილების ერთ-ერთი დიდი ოჯახის საცხოვრებელი ნაგებობის ნანგრევი. ის აუშენებიათ გასული საუკუნის 60-იან წლებში; შედგებოდა ორი სართულისაგან. პირველი სართულის ორი განყოფილება გამოიყენებოდა საზამთრო საცხოვრებლად, ხოლო ლასტითა და ქვის კედლებით ერთმანეთისაგან იზოლირებული ოთხი სათავსო (საძროხე, საბერწე, სახბე, საცხორე) წარმოადგენდა ბოსელს. საცხოვრებელი ნაწილი და საქონლის სადგომი სათავსოები ერთიმეორესთან დაკავშირებული ყოფილა ცხრა კარით, რისთვისაც ნასახლარ ადგილსაც დღემდე სამუკეთ (სამუკაშვილების) ცხრაკარიანი ეწოდება.

19. შდრ. გერგეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

20. ს ა უ დ ა რ ა ჯ ე ლ ო დ ე ბ ა ბორცვს სოფ. სნოში, რომელიც სნოს ციხესთან ახლოს მდებარეობს და ძველ სამარხს წარმოადგენს. მთხრობლების მითითების თანახმად, ის ეკუთვნის გოდერძიშვილების საგვარეულოს. გოდერძიშვილებს ეს აკლდამები მიაჩნიათ იმის უტყუარ საბუთად, რომ მათი გვარი სოფ. სნოს უძველესი მკვიდრია.

21. სოფ. ახალციხეში, რომელიც სნოდან სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული, ცხოვრობენ ქერაშვილები, რომელთა პატრონიმიული სახელწოდებაა ქ ე რ ე ნ ი. ქერაშვილებს სნოს ტერიტორიაზე ჰქონიათ ნაკვეთი, რომელიც ქვებისაგან გაურჩევიათ და დაუმუშავებიათ. ამიტომ მათ სახნავ ნაკვეთს უწოდეს ქ ე რ ე ფ ნ ა რ ჩ ე ვ ი, ე. ი. ქერაშვილების მიერ ქვისაგან გარჩეული, გაწმენდილი.

22. ქ ა ლ ი ს უ ა ნ ა. სახნავი ადგილისადმი ამ სახელის შერქმევის შესახებ ხევში არსებობს ხალხური თქმულების რამდენიმე ვარიანტი:

I ვარიანტით, სოფ. სნოში ოდესღაც უცხოვრია მომხიბლავი სილამაზის ქალს ს ე ე ნ ჯ ა გ ო დ ე რ ძ ი შ ვ ი ლ ს. ხევზე ერთ-ერთი თავღასხმის დროს ის მოუტაცნიათ სპარსელებს და გამოუმწყვდევიათ განჯის ციხეში. სეენჯას იქ შვილი შესძენია. სამშობლოს დაჯარგვით ტანჯული ქალი თურმე აქვანზე მტირალი აღმებდა და ათენებდა. შემონახულია ხალხური ლექსის ფრაგმენტი, რომელიც გვამცნობს სეეგამწარებული ტყვე ქალის განსაცდელს:

სეენჯას შამოუთვლია: განჯას თათარჩი ვჰყვივარო,
ღამით მიყრიან ბორკილსა, დღისით ჯაფაჩი ვჰყვივარო.
გარდამავალო ღრუბელო! წაიღე ჩემი თმანიო,
დაჰკიდე დარბაზის კარზე, აბრიალებდეს ქარიო;
გამველელი და გამომველელი, ტიროდეს ჩემი სწორიო.

ერთ ღამეს, როდესაც ტირილით დაოსებულ სეენჯას აქვანთან ჩასძინებია, დასიზმრებია წმინდა გიორგი, რომელსაც უნუგეშებია ქალი და მისთვის ასეთი რჩევა მიუცია: თაროზე რომ ვერცხლის საყურეები (400 გრამი) დევს, აიღე და წადიო. დღისით არ გამოგაჩენ, ხოლო ღამით ჩემს შუქზე გატარებო. ზედიზედ სამ ღამეს მოსჩვენებია ასე წმინდა გიორგი სეენჯას. მესამედ დასიზმრების შემდეგ სამშობლოს სიყვარულით დაძლეულ ქალს მიუტოვებია შვილი და ხევისკენ წამოსულა. წმინდა გიორგის ღვთაებრივი შემწეობით ის თითქოს მეორე დღეს მოსულა სოფ. სნოში. ეს მომხდარა ხუთშაბათს, რის შემდეგ ამ დღისთვის შეურქმევიათ დ ი დ ი ხ უ თ შ ა ბ ა თ ი და დაუწესებიათ ა თ ე ნ გ ე ნ ო ბ ი ს დღესასწაული, ხოლო სპარსელთაგან სეენჯას მხსნელი წმინდა გიორგისათვის უწოდებიათ ს პ ა რ ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი.

სამშობლოში დაბრუნებულ სეენჯას ბევრი ყმაწვილი მოუხიბლავს. ვაჟკაცებს შორის შური და მტრობა ჩამოვარდნილა, რამდენიმე მათგანი ასეთი მოქიშპეობის მსხვერპლი გამხდარა. ეს ტრაგედია ვერ აუტანია სეენჯას და თავის მოკვლა გადაუწყვეტია. ამ მიზნით მას ყანის პირას ბექობი გამოუთხრია, თხრილში შეწოლილა და მიწა ზემოდან დასცემია ცოცხლად დამარხულ ქალს აბრეშუმის კაბის კალთა გარეთ დარჩენია. მზეზე მოელვარე ფარჩა შეუნიშნავს ერთ მწყემსს და სოფლისთვის უცნობებია. ხალხს სეენჯასთვის იქვე, გოდერძიშვილების სახნავ ნაკვეთში გაუკეთებია საფლავი. ამ დღიდან ხსენებული ადგილისთვის დაურქმევიათ ქალის ყანა. ამ დღიდანვე დაუწესებიათ სეენჯას შესანდობარი, რაც ახლო წარსულამდე სრულდებოდა. როგორც წესი, ხვნა-თესვის დასაწყისში გოდერძიშვილები ამ ყანაში გადიოდნენ, სეენჯას შესანდობარს შესვამდნენ და პირველ რიგში ხვნას იქ შეუდგებოდნენ (სოფ. სნო, 15. VIII, 1956, წ. ვარდა გოდერძიშვილი. დაბად. 1896 წ.).

II ვარიანტით, სოფ. სნოდან სპარსელებს მოუტაცნიათ ხევში სილამაზით სახელგანთქმული სეენჯა გოდერძიშვილი, წმინდა გიორგის ხატი და ვერცხლის დიდი საყურეები. უცხოობაში მყოფი ქალი საშინელ განსაცდელში ჩავარდნილა. მას განსაკუთრებით ბევრი უტირნია იმ დღეს. როდესაც მის სოფელში ათენგენობას დღესასწაულობდნენ, ხოლო თვითონ კი ამ სიამოვნებას მოკლებული იყო. ნამტირალ სეენჯას ჩასძინებია და მოსჩვენებია წმინდა გიორგი, რომლის სახელზედაც სნოში ათენგენობა იმართებოდა. წმინდა გიორგის უთქვამს: ამა და ამ თაროზე დევს სპარსელთაგან სნოდან წამოღებული ხატი და მისი საყურეები. ორივე წაიღე, ღამით იარე და დღისით იმალეო. სეენჯაც ასე მოქცეულა და მეორე ათენგენობაზე მშობლიურ სოფელში მისულა. თან მიუტანია წმინდა გიორგის ხატი და საყურეები. ხალხს ეს ხატი თავის ადგილზე დაუბრძანებია. მისთვის სპარსანგელოზი უწოდებიათ რამდენიმე ხნით სპარსეთში ტყვედ ყოფნისა და სეენჯასთან ერთად სპარსეთიდან კვლავ მობრძანების გამო. დღიდან ამ შემთხვევისა, სპარსანგელოზის ხატში დეკანოზობის უფლება თემს გოდერძიშვილებისთვის მიუნიჭებია. ამ უფლებით სარგებლობდნენ გოდერძიშვილები ახლო წარსულამდე, ვიდრე ამ დღეობასთან დაკავშირებული რიტუალი სრულდებოდა. პირველი საკლავის დაკვლაც დღეობის დასაწყისში გოდერძიშვილებს შეეძლოთ. მხოლოდ მათი ზვარაკის შემდეგ შეეძლოთ საკლავების მიყვანა სხვა გვარების წარმომადგენლებს. მთხრობლებისა ვადმოცემით, გოდერძიშვილების ეს პრიორიტეტი უკავშირდება სეენჯას ლეგენდარულ თავგადასავალს.

გადმოცემის ამ მეორე ვარიანტის მიხედვით, სეენჯას დას რქმევია თ ი ნ ა, რომლის სიყვარულით შთაგონებულ ცხრა ურთიერთმოქიშპე ვაჟკაცს ერთმანეთი გაუწყვეტიათ. ამ უბედურების შემდეგ თინას ბალვით გაუთხრია საფლავი გოდერძიანთ სახნავში (რომელსაც ეწოდება აგრეთვე ნ ა ღ ო რ ე ვ თ ა ღ), ბეგის ძირში, ჩაწოლილა და დანით ყელი გამოუჩრია. პრიალა ფარჩის საგულის (კაბის) ბოლო საფლავის კიდეზე დარჩენია. მზეზე მოელვარე კაბის კალთა მთიდან (რომლის სახელია თ ე თ რ ნ ი) დაუნახავს სნოველ მწყემსს. მწყემსი სოფელში ჩამოსულა მაშინ, როდესაც მთელი სოფელი თინას საძებნელად ყოფილა გამოსული. ხალხისთვის მას უთქვამს, რომ გუშინ საღამოს ნადორევთას ვიღაც ქალი მუშაობდა, ხოლო დღეს იმ ადგილას ფარჩა ლაპლაპებდაო. ხალხიც მისულა ამ ადგილზე, იქვე დაუსაფლავებიათ თინა და ამ სახნავი ადგილისთვის დაურქმევიათ ქ ა ლ ი ს ყ ა ნ ა. როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ხვნისა და მკის დროს სამუშაოდ გასული გოდერძიშვილები სეენჯასა და თინას შესანდობარს სვამდნენ. ადრე ეს ყანა გოდერძიანთ საგვარო მფლობელობაში ყოფილა და მას საერთო ძალით ამუშავებდნენ. შემდეგ ის ოჯახების მიხედვით დაუნაწილებიათ, მაგრამ თინას (თუ სეენჯას) საფლავთან მისელის მამაპაპური ჩვეულება კვლავ სრულდებოდა (სოფ. სნო, 13. VIII, 1951 წ. გიორგი სვიმონის ძე ჯანუაშვილი, დაბად. 1900 წ.).

III ვარიანტი გამოაქვეყნა ს. მაკალათიამ. ს. მაკალათიას წიგნში ეკითხულობთ: „როდესაც სპარსელებს საქართველოდან ტყვეები წაუსხამთ, მათ შორის ერთი მოხვედრილა ქალიც ყოფილა. სპარსეთში ამ ქალს შვილი ყოლია. ქალი ათენგენობის წინა დღით აკვანთან მჯდარა დაღონებული და წვერისანგელოზობაზე ოცნებობდა თურმე. ამ დროს მას ჩვენებია ანგელოზი (სპარსეთის ანგელოზი) და უთქვამს:

„ადექ, ნუ ტირი, თაროდან გამოიღე ჩემი საყურე და ხევის გზას გაუდექიო. დღე მე გმალავ და ღამე ჩემი შუქით გატარებო". იქვე ხარიც გაჩენილა, სპარსანგელოზი ხარის რქაზე დამჯდარა და ქალს წინ გაძღოლია.

სნოში ქალი ათენგენობას მისულა და მაშინვე წვერისანგელოზში ასულა. მას აქ საყურე ყოჩის ჯვრისათვის შეუბამს, ხარიც დაუკლავთ და სპარსანგელოზიც იქ დაფრენილაო. ამ დროიდან ხალხური გადმოცემით ათენგენის წვერისანგელოზს სპარსეთიდან მოსული ანგელოზის სახელი „სპარსანგელოზი" ეწოდაო" (ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 252).

IV ვარიანტი გამოქვეყნებულია ყაზბეგის რაიონის გაზეთში: „რამდენიმე საუკუნის წინ გოდერძიშვილების გვარში ყოფილა გასაოცარი

სილამაზისა და მოხდენილობის ქალი — სეინჯა გოდერძიშვილი, რომლის ხელის დასაპატრონებლად ხევში ერთიმეორეს ეცილებოდა შვიდი გვარი. საქმე იქამდე გამწვავებულა რომ, ვისაც ქალი საქმროდ ამოირჩევდა, დანარჩენებს შური უნდა ეძიათ.... მაგრამ მოხდა სრულიად საოცარი ამბავი. ერთ-ერთ დღეობაზე, სადაც ქალს თავისი მთხოვნელებიდან სასურველი უნდა ამოერჩია, ან თანხმობა განეცხადებინა, სეინჯა გოდერძიშვილი ძმის თანხლებით მოვიდა საქორწინოდ მორთული; იგი ხელში ძმის კაპარჭიდან ამოღებულ ფოლადისწვერიან ისარს ათამაშებდა. მას აღტაცებით შეეგებნენ შვიდივე გვარის ახალგაზრდები, თან იარაღზე ხელი ჰქონდათ და ერთიმეორეს გამგმირავი თვალებით ზვერავდნენ.

უნდა მომხდარიყო ძმათა სისხლის დაქცევა...

მოხევე ქალის ნათელ სახეს უცნაური ღიმილი დასთამაშებდა.

„ჩემი სისხლი იყოს თქვენი ძმური კავშირის განმამტკიცებელიო!“ უთქვამს ღირსეულ ქალიშვილს და ხელში ნაჭერი ისარი მკერდში ჩაუცია. ასე დაუსრულებია შვიდი გვარის ნანატრ სარძლოს სიცოცხლე... ზუსტად იმ ადგილას, სადაც სეინჯა გოდერძიშვილი დაუკრძალავთ, ეწოდება „ქალის ყანა“ (შ. არაბული, ქალის ყანა, გაზ. „დარიალი“, 1965 წლის 3 ივლისი).

23. იხ. შენიშვნა 12.

24. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

25. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

26. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## ახალციხე

1. სოფ. ახალციხე მდებარეობს სნოს ხეობაში, მდ. სნოს წყლის (ხევის შავი არაგვის) მარცხენა სანაპიროზე, საქართველოს სამხედრო გზიდან მერვე კილომეტრზე. ეს სოფელი წარმოადგენს ხევის ერთ-ერთ ძველ დასახლებულ პუნქტს. ახალციხე დასახელებულია XV ს. საბუთში. გერგეტელ საყდრიშვილთა მძევლებს შორის ახალციხიდან გაიოუყვანიათ ორი კაცი, რომელთაგან ერთის სახელი და გვარი არ იკითხება (ამოკითხულია ასე: ჩ//ქ ა შ//), ხოლო მეორეა დ ა თ კ უ რ ი შ ა ლ ვ ა (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 272). როგორც ჩანს, დ ა თ კ უ რ ი იყო გვარი, რომელიც დღეს აღარ გვხვდება არც ახალციხეში და არც ხევის სხვა რომელიმე სოფელში.

2. ა რ თ ხ მ ო არის ხევსურებით დასახლებული სოფელი ხევში (იხ. ართხმოს ტოპონიმია, შენიშვნა 1). სათიბ-საძოვრებით მდიდარ ხეობას, რომლის სიღრმეში მდებარეობს სოფ. ართხმო, ჩამოუდის ა რ თ ხ მ ო ს

წ ყ ა ლ ი. მისი სანაპიროები წინათ იხვნებოდა, ხოლო ამჟამად ის ამ წყლისაგან ქვა-ქვიშით წალეკილ რიყეს წარმოადგენს. ამ ხეობის კაცებს, რომელიც სოფ. ახალციხიდან იწყება, ეწოდება ა რ თ ხ მ ო ს ჰ ა ლ ა ჲ (ტოპონიმ ჰ ა ლ ა ჲ ს შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55).

3. ბ ა ჯ ა (ბახაჲ//ბაჯაჲ) კაცის სახელია ხევში, რომლის ვინაობა გაურკვეველია. ტოპონიმი ბ ა ჯ ა ყ ა ნ ა იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ეს ნაკვეთი ბაჯას ეკუთვნოდა.

4. წ ე ლ წ ე ლ ა გზას, რომელზედაც ხდებოდა თივების გადმოთრევა, ეწოდება გ ა დ მ ა ს ა თ რ ე ლ ა ჲ.

5. საძოვრის გზაზე კაცი შეხვდება დიდ ქვას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია წყალზე გადახტომა (გადაფრენა). ამის გამო ამ ქვის ახლო მდებარე ადგილსაც შეარქვეს გ ა ს ა ფ რ ე ნ ი ქ ვ ა.

6. ეს სახნავი ადგილი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ვინმე გაგოს საკუთრებას. გაგოს ვინაობა გაურკვეველია.

7. რ უ ვ ი ს შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 14.

9. სათიბი ადგილი ეკუთვნოდა ვინმე თ ა დ ი ა ს.

10. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 26.

11. ტოპონიმ კ ო ტ ა ჲ ს თ ა ვ ს შეიძლება მოვუძებნოთ ორგვარი ახსნა. თუ ვიგულისხმებთ, რომ კ ო ტ ა ჲ (კოტე) არის კაცის სახელი, მაშინ ტოპონიმი კოტაჲს თავი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს სათიბი ადგილი მდებარეობდა კოტაჲს (კოტეს) სახლის ან ნაკვეთის ზემოთ (თავში). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ხევში კ ო ტ ი ეწოდება დიდი დაქანების მქონე ადგილს. თუ აქ კოტი არის მსაზღვრელი, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოტაჲს თავი მიგვითითებს ისეთი სათიბის არსებობაზე, რომელიც მდებარეობდა კოტის (დაქანებული ადგილის) ზემოთ.

12. კ ა ლ დ ა მ ა ჲ//ე კ ა ლ დ ა მ ა ჲ ნიშნავს აკლდამას. ახალციხეში კ ა ლ დ ა მ ა თ ა ვ ი ეწოდება სახნავ ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს აკლდამის ზემოთ.

13. კ ლ დ ი ს ფ ე კ ა ჲ ს სხვა სახელებია შ ა დ ა მ ა გ ა ჲ და ხ ე თ ა ნ ა ჲ//ხ ე თ ე ნ ა ჲ.

14. ეს წყარო ძალიან ჰყვარებია მ ი ხ ე ლ ა ბ უ ჩ უ კ უ რ ს, რის გამო მისი ხსოვნის ნიშნად მეზობლებმა წყაროს მისი სახელი შეარქვეს.

15. როგორც ხევის სხვა სოფლებში, ახალციხეშიც ნ ა რ ჩ ე ვ ი ეწოდება გასუფთავებულ, ქვისაგან გაწმენდილ, კარგად დამუშავებულ ნაკვეთს.

16. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29.

17. პაპუა ჩაბაიძე მშიშარა კაცი ყოფილა. სოფელში რომ ჩხუბი ატყდებოდა, ის თურმე გარბოდა და გამოქვაბულში იმალებოდა. ამიტომ ამ გამოქვაბულს შეარქვეს პაპუაძას ქოხი.

18. სნოს ხეობისა და გუდამაყრის ხეობის გამყოფს წარმოადგენს საძოვარი ადგილი, რომელსაც ეწოდება ქვენამთა. ამ საძოვრის გამო დიდი დავა ჰქონიათ მოხევეებსა (სნოს ხეობა) და გუდამაყრელებს (გუდამაყრის ხეობა). განსაკუთრებით მწვავედ მდგარა საზღვრის საკითხი. ურთიერთშორის მორიგების შემდეგ ამ სასაზღვრო ზოლს უწოდეს სადავო გორი. ზაფხულობით აქ თურმე ცხვარს აბალახებდნენ გუდამაყრელი მეცხვარეები, გვარად ჩობოლაურები. ამის გამო, იმ ადგილს, სადაც მათი მწყემსების ქოხები იდგა და ცხვარი ძოვდა, შეარქვეს მეორე სახელიც — ჩობოლაურთ ნაბინავარი.

19. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 52.

20. საფანდარი ეწოდება ერთად მოგროვილსა და კლდეზე გადმოსაყრელად გამზადებულ თივას, ხოლო სასაფანდრე ჰქვია თივის ჩამოსაყრელ ქარაფ კლდეს. სასაფანდრის გამოყენება ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზვინად აგებული თივების ჩამოთრევა უგზოობის გამო შეუძლებელია.

21. ჰეკარი ეწოდება ფოთლოვან, მაღალტარიან მცენარეს, რომელსაც საჭმელადაც იყენებენ. ამ მცენარით დაფარულ ქედს ეწოდება საჰეკრიაძ ქედი.

22. თანახმად გადმოცემისა, აქ დათვი მოუკლავთ და ამიტომ უწოდებიათ ამ ადგილისათვის სადათვე რუვი.

23. მიუდგომელ სათიბს, საიდანაც თივას ზურგით ეზიდებიან, ეწოდება საზურგე.

24. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

25. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

26. მარჯვე სანადირო ადგილას — გაღმა ყორას გამოქვაბულია, რომელსაც იმდენად ვიწრო კარები აქვს, რომ შესვლა მხოლოდ დაწოლითა და შეძრომით შეიძლებოდა. შიგნით ეს გამოქვაბული ფართოა. ვიწრო კარების გამო მას ეწოდება საძრომაძ.

27. ეს საძოვარი მთა სჭერიათ დუშელ აზნაურებს — კობიაშვილებს. ახალციხელი ჩაბაიძეები ამ მთით სარგებლობის გამო კობიაშვილებს საბალახეს (ყალანს) უხდიდნენ, რის გამო მას ეწოდება საყალნო.

28. ეს იყო ალაგ-ალაგ ტყითა და დეკით შემოსილი საძოვარი, რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ ფადიაურების გვარის საკუთრებას. მი-

სი სახელწოდების შესახებ შემონახულია ხალხური გადმოცემა.

ერთ დღეს აქ თურმე ცხვარს აბალახებდა ერთ-ერთი ფადიაური. მეზობელ მთაში (ც ო ც ხ ა ნ ი, რომელიც სოფ. კარკუჩას ეკუთვნოდა) გაშლილი ყოფილა კარკუჩლების ცხვრის ფარა. კარკუჩელ მწყემსს სალამოხანს შეუმჩნევია, რომ ფადიაურის ცხვრის ფარეხს ლეკები ეპარებიან, რათა ფარეხის სიახლოვეს ჩასაფრდნენ და ჩამობნელების ჟამს ცხვარი გარეკონ. კარკუჩელი თურმე ისე უკრავდა თავის სალამურს, რომ მას შესძლებია აზრის გადაცემაც კი, სადამდისაც მისი ხმა მისწვდებოდა. მას არც ამ შემთხვევაში დაუყოვნებია და ფადიაურისთვის უცნობებია მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ფადიაურს ლეკური ენა კარგად სცოდნია. როდესაც მაგრად ჩამობნელებულა და ლეკები უკვე ცხვრის სადგომთან მიპარულან, ფადიაურიც ლეკების ჯგუფში ჩუმად შეპარულა და დაუტრიალებია თავისი გაალმასებული ხანჯალი. რამდენჯერაც თურმე ხანჯალს გაიქნევს და ლეკს გულ-მუცელს გამოუფატრავს, იმდენჯერ თურმე ბოღმამორეული ლეკურად დაიძახებს: „ვინა გვლევს, ვინ გოთავებსო“. ასეთი მოხერხებული. მოქმედებით უკუნ სიბნელეში მან შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ლეკების რაზმს შეიარაღებული ჯგუფი დაესხა თავს. ფადიაურმა კარგად იცოდა, რომ მის მიერ მოქნეული მახვილი უსათუოდ მტერს მოხვდებოდა, ხოლო ლეკურად მყვირალი ფადიაური მათ ვერ გამოიცნეს და არ იცოდნენ ვის წინააღმდეგ აღემართათ იარაღი. ასეთ არეულობაში, როგორც კი ღამე დღესთან გაყრილა, ფადიაურს ლეკებისთვისაც მუსრი გაუვლია. სისხლის ასეთი ღვრის დღიდან, ამ ადგილისათვის უწოდებიათ სისხლის ვაკე (ს ი ს ხ ლ ი ვ ა კ ე).

29. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 42.

30. ქერაშვილების პატრონიმიული სახელია ქ ე რ ე ნ ი. ამიტომ მათ მიერ დამუშავებულსა და ქვისაგან გასუფთავებულ, გარჩეულ ნაკვეთს ეწოდება ქ ე რ ე თ ნ ა რ ჩ ე ვ ი.

31. შდრ. სიონის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

32. ყ ო რ ა ეკუთვნის ორ სოფელს — ახალციხესა და კარკუჩას. ის შემკულია სახნავით, სათიბით, საძოვრითა და ტყით. ძველად აქ სოფელი ყოფილა, რაც დასტურდება შემონახული ნანგრევებითა და აკლდამებით. ხალხური გადმოცემის თანახმად, აქედან გადასახლებულან კახეთში და დაუარსებიათ სოფ. ყვარელი. მოხევეები სოფ. ყვარელს ეძახიან ყ ო რ ე ლ ი-ს და მიაჩნიათ, რომ ეს მაჩვენებელია ყორიდან წარმომავლობისა. ყ ო რ-ელობისა. ნასოფლარი ბოლო დროისათვის სალოცავად იყო გამოყენებული. მოხუცებს კარგად ახსოვთ, როდესაც ყვარლელები ყორაში კურატით მოდიოდნენ, მას წმინდა გიორგის სახელ-

ზე კლავდნენ და თავიანთი წინაპრების შესანდობარს სვამდნენ. ყვარლელებს წინაპართაგან დაწერილი ანდერძიც ჰქონიათ ყორიდან წარმომავლობის შესახებ. ახალციხელი მოხუცები გვარწმუნებდნენ, თითქოს მათ საკუთარი თვალით ენახოთ ასეთი შინაარსის ქაღალდი.

33. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

34. ჩობოლაურთ ნაბინავარს ეწოდება აგრეთვე სადაგორი (ამის შესახებ იხ. შენიშვნა 18).

35. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

36. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

37. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

38. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 56.

## ქოსელი

1. სოფ. ქოსელი მდებარეობს სნოს ხეობაში, მდ. სნოს წყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ახალციხის პირდაპირ, საქართველოს სამხედრო გზიდან მერვე კილომეტრზე. იქ ცხოვრობენ მხოლოდ ფიცხელაურები.

2. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 9.

3. ეს გლუ ფერდობები ამჟამად გამოიყენება სათიბ-საძოვრად. ადრე შემოსილი ყოფილა არყით, ვერხვით და ტირიფით. 1894 წელს დაბად. ყანო კაჭოს ძე ფიცხელაურის ცნობით, ყველაზე ადრე გაუჩრიათ ვერხვი, რომელსაც იყენებდნენ სამშენებლო მასალად. თვით ვანოს მამაპაპური სახლი აქ მოჭრილი ვერხვის ხეებით ყოფილა დახურული. როდესაც ადგილობრივი ტყე გაუკაფავთ, ხარებით დაუწყიათ ხეების თრევა გუდამაყრის ხეობიდან. შემდეგ გაუყვანიათ საურმე გზაც, რომელსაც იყენებდნენ ჩვენი საუკუნის დამდეგამდე.

4. ისევე, როგორც ხევის სხვა სოფლებში, ქოსელშიც ფერდობებს ხნავდნენ. იქ, სადაც უგზოობისა და მიუდგომელი რელიეფის გამო ძნის ჩამოტანა ხარ-მარხილით შეუძლებელი იყო, იყენებდნენ წნელის სათრეველას, ე. წ. საძნე სათარს. მასზე აწყობდნენ ძნებს, შეკრაეებდნენ თოკით და ჩამოათრევდნენ. მთის ასეთ გზას, რომელზედაც ათრევდნენ ძნას, თივას, შეშას და დეკას, ხევში ეწოდება სათრევი. ჩვეულებისამებრ ასეთი სათრევი ღრმად გაკვალულია და რუვს (ღელეს) მოგვაგონებს. ამის გამო, იმ მთას, საიდანაც ასეთ სათრევ რუვზე ქოსლელები ძნას ათრევდნენ, უწოდეს საძნე რუვი (რუვის შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37).

5. ქოსე ანუ ქოსაჲ ეწოდება საძოვარ ფერდობს, რომელიც მდებარეობს მდ. სნოს წყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ქოსელსა და

სოფ. კარკუჩას შუა ჭოსეთში შემორჩენილია ნაკოშკარი, ნასახლარები, აკლდამები. აქვე არსებობს ძველი სალოცავი. ჭოსელებს ადრე აქ უცხოვრიათ, შემდეგ ამოუწყვეტიათ ფადიაურებს. ვინც გადარჩა, ჯერ გადმოსახლებულა ბორცვზე, რომელსაც ეწოდება ჩირდილაჲ ანუ ციხის კისერაჲ. იქიდან საბოლოოდ მოსულან დღევანდელი ჭოსელის ტერიტორიაზე. ჭოსადან მათი წარმომავლობის აღმნიშვნელია სოფლის დღევანდელი სახელი ჭოსე-ლი.

6. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

7. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 58.

## მიგუდა

1. სოფ. ახალციხესთან მდ. შავ არაგვს (სნოს წყალს) ერთვის ართხმოს წყალი, რომელიც მოედინება ართხმოს ხევში. ეს ხეობა დაახლოებით 5—6 კილომეტრის სიგრძეზეა გაჭიმული სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს მოსახლეობისაგან უკვე დაცლილი სოფ. მიგუდა, სადაც უცხოვრიათ ჩაბაიძეებსა და როსტომაულებს. ჩაბაიძეები შემდეგ ჩამოსახლდნენ სოფ. ახალციხეში, ხოლო ამ პატარა სოფელში უახლოეს წარსულამდე ცხოვრობდნენ როსტომაულები. ამჟამად მიგუდა მიტოვებულია.

2. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 6.

3. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 47.

## ართხმო

1. სოფ. ართხმო მდებარეობს ართხმოს ხეობაში, წყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ახალციხიდან მესამე კილომეტრზე. აქ ცხოვრობენ ხევსურები: არაბული (სამი კომლი), წიკლაური (ხუთი კომლი), ნაროზაული (ერთი კომლი), რომლებიც ხევსურეთიდან გადმოსახლებულან. იყო თუ არა ხევსურების აქ მოსვლამდე მოსახლეობა, ხალხურ მასალებზე დაყრდნობით ამის დადგენა შეუძლებელია. რა დროიდან უნდა მომხდარიყო ხევსურების დასახლება ართხმოში, ესეც უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ ართხმო, როგორც სოფელი, იხსენიება XV ს. საბუთში (იხ. ქ. შარაშიძე, გვ. 272).

ვინაიდან XV საუკუნეში ართხმო უკვე სოფლად იხსენიება, ის უნდა დაარსებულიყო უფრო ადრე. არც ის არის გამორიცხული, რომ ართხმოში ადრე მოხევეები ყოფილიყვნენ, ხოლო შემდეგ მომხდარიყო იქ ხევსურების მოსვლა-დამკვიდრება.

2. აქ ყოფილა ზამთარში საქონლის სადგომი ბოსლები, ვინაიდან იქიდან სოფელში თივის ჩამოტანა ჭირდა. რაც შეეხება რუეს, აქ ისე-

თიევე მნიშვნელობით გვხვდება, როგორც ხევის სხვა სოფლებში (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37).

3. დარბაზი ეწოდება ხატის შენობას, სადაც ინახებოდა ხატის განძ-ჯურჭელი და სრულდებოდა რელიგიური დღესასწაული. ასეთი დარბაზი შიგ სოფელშია.

4. დიდკოხნი ნიშნავს დიდ ქვებს. ასეთი ქვების არსებობის გამო საძოვარ ადგილსაც უწოდეს დიდკოხნი. ანალოგიური შინაარსის ტოპონიმები გვხვდება სხვა სოფლებშიც (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43).

5. ბექნი//ბექი იგივეა რაც ბეგი, ე. ი. ბორცვი (შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 6).

6. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

7. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 25.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

9. როგორც ტარიელ ივანეს ძე არაბულმა (დაბად. 1921 წ.) გადმოგვცა, ის ყოფილა შვიდი წლისა, როდესაც აქ უპოვიათ სურმა. ამის შემდეგ აღნიშნული ადგილისათვის უწოდებიათ მადანი.

10. შდრ. შენიშვნა 5.

11. ნამპალნი ეწოდება უმზეო, ნესტიან ადგილს.

12. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29.

13. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ჭირიანობის დროს აქ თურმე იხიზნებოდნენ და გამოქვაბულებში იმყოფებოდნენ ართხმოელები.

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

15. ადგილი მთაში, სადაც ცხვარს აჭმევდნენ მარილს.

16. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 43.

18. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

19. ამ სალოცავის სხვა სახელწოდებებია ციხის მეწვერე და ადგილის დედა. ის ითვლებოდა საქონლის მფარველ ღვთაებად, რომელსაც სწირავდნენ დეკეულის ნაშობ პირველ ხბოს.

20. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

21. ხევსურებს გაურეკიათ ცხენები გუდამაყრის ხეობის სოფ. გაჭსიდან. სამაგიეროს გადახდის მიზნით გუდამაყრელები მთაში დასცემიან ართხმოელთა ჯოგს. ზოგი გაურეკიათ და ზოგიც იქვე დაუჭერიათ და დაუხოცავთ. 1921 წელს დაბადებულ ტარიელ ივანეს ძე არაბულს კიდევ ახსოვს ერთ-ერთი ხარი ცხვირზე ჭრილობით, რომელიც გუდამაყრელთა დაცემის დროს მოზვერი ყოფილა. ხარი ხთისად თურმე

ეკუთვნოდა დავით და მამუკა არაბულებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ შირაქში, სოფ. ზემო ქედში. აღწერილი შემთხვევის შემდეგ ამ მთას უწოდეს კ ა რ ნ ა კ ო ც ი (ადგილი, სადაც დახოცეს ხარები).

22. კ ო ფ ო კ ი ა ნიშნავს ღრმულ ადგილს, მის აღსანიშნავად მოხეურში იხმარება კ ო ფ ი (შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 58).

## კ ა რ კ უ ჩ ა

1. სოფ. კარკუჩა მდებარეობს სნოს ხეობის სათავეში. აქ ცხოვრობენ ყ ა მ ა რ ა უ ლ ე ბ ი და მ ა რ ს ა გ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. სნოს ხეობაში კარკუჩა წარმოადგენს მოხევეებით დასახლებულ უკანასკნელ სოფელს. ამ ხეობის სიღრმეში კარკუჩის ზემოთ მხოლოდ სოფ. ჯუთაა (იხ. ჯუთის ტოპონიმია, შენიშვნა 1), სადაც ცხოვრობენ ხევსურები.

2. სოფ. კარკუჩის ტერიტორიაზე გვხვდება ორი საინტერესო ტოპონიმი — დ ა რ ბ ა ზ ი და ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი. უკანასკნელი დროისათვის პირველი მათგანი წარმოადგენდა სახნავი ადვილის სახელწოდებას. მეორე მათგანი იმ ადგილის აღმნიშვნელია, რომელსაც ადრე სახნავ-სათიბად იყენებდნენ, ხოლო დღეისათვის გასაძოვრებულია. ნადარბაზევი ანუ ნადარბასევი, მოიცავს ჯ უ თ ი ს წ ყ ლ ი ს ა (რომელსაც ჯუთელი ხევსურები ეძახიან ა რ ა გ ვ ს) და კ ი ბ ი ს წ ყ ლ ის (იხ. შენიშვნა 8) შუა მდებარე რიყეს, სოფ. კარკუჩის ზემოთ მდებარე მთისძირა ვაკეს.

ზემოხსენებული ტოპონიმები (დარბაზი და ნადარბაზევი) იმ გარემოების მანიშნებელია, რომ აქ უნდა ყოფილიყო დარბაზული ტიპის საცხოვრებელი, ანდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკრებულო ნაგებობა.

როგორც ს ა ბ ა განმარტავს, დარბაზი არის „სამეფო დიდი სახლი“, „დარბაზობა — საალერსოდ სხვს სახლად მისლვა“, ხოლო „დარბაისერი — დარბაზს ჩინებული“ (სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 91).

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, სახლის აღსანიშნავად იხმარებოდა V—X საუკუნეებში სპარსულიდან შემოსული ტერმინი ტ ა ძ ა რ ი// ტ ა ზ ა რ ი, XI—XII საუკუნეებში — ბერძნულ-ლათინური ტერმინი პ ა ლ ა ტ ი, ხოლო IX საუკუნიდან ჩნდება და X საუკუნის შემდეგ ვრცელდება სპარსული სახელწოდება დ ა რ ბ ა ზ ი. მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ XIII—XVII საუკუნეებში დ ა რ ბ ა ზ ის პარალელურად იხმარებოდა აგრეთვე პ ა ლ ა ტ ი (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946, გვ. 12—15).

ისტორიულად დარბაზი ნიშნავდა მეფის კარს, სასახლეს, იმ ოთახს სასახლეში, სადაც მეფის თავმჯდომარეობით დიდებულთა სხდომა იმარ-

თებოდა. ის წარმოადგენდა საქართველოს ფეოდალური ხელისუფლების უმაღლეს სათათბირო ორგანოს.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, დარბაზი ეწოდებოდა როგორც საცხოვრებელ ნაგებობას მოგვირგვინებული ბანით, ისე საკულტო შენობას (ხატის ჭურჭლისა და განძის შესანახ სენაკს).

თანამედროვე გაგებით, დარბაზი ეწოდება საგანგებოდ მოწყობილ დიდ საკრებულო ოთახს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1953, ტ. III, გვ. 627).

ამ მონაცემების ფონზე საყურადღებოა ნადარბაზევის შესახებ ხევში არსებული ხალხური გადმოცემა, რომლის თანახმად ძველად აქ ყოფილა წმინდა გიორგის ხატი და ხატის განძ-ჭურჭლის შესანახი მცირე დარბაზი. ამ დარბაზში სათათბიროდ თურმე იკრიბებოდნენ სოფლის ბჭეები — დარბაისელი მოხუცები.

იმის გამო, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე იდგა საკულტო ხასიათის დარბაზი და მის ჰერქვეშ დარბაისელთა ბჭობა ანუ დარბასობა იმართებოდა, ადგილსაც შემორჩა დარბაზის ოდესღაც არსებობისა და დარბაისელ მოხუცთა ადრინდელი ბჭობის მანიშნებელი სახელწოდება ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი ანუ ნ ა დ ა რ ბ ა ს ე ვ ი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყაზბეგის სარაიონო გაზეთში გამოქვეყნდა „თქმულება“ ნადარბაზევის შესახებ, რომლის მიხედვით გამოდის, თითქოს ალანებზე სალაშქროდ წამოსულ ვახტანგ გორგასალს ამ რიყიან ჭალაზე შეუსვენია, რის შემდეგ ის წმინდა ადგილად ქცეულა და იქ დარბაზიც აუშენებიათ. იქვე აღნიშნულია, თითქოს ამ დარბაზში ინახებოდა ვახტანგის ნაბოძვარი ნივთები, რომლის დატაცებას ლამობდნენ ქისტები და დვალები და თითქოს მისი დაცვის მიზნით მოუხდათ მათთან ბრძოლა მოხევეებს (გ. მირიანაშვილი, ნადარბაზევი (თქმულება), გაზ. „დარიალი“, 1966, № 95).

რამდენადაც ნადარბაზევის შესახებ ხალხში ასეთი გადმოცემა არ არსებობს, ხოლო გაზ. „დარიალში“ გამოქვეყნებული ზღაპარი შედგენილია გ. მირიანაშვილის მიერ და ამ „მხატვრული შედევრის“ პერსონაჟებიც მის მიერვეა გამოგონებული, ამიტომ გ. მირიანაშვილის თხზულებისადმი „თქმულების“ წოდება გაუმართლებელია. გარდა ამისა, გ. მირიანაშვილმა რამდენიმე სხვა ამგვარი „თქმულებაც“ გამოაქვეყნა აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე (იხ. „ნაისრალი ქორწილი“, გაზ. „დარიალი“, 1965, № 14; „მრუდე ციხე“, გაზ. „დარიალი“, 1965, № 50; „შეფიცულნი“, გაზ. „დარიალი“, 1965, № 32), რომლებსაც ის ასევე ხალხურად ასაღებს. სინამდვილეში ყველა მათგანი წარმოადგენს გ. მირიანაშვილის ფანტაზიის ნაყოფს, რომელთა გამო-

ყენება ხალხურ წყაროდ ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს ისტორიის ფალსიფიკაციას.

3. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

4. დ უ დ უ ლ ე ნ ი, რომელთაც ეჭირათ ეს საძოვარი მთა, პატრონიმიული სახელია მარსაგიშვილების ერთ-ერთი ნაწილისა.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 13.

6. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 15.

7. ყველაზე გვიან ის ტყე განადგურდა, ხოლო ზოგან დღემდე გადაურჩა განადგურებას, რომელიც რომელიმე ხატის სახელს ატარებდა და ამ ხატის კუთვნილებად ითვლებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფ. კარკუჩაში ვერხვის ბუჩქი არსებულა სალოცავ კკრეს სახელზე. 1930-იან წლებში ის გაკაფეს, მაგრამ საძოვრად გამოყენებულ ადგილს სახელი ძველი შემორჩა. ამ ადგილს აქვს კიდევ ორი სახელი კ კ რ ე ს ძ ი რ ი და პ ი რ დ ა პ ი რ ა ჲ.

8. კ ი ბ ე ანუ კ ი ბ ე ნ ი ეწოდება სნოს ხეობიდან გუდამაყრის ხეობაში გადასასვლელ შეღმართს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ეს საკმაოდ ვიწრო ყელი ტერასულია, წარმოადგენს სოფ. კარკუჩის სათიბ-საძოვარს, ალაგ-ალაგ შემოსილია ჯაგითა და დეკით. კიბენის ქვედა წელს, რომელიც სოფ. კარკუჩისაკენ ეშვება და ითიბება, ეწოდება კ ი ბ ი ს ჰ ა ლ ა ჲ, ხოლო საძოვრად გამოყენებულ ზედა წელს ჰქვია კ ი ბ ი ს თ ა ვ ი.

კიბისთავსა და კიბის ჰალაზე მოედინება მთის პატარა მდინარე კ ი ბ ი ს წ ყ ა ლ ი. კიბის წყლის აყოლებით კარკუჩიდან გზა აუდის კიბის აღმართს, გადაივლის ქვენამთას, ბურსაჭირით ეშვება გუდამაყრის ხეობაში და სოფ. ფასანაურთან უკავშირდება საქართველოს სამხედრო გზას.

კიბის ჰალის აღმართში დღეს მხოლოდ ფეხითა და ცხენით სავალი ბილიკია. ადრე აქ საურმე გზა გადიოდა, რომლის კვალი ზოგან ჯერ კიდევ ატყვია. აღმართის დასაწყისში ერთ-ერთი გაჭრილი კლდე საკმაოდ ფართო გზის არსებობაზე მიგვითითებს. იქვე კიბის წყალშია ჩაწოლილი და ქვიშითაა დაფარული კედელი, რომელიც ყოფილი ფუნდუკის ნანგრევს წარმოადგენს. მის ახლოს, კლდოვან ბორცვზე არის უცნობი პირის საფლავი.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ტოპონიმი კ ი ბ ე მოხსენიებულია გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის შესავალში, როგორც კანონთა სამოქმედო ასპარეზის ერთ-ერთი სასაზღვრო პუნქტი. „ძეგლის დადებაში“ ვკითხულობთ: „ჯუართა ყელს აქეთ, ჯადა-ცხაოტს, ზანდუკის ჯევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით“ (ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957, გვ. 104).

ი. დოლიძემ დაადგინა, რომ ეს კანონმდებლობა ვრცელდებოდა ჯვრის უღელტეხილისა („ჯუართა ყელისა“) და კიბეს აქეთ, ე. ი. მთიულეთ-გუდამაყარში და იქვე სამართლიანად მიუთითა: „ადგილი კ ი ბ ე ნ ი მდებარეობს გუდამაყრისა და ყაზბეგის რაიონის მიჯნაზე, იქ, სადაც ქ ვ ე ნ ა მ თ ი ს ერთი მხარე შედარებით დაბლდება. იგი წარმოადგენს ვიწრო ჩასასვლელ გზას, რომელიც ჩვეულებრივ კიბეს მოგვაგონებს. ამ გზით გუდამაყრის ხეობა უკავშირდება ყაზბეგის რაიონის სოფლებს: სნოს, კარკუჩას და ახალციხეს. კ ი ბ ე ნ ი მდებარეობს მთიულეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს იყო რუსეთ-საქართველოს ძველი გზით ყველაზე ვიწრო და ძნელად გასავლელი ადგილი“ (ი. დოლიძე, იქვე, გვ. 26).

9. კ კ რ ე ს ძ ი რ ი ს სხვა სახელწოდებებიც არსებობს: ვ ე რ ხ ვ ე ბ ი და პ ი რ დ ა პ ი რ ა ჲ (იხ. შენიშვნა 7).

10. მ ი ლ ო იყო მარსაგიშვილების თავდაპირველი საცხოვრისი. იქ შემორჩენილია ნაკოშკარი — ე. წ. მ ი ლ ო ს ც ი ხ ე და მარსაგიშვილების ნასახლარები. ნასოფლარს გარს აკრავს სახნავ-სათიბი, საძოვარი და ტყე (შდრ. ჯუთის ტოპონიმიკა, შენიშვნა 11).

11. იხ. შენიშვნა 2.

12. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 29 .

13. პ ი რ დ ა პ ი რ ა ჲ ს სხვა სახელებია კ კ რ ე ს ძ ი რ ი და ვ ე რ ხ ვ ე ბ ი (იხ. შენიშვნა 7).

14. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

15. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 33.

16. შდრ. გერგეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 54.

17. შდრ. გერგეტის ტოპონიმიკა, შენიშვნა 50.

18. ს ა დ ა ვ ო გ ო რ ი ს შესახებ იხ. ახალციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

19. ს ი ს ხ ლ ი ვ ა კ ე მდებარეობს კარკუჩის ტერიტორიაზე, მაგრამ ის ეკუთვნოდა ახალციხელ ფადიაურებს (იხ. ახალციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 28).

20. მთხრობლების ცნობით, ქ ო ჩ ე ხ ა ჲ ანუ ქ ო ჩ ე ხ ა ნ ი იყო ყამარაულების გვარის ერთი ნაწილის პირველსაცხოვრისი. მის ტერიტორიაზე შემორჩენილია ნასახლარები.

21. ქ ვ ა კ ი ბ ე წარმოადგენს კიბისებრ კლდეს, რომელიც მდებარეობს ყ ა ნ ა ნ ა ზ ი ს ა კ ე ნ მიმავალ გზაზე.

22. ყ ა ნ ა ნ ა ზ ი ყოფილა ყამარაულების სოფელი. იქვე მდგარა კოშკი — ე. წ. ყ ა ნ ა ნ ა ზ ი ს ც ი ხ ე, რომლის ნანგრევი შემდეგ აქციეს სალოცავად და დაარქვეს მას ა მ ა ღ ლ ე ბ ი ს ხ ა ტ ი. სალოცა-

ვად გადააქციეს შემდეგში ნასოფლარიც და აღმართეს იქ ყ ა ნ ა ნ ა ზ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ვ ა რ გ ი ს ხ ა ტ ი.

გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთში (XV ს.) ყანანაზი იხსენიება სოფლად, საიდანაც გაუყვანიათ საყდრიშვილთა მძევლებად ვინმე ა ბ ა რ უ შ და ლ ა შ ქ ა რ ა უ ლ ი (ქ. შარაშიძე, გვ. 272).

23. იხ. ახალციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 32.

24. გადმოცემის თანახმად, ლეკები მოულოდნელად დასხმიან თავს სათიბზე მყოფ ყამარაულებს და დაუხოციათ. იმის შემდეგ, რაც ეს წყაროს სისხლით მუქად შეღებილა, მისთვის უწოდებიათ შ ა ვ ი წ ყ ა რ ო ანუ შ ა ვ წ ყ ა რ ო.

25. შდრ. ხურთისის ტოპონიმიკა, შენიშვნა 55.

26. იხ. ახალციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 18.

27. კარკუჩის ახლოს არის კლდოვანი კონცხი, ზემოდან მწვანით შემოსილი. აქ უცხოვრია ვიღაც ხევსურს. მას ჰქონია სახლი, კოშკი და წისქვილი, რომელიც თურმე ბრუნავდა ჩ ხ ა ტ ი ს კ ა რ ა დ ს კ ე ვ ი დ ა ნ 1 კმ-ზე წელწელა არხით გამოტანილი წყლით. მინდორზე კოშკის ადრინდელი არსებობის გამო ხევსურის ნასახლარ ადგილს დღემდე ეწოდება ც ი ხ-მ ი ნ დ ო რ ა ჲ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ციხე (კოშკი) იდგა მინდორზე, რომ ეს მინდორია ციხის ნადგომი ალაგი.

28. ყორაზე გავლით გზა გადადის ინგუშებით დასახლებულ ჯარიახის (არმხის) ხეობაში. ამ გადმოსასვლელი ყელით ახერხებდნენ ინგუშები სნოს ხეობაში შემოღწევას და საქონლის გატაცებას, მეკობრეობას. ამავე გზით მიდიოდნენ შურისმაძიებელი მოხევეები ჯარიახის ხეობაში. აღნიშნულ გადასასვლელს უმთავრესად იყენებდნენ კეთილმეზობლურ, მშვიდობიან ურთიერთობაში.

ყორაში ხალხის ცხოვრების დროს ერთ-ერთი ჰ ე რ ხ ო (სახლი) მდგარა გადასასვლელის ვიწრო ყელში. შემდეგ ის ზვავს დაუნგრევია, ხოლო მის ადგილსამყოფელ ხეობას დაარქვეს ჰ ე რ ხ ო ს რ უ ვ ი (ტოპონიმ რ უ ვ ი ს შესახებ იხ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37).

## ჯ უ თ ა

1. სოფ. ჯუთა მდებარეობს სნოს ხეობის სათავეში, სოფ. კარკუჩიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჯუთაში ცხოვრობენ ხევსურეთიდან ჩამოსახლებული ა რ ა ბ უ ლ ე ბ ი.

2. ჯუთელი ხევსურები ა რ ა გ ვ ს უწოდებენ იმ მდინარეს, რომელიც სოფელს გვერდზე ჩამოუდის. მოხევეები მას ეძახიან ჯ უ თ ი ს წ ყ ა ლ ს. ჯუთის მიდამოებში ეს მდინარე ითვლება სათავედ კარგად ცნობილი ხევის შავი არაგვისა, ანუ სნოს წყლისა. სახელწოდება ს ნ ო ს

ჭ ყ ა ლ ს ეს მდინარე ღებულობს დინების ქვედა წელზე, სადაც ის უკ-ვე შენაკადებით შევსებული სოფ. კარკუჩას, ჭოსელ-ახალციხეს და სნოს ჩაუვლის და საქართველოს სამხედრო გზის პირად მდ. თერგს უერთ-დება.

3. ა დ ი ო ნ ი კაცის სახელია. გვარად ის არაბული იყო, როგორც ბოველი ჯუთელი. შემდეგ ადიონი აქედან სხვაგან წასულა. მისი სახე-ლი შემოგვინახა მისმა ყოფილმა სათიბმა.

4. ამ ტოპონიმის წარმოშობის შესახებ არსებობს ხალხური გადმო-ცემა. გ ა რ ს ი ყოფილა ქისტი (ქართველი მთიელები ჩაჩნებსა და ინ-გუშებს ეძახიან ქისტებს ან ქიშტებს), რომელსაც არმხის ხეობაში (ინ-გუშეთი) კაცი შემოჰკვდომია და მოსალოდნელი შურისძიების შიშით, თავის ძმასთან ერთად, სოფ. ჯუთაში შემოხიზნულა. ჯუთაში მცხოვრებ ხევსურ არაბულებს ისინი ამანათად მიუღიათ და ადგილშიც წილი მიუ-ციათ. მათთან ერთად ჯუთაში ასევე ამანათად ყოფილა მიბარებული მეორე ქისტიც, რომლის სახელი დავიწყებასაა მიცემული. თაობიდან თაობამდე შემოგვრჩა მხოლოდ მისი შვილის — მ ა ჯ ი გ ა ს სახელი. მაჯიგას შვილის სახელია ბ ა ჯ უ რ ა, ბაჯურას შვილისა — ა ბ ი კ ა ჲ, ხოლო აბიკას შვილისა — გ უ რ ა მ ი, ე. ი. მოყოლებული მაჯიგას მა-მიდან დღემდე სულ ხუთი თაობის არსებობა დგინდება. ამის შესაბა-მისად გამოდის, რომ გარსისა და მისი ძმის შემოკედლება ჯუთაში მომ-ხდარა ხუთი თაობის წინათ.

გარსის გადაუწყვეტია ჯუთლებისთვის ეღალატნა და ამით სამშობ-ლოს გული მოეგო, რათა კვლავ იქ დაბრუნების უფლება მოეპოვებინა. მაგრამ მისი განზრახვა ჩაფუშულა. ეს მომხდარა ქისტების წინააღმდეგ ხევსურების ერთ-ერთი ლაშქრობისას. ჯუთელ ხევსურებთან ერთად ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღიათ გარსის, მის ძმას და მაჯიგას მამას. როდესაც მ გ კ რ გ ა ლ ა ს თ ა ნ (ხევიდან ქისტეთში გადასასვლელ მთასთან) მისულან და ქისტების საზღვარს მიახლოებიან, მაჯიგას მამი-სთვის გარსის უთქვამს: საქისტეთში ჯუთელები ღალატით გავჟლიტოთ და ჩვენს სამშობლოში დავბრუნდეთო. მაჯიგას მამას არ უღალატნია ამანათობის ფიცისათვის და გარსისთვის თანხმობა არ მიუცია. მათი ეს წალაპარაკევი მოუსმენია ჯუთელთა რაზმში მყოფ ერთ შატილელ ხევ-სურს, რომელსაც მათი ენა სცოდნია (შ ა ტ ი ლ ი ჩაჩნეთის მოსაზღ-ვრე სოფელია, რის გამო იქაურმა ხევსურებმა ნახური, ხოლო შატილის მეზობელ სოფლებში მცხოვრებმა ნახებმა, ე. ი. ჩაჩნებმა და ინგუშებ-მა, ქართული მშვენივრად იცოდნენ). შატილელს ჯუთლებისთვის გაუმ-ხელია გარსის განზრახვა. ისინი უმალ უკან გამობრუნებულან. გარსი და მისი ძმა მოუკლავთ ყ ო რ ი ს ქ ე დ ა თ ა ნ და ჯუთაში მათი ცოლ-

შვილიც ამოუწყვეტიათ. ფიცის ერთგული მაჯიგას მამა კი ჯუთაში დამკვიდრებულა და არაბულობა მიუღია. მთას, რომელიც ჯუთაში. ამანათად მყოფ გარსის ეჭირა, დღემდე შემორჩა მისი დროებითი მფლობელის სახელი.

5. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 37.

6. მთხრობლების განმარტებით, თითქოს მისი სრული სახელია ვ ე შ ა პ თ წ უ ა რ ო. ხალხს შეუქმნია დაუჯერებელი ლეგენდა იმის თაობაზე, თითქოს აქ მოკლეს ვეშაპი და ტოპონიმიც ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნა.

7. ზ ე ქ უ ა ყოფილა ჯუთელი ქალი, რომელიც დაუტანია ზვავს. ხევსურული დიალექტით „დალევა“ ამ შემთხვევაში ნიშნავს სიკვდილს, დაღუპვას. ამიტომ ზექუას სასიკვდილო ადგილს შეარქვეს ზ ე ქ უ ა დ ა ნ ა ლ ე ვ ი, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ზექუას სასიკვდილო-ს.

8. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 27.

9. მიწის ნაკვეთს, რომელიც მარიამ არაბულს სჭერია, ხოლო სასოფლო ფონდში გადასულა პატრონის სიკვდილის შემდეგ. ეწოდება მ ა რ ი ე მ უ ლ ი, რაც ნიშნავს მარიამისეულს.

10. მდ. არაგვის (ჯუთის წყლის) მარჯვენა მხარეზე, სოფ. ჯუთის პირდაპირ ერთ-ერთ კლდოვან კონცხზე შემორჩენილია ნასოფლარი, რომელსაც ეწოდება მ თ რ ე ხ ი. მთხრობლები ვარაუდობენ 30-მდე ნასახლარს. აქ ყოფილა სოფ. მთრეხი, სადაც უცხოურია მ თ რ ე ხ ე ლ ს ამავე სახელწოდების საგვარეულოსთან ერთად. მთრეხის გარშემო მდებარე ადგილ-მამულს ჯუთის წყლის მარჯვენა მხარეზე ერქვა ს ა მ თ რ ე ხ ლ ო, რომელიც ეკუთვნოდა მთრეხელებს.

მდინარის მეორე (მარცხენა) მხარე სჭერია ვინმე დ ი მ ი ა უ რ ს. მთრეხელსა და დიმიაურს შორის მტრობა ჩამოვარდნილა ადგილის გამო. ამ ორ გვარს ერთმანეთი უხოციათ შვილდისრებით. საბოლოოდ მთრეხელს ცეცხლი წაუკიდებია დიმიაურის სახლ-კარისათვის. დიმიაურები გადახვეწილან გაურკვეველი მიმართულებით. მათ ადგილებს მთლიანად დაპატრონებიან მთრეხლები. დიმიაურთა ნასახლარები შემორჩენილია სოფ. ჯუთის ზემოთ, აღმოსავლეთით.

შემდეგ ერთ-ერთ მთრეხელს შემოაკვდა არაგვის ერისთაების მოურავი შ ი ო ლ ა ღ უ დ უ შ ა უ რ ი, ხოლო შიოლას მკვლელი მოკლეს შიოლას სახლიკაცებმა.

ხალხმრავალი და აღზევებული ღუდუშაურების საგვარეულოს შიშით მთრეხლებიც აქედან კახეთისაკენ გახიზნულან.

მთრეხელისა და დიმიაურის ყოფილ ადგილებს შემდეგ დაპატრონებიან ხევსურეთის სოფ. ზეისტეჩოდან მოსული არაბულები. რომელთაც დაუარსებიათ სოფ. ჯუთა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სოფ. მთრეხი იხსენიება გერგეტელ საყდრიშვილთა XV ს. საბუთში. ამ სოფლიდან სამების მძევლებად დასახელებული არიან ვარსილის ძე და საერაძს შვილი (ქ. შარაშიძე, გვ. 272). ამ საბუთში ჯუთა არ იხსენიება, რაც იმ გარემოებაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ იმ დროს ეს სოფელი არ არსებობდა. ამიტომ სინამდვილეს უნდა ასახავდეს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ ჯუთა დაარსდა მთრეხის გაუკაცრიელების შემდეგ.

11. სოფ. ჯუთის ქვემოთ, მისგან სამხრეთით, ჯუთის წყლის ორსავე ნაპირზე შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთები, სადაც ადრე უცხოვრიათ მოხევე მარსაგიშვილების წინაპრებს. ამ ადგილს ეწოდება მილო და ეკუთვნის სოფ. კარკუჩას. აქ ერთხანს თავისი ოჯახით დასახლებულა კაცისმკვლელი ხევსური, სახელად წუნა. მას აქ გაუჩენია დიდძალი საქონელი, რომლის მომვლელად ჰყოლია მოჯამაგირე (ე. წ. სახლიშვილი). რამდენიმე ხნის შემდეგ წუნას ადგილ-სამყოფელისათვის მიუგნია მოსისხლეს, მოჯამაგირე შეუსყიდია და მისი დახმარებით წუნა მოუკლავს. ამის შემდეგ ამ ადგილისთვის დაურქმევიათ ნაწუნები და ნიშნავს წუნას ნამყოფ ადგილს. ნაწუნები ისეთივე შინაარსის ტოპონიმია, როგორიც მაგალითად, ნასოფლარი, ნასახლარი, ნაცხოვრები და ა. შ.

12. ამ ტოპონიმის შინაარსს ხსნიან მთხრობლები იქ თბილი წყლის არსებობით.

13. შდრ. ფხელშე-გორისციხის ტოპონიმიკა, შენიშვნა 52.

14. იხ. შენიშვნა 10.

15. აქ გამვლელი მორწმუნე კაცი თურმე იჩოქებდა და პირჯვარს იწერდა ღალანგურის წმინდა გიორგის ხატის სახელზე, რომელიც აქედან კარგად მოჩანს. ამიტომ შეურქმევიათ მისთვის საჩოქნებელაძ, რაც ნიშნავს დასაჩოქებელ ადგილს.

16. ამ სახელწოდებით აღინიშნება მთა და გადასასვლელი როშკისაკენ. ამ ტოპონიმის ხალხური ახსნა არ მოგვეპოვება. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს ნიშნავდეს ძელების მოსაჭრელ ადგილს და აქ ოდესმე ყოფილიყო საძელედ ვარგისი ტყე. სავარაუდებელია ისიც, რომ ამ ტოპონიმში იგულისხმებოდეს მწყემსთა საძილე ქედი. ერთი სიტყვით, აქ ჩვენ ისეთსავე ვარაუდს ვუშვებთ, როგორც ეს გვქონდა სოფ. ალმასიანში დამოწმებული ანალოგიური ტოპონიმის განმარტებისას (შდრ. ხევის სათაეების ტოპონიმიკა, შენიშვნა 8).

17. შდრ. ყანობის ტოპონიმიკა, შენიშვნა 3.

18. ყოილიანა არის იგივე ყვავილიანი, ვინაიდან ხევსურული (და მოხეური) დიალექტით ყოილი ჰქვია ყვავილს. ყოილი აქვს ნახმარი მთელ რიგ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველასაც.

19. შ ა რ ვ ა ნ ი ყოფილა კაცის სახელი. მიუთითებენ მისი ნასახლარის არსებობაზეც. ამჟამად იქ დგას სალოცავი, რომელსაც ეწოდება შ ა რ ვ ა ნ ე ლ ა.

20. შდრ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 55.

21. კოშკისებრი მოყვანილობის კლდის შვერილისათვის შეურქმევიათ ეს სახელი, რამდენადაც კოშკს მთაში ეწოდება ციხე.

22. შდრ. ყანობის ტოპონიმია, შენიშვნა 56.

23. შდრ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 18.

24. შდრ. ხურთისის ტოპონიმია, შენიშვნა 18.

## ТОПОНИМИКА ХЕВИ

### Резюме

Хеви (дословно ущелье) представляет собой один из историко-этнографических районов горной Грузии, территория которого охватывает часть ущелья реки Терека от Крестового перевала до северного коридора Дарьяльского ущелья (сел. Верхний Ларс). В пределы Хеви входит также ущелье Сно, известное в литературе и под названием «Гудушаурское ущелье». По современному административному делению оба эти ущелья входят в Казбегский район Грузинской ССР.

Этноним грузин-горцев, проживающих в Хеви—мохсве — является производным от названия вышеуказанного района и означает жителя Хеви.

На территории Хеви вместе с мохевцами проживают и другие грузины-горцы, в частности хевсуры, компактно населяющие два селения Снойского ущелья Джута и Артхмо. Южная краина Хеви, расположенная на подступах к Крестовому перевалу, в частности сс. Верхнее и Нижнее Ухати, Коби, Алмасиани, а также селения ущелья Трусо, заселено осетинами. В нижней части ущелья Терека, т. е. Дарьяльского ущелья, расположено село Гвелети, которое до 1944 года было заселено лишь ингушами; в настоящее время в нём проживают преимущественно мохевцы.

Настоящая работа содержит описание топонимики Хеви за исключением Труссовского ущелья, как несколько изолированного от Хеви. Изучение топонимики этого ущелья — дело будущего.

При описании названий местностей приняты во внимание изменения топонимики, происшедшие соответственно экономическим, социальным, политическим и культурным условиям развития изучаемого края.

Разорение сёл в прошлом, сдвиги в этническом составе селений, замена старых дорог новыми, превращение пашен в сенокосы, а сенокосов в пастбища, изменения флоры под культурным воздействием человека и т. д. вызвали соответствующие изменения в топонимике, в результате чего некоторые старые топонимы были преданы забвению, и заменены новыми, выражающими иное содержание. Поэтому, чтобы дать возможно полное описание топонимов в процессе их исторического развития, оно сделано по данным дореволюционного периода. Такое описание отражает реальную картину традиционных форм хозяйственной жизни и особенностей социального быта мохевцев, которые выражались главным образом в характере форм собственности на землю.

В топонимике Хеви нашли своё выражение названия пашен, сенокосов, пастбищ, лесных масивов и кустарников, родников и рек, дорог и тропинок, перевалов и вершин, скал, ледников и пещер, селищ, отдельных строений и развалин...

По народным преданиям удаётся вскрыть содержание определённой части топонимов, ибо в ряде случаев народные предания находят подтверждение в письменных источниках, в памятниках материальной культуры, со своей стороны способствуя более полному пониманию последних.

Большое значение приобретают некоторые топонимы для освещения этнической истории населённого пункта, форм взаимоотношений мохевцев с соседними горцами, особенностей духовной культуры и социальных взаимоотношений.

В отношении социального быта особо следует выделить топонимы, отражающие характер форм собственности. По подобным топонимам удаётся установить к какой собственности относился тот или иной участок земли — к семейной, патронимической или сельской, пути приобретения участка (покупка, обмен, захват), формы борьбы между социально возвышенной прослойкой и рядовыми общинниками, вообще уровень общественно-экономического развития в период формирования данного топонима. В этом отношении топонимика Хеви, под-

тверждая этнографический материал и данные письменных источников, содержит дополнительные сведения о наличии в Хеви, наряду с семейно-общинной собственностью, также патронимической, сельско-общинной и храмовой, при господствующем положении частной собственности, а также факт владения определенной частью земель некоторыми фамилиями, выдвинутыми на верхние ступени социальной иерархии особенно в позднефеодальное время. Социальная борьба происходила в основном между такими фамилиями, как Гудушаури и Казбеги с одной стороны и рядовым населением с другой. Некоторые особенности пережиточного порядка в сфере поземельных взаимоотношений были характерны для раннефеодальной ступени общественного развития, в условиях сохранения традиций, свойственных общинному быту.

Топонимика Хеви является ценным источником и для изучения взаимоотношений мохевцев с населением других районов Грузии, а также с горцами Северного Кавказа. В этом отношении наибольший интерес представляют наименования дорог и перевалов, с помощью которых можно выяснить систему коммуникации, связывавшую различные районы Кавказа. Характерным является наличие рядом с грузинскими топонимами, топонимов негрузинского происхождения (осетинских, вейнахских и т. д.), бытование которых отмечено в первую очередь в полосе непосредственного соприкосновения мохевцев с народами Северного Кавказа. Указанные явления замечаются в северной части Хеви, примыкающей к Дарьяльскому ущелью, которое непосредственно связывало Грузию с одной стороны с осетинским, а с другой с вейнахским миром, и в южной части, в частности в верховьях Хеви, откуда начинается ущелье Трусо, населённое осетинами. Вместе с тем грузинские топонимы встречаются за пределами современной государственной границы Грузии, что объясняется с одной стороны древнейшими влияниями Грузии на населения данной территории, а с другой более поздним поселением в этих местах (Верхнее и Нижнее Ларси, Чми, Балта) горцев Грузии, в частности мохевцев, мтиулов, гудамакарцев, ксанцев и т. д.

В связи с этим в топонимическое описание Хеви внесены и такие топонимы, которые находятся в настоящее время севернее Хеви, в частности на территории Осетии. В виду того,

что в верховьях Хеви расположено несколько осетинских селений, где бытуют топонимы в осетинском оформлении, для полноты описания в работу внесены и эти наименования местностей.

Работа состоит из предисловия и двух основных частей, первая из которых охватывает перечень (2085), а вторая содержит объяснение их содержания на основе анализа исторических источников и данных этнографии, а также фольклорных материалов и специальной литературы. Лингвистических экскурсов мы сознательно избегали в надежде, что этой стороной вопроса заинтересуются языковеды.

Топонимы рассмотрены в порядке их расположения по течению реки Терека. В соответствии с этим в первую очередь рассмотрена топонимика верховьев ущелья Хеви (Крестового перевала и его подступов), а затем топонимика Хеви от селения Каноби до селения Гвелети. Каноби расположено в четырёх км от Коби, на левом берегу реки Терека, а Гвелети — Дарьяльском ущелье, в восьми км от Казбеги. Большинство сёл, заселённых мохевцами (Каноби, Хуртиси, Пхелше, Горисцихе, Торниса, Ткаршети, Сиони, Гарбани, Гаиботени, Тоти, Арша, Паншети, Казбеги, Таргмани, Гергети, Цдо, Гвелети), расположено между двумя этими пунктами.

В третьем разделе работы представлена топонимика Дарьяльского ущелья, а в четвёртом топонимика ущелья Сно (сс. Ачхоти, Сно, Ахалцихе, Косели, Мигуда, Артхмо, Каркуча, Джута).

## შემოკლებათა განმარტება

ბილ. — ბილიკი
გამ. — გამოქვაბული
მდ. — მდინარე
მყ. — მყინვარი
ნაეკ. — ნაეკლესიარი
ნაკ. — ნაკოშკარი
ნასახ. — ნასახლარები
ნასოფ. — ნასოფლარი
სათ. — სათიბი
საძ. — საძოვარი
სახ. — სახნავი
სალ. — სალოცავი
სთრ. — სათრევი
ღვ. — ღვარცოფი
წყ. — წყარო
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
მსეი — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, II, III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით
მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
ჭ. შარაშიძე — ჭ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ტ. 30, თბილისი, 1954
АКАК — Акты собранные Кавказской археографической Комиссией

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . . 3

## ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ხ ე ვ ი ს ტ ო პ ო ნ ი მ ი კ უ რ ი აღ წ ე რ ი ლ ო ბ ა . . . . . 9
ხ ე ვ ი ს ს ა თ ა ვ ე ე ბ ი . . . . . 9
ალმასიანი . . . . . 11
კობი . . . . . 11
ქვემო და ზემო უხათი . . . . . 12
თ ე რ გ ი ს ხ ე ო ბ ა (ყ ა ნ ო ბ ი დ ა ნ გ ვ ე ლ ე თ ა მ დ ე) . . . . . 13
ყანობი . . . . . 14
ხურთისი . . . . . 16
ფხელშე და გორისციხე . . . . . 18
ტორნისა . . . . . 20
ტყარშეტი . . . . . 21
სიონი . . . . . 22
გარბანი . . . . . 23
გაიბოტენი . . . . . 24
თოთი . . . . . 25
არშა . . . . . 26
ფანშეტი . . . . . 26
ყაზბეგი და თარგმანი . . . . . 27
გერგეტი . . . . . 29
ცდ . . . . . 33
გველეთი . . . . . 34
დ ა რ ი ა ლ ი ს ხ ე ო ბ ა . . . . . 35
ს ნ ო ს ხ ე ო ბ ა . . . . . 38
აჩხოტი . . . . . 38
სნო . . . . . 38
ახალციხე . . . . . 39
ჭოსელი . . . . . 40
მიგუდა . . . . . 41
ართხმო . . . . . 41
კარკუჩა . . . . . 42
ჯუთა . . . . . 43

## ნაწილი მეორე


ტოპონიმების შინაარსი (შენიშვნები) . . . . . 44
ხევის სათაურები . . . . . 44
თერგის ხეობა (ყანობიდან გველეთამდე) . . . . . 51
ყანობი . . . . . 51
ხურთისი . . . . . 65
ფხელშე და გორისციხე . . . . . 74
ტორნისა . . . . . 83
ტყარშეტი . . . . . 85
სიონი . . . . . 87
გარბანი . . . . . 90
გაიბოტენი . . . . . 92
თიბთი . . . . . 96
არშა . . . . . 98
ფანშეტი . . . . . 102
ყაზბეგი და თარგმანი . . . . . 104
გერგეტი . . . . . 110
ცდო . . . . . 135
გველეთი . . . . . 137
დარიალის ხეობა . . . . . 139
სნოს ხეობა . . . . . 149
აჩხოტი . . . . . 149
სნო . . . . . 149
ახალციხე . . . . . 156
ქ.სელი . . . . . 160
მიგუდა . . . . . 161
ართბმო . . . . . 161
კარკუჩა . . . . . 163
ჯუთა . . . . . 167
Топонимика Хеви. Резюме . . . . . 171
შემოკლებათა განმარტება . . . . . 175

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ალ. რობაქიძე
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ჭაჭაია
მხატვარი ვ. ხმალაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი რ. ფეიქრიშვილი

გადაეცა წარმოებას 4.5. 1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.70;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 11,25; საღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 9,61; უე 01525; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1152;
ფასი 97 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

**Валериан Джамбулович Итонишвили**

# ТОПОНИМИКА ХЕВИ